

ზაქარნიძე ალ-კაზვინის  
ცნობები  
საქართველოსა  
და კავკასიის  
შესახებ

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XL

‘ზაქარნიძე’ აღ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის  
შესახებ

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИЕКСИ ССР

---

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ О  
ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

**СВЕДЕНИЯ ЗАКАРІ́А' АЛ-КАЗВІ́НИ  
О ГРУЗИИ И КАВКАЗЕ**

Арабский текст введением, грузинским переводом  
и примечаниями снабдил О. В. Цки тишвили

**EXCERPTA HISTORIAE ZAKARIYA' AL-QAZWINI AD GEORGIAM  
ET CAUCASUM PERTINENTIA**

Textum arabicum cum versione georgica, praefatione,  
commentariisque instruxit O. Z k i t i s h v i l i

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА». SUMPTIBUS «MECNIEREBA»  
ТБИЛИСИ – 1975 – TBILISIIS

# ზაქარნიძე' აღ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ

არაბულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და  
შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა

წიგნში წარმოდგენილია XIII ს. ავტორის ზაქარნიძე ალ-კაზვინის ორი ნაშრომიდან „აჯვ“ ალ-მახლუკუთ ვა ღარა იბ ალ-მავჯუდთ“ და „ნსარ ალ-ბილად ვა ახზარ ალ-იბნად“ ამოკრებილი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ამ ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე, ნ. ჯანაშია. ს. ყაუხ-ჩიშვილი (მთ. რედაქტორი), ო. ცქიტიშვილი, ს. ჯიქია

არაბული წყაროების სერიის რედაქტორი ოთარ ცქიტიშვილი.

# შინაარსი

შესავალი .....	7
ქართული თარგმანი .....	17
ქართული თარგმანი წიგნიდან „აჯვ'იბ ალ-მახლუკათ ვა დარა'იბ ალ-მავჯუდნთ“, I	19
ქართული თარგმანი წიგნიდან „ნსარ ალ-ბილნდ ვა ახზარ ალ-'იბნდ“, II .....	28
შენიშვნები .....	51
„აჯვ'იბ ალ-მახლუკათ ვა დარა'იბ ალ-მავჯუდნთ“, I .....	51
„ნსარ ალ-ბილნდ ვა ახზარ ალ-'იბნდ“ II .....	94
შემოკლებანი .....	161
საძიებლები .....	164
ა) საკუთარ სახელთა .....	164
ბ) გეოგრაფიულ სახელთა .....	170
არაბული ტექსტი .....	
من كتاب عجائب المخلوقات و غرائب الموجودات I .....	١
من كتاب آثار البلاد واخبار العباد II .....	٨

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მასალა, ამოკრებილი XIII ს. ცნობილი არაბი კოსმოგრაფისა და გეოგრაფის ზაქარია ალ-ყაზვინის ორი ნაშრომიდან „აჯვან“ ალ-მახლუკით ვა ღარან“ ალ-მავეჯუდთ“ („ქმნილებათა საოცრებანი და არსებულთა საკვირველებანი“) და „ნსარ ალ-ბილად ვა ახზარ ალ-იზად“ („ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალლაჰის მონათა შესახებ“), შეიცავს საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებულ ცნობებს.

ეს მასალა იძლევა მნიშვნელოვანწილად საყურადღებო ცნობებს საქართველოსა და განსაკუთრებით კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულისა და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. ვერ ვიტყვით, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის ზემოთ დასახელებული ნაშრომები მთლიანად ისევე მდიდარია ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებით, როგორც, მაგ., მისი უფროსი თანამედროვის იაკუთ ალ-ჰამავის (574 ან 575/1178–1179–626/1229 წწ.) ცნობილი გეოგრაფიული თხზულება, არსებითად ლექსიკონი, „მუჯამ ალ-ბულდან“. ამდენად არ უნდა იყოს გასაკვირველი, თუ ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომებში საქართველო ისევე ღარიბად არის წარმოდგენილი, როგორც იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში. ეს გარემოება შეიძლება ავხსნათ არა მხოლოდ იმით, რომ საქართველოში არ უმოგზაურია იაკუთს, ისევე როგორც ზაქარია ალ-ყაზვინის, და მათი მასალა დამყარებულია ზეპირ გადმოცემებსა და წინარე ხანის არაბ ავტორთა ცხობებზე, არამედ იმითაც, რომ მუსლიმ და, კერძოდ, არაბ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს ძირითადად აინტერესებდათ მუსლიმური ქვეყნები და არა ქრისტიანული. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთაც გვაქვს ლაპარაკი ერთ-ერთ შენიშვნაში. თანაც ეს ცნობები საქართველოზე ზოგჯერ ლეგენდარულ ხასიათს ატარებს და ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამდენად საოცარია, როცა ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე გარკვევით არაფერია ნათქვამი ზოგ ცნობაზე, დაკავშირებულზე სასანელი მეფის ხოსრო ანუშირვანის (531–579 წწ.) თითქოსდა მოღვაწეობასთან საქართველოში (იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1973, გვ. 352). მხედველობაში

ზაქარია ალ-ყაზვინის ბიოგრაფიიდან ცოტა რამ არის ცნობილი.

ზაქარია იზნ მუჰამმად იზნ მაჰმუდ ალ-ყაზვინი დაიბადა 600/1203 წ. ქალაქ ყაზვინში, როგორც მისი ნისბა უნდა მიუთითებდეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი წარმოშობით არაბთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც დიდი ხნით ადრე უნდა დასახლებულიყო სპარსეთის ერაცში. თვლიან, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის ენისათვის დამახასიათებელია სოლექციზმები. ეს გარემოება კი მასზე უნდა ლაპარაკობდეს, რომ ზაქარია ალ-ყაზვინისათვის არაბული ენა მაინცდამაინც მშობლიური არ უნდა ყოფილიყო. ჩანს, მასზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა იმ სპარსულმა გარემომ, რომელშიც იგი დაბადებიდანვე აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინი დაახლოებით 630/1233 წ. იმყოფებოდა დამასკოში, სადაც ცნობილი მისტიკოსის იზნ ალ-არაბის (561/1165–638/1240 წწ.) დიდი გავლენა უნდა განეცადა. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის ურთიერთობა უნდა ჰქონოდა

ცნობილ სტილისტ-ლიტერატურათმცოდნესთან დია ად-დინ იბნ ალ-ასირთან (გარდ. 637/1239 წ.), ცნობილი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ძმასთან (555/1160–631/1234 წწ.). დადგენილი ფაქტია, რომ ბაღდადის აღებამდე ჰულაგუს მიერ 656/1258 წ. ზაქარია ალ-ყაზვინი ყველა მუსლიმისათვის დამახასიათებელი კანონიკური განათლების წყალობით მოსამართლედ იყო ვასიტსა და ჰილლაში.

ზაქარია ალ-ყაზვინი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია არაბულ მწერლობაში იმ ახალი მიმართულებისა, რომელსაც დასაბამი მიეცა XII ს. დასასრულიდან და რომელსაც თანამედროვეები კოსმოგრაფიას უწოდებენ. ამ ჟანრის წარმომადგენლებს აღარ აკმაყოფილებთ ჩვენი პლანეტარული სისტემის მმართველი კანონების გადმოცემა. მათ აინტერესებთ ყველაფერი, რასაც კი დედამიწის ზურგზე აქვს ადგილი. ამიტომ ისინი თავიანთ შრომებში ეხებიან იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს – ასტრონომიას, გეოგრაფიას, ზოოლოგიას, ეთნოგრაფიას, მინერალოგიას, მედიცინას და ა. შ.

ამდენად ამ ჟანრის წარმომადგენლები არ შეიძლება რაიმე ორიგინალური აზრის მატარებელი ყოფილიყვნენ. ისინი იყვნენ უბრალოდ კოსმოგრაფი-პოპულარიზატორები, რომელთა მიზანს შეადგენდა სა-

---

გვაქვს არაბი ავტორების ცნობები ძველი თბილისი-სოღდების შესახებ, მაშინ როცა ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური წერილი იქნა გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1963 წ. (იხ. ო. ც ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომბე“, № 5 (14), 1963, გვ. 142–160).

8

დად და მარტივად არაბულ ენაზე დაწერილი თხზულება, აღსავსე „საოცარი“ და „საკვირველი“ ამბებით, საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო მკითხველისათვის. ერთი სიტყვით, ასეთი სახის ლიტერატურა წარმოადგენდა დაცემის ეპოქისათვის დამახასიათებელ ჟანრს. მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის დროისათვის ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით იწერებოდა ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები (იბნ ალ-ასირი, იაკუთი და სხვ.), კარგა ხნით ადრე ზაქარია ალ-ყაზვინამდე ფეხი მოიკიდა (ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი) და მის დროსაც მოდაში იყო ვრცელი ბიოგრაფიული ნაშრომების შეთხზვა (იაკუთი, იბნ ხალლიქანი და სხვ.) არაბულ ენაზე, ჩანს, მაინც ამ ენის გამარტივებასა და მკითხველისათვის გასაგებად წერის. ცდაზე ერთგვარი ზეგავლენა უნდა მოეხდინა იმ ფაქტსაც, რომ არაბული ენა თანდათანობით კარგავდა თავის ოდინდელ მნიშვნელობასა და მის ადგილს მტკიცედ იჭერდა ახალი სპარსული ენა, რომელიც „საერთაშორისო ურთიერთობის“ ენად იქცა. საფიქრებელია, მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებისათვის სპარსულად დაწერილი თხზულებების საჭიროებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ გარკვეული დროიდან იწყება არაბულიდან სპარსულ ენაზე თხზულებათა თარგმნა (ატ-ტაბარის „მსოფლიო ისტორიის“ ბალამისეული სპარსული თარგმანი, მუჰამმად ნარშახის „ბუხარის ისტორიის“ სპარსული რედაქცია ორჯერ XII ს. და სხვ.).



დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის იმავე დროს ჩნდება ზაქარია ალ-ყაზვინის ზემოთ დასახელებული არაბული თხზულებების სამი სპარსული რედაქცია, მათი შემოკლებული ვარიანტები და ექსცერპტები. ამჯერად არაფერს ვამბობთ მასზე, რომ ამ ნაშრომების რედაქციები გაჩნდა აგრეთვე სხვა აღმოსავლურ ენებზე.

ზაქარია ალ-ყაზვინიმ სახელი მოიხვეჭა თავისი ორი ზემოთ აღნიშნული ნაშრომით, რომელნიც ჯერ კიდევ XIX ს. შუა ხანებში გამოაქვეყნა ცნობილმა გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ფერდინანდ ვიუსტენფელდმა<sup>2</sup>. ჩვენს მიერ მასალაც ამ გამოცემიდან არის ამოკრებილი.

---

<sup>2</sup> Zakarija Ben Muhammed el-Cazwinis Cosmographie. Erster Theil كتاب عجائب المخلوقات. Die Wunder der Schöpfung, hrsg. von E. Wüstenfeld. Göttingen, 1849.

Zakarija Ben Muhammed Ben Mahmud el-Cazwini's Cosmographie. Zweiter Theil كتاب آثار البلاد. Die Denkmiler der Länder, hrsg. von E. Wüstenfeld. Göttingen, 1848.

9

როგორც ვხედავთ, გერმანელ მკვლევარს ჯერ გამოცემული აქვს 1848 წ. ზაქარია ალ-ყაზვინის ის მეორე ნაშრომი, რომელსაც პირობითად სპეციალურ ლიტერატურაში „გეოგრაფიას“ უწოდებენ, ხოლო 1949 წ. მანვე გამოაქვეყნა თავის დროზე „გეოგრაფიასთან“ შედარებით უფრო პოპულარული არაბი ავტორის ნაშრომი „კოსმოგრაფია“.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის „კოსმოგრაფია“ ჯერ კიდევ მოელის სპეციალისტს, რომელიც მას კრიტიკულად გამოსცემს. ვიუსტენფელდისეული გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, ამჟამად ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია წინამდებარე ნაშრომი შეგვესრულებინა და ქართველი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ზაქარია ალ-ყაზვინისთან შემონახული მასალა საქართველოსა და კავკასიის შესახებ სათანადო ქართული თარგმანითა და შენიშვნებით.

ზაქარია ალ-ყაზვინის „გეოგრაფიის“ გამოცემას კი ფ. ვიუსტენფელდმა საფუძვლად „დაუდო 674/1275 წ. დათარიღებული ნუსხა. სულ ცნობილია ამ ნაშრომის ორი რედაქცია.

ზაქარია ალ-ყაზვინის შემოქმედებამ, როგორც კოსმოგრაფიის ჟანრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისა არაბულ მწერლობაში, თანამედროვეთა შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა. ინტერესი არაბი ავტორის თხზულებისადმი არც შემდგომ ხანაში შენელებულა. საამისოდ საკმარისია აღინიშნოს ის გარემოება, რომ XV ს. შუა ხანიდან ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომებს თარგმნიან თურქულ ენაზე და ეს მთარგმნელობითი მუშაობა გრძელდება აგრეთვე XVI–XVII სს. ამ ფაქტის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს აგრეთვე ის, რომ XV ს. დასაწყისში არაბი ავტორის „გეოგრაფიის“ მოკლე რედაქცია განახორციელა ბაქოელმა აბდ არ-რაშიდ იბნ სალეკ იბნ ნური ალ-ბაქუვიმ სათაურით „ქითაზ თალხის ალ-ჰსარ ვა ‘აჯჯ’ იბ ალ-მალიქ ალ-

კაჰჰან“ („შემოკლებული წიგნი „ძეგლებისა“ და ძლევამოსილი მეფის საკვირველებანი“). ამჟამად, როგორც ცნობილია, ამ ნაშრომის გამოცემა რუსული თარგმანითურთ განახორციელა პროფ. ზ. ბუნიატოვმა<sup>3</sup>.

<sup>3</sup> Абдар - Рашид ал - Бакуви, Китаб талхис ал-ās ār ва 'аджа'иб ал-малик ал-каххār («Сокращение (книги о) «памятниках» и чудеса царя могучего»). Издание текста, перевод, предисловие, примечания и приложения З. М. Бунятова, М., 1971.

ზაქარია ალ-ყაზვინის თხზულებათა ცალკეული ადგილები თარგმნილი აქვთ რუს და ევროპელ მკვლევარებს ხ. ფრენს, ს. დეფრემერის, გ. იაკობს, ბ. დორნსა და სხვ.<sup>4</sup> ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. დეფრემერის თარგმანები მის ფრანგულ თარგმანებს, როგორც ცნობილია, უხვად იყენებს თავის ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ აკად. ივ. ჯავახიშვილი.

როგორც არ უნდა იყოს ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომების მიზანი და დანიშნულება, ერთი ცხადია, რომ ამ თხზულებებში ნამდვილად საარაკო ამბებთან ერთად მოტანილია აგრეთვე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სხვა ხასიათის მასალა, რომელმაც არ შეიძლება სპეციალისტთა ყურადღება არ მიიქციოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიტანთ ერთ ფაქტს. იგი ამჯერად არც ისტორიულ მოვლენასა და არც საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ეხება.

როგორც ცნობილია, თანამედროვე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში თუ პერიოდულ პრესაში, ჟურნალ-გაზეთებში, ვრცელი მასალები იბეჭდება დელფინების, ამ ზღვის წყლების ცხოველთა უჩვეულო თვისებების, მათი გონიერებისა და ადამიანებისადმი მათ მხრივ არაჩვეულებრივად სანდო და კეთილი დამოკიდებულების შესახებ. კიდევ მეტი. რიგ შემთხვევაში თვით დელფინები მიმართავენ ხოლმე ადამიანს გაჭირვების დროს. შექმნილია სპეციალური სამეცნიერო ცენტრები, სადაც დელფინთა ყოფაქცევასა და მათ ურთიერთობას ადამიანებთან სწავლობენ.


სწორედ ამ დელფინების გონივრულ საქციელსა და მათ კეთილ განწყობაზე ადამიანთა მიმართ მოგვითხრობს ზაქარია ალ-ყაზვინი თავისი ნაშრომის „კოსმოგრაფიის“ იმ თავში, სადაც მას კასპიის ზღვის, ანუ არაბი ავტორის თქმით, ხაზართა ზღვის, ფაუნის შესახებ აქვს ლაპარაკი. ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომის ამ თავის ნაწილს კასპიის

<sup>4</sup> C. M. Fröhner, Ibn Fozlan's und anderer Araber Berichte über die Russen älterer Zeit, Text und Übersetzung mit keitisch-philologischen Anmerkungen, SPB, 1823; Fragments de Geographes et d'Historiens arabes et persans inédits, relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie Méridionale, traduits et accompagnés de notes critiques par C. Defrémery, JA, Quatrième Serie, Tome XIII, Paris, 1849; Ein arabischer Berichterstatter aus dem 10. Jahrhundert über Fulda, Schleswig, Soest, Paderborn und andere deutsche Städte, Studien in arabischen Geographien von C. Jacob, I, Berlin, 1891; B. Dorn, Geographia Caucasica. „Mémoires de l'Académie Impériale des Sciences de St.-Pétérshbourg», VI<sup>m</sup>e serie.

ზღვის ფაუნაზე ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი და იგი არც ტექსტში და არც თარგმანში, რა თქმა უნდა, სპეციალურად არ მოვიტანეთ, რადგან მისი ჩართვა წინამდებარე ნაშრომში ზედმეტად ვცანიოთ, რომ დასახულ მიზანს არ ავცდენილიყავით.

მაგრამ ზაქარია ალ-ყაზვინისთან შემონახული მასალა დელფინთა შესახებ დღეს, როცა მათ, როგორც ითქვა, საყოველთაო ინტერესი გამოიწვიეს, ვფიქრობთ, იმდენად საყურადღებო უნდა იყოს, რომ ჩვენს თავს უფლებას ვაძლევთ და არაბულ ტექსტს ქართულ „თარგმანთან ერთად აქვე მოვიტანოთ პარალელურად ამ მასალის უკეთესად ილუსტრაციის მიზნით.

გვ. 134



დელფინი . დალოცვილი ცხოველია. როცა მას დაინახავენ მეზღვაურები, გაიხარებენ და თხოვენ დალოცვას. როცა (დელფინი) დაინახავს ზღვაში დამხრჩვალს, წაიღებს ნაპირისკენ ზოგჯერ შეუწყვება და გადაიტანს თავის ზურგზე, ზოგჯერაც გაუყრის თავის კუდს ხელში და გაემართება მასთან ერთად ნაპირისკენ. მისი ზოგადი ხასიათია დამხრჩვალის გადარჩენა. ამბობენ, რომ მას აქვს ორი გრძელი ფრთა. როცა მას ხვდებიან ხომალდები, იგი მიჰყვება მათ იალქნებს, ჰგავს რა მათ. ამოსწევს თავის ფრთებს იალქნებით და ეჯიბრება გემებს სვლაში. როცა ამას მოიმოქმედებს ერთ ხანს, დაიღლება და დააბრუნებს ფრთებს თავის ადგილზე. როცა დაინახავს დამხრჩვალს, შეეხება მას. ალ-ჯაჰიზი ამბობს: ზღვის ცხოველთა ჯიშები არ არიან ქვესკნელში და ამ დიდ ტბებში მსგავსად სუკუტრანს, ჰარქანდისა და სანჯაქის (?) ქვესკნელისა. ამიტომ

მეზღვაურები, როცა დაინახავენ მცენარეულობას, ფრინველს ან რომელიმე ამ ცხოველთაგანს,

რწმუნდებიან მიწის სიახლოვეში და ამიტომ გადასცემენ დამხრვალს დელფინის მარიფათს მისი სიახლოვის გამო ნაპირთან.

არა გვგონია, რომ მოტანილ მასალას რაიმე შენიშვნები ჭირდებოდეს. ზაქარია ალ-ყაზვინისათვისაც იმ შორეულ წარსულში საკმაოდ კარგად ყოფილა ცნობილი დელფინების საოცარი თვისებები ადამიანებთან ურთიერთობაში.

განვმარტავთ მხოლოდ იმ ორ გეოგრაფიულ პუნქტს სამიდან, რომელნიც ტექსტშია მოხსენიებული. კუნძული სოკოტრა და მასთან მდებარე კუნძულების ჯგუფი მდებარეობენ ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირთან, იმ კუთხეში, სადაც ინდოეთის ოკეანე და ადენის ყურე ერთდებიან. კუნძული სოკოტრა, ყველაზე დიდი თავისი მოცულობით ამ კუნძულების ჯგუფში და ძირითადად დასახლებული არაბებით, იაკუთის დროსაც დასახლებული ყოფილა ქრისტიანი არაბებით იაკუთი, III, გვ. 102). ჰარქანდი, განმარტავს იგივე იაკუთი, ზღვაა შორეულ ინდოეთში, ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ინდოეთსა და ჩინეთს შუა (იაკუთი, IV, გვ. 963). შესაძლებელია, ეს არის ბენგალის ყურე.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინი თავის ნაშრომებში ასახელებს დაახლოებით ორმოცდაათზე მეტ ავტორს, რომელთაგან ზოგიერთის თხზულებები დაკარგულია და ჩვენამდე ვერ მოუღწევია. ამდენად ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომებს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მათ საშუალება მოგვცეს გავცნობოდით ჩვენთვის უცნობ XIII ს. წინამორბედ აღმოსავლელ მწერლებს და ნაწილობრივ მაინც შევსებულებოთ ის ხარვეზი აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც, სამწუხაროდ, ალბათ დღესაც კი არსებობს.

ზოგი არაბი ავტორის სახელებსა და მათ ნაშრომებში არსებულ მასალას ჩვენს მიერ ამოკრებილ მასალაშიც შევხვდებით. მათ შორის ზაქარია ალ-ყაზვინი ასახელებს ისეთ არაბ მწერლებსაც, რომელთა ცნობების სინამდვილე დღესაც ეჭვქვეშ არის დაყენებული ზოგი სპეციალისტის მხრივ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგ., სალლამ ათთარჯუმანის მოგზაურობა გოგისა და მაგოგის კედელთან ხალიფა

ალ-ვასიკის დროს (227/842–232/847 წწ.). ანდა მისარ იბნ მუჰალჰილის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათზე ახლა მეტს არაფერს ვამბობთ, ვინაიდან შენიშვნებში სათანადოდ არის განხილული საკითხთან დაკავშირებული მასალა.

ქვემოთ იმასაც დავინახავთ რომ მოტანილ მასალებში ისეთი ცნობებიც არის მოთავსებული, რომელთაც თავის დროზე ქართველ ისტორიკოსთა ყურადღება მიიქცეის. უპირველესად ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობა თამარ მეფის სახელოვანი მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის ლაშქრობის თაობაზე ხლათ-

ში. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობის ისტორია დაწვრილებით აქვს განხილული აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ (II, თბ., 1965, გვ. 281–282). ქალაქზე ლაშქრობისას ივანე ათაბაგი ტყვედ ჩაუვარდა ხლათელებს და ამ ფაქტთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს რამდენიმე ვარიანტი მოყავს (კირაკოზ განძაკეცი, აბუ ალ-ფიდა, ზაქარია ალ-ყაზვინი), თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ივანე მხარგრძელის ტყვედ აყვანისა ხლათელთა მიერ. როგორც ვიცით, აკად. ივ. ჯავახიშვილი ზაქარია ალ-ყაზვინის მიერ მოტანილ ცნობას ემხრობა და აღნიშნავს, რომ ამ არაბი ავტორის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს კირაკოზ განძაკეცისა და აბუ ალ-ფიდას ცნობებთან შედარებით. შენიშვნებშიც ვიმეორებთ და ახლაც აღნიშნავთ, სამწუხაროა, რომ ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი არ მიუთითებს კი, თუ რატომ მიაჩნდა მას ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობა ივანე ათაბაგის ტყვედ ჩავარდნის შესახებ უფრო სწორი.

ასეთია ძალზე მოკლედ ზაქარია ალ-ყაზვინის როგორც კოსმოგრაფ-გეოგრაფის შემოქმედების დახასიათება და წინამდებარე ნაშრომში მოტანილი მასალის ზოგადი შინაარსი. თქმულის ერთგვარად შევსების მიზნით ქვემოთ მოგვაქვს იმ ზოგიერთი ნაშრომის სია, რომელნიც ან უშუალოდ ეხებიან ზაქარია ალ-ყაზვინის თხზულებებს, ანდა გარკვეული კავშირი აქვთ განსახილველ საკითხებთან. ვფიქრობთ, ეს საშუალებას მისცემს მკითხველს ზაქარია ალ-ყაზვინის შემოქმედებით დაინტერესების შემთხვევაში უფრო ახლოს გაეცნოს ამ მეტად მიმხიდველი არაბი მწერლის მემკვიდრეობასა და თავისებურებებს,

1. И. Ю. Крачковский, Арабские географы и путешественники, Известия государственного географического общества, LXIX, № 5, 1937

2. И. Ю. Крачковский, Арабская географическая литература, Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957.

14

3. А. Д. Седелников, Арабская книга В царской кассе, Сб. статей К сорокалетию ученой деятельности академика А. С. Орлова, Л., 1934.

4. В. Райт – П. К. Кокцов, Краткий очерк истории сирийской литературы. Перевод с английского К. А. Туроевой, под редакцией и с дополнениями прсф. П. К. Кокцова, СПб, 1902.

5. M. Amari, Bibliotheca arabi-sicularaccolta da Michele Amari, Versione italiana, I, Torino e Roma, 1880.

6. J. Ansbacher, Die Abschnitte über die Geister und wunderbaren Geschöpfe aus Qazwini's Kosmographie zum ersten Male ins Deutsche übertragen und mit Anmerkungen versehen, Kirhhain, 1905.

7. E. S. Bodenheimer, Materialien zur Geschichte der Entomologie bis Linné, I–II, Berlin, 1928–1929.

8. R. Blachère, Extraits des principaux géographes du Moyen Âge, Bibliotheca arabica publiée par la Faculie des Lettres d'Alger, VII, Paris – Beyrouth, 1932.

9. C. Brockelmann, GAL, I.
10. E. A. Brown, A Literary History of Persia from Firdawsi to Sa'di, Vol. II, London, 1906.
11. E. A. Brown, History of Persian Literature under Tartar Dominion (A. D. 1265–1502), Vol. III, Cambridge, 1920.
12. Carra de Vaux, Les penseurs de l'Islam, II, Paris, 1921.
13. E. Honigmann, Die sieben Klimata und die πόλεις ἐπίσημοι, Heidelberg, 1929
14. Hudūd al- 'Ālam, The Regions of the World. A Fersian Geography 372 A. H – 982 A. D. Translated and explained by V. Minorsky with the Preface by V. V. Barthold (1930) translated from the Russian, London, 1937 (Gibb Memorial Series, M. S., XI).
15. M. Reinoud, Géographie d'Aboulféda, I, Introduction générale a la Géographie des Orientaux, Paris, 1848.
16. J. Ruska, Zur geographischen Literatur im islamischen Kulturbereich, Geographische Zeitschrift, XXXIII, 1927.
17. C. Sarton, Introduction to the Hislory of Science, II, From: Rabbi ben Ezra to Roger Bacon, Parts I-II, Baltimore, 1931.
18. M. Streck, Al-Kazwini, E I, II.

15

19. Fr. Taeschner., Die Psychologie Kazwini's (Dissertation Kiel), Tübingen, 1912.
20. Fr. Taeschner, Die geographische Literatur der Osmanen, ZDMG, 77(2), 1923.
21. Fr. Taeschner, Djughrāfiya, EI, N E, II.

\* \* \*

ტექსტის თარგმნისას ჩვენ ვცდილობდით რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავით დედანთან. მაგრამ ამავე დროს ყოველმხრივ ვეცადეთ თარგმანში შეძლებისდაგვარად დაგვეცვა ქართული ენის ნორმები და სტილი და არავითარ შემთხვევაში არ აღმოვჩენილიყავით კლასიკური არაბული ენის წინადადებებისათვის დამახასიათებელი წყობის ტყვეობაში, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ აქვს ხოლმე ადგილი მსგავს ნაშრომებში.

ვეცადეთ მინიმუმამდე დაგვეყვანა აკრეთვე ტრანსკრიბირებული საკუთარ, გეოგრაფიულ სახელთა, არაბულ ტერმინთა თუ თხზულებათა სახელწოდებები. მათ ტრანსკრიპციას ვიძლევიტ მხოლოდ თარგმანში, ტექნიკური მიზეზების გამო ისიც მხოლოდ გრძელ ხმოვნებს, და იშვიათად შესავალსა და შენიშვნებში. ამიტომ არის, რომ ზაქარია ალ-ყახვინის სახელს ნაშრომის ტექსტში ვიძლევიტ მხოლოდ ისე, როგორც იგი ქართულად გამოითქმის.

ამასთან ერთად არ უნდა იყოს გასაკვირველი, თუ როგორც არაბულ ტექსტში, ასევე მის ქართულ თარგმანში შევხვდებით განმეორებებს. საქმე ის არის, რომ წარმოდგენილი მასალა, როგორც აღინიშნა,

ზაქარია ალ-ყაზვინის ორი ფაქტიურად დამოუკიდებელი ნაშრომი-დან არის ამოკრებილი და ამიტომ თვით არაბი კოსმოგრაფის შრომებში აქვს ადგილი განმეორებებს. ჩვენთვის საინტერესო მასალა ჩვენც მთლიანად და უცვლელად მოგვაქს წინამდებარე ნაშრომში ისე, რომ იგი არ გვიცდია შეგვეკვეცა.

# ქართული თარგმანი



# ქართული თარგმანი წიგნიდან

„აჯჯა“ იბ ალ-მახლუკნათ ვა ღარა' იბ ალ-მაჯჯუდნათ“

I

ხ ა ზ ა რ თ ა ზ ღ ვ ა<sup>1</sup>. ესაა ტაბარისთანისა<sup>2</sup> და ჯურჯანის<sup>3</sup>, ზღვა; ორივე მის აღმოსავლეთით მდებარეობს. ჩრდილოეთით ხაზართა ქვეყანაა<sup>4</sup>, დასავლეთით ალანების<sup>5</sup> და კავკასიონია<sup>6</sup>, სამხრეთით ალ-ჯაბალი<sup>7</sup> და დადლამია<sup>8</sup>. იგი დიდი ფართო ზღვაა. მას არც ერთი ზღვა არ უერთდება დედამიწაზე. თუ კაცი ამ ზღვას შემოუვლის, იმ ადგილს დაუბრუნდება, საიდანაც (მოგზაურობა) იწყო. იგი დაუოკებელი ზღვაა, სწრაფად დამლუპველი, ხშირად და ძლიერ მღელვარე. მას არა აქვს მოქცევა და უკუქცევა. მასში არავითარი

127

მარგალიტი და ძვირფასი ქვები არ მოიპოვება. მასში არც დასახლებული კუნძულებია. მაგრამ მასშია კუნძულები უღრანი ტყეებით, წყლებითა და ბუჩქნარებით. მათზე არაა ადამიანი<sup>9</sup>. ამბობენ, ამ ზღვის წრეხაზი 1500 ფარსახია, სიგრძე – 800 მილი, სიგანე – 600 მილი<sup>10</sup>. იგი ელიფსის ფორმისაა. (ახლა) მისი კუნძულებისა და ცხოველთა შესახებ ზოგ რამეს მოვეყვებით.

128

თავი იმ კუნძულების შესახებ, რომლებიც აბუ ჰამიდ ალ-ანდალესიმ<sup>11</sup> ნახა. იგი ამბობს: ამ ზღვაში ფისივით შავნიადაგანი მთა ვნახე<sup>12</sup>. ზღვა მას გარს უვლის. ამ მწვერვალზე გრძელი ხერელია, საიდანაც წყალი გამოდის. ამ წყალთან ერთად გამოდის წინწილის მსგავსი ოქროს დანიკი<sup>13</sup>. ზოგჯერ იგი მებანაკლები (ზომისაა). ხალხის გასაკვირვებლად (სხვადასხვა) მხარეებში მიაქვთ. გველები ს კუნძული. აბუ ჰამიდი ამბობს: იგი ხსენებული შავი მთის ახლოს მდებარეობს. ეს ის კუნძულია, რომელიც გველებითაა სავსე. მასზე ბევრი ბალახია, ერთმანეთზე გადახლართული მრავალი გველის გამო არავის შეუძლია მას ფეხი დაადგას. ზღვის

19

ფრინველი კვერცხებს გველებს შორის დებს. გველები კი კვერცხებს ზიანს არ აყენებენ. ვნახე ხალხი, რომელთაც ხელში მაგარი ლერწამი ან ჯოხი ეკავათ და გველებს მიწიდან იღებდნენ იმ მიზნით, რომ ფეხი დაედგათ, გველებში გაევილოთ და ფრინველთა კვერცხები და ბარტყები აეღოთ. გველები კი ზიანს არავის აყენებდნენ. ს უ ლ ე ბ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ი . აბუ ჰამიდი ამბობს: ეს ის კუნძულია, რომელზეც არც ადამიანი და არც რაიმე ნადირია. ამბობენ, მას სულები დაეუფლნენ. მასზე ხმები ისმის და მიახლოვებას ვერავინ ბედავს.

ს ი ძ ა ქ შ უ კ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ი<sup>14</sup>. აბუ ჰამიდი ამბობს: იგი დიდი კუნძულია. მასზე წყაროები, ხეები, უღრანი ტყეები და სასმელი წყლებია. მასზე გარეული საჯდომი ცხოველებიცაა. აქ ენდრო ხარობს და ყველა ქვეყანაში გააქვთ. ზღვის აღმოსავლეთ (ნაპირთან) იგი ახლოსაა. მასზე ოლუზი თურქები გადასახლდნენ. იმ უთანხმოების გამო, რომელიც (თურქულ) ტომთა შორის ჩამოვარდა, და (ოლუზი თურქები) ამ

კუნძულზე (გადასახლებით) მათ გამოეყვნენ<sup>15</sup>. ცხვრების კუნძული. სალლამ, ათ-თარჯუმანი<sup>16</sup>, ალ-ეასიკ ბილლაჰის<sup>17</sup>, მართლმორწმუნეთა ამირის, წარგზავნილი ხაზართა მეფესთან, ამბობდა: ჩვენ ვნახეთ კუნძული, რომელიც ხაზართა და ბულგართა<sup>18</sup> შორის მდებარეობს. მასზე მთის ცხვრები კალიებივითაა. სიმრავლის გამო მათ გაქცევა არ ძალუძთ. როცა იმ კუნძულს ხომალდები მიადგნენ, მონადირეებულ იქნენ ისინი იმდენი, რამდენიც ალლაჰმა ისურვა. ესენი არიან მსუქანი ცხვრები და ბატკნები. ამ კუნძულზე სხვა ცხოველები მე არ მინახავს. მასზე წყაროები, ბალახი და მრავალი ხეცაა, და ქება ალლაჰისა მას, ვინც თავის სიმდიდრეს ვერ მოთვლის.

თავი ცხოველთა შესახებ. ჰყვებიან, რომ ალ-ვასიკ ბილლაჰმა, მართლმორწმუნეთა ამირმა, თითქოს სიზმარში ნახა ზუჟ ალ-კარნადნის<sup>19</sup> ჯებირი დანგრეულიყო, რის გამო იგი ძლიერ შეწუხდა და იმ ჯებირთან ამბის გასაგებად სალლამ ათ-თარჯუმანი გაგზავნა. სალლამი ამბობს: ჩემი გზავრობისას ხუთ დღეს ხაზართა მეფესთან შევჩერდი და მასთან უცნაური ამბავი ვნახე. იგი მასში მდგომარეობს, რომ მათ ვეებერთელა თევზი დაიჭირეს, ყური გაუხვრიტეს, შიგ თოკი გაუყარეს, (შემდეგ) თოკი გამოიღეს, თევზის ყური გაიხსნა და

129 შიგნიდან მშვენიერი წითური გრძელთმიანი ლამაზი გარეგნობის გოგონა გამოვიდა. მას ხელი მოჰკიდეს და ხმელეთზე გამოიყვანეს. იგი სახეში იცემდა, თმებს იგლეჯდა და გაჰკიოდა. ალლაჰმა მას სხეულის შუაში, ჭიპიდან მუხლამდე, სქელი ტანსაცმლის მსგავსი თეთრი გარსი შეუქმნა, თითქოს იგი მისი ტანის შუა ნაწილის მტკიცე

20

საბურველი იყო. იგი მანამ დააკავეს, სანამ არ გარდაიცვალა<sup>20</sup>, ეს ამბავი მე ბევრ წიგნში ამოვიკითხე, მათ შორის აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსის „ქითაბ ალ-ჯა'იბში<sup>21</sup>, რომელიც მან ვაზირ იბნ ჰუბადარასათვის<sup>22</sup> შეთხზა. როგორც თავში აშ-შამის ზღვის შესახებ<sup>23</sup> იყო მოხსენიებული, (ხაზართა ზღვის ცხოველებს განეკუთვნება აგრეთვე დიდი დრაკონი. ჰყვებიან, რომ იგი ამ ზღვიდან ამოდის ხოლმე მსგავსად შავი ღრუბლებისა და ხალხი მას ხედავს. ამათგან იყო ის, ვინც ჰყვებოდა, რომ იგი მრისხანე ქარია, ზღვის ფსკერზე წარმოშობილი და ქარიშხლად აღმართული. როცა მიწას აცილდება, დატრიალდება, თან მტვერს აიტანს, და მიწაც გაიჰობა. შემდეგ ჰაერში წაგრძელებდა და ხალხს ჰგონია, რომ იგი შავი დრაკონია, შავი ზღვიდან ამოსული ან ღრუბლებიდან და უკუნეთიდან (წარმოშობილი), და ქარს დაემსგავსა. ამ (ხალხიდანაა) აგრეთვე ის, ვინც ჰყვებოდა, რომ იგია ცხოველი, რომელიც ზღვის ფსკერზე იყო, დიდი გახდა და ზღვის ცხოველებს ავნო. მაშინ ალლაჰმა მაღალმა მას ღრუბლები მოუვლინა, რომლებმაც იგი ზღვიდან ამოიყვანეს და გადაიყვანეს. იგი მოელვარე შავი გველივითაა, რომლის დანამაული არც ერთ დიდ ნაგებობას ან ხეებს ისე ვერ ჩაუვლის, თუ წინ არ წარუძღვა ზოგჯერ სულს მოითქვამს და დიდ ხეებს დაწვავს. შემდეგ მას ღრუბლები მჯჯუჯსა და მჯჯუჯთან<sup>24</sup> გადაადგებენ და მასთან დანებითა და ჯაყვებით წარსდგებიან. მას თავისთვის ყოველი ჩამოჭრის ერთი წლის საკვებს. ამ სიტყვის მსგავსი იბნ აბზასაც აქვს ნათქვამი<sup>25</sup>. ამ თავს საკვირველი მოთხ-

რობით დავასრულებთ. იგი მასში მდგომარეობს, რომ ხოსრო ანუშირვანმა კეთილშობილმა<sup>26</sup>, როცა ბალანჯარის ჯებირი<sup>27</sup> დაამთავრა და იგი გაამაგრა, ამით ძალიან გაიხარა და ბრძანა სამეფო ტახტი ჯებირზე დაედგათ, მასზე ავიდა და განადიდა და აქო ალლაჰი. შემდეგ თქვა: ო მეუფეთა მეუფევ, ამ საზღვრის გადაკეტვა და მტრის შეკავება შენ შთამაგონე. მერე საჩუქარი გაიღო, ნაგებობისაგან შემობრუნდა და ღრმა თაყვანი სცა. შემდეგ ნოხზე მოეწყო, წამოწვა და თქვა: ახლა დავისვენებ, ე. ო. ხახართა თავდასხმისაგან და თურქთა წვალეობისაგან. მერე წათვლიმა და ზღვიდან სიგრძით იმ მხარის დამცველად ვარსკვლავი წარმოდგა და მასთან ერთად ღრუბელი აღიმართა, რომელმაც სინათლე დაფარა. მაშინ ხოსროელებმა სასწრაფოდ თავიანთ მშვილდებს მიმართეს. ანუშირვანს გაეღვიძა და იკითხა: რა მოგივიდათ? მათ უთხრეს, რაც ნახეს. მან თქვა: იარაღისაგან თავი შეიკავეთ. ალლაჰს, ძლიერსა და დიდებულს, ჩემთვის სამშობლოდან გამგზავრება თორმეტნახევარი წლით არ შთაუგონებია. შემდეგ ზღვის ერთ-ერთ ცხოველს თავისუფლება მისცა, და ხოსროელები გაეცალ-

21

ნენ. ის ვარსკვლავი კი ჯებირისაკენ გაემართა, სანამ ზემოთ არ ალვიდა. შემდეგ თქვა: ო, მეფეო, მე ამ ზღვის ერთ-ერთი ცხოველი ვარ. მე ეს საზღვარი ჯებირით შვიდჯერ გამაგრებული და შვიდჯერვე დანგრეული ვნახე. ალლაჰმა მაღალმა გვამცნო, რომ რომელიღაც მეფე, მისი სიცოცხლე შენი სიცოცხლეა და მისი გამოსახულება შენი გამოსახულებაა, საზღვარს გაამაგრებს და მას სამუდამოდ გაამაგრებს. ეს მეფე შენ ხარ, და ალლაჰმა შენი ზრუნვა და დახმარება სტეპის მიმართ კეთილჰყო. შემდეგ იგი გაუჩინარდა, თითქოსდა ზეცაში გაფრინდა ან წყალში შთაინთქა. წარმატების მფარველი ალლაჰია.

157 ორი მთა ალ-ჰარისი და ალ-ჰუვადრისი<sup>28</sup>. ორი მთაა არმინიანში. მათზე ასვლა არ შეუძლია ადამიანს. ამბობენ, რომ ისინი არმინიის მეფეთა სასაფლაოა და მათი განძი მათთან ერთადაა. ბრძენმა ბალინასმა<sup>29</sup> მას თილისმა გაუკეთა, რათა იგი ხელთ არავის ეგდო. იბნ ალ-ფაკიჰი<sup>30</sup> ჰყვებოდა, რომ არმინიაში მდინარე არ-რასსზე 1000 მადინა იყო<sup>31</sup>. მათ ალლაჰმა მოციქული გაუგზავნა, რომელსაც მუსას<sup>32</sup> ეძახდნენ, იგი არაა მუსა იბნ იმრანი<sup>33</sup>, და მათ მან ალლაჰისაკენ მოუწოდა. მათ კი იგი ცრუდ გამოაცხადეს და უარჰყვეს. მაშინ ალლაჰმა ალ-ჰარისი და ალ-ჰუვადრისი ადგილიდან დაძრა და მათ წინააღმდეგ გაგზავნა. ამბობენ, რომ არ-რასსის მცხოვრებნი ამ ორი მთის ძირას არიან.

163 საბალანის მთა<sup>34</sup>. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ამბობს: ესაა აზარბაღჯანის მთა, ქალაქ არდაბილის ახლოს, ყველაზე მაღალი მსოფლიოს მთათა შორის. მომდინარეობს თხრობა ალლაჰის მოციქული-საგან, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, რომ იგი ამბობდა: ის ვინც წაიკითხა: „დიდება კი ალლაჰს, როცა გიღამდებათ და როცა გითენდებათ!“ მისი სიტყვაა: „აი თქვენ გამოხვალთ<sup>35</sup>“, ალლაჰი გაიღებს მისთვის წყალობას ყოველი (მის მიერ წაკითხული ყურანის) გვერდისათვის. საბალანის მთაზე თოვს ხოლმე. ჰკითხეს: ო ალლაჰის მოციქულო; რაა საბალანი? მან თქვა: მთაა არმინიანსა და აზარბაღჯანს შორის. მასზე სულების ერთ-ერთი წყარო და მოციქულთა ერთ-

ურთი საფლავია. ამბობს აგრეთვე: მთეის მწვერვალზე დიდი წყაროა. მისი წყალი ძლიერი სიცივის გამო გაყინულია. მთის ირგვლივ ცხელი წყაროებია. მათკენ ავადმყოფები მიემართებიან. მთის ფერდობზე მრავალი ხეა. ამ ხეებს შორის ხშირი ბალახია. არც ერთ ცხოველს არ შეუძლია ამ ხეების ფოთოლი ჭამოს. თუ შეჭამს, იმწამსვე კვდება. ცხოველთაგან მიმავალი ცხენები, ვირები, ძროხები და ცხვრები ვნახე. როცა მათ მივუახლოვდი, გაიქცნენ, ბელურებიც კი (გაფრინდ-

22

ნენ). მეგონა მათ სულელები იცავდნენ. იგი ამბობს: მთის ძირას სოფელია. მის ყადის აბუ ალ-ფარაჯ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-კასირი ალ-არდაბილის<sup>36</sup> შევხვდი და თქვა: ისინი მხოლოდ სულელებმა შექმნეს. იგონებენ, რომ მან სოფელში ცნობილი მისგითი ააშენა. მეჩეთისათვის სამირკვლის ბოძები დაჭირდა და ერთ დღეს გათენებისას მისგითის კართან მტკიცედ ნაკეთები საუკეთესოდ გამოთლილი ქვის სამირკვლები ნახა.

კ ა ბ კ ი ს მ თ ა<sup>37</sup>. ესაა მთა, რომელიც ბაბ ალ-აბვაბს<sup>38</sup> და ალ-ლანთა ქვეყანას<sup>39</sup> ემეზობლება და არ-რუმის ქვეყანამდეა<sup>40</sup> გადაჭიმული. ის ხაზარებს ირანის ქვეყნისაგან გამოჰყოფს. ამ მთაში გასასვლელი იყო, საიდანაც ხაზარები გადმოდოდნენ და ირანის ქვეყანასა და აზარ-ბაიჯანში, თვით ჰამადანსა<sup>41</sup> და ალ-მავსილშიც<sup>42</sup>, გადადიოდნენ. როცა ხოსრო ანუშირვანი კეთილმოხილი გამეფდა, ხაზართა მეფეს<sup>43</sup> დაეზავა, მისი ქალიშვილი შეირთო და ყველა საშუალება გამოიყენა, ვიდრე ამ გასასვლელში მაგარი ჯებირი არ გააკეთა, და მას თილის-მაც გაუკეთა. (ეს გასასვლელი) ჩვენს დრომდე დამაგრებულია. ამ ჯებირის აღწერისას ზოგი ამბობს, რომ მისი ბოლო ზღვაშია და სრულყოფა (სწორ) ხაზში, რომელშიც ეშმაკობა არაა მოწყობილი. იგი შვიდ ფარსახზე იყო გადაჭიმული ბორცვოვან ადგილამდე, რომლის გადალახვა ადვილი არაა. იგი გამოთლილი ოთხკუთხოვანი ქვის ნაგებობაა. ყველაზე პატარა ქვა 50 ნაბიჯზე ნაკლები არაა. დამაგრებულია ლურსმნებითა და ტყვიით. ამ შვიდ ფარსახზე შვიდი გზა ააგო. ყოველ გზაზე მადინა ააშენა და მცველებად სპარსელი მეომრები ჩასახლა. რკინის კარები გაუკეთა. (თითოეული გზის) დაცვა ას კაცს მიანდო, მაშინ როდესაც მანამდე 100 000 კაცი იყო საჭირო. შემდეგ სამეფო ტახტზე გაიმართა, ალლაჰს მადლობის ნიშნად თაყვანი სცა იმის გამო, რაც ალლაჰმა მას საკუთარი ხელით დაუმთავრა, და თურქთა ბოროტებისაგან გაანთავისუფლა. ზურგზე გადაგორდა და თქვა: ახლა დავისვენებ!<sup>44</sup> ალ-ბუჰთური<sup>45</sup> ამბობს: როცა თავის ყასიდაში „ას-სინნა“ მან მეფე ანუშირვანის ძალა მოიხსენია, განსაზღვრა დრო მისი ჩასვლისა ბაბ ალ-აბვაბს

მისი დაკეტილი კარი ალ-კაბკის მთაზეა  
ხილატისა და მუქსის ადგილსამყოფელამდე.

მ უ ქ ს ი<sup>46</sup>. ქალაქის სახელია. თავში ბაბ ალ-აბვაბის შესახებ ამ ზღუდეს ამაზე უფრო ვრცლად განვმარტავთ, თუ ალლაჰი მაღალი ისურვებს.

171

ა ზ ა რ ბ ა დ ჯ ა ნ ი ს მ დ ი ნ ა რ ე<sup>47</sup>. მუჰამმად იბნ ზაქარიია არ-რაზი<sup>48</sup> იგონებს აბუ ალ-კასიმ ალ-ჯადჰანის „ალ-მასალიქ ვა ალ-მამალიქ აშ-შარ-

172

კნადას“ ავტორის (ნაამბობს)<sup>49</sup>, რომ აზარბაიჯანში მდინარეა, რომლის წყალი მიედინება, ქვავდება და ქვის ფილებად იქცევა „თუჰქდათ ალ-დარაჰ“ იბის“ ავტორი<sup>50</sup> აგრეთვე ამბობს: აზარბაიჯანში მდინარეა, რომლის წყალი პატარა და დიდ მაგარ ქვებად იქცევა.

179

არ-რასსის მდინარე<sup>51</sup>. აზარბაიჯანში კარგად ცნობილი დიდი მდინარეა. წყალი ძლიერად მიედინება და მის ფსკერზე ბევრი ქვაა. ზოგი მათგანი წყალში ჩანს, ზოგსაც წყალი ფარავს. მასში ხომალდები არ დაცურავენ. მას საშინელი ციცაბო ნაპირები და დიდი ქვები აქვს, მისადგომები არა აქვს. იგონებენ, რომ ვინც მდინარე არ-რასსზე ფეხით გადასულა, თუ თავის ფეხს ქალის ზურგს გაუხახუნებს, რომელსაც მშობიარობა უჭირს, იმწამსვე მშობს. ყაზვინში<sup>52</sup> ერთი თურქმენი კაცი იყო, სახელად ალ-ხალილი, რომელმაც ასე გააკეთა, და წარმატება ჰქონდა. იგონებენ აგრეთვე, რომ მდინარე არ-რასსი თუმცა მისი ფსკერი ქვებიანია, ყურადღებიანია დამხრჩვალთა მიმართ. მასში მოხვედრილი ცხოველთა უმეტესობა (უვნებელი) ამოდის. საკვირველებათაგან, რომელნიც დაესამ იბნ იბრაჰიმმა<sup>53</sup>, აზარბაიჯანის ბატონმა, მოიგონა. იგი ამბობს: ჩემს ლაშქართან ერთად არ-რასსის ხიდზე გადავდიოდი და, როცა ხიდის შუა ადგილზე მივედი, ფეხით მიმავალი ქალი დავინახე. მას სახვევებში გახვეული ბავშვი მიჰყავდა. იგი მზიდავმა ჯორმა მიამწყვდია. მაშინ (ქალი) შიშისაგან ხიდზე წაიქცა და ბავშვი მდინარეში გადაუვარდა. იგი წყალში მოგვიანებით ჩავარდა

180

იმის გამო, რომ ხიდსა და წყლის ზედაპირს შორის დიდი მანძილია. შემდეგ (ბავშვი) ჩაიძირა, ცოტა ხნის შემდეგ ამოტივტივდა, მიჰქონდა და ესხმებოდა რა მას წყალი. (ბავშვი) მდინარის ქვებს, რომელნიც მასში ძალიან ბევრია, გადაურჩა. იმ ადგილზე მრავალი არწივია. ამ მდინარის ციცაბო ნაპირებზე მათ ბუდეები აქვთ. როცა ბავშვი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა, იგი არწივმა შეამჩნია, დაიჭირა და ბარჯყალები მის სახვევებში დაებლანდა. (არწივმა) იგი კლდეზე გაიყვანა. მე ერთ-ერთ ჯგუფს ვუბრძანე, რომ არწივს დადევენბოდნენ. (ასეც) გააკეთეს. მეც გავემართე. და როცა არწივი მიწაზე დაემვა და სახვევების დაგლეჯას შეუდგა, მას ხალხი წამოეწია, დაუყიჟინეს და დაედევნენ, ვიდრე თავი არ დაანხებებინეს. (არწივი) გაფრინდა, ხოლო (ბავშვი) მიწაზე დატოვა. ჩვენ მასთან მივედით, და აი იგი, უვნებელი, ტიროდა. ჩვენ ი დედამისს დავუბრუნეთ. ალლაჰია გონივრული აზრის ხელის შემწყობი.

180

მდინარე ზაქვარი<sup>54</sup>. მდინარეა აზარბაიჯანში, მარანდის<sup>55</sup> ახლოს. იგი დიდი მდინარეა. მას ცხენოსანი ვერ გადალახავს, განსაკუთრებით გაზაფხულზე. როცა (მდინარე) მარანდს უახლოვდება, უკვა-

24

ლოდ იკარგება და ოთხ ფარსახზე<sup>56</sup> მიწის ქვეშ მიედინება. შემდეგ მიწის ზედაპირზე გამოდის. ამის შესახებ ამ-შარიფ მუჰამმად იბნ ზნ ალ-ფაკარ ალ-ალავი ალ-მარანდის<sup>57</sup> აქვს მოთხრობილი, ალლაჰიმც გაუხანგრძლივებს მას სიცოცხლეს!

ორი მდინარე შაჰრუზი და ისჰანდრუზი<sup>58</sup>. ორი მდინა-

რეა, რომელთაც აზარბაჯანის მთებში აქვთ დასაბამი. რაც შეეხება შაჰრუხს, ძალიან ძლიერი დინება აქვს და დინებისას ქვებისა და კენჭების საშინელი ხმა შორი მანძილიდან ისმის. რაც შეეხება ისფიდრუხს, მშვიდია და შაჰრუხზე უხვია. ჰყვებიან რომ, თავისი ძლიერი დინებისა და უგუნურობის მიუხედავად, შაჰრუხი საშიში არაა. ისფიდრუხი, სიმშვიდისა და სიჩუმის მიუხედავად, დამღუპველია. ორივე მთების შუაგულში მიედინება. ჯილანამდე<sup>59</sup> ერთი დღის სავალ გზაზე ისინი ერთმანეთს ერწყმიან და დიდ მდინარეს ქმნიან, რომელიც ჯილანში შედის. მასზეა მის (მცხოვრებთა) სმა და ხვნათესვა დამოკიდებული. მისგან მრავალი შენაკადი გამოიყოფა. რაც ჯილანს არ ესაჭიროება, ხაზართა ზღვას უერთდება.

მ დ ი ნ ა რ ე ა ლ - ქ უ რ რ ი <sup>60</sup>. მდინარე არმინიდასა და არ-რანს შორის, რომელსაც სათავე ჯურზანის ქვეყანაში<sup>61</sup> აქვს. შემდეგ ალ-ლანთა მხარიდან აბხაზთა ქვეყანას<sup>62</sup> ჩაუვლის. მერე ქალაქ თიქლონის ჩაუვლის, რომელსაც შუაზე ჰყოფს, შემდეგ – ჯანზასა და შამქურს<sup>63</sup>, და ბარზა-ას კარიბჭესთან მიედინება. შემდეგ არ-რასს ერთვის. არ-რასსი მასზე პატარაა. ბარზა'ადან სამ ფარსახზე (დაშორებით)<sup>64</sup> ხაზართა ზღვას უერთდება იმ ადგილას, სადაც აშ-შურმაჰია<sup>65</sup>, რომელიც დამარილებული ქვეყნებში გააქვთ. იგი თევზის ერთ-ერთი ჯიშია. (თევზების ორ ჯიშს) ად-დარაკინსა<sup>66</sup> და ალ-უმბს<sup>67</sup> უწოდებენ. ორივე ეს თევზი ამ მხარეში ყველა ჯიშის თევზს ჯობია. ჰყვებიან, რომ ალ-ქურრი მშვიდობიანი მდინარეა. მასში ჩავარდნილი ცხოველთა უმეტესობა უვნებელი რჩება. ერთ-ერთმა ნაკჯუვანელმა ფაკიჰმა მომიყვა. იგი ამბობდა: ალ-ქურრში ჩვენ ვნახეთ დამხრჩვალნი, რომელსაც წყალი მიათრევდა. ხალხი მის დასაჭერად გაეშურა და დაეწია. სიცოცხლის ნიშანი მას კიდევ შერჩენოდა. მშრალზე გამოიტანეს, მოსულიერდა და იკითხა: ეს რა ადგილია? უთხრეს: ნაკჯუვანია. მან თქვა: წყალში მე ამა და ამ ადგილას ჩავვარდი. მასსა და ნაკჯუვანს შორის ხუთი თუ ექვსი დღის სავალია. შემდეგ საჭმელი მოითხოვა. საჭმლის მოსატანად წავიდნენ და (ამ დროს) კედელი, რომლის ქვეშ იგი იჯდა, თავს დაენგრა და მოკვდა. ხალხი მდინარის კეთილშობილებითა და კედლის უსამართლობით გაოცებული იყო<sup>68</sup>.

184

25

აზარბაჯანის წყარო <sup>69</sup>. „თუჰჰათ ალ-ღარა'იზში“ (ავტორი) ამბობს: აზარბაჯანშია წყარო, საიდანაც წყალი გამოდის და იგი ქვად იქცევა. ხალხი აგურის ყალიბს იღებს, ამ წყლით ავსებს, იგი ადვილად გადააქვთ და წყალი ყალიბში ქვასავით აგურად იქცევა.

ზარზვან დის წყარო <sup>70</sup>. არმინიაშია აყროლებული ტბის ახლოს<sup>71</sup>. იგი სავსებით კეთილშობილია. საქმე ისაა, რომ ადამიანი ან ცხოველი, რომელსაც ჭრილობები აქვს და მასში ჩაიყურყუმაღავებს, მალე მათ მოშუშებულსა და თავის წყლულებს შეხორცებულს ნახავს. თუნდაც, რომ მათ ქვემოთ დასუსტებული ძვლები, დაფარული შუშის ნამტკრევები და ღრმად ჩაფლული ხიწვები იყოს, ღრმულები იღება დი იქიდან ბალღამი და (ყოველგვარი) სხვა (სიბინძურე) გამოიყოფა. ადამიანი იკურნება და მათი უბედურებისაგან დაცულია. ესაა ცნობილი გამოცდილი რამ. მისკენ ხალხი მხარეებიდან მიილტვის.

შ ი რ ქ ი რ ა ნ ი ს წ ყ ა რ ო <sup>72</sup>. შირქირანი ალ-მარაღას ერთ-ერთი სოფელია, მისგან ორი დღის გადასასვლელზე. იქ ორი წყაროა. მათგან წყალი უხვად გადმოდის. მათ შორის ერთი წყრთაა. ერთი წყაროს წყალი უკიდურესად ცივია, მეორესი – უკიდურესად ცხელი. მათ შესახებ ალ-ფაკიჰ ჰასან ალ-მარაღიმ<sup>73</sup> მაცნობა. ალლაჰიმც ეხმარება მას.

ა ლ - ჭ უ რ ა თ ი ს წ ყ ა რ ო <sup>74</sup>. არხან არ-რუმთანაა ახლოს. ვინც გახაფხულზე მისი წყლით იბანავებს, იმ წელს ავადმყოფობებისგან დაცულია.

კ უ ტ უ რ ი ს წ ყ ა რ ო <sup>75</sup>. კუტური ციხე-სიმაგრეა აზარბაიჯანში. აშ-შარიფ მუჰამმად იბნ ზნ ალ-ფაკარიმ<sup>76</sup> მომიყვა, რომ მის ახლოს მრავალი ძალიან ცხელი აბანოა. მათკენ სამკურნალოდ (სხვადასხვა) მხარეებიდან ავადმყოფები მიემართებიან.

ქ ა ნ ქ ა ლ ა ს წ ყ ა რ ო <sup>77</sup>, აზარბაიჯანშია, ქალაქ ხუვადასთან. აშ-შარიფ იბნ ზნ ალ-ფაკარიმ მომიყვა, რომ იგია წყარო, საიდანაც ძალიან ბევრი წყალი გამოდის, ზაფხულში ცივი, ზამთარში ცხელი.

ვ ა შ ლ ა ს წ ყ ა რ ო <sup>78</sup> ხუვადას ერთ-ერთი სოფელია აზარბაიჯანში. იქ არის წყარო. ვინც მის წყალს შესვამს, იმწამსვე, რაც მუცელშია, ყველაფერს ანელებს. თუნდაც რომ რაიმე მარცვალის ჰქონდეს გადაყლაპული, თუ ეს წყალი დააყოლა, მაშინვე გამოვა.

ე ს ს ს ნ ო ჯ ი მ ა ნ ი ს წ ყ ა რ ო <sup>79</sup>. არხან არ-რუმსა და ხილატს შორის ადგილია, რომელსაც დასსი ჯიმანს უწოდებენ. იქ არის წყარო, საიდანაც წყალი უხვად გამოდის. მისი ხმა შორიდან ისმის. თუ მას ცხოველი მიუახლოვდა, იმწამსვე კვდება. მის ირგვლივ, რამდენიც

ალლაჰმა ისურვა, მკვდარ ფრინველებსა და ნადირებს პოულობენ. იქ (მცველია) დანიშნული, რომელიც უცხოელს მასთან მიახლოვებას უკრძალავს.

ბ ე ჯ ა ნ ი ს ჭ ა <sup>80</sup>. დარბანდის ახლოსაა, ცნობილია. ეს ის ჭაა, რომელშიც აფრასიდაბმა ბორკილებდადებული ბიჯან იბნ ქურზადი დაატყვევა და ჭას დიდი ქვა დაადო. მაშინ მისკენ მალულად რუსთამ ძლიერი გაეშურა, (ტყვე) მოიტაცა და იგი ირანის ქვეყანაში ჩაიყვანა. ამის შესახებ ცნობილი გრძელი ამბავი არსებობს<sup>81</sup>. 198

ჯ ა ნ ბ ა დ ა კ ი ს ჭ ა <sup>82</sup>. ჯანბადაკი სოფელია მარაღას ოლქში. მასსა და დავინის ციხე-სიმაგრეს<sup>83</sup> შორის ფარსახზე ნაკლებია. იქ არის საოცარი ჭა, საიდანაც მრავალი მტრედი ამოდის. ჭაზე ბადეა გადებული, რომელშიც მტრედები ცვივა, რამდენსაც ალლაჰი ისურვებს. ეს ის ჭაა, რომელსაც ფსევრი არა ქავს. მარაღას ერთ-ერთმა ფაკიჰმა მომიყვა, რომ მათ ერთი კაცი ჩაგზავნეს მტრედების მდგომარეობის გასაგებად. იგი ხუთას წყრთაზე<sup>84</sup> ჩავიდა, შემდეგ ამოვიდა და მოყვა, რომ მან იქ ვერავითარი მტრედი ვერ იხილა, მძიმე ჰაერი იგრძნო და ქვემოთ შუქი და მკვდარი ცხოველების მრავალი ნაშთი დაინახა<sup>85</sup>. 198

ქართული თარგმანი წიგნიდან  
„სწარ ალ-ბილად ვა ახბზრ ალ-‘იბნად“

II

189

აზერბაიჯანი<sup>1</sup>. ვრცელი მხარეა კუპისთანსა<sup>2</sup> და არ-რანს შორის. იქ მრავალი ქალაქი, სოფელი, მთა და მდინარეა. იქ არის საბალანის მთა<sup>3</sup>. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ამბობს, რომ ეს მთა აზარბაიჯანშია, ქალაქ არდაბილის ახლოს, ყველაზე მაღალი მსოფლიოს მთათა შორის. მომდინარეობს თხრობა ალლაჰის მოციქულისაგან, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, რომ იგი ამბობდა: ის, ვინც წაიკითხა: „დიდება კი ალლაჰს, როცა გილამდებათ და როცა გითენდებათ!“ მისი სიტყვაა: „თქვენ გამოხვალთ!“ ალლაჰი გაიღებს მისთვის წყალობას ყოველი (მის მიერ წაკითხული ყურანის) გვერდისათვის<sup>4</sup>. საბალანის მთაზე თოვს ხოლმე. ჰკითხეს: ო ალლაჰის მოციქულო, რაა საბალანი? მან თქვა: მთაა აზარბაიჯანსა და არმინიდას შორის. მასზე სამოთხის ერთ-ერთი წყარო და მოციქულთა ერთ-ერთი საფლავია. იგი აგრეთვე ამბობდა: მთის მწვერვალზე დიდი წყაროა. მისი წყალი ძლიერი სიცივის გამო გაყინულია. მთის ირგვლივ ცხელი წყაროებია. მათკენ ავადმყოფები მიემართებიან. მთის ფერდობზე მრავალი ხეა. მათ შორის ბალახია, რომელსაც ვერცერთი ცხოველი ვერ ეკარება. თუ რომელიმე მათგანი მიეკარა, გარბის, და თუ შეჭამა, კვდება. მთის ძირას სოფელია. მის ყადის აბუ ალ-ფარაჯ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-არდაბილის<sup>5</sup> შევხვდი და მან თქვა: მას მხოლოდ სულეები იცავენ. მან აგრეთვე მოიგონა, რომ მათ სოფელში მეჩეთი ააგეს და მისგითისათვის სამირკვლის ბოძები დაჭირდათ. გაუთენდათ და მეჩეთის კართან საუკეთესო გამოთლილი ქვის სამირკვლები იყო. არის არ-რასის მდინარე<sup>6</sup>. იგი დიდი მდინარეა, ძლიერი დინებით. მის ფსკერზე დიდი ქვებია. მასში გემები არ დაცურავენ. მას საშინელი ციცაბო ნაპირები და ლოდები აქვს. იგონებენ, რომ ვინც მდინარე არ-რასსზე ფეხით გადასულა, თუ თავის ფეხს ქალის ზურგს გაუხახუნებს, რომელ-

28

საც მშობიარობა უძნელდება, შობს. ყაზვინში<sup>7</sup> ერთი მოხუცი თურქმენი კაცი იყო, სახელად ალ-ხალილი, რომელმაც ასე გააკეთა, და წარმატება ჰქონდა. დადსამ იბნ იბრაჰიმი<sup>8</sup>, აზარბაიჯანის ბატონი, ჰყვებოდა: იგი ამბობდა: ჩემს ლაშქართან ერთად არ-რასის ხიდზე გადავდიოდი და, როცა ხიდის შუა ადგილზე მივედი, ქალი დავინახე, რომელსაც სახვევებში გახვეული ბავშვი მიჰყავდა. მზიდავმა ჯორმა მას წიხლი ჰკრა, და (ქალს) ბავშვი წყალში გადაუვარდა. წყალში იგი დიდი ხნის შემდეგ ჩავარდა იმის გამო, რომ ხიდსა და წყლის ზედაპირს შორის დიდი მანძილია. მერე (ბავშვი) ჩაიძირა, ცოტა ხნის შემდეგ ამოტივტივდა, მიჰქონდა და ესხმებოდა რა მას წყალი. (ბავშვი) მდინარის ქვებს გადაურჩა. მდინარის ციცაბო ნაპირზე არწივებს ბუდეები ჰქონდათ. როცა ბავშვი ამოტივტივდა, იგი არწივმა შეამჩნია, დაიჭირა და კლანჭები მის სახვევებში დაებლანდა. (არწივმა) იგი კლდეზე გაიყვანა. ერთ-ერთ ჯგუფს მე ვუბრძანე, რომ არწივს დადევენოდნენ. მეც გავემართე. და როცა არწივი მიწაზე დაეშვა და სახვევების დაგლეჯას



შეუდგა, მას ხალხი წამოეწია და დაუყიჟინა. (არწივი) გაფრინდა, ხოლო (ბავშვი) დატოვა. ჩვენ მასთან მივედით და აი იგი, უვნებელი, ტირის. ბავშვი დედას დავუბრუნეთ. აგრეთვე იქ, მარანდის. ახლოსაა მდინარე ზაქვირი<sup>9</sup>, რომელსაც ცხენოსანი ვერ გადალახავს. როცა (მდინარე) მარანდის<sup>10</sup> უახლოვდება, უკვალოდ იკარგება და ოთხ ფარსახზე მიწის ქვეშ მიედინება. შემდეგ მიწის ზედაპირზე გამოდის. ამის შესახებ აშ-შარიფ მუჰამმად იბნ ზინ ალ-ფაკარ ალ-ალავი ალ-მარანდის<sup>11</sup> აქვს მოთხრობილი. იქ (კიდევ ერთი) მდინარეა. მუჰამმად იბნ ზაქარია არ-რაზი<sup>12</sup> ჰყვებოდა ალ-ჯაიჰანის „ალ-მასალიქ ალ-მამრიკინდას“ ავტორის (ნათქვამს)<sup>13</sup>, რომ აზარბაიჯანშია მდინარე, რომლის წყალი მიედინება და ქვავდება და ფართო ქვებად გარდაიქნება. „თუჰჰათ ალ-ღარა'იზის“ ავტორი<sup>14</sup> ამბობს. აზარბაიჯანშია

მდინარე, რომლის წყალი დიდ და პატარა, მაგარ და გლეჯ ქვებად სქელდება. იქაა აგრეთვე წყარო. „თუჰჰათ ალ-ღარა'იზის“ ავტორი ამბობს: აზარბაიჯანშია წყარო, საიდანაც წყალი გამოდის და ქვებად სქელდება. ხალხი ამ წყლით აგურის ყალიბს ავსებს. შემდეგ მას ცოტა ხნით ტოვებს და წყალი ყალიბში ქვასავით მაგარ აგურად იქცევა<sup>15</sup>.

190

არ და ა ბ ო ლ ი <sup>16</sup>. ქალაქია აზარბაიჯანში, გამაგრებული, კარგი ნიადაგით, სასმელი წყლით, რბილი ჰავით, გარეგნულადაც და ბუნებითაც, მრავალი მდინარით. ამასთან ერთად იქ არავითარი ნაყოფიანი ხე არაა. ქალაქი ფართო ღია ადგილზე მდებარეობს. ამ ღია ადგილს მთლიანად გარს მთები არტყია. მათსა და ქალაქს შორის ყველა

193

29

მხრიდან ერთი დღის სავალია. მის საკვირველებათაგან ის არის რომ თუ ამ თუ იმ ადგილზე ხე დაირგა, არ გაიხარებს. ეს არის იმ საიდუმლოების გამო, რომელიც უცნობია. (ქალაქი) ფაღრუზ მეფემ<sup>17</sup> ააშენა. მდებარეობს ზღვიდან ორი დღის (სავალ გზაზე). მათ შორის ძნელი გასასვლელია ძალიან დიდი უღრანი ტყით. აქ ხე-ტყეს ჭრიან, რომლისგან ლანგარებს, დიდ ჯამებსა და ფინჯანებს (ამზადებენ) მათ დასამზადებლად ქალაქში ბევრი ხელოსანია<sup>18</sup>. საკვირველებათაგან რომელნიც აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსიმ მოიგონა. იგი ამბობს: ქალაქგარეთ მოედანზე თითქოსდა რკინისაგან დამზადებული 200 რატლზე<sup>19</sup> დიდი ლოდი ვნახე. როდესაც ქალაქის მცხოვრებლებს წვიმა დაჭირდებათ, ამ ქვას დროგზე დებენ, ქალაქში გადააქვთ და წვიმაც მანამ მოდის, სანამ ქვა (ქალაქშია). როცა მას გამოიტანენ, წვიმა წყდება. ყველა ქალაქისაგან განსხვავებით იქ ძალიან ბევრი თაგვია, და იქაა კატების დიდება! მას სავაჭრო: ბაზარი აქვს, სადაც (მუშტრებს) ხმამაღლა (კატების საყიდლად) მოუწოდებენ. ეს კატები მონადირენი არიან, გაწვრთვნილნი, არ გარბიან და არ ქურდობენ. (ქალაქში) ვაჭრები, ჩარჩები და დალალები არიან. იქ (კატების) მომთვინიერებელნი და მწვრთნელებიც არიან. ცნობილი ჰაქიმი სინდი იბნ შაჰიქი<sup>20</sup> ამბობს: არ შევუწუხებივარ მდაბიოთ ისე, როგორც ამ კატების პატრონებმა შემაწუხეს, რომლებიც კატას იყენებენ რომელიც შინაურ ფრინველსა და მტრედებს ჭამს და გვირტების, კაკებისა და გარეული მტრედების გალიას ანგოევს. მას დიდ ქოთანში ათავსებენ, თავს უკრავენ, შემდეგ მიწაზე დაუშვებენ,

ეგების (კატა) შემომვლელმა აილოს, მას გალიაში შინაურ ფრინველ-თან ერთად ათავსებენ და შემომვლელს შინაური ფრინველისაგან ათავისუფლებინებენ. და როცა მას გაოცებული მყიდველი დაინახავს, გაიფიქრებს, რომ მან საწადელს მიაღწია, იყიდის რა მას დიდ ფასად, და რომ, როცა მას სახლში მიიყვანს, მის ეზოს ეშმაკი, რომელიც მისი და მისი მეზობლის ყველა ფრინველს ჭამს, თავს დაანებებს და სახლში არ დარჩება არაფერი ის, რაც ქურდობას ჩადის, აფუჭებს და ამტვრევს, და იგი მღელვარებათაგან განთავისუფლდება. არდაბილის მცხოვრებლები ღორმუცელებად არიან ცნობილი. ვიღაც ვაჭარი ჰყვებოდა.

194 იგი ამბობდა: იქ მე ცხენოსანი ვნახე. მის წინ დოლები და ბუკები იყო. ვიკითხე მის შესახებ და მითხრეს, რომ იგი ცხრა რატლი ბრინჯისა<sup>21</sup> და ძროხის თავის შექმნაზე დანიძლავდა. მან (ასეც) გააკეთა. არდაბილის რატლი 1040 დირჰამია. დამზადების შემდეგ მათი ბრინჯი სამმაგი ხდება, და იგი დამლია<sup>22</sup>.

30

ურმინა<sup>23</sup>. გამაგრებული ადგილია აზარბაიჯანში, მრავალი ნაყოფით, ბევრი სიკეთით. მის ახლოსაა ტბა, რომელსაც ურმიდს ტბას უწოდებენ. ეს ტბა უსიამოვნო სუნისაა. მასში თევზი არაა. ტბის შუაში კუნძულია. მასზეა სოფლები, მთები და ძლიერი ციხე-სიმაგრე, რომლის ირგვლივაც სანახები, სადაც სახნავ-სათესი მიწებია. კუნძულის წრეხაზი 50 ფარსახია<sup>24</sup>. იქიდან თუთიის მსგავსი მარილი ამოაქვთ. (ტბის) აღმოსავლეთ ნაპირზეა წყაროები, საიდანაც წყალი გამოდის. როცა მას ჰაერი ეწევა, გარეთ გამოდის. მის საკვირველებათაგან, რომელთაც „თუჰჰათ ალ-ღარა'იზის“ ავტორი იგონებს, ის არის, რომ ურმიდის ტბის ჭაობებშია თევზი, რომლის ქონისაგან და ცვილისაგან სანთელს ღებულობენ. იგი თავისუფალი გემის კიდეზე იდება. წყალში სვლისას იგი ცარიელია. ამ სანთლების სინათლეზე თევზები მიდიან და გემში მანამ ცვივიან, სანამ

194

გემი თევზებით არ აივსება. გემი ღრმაა, ასე, რომ იქიდან თევზებიც კი ვერ ცვივიან.

195

თიბრიზი<sup>25</sup>. გამაგრებული ქალაქია, მყარი კედლებით. იგი ახლა აზარბაიჯანის მთავარი ქალაქია. იქ ბევრი მდინარე და ბაღია, რომელნიც მას გარს ეკვრიან, ვარსკვლავთმრიცხველები ჰყვებიან, რომ მას თურქებმა ვერ მიაყენეს ზიანი, ვინაიდან მისი ჰოროსკოპი მორიელია, პატრონი კი – მარსი. საქმე დღემდე ისეა, როგორც უთქვამთ: თურქებს თიბრიზს გარდა არ გადაურჩა აზარბაიჯანის (არც ერთი) ქალაქი<sup>26</sup>. იგი დასახლებული ქალაქია, მრავალი სიკეთით, სიმდიდრითა და ხელოსნობით. მის ახლოს მრავალი საოცრად სასარგებლო აბანოა. მათკენ ავადმყოფები და ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილნი, რომელნიც სარგებლობას პოულობენ, მიემართებიან. იქიდან ქვეყნებში მდიდარი აბრეშუმის ტანსაცმელი, ოქრო-ქსოვილი აბრეშუმში, ატლასი, ქსოვილი და მონეტები გააქვთ. აზერბაიჯანის უმეტესი ქალაქების მონეტები სპილენძისაა, მოჭრილი ფალსებად და სწორ, მსუბუქ და ბრწყინვალე ფულის ერთეულებად. როცა მათით ვაჭრობას მოისურვებენ ხოლმე, (დირსეულ) საქონელს ყიდულობენ. მათით მცირე ნივთის აღება სასარგებლო არაა. წარმოშობით მასთანაა დაკავშირებული

227

ლი აბუ ზაქარია<sup>27</sup> ათ-თიბრიზი<sup>27</sup>, რომელიც მრავალი ნაწარმოების შესანიშნავი ავტორი იყო. როდესაც ნიზამ ალ-მულქმა<sup>28</sup> ბაღდადში მედრესე „ან-ნიზამიდა“<sup>29</sup> ააშენა, წიგნთსაცავის მცველად აბუ ზაქარია დანიშნეს. როცა ნიზამ ალ-მულქი ბაღდადს ჩავიდა, იგი მედრესეს ეწვია დასათვალიერებლად. მას ყველა ქვეყნის დიდებულები და წარჩინებულები ემსახურებოდნენ. (ნიზამ ალ-მულქი) მედრესეს დიდ საკრებულო ადგილას დაჯდა, პოეტები კი ფეხზე იდგნენ,

თხზავდნენ რა ხოტბებსა და მომწოდებელნი ლოცავდნენ რა მას. მაშინ ერთ-ერთი კაცი წამოდგა, ნიზამ ალ-მულქს მიმართა და უთხრა ეს ძალიან კარგია. შენი ხელით დასრულდა ის, რითაც შენ ვერავინ გაგისწრებს. მასში ყველაფერი მშვენიერია, გარდა ერთი რამისა. ეს ისაა, რომ ზაქარია ათ-თიბრიზია წიგნთსაცავის მცველად. ესაა კაცი, რომლის შვილი ბავშვებს თავისკენ უბმობს ხოლმე. მაშინ აბუ ზაქარია

228 ამ დიდ საკრებულო ადგილზე ღრმად დაიხარა. როდესაც ნიზამ ალ-მულქი წამოდგა, მედრესეს მზრუნველს ჰკითხა: როგორი ხელფასი აქვს აბუ ზაქარიას? უპასუხა: ათი დინარი აქვს<sup>30</sup>. თქვა: გაუხადე მას ხელფასი თხუთმეტი დინარი. თუ ასეა, როგორც ითქვა, მისთვის ათი დინარი არაა საკმარისი. მაშინ აბუ ზაქარია ამ უსამართლობის გამო მორცხვად დაიხარა და ამ მონანიებამ მას ყველა ცოდვა მიუტევა. იმ დღიდან ყოველი შეკრება და თავყრილობა (მხოლოდ) მოკრძალებითა და რიღით ტარდება.

261 ს ა ლ ა მ ა ს ი <sup>31</sup>. ქალაქია აზარბაიჯანში თიბრიხსა და ურმიძას შორის. იქ არის წყალი. ვინც განიბანს, კეთრისაგან განიკურნება. გამიგონია, რომ კეთრით დაავადებული მოსულელი იქ გაემგზავრა და ჯანსაღი, სუფთა სხეულით დაბრუნდა.

267 შ ი ზ ი <sup>32</sup>. ქალაქია აზარბაიჯანში, მარაღასა და ზანჯანს<sup>33</sup> შორის. მის'არ იზნ მუჰალჰილი<sup>34</sup> ამბობს: იქ ოქროს, ვერცხლის, ვერცხლის წყლის, ყვითელი დარიშხანისა და ტყვიის საბადოა. მას კედელი აქვს შემოვლებული. მის შუაში კი უძირო ტბაა. მე მასში 1400 წყრთის<sup>35</sup> (სიგრძის) ღუზა ჩავუშვი და ათას (ნაწილად) დაიმსხვრა, ვერ ჩააღწია რა (ფსკერს). მისი ფართობი დაახლოებით ჰაშიმური ჯარიბია<sup>36</sup>. როცა მისი წყლით ნიადაგს რწყავენ, იგი იმწამსვე მაგარ ქვად იქცევა ხოლმე. იქ არის ცეცხლის ტაძარი, რომელთანაც მოგვებს მჭიდრო კავშირი აქვთ. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მისგან ცეცხლთაყვანისმცემელთა ცეცხლი ინთება. (ტაძრის) გუმბათის თავზე ვერცხლის ნახევარმთვარეა. ამბობენ იგი თილისმაა. მისი მოხსნა მრავალ დამპყრობელს სურდა, მაგრამ უძლური ყოფილან. ამ ტაძრის საკვირველებათაგან ის არის, რომ (ამ ცეცხლს) შვიდასი წელიწადია აჩალებენ და იქ ნაცარი სრულიად არ უნახავთ და მისი საწვავი მასალა არასოდეს შეწყვეტილა. ამ ქალაქის საკვირველებათაგანაა ის, რომ როცა მას მტერი მიადაგა, მან მის პირდაპირ მანჯანიკი დადგა. ლოდსატყორცნის ქვები კედლის გარეთ ეცემოდა და მას ვერ აღწევდა, ერთი წყრთის მანძილიდანაც რომ ესროლათ. მის არის, რომელიც მოგზაური კაცი იყო, ქვეყნები შემოიარა, მათი საოცრებანი მოინახულა, და ამ ქვეყნების

მული, ამბობს. გარდა მის'არისა სხვებიც ჰყვებიან, რომ შიზშია აზარახმის ცეცხლი. ესაა მოგვთა დიდი ცეცხლი. მათმა მეფემ იგი ფეხით მოინახულა. წარმოშობით იქიდანაა ცეცხლთაყვანისმცემელთა წინასწარმეტყველი ზარადუშითი. ამბობენ, რომ იგი საბალანის მთაზე წავიდა, გამოეყო რა ხალხს. მას სახელად ბასითამ სპარსულად (დაწერილი) ბარათი მიუტანა, მისი შინაარსი უკომენტატოროდ ვერ გაიგო და ქუშთასტ იბნ ლაჰრასაჰ იბნ ქაბუსრუს, სპარსთა მეფის, ეპოქაში<sup>37</sup> წინასწარმეტყველების მოხმობა იწყო. მასთან მისვლა მოისურვა, (მაგრამ) ვერ შეძლო. ქუშთასფი თავის აივანზე იჯდა, აივნის სახურავი გაიყო და ზარადუშითი ჩამოვიდა. ხალხი, რომელიც მეფესთან იყო, ვერ გაერკვა, გაიქვა და (ზოგს) მის გამო გული წაუვიდა. მეფე კი თავის ადგილიდან არ განძრეულა და ჰკითხა: შენ ვინ ხარ? უპასუხა: ზარადუშითი ვარ. თქვენთან მე ალლაჰის მოციქული ვარ. მაშინ მეფემ თქვა: ეს საოცრება, ე. ი. სახურავიდან ჩამოსვლა, ჩვენ ვნახეთ. მაგრამ ამით ვერ დაკმაყოფილდებით. არა, ჩვენ გვყავს სწავლულები და ბრძენები, რომელნიც დაგაკვირდებიან, და თუ შენს სიმართლეში დარწმუნდებიან, (მაშინ) შენს კვალს გავყვებით. ზარადუშითი დაკმაყოფილდა და მეფემ სწავლულებსა და ბრძენებს უბრძანა მისი სიტყვა მოესმინათ და მეფისათვის ეცნობებინათ. მათ მისი სიტყვა მოისმინეს და მეფეს უთხრეს: მისი სიტყვა ჩვენ მოვისმინეთ იგი სწორია და გარდა ერთისა არაფერი დარჩა. მან თავისი წინასწარმეტყველების სასწაულმოქმედება მოითხოვა და დაუმატეს: ჩვენ ვამჯობინეთ, რომ მისი სხეული ჩვენთვის სასურველი წამლით დავფაროთ, ცოტაოდენი გამდნარი სპილენძი ავიღოთ, ბორკილები დავადოთ და მას ეს გამდნარი სპილენძი გადავასხათ. თუ დაილუპება, მისი მდგომარეობა ჩვენთვის საკმარისი იქნება, და თუ ამას გადაურჩა, მაშინ მას აუცილებლად უნდა დავეყვით. ამით ზარადუშითი დაკმაყოფილდა. მეფემაც ეს აზრი ირჩია. (ზარადუშითი) გააშიშვლეს, ბორკილები დაადეს და გამდნარი სპილენძი გადაასხეს. გამდნარმა სპილენძმა დინება იწყო,

მის ყოველ თმას ჩაეჭიდა და ვერაფერი უყო. ამ დინების გამო არიან ცეცხლთაყვანისმცემლები დალოცვილები. მაშინ მათ თქვეს: არა დარჩა რა, გარდა მისი მოწოდების შესრულებისა, და ქუშთასფმა ბრძანა მთელ სამეფოში ცეცხლის ტამრები აეგოთ და ცეცხლი ყიბლისაკენ, არა ღვთაებისაკენ, იქნა დანთებული. ეს სარწმუნოება ალლაჰის მოციქულის გამოჩენამდე, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, რჩებოდა. ამბობენ ახლა მისი ნაშთი სიჯისთანის ქვეყანაშიაო<sup>38</sup>,

3. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ.

არ - რ ა ნ ი <sup>39</sup>, მხარეა აზარბაჯანს, არმინიასა და აზხაზთა ქვეყნებს შორის. იქ ბევრი ქალაქი და სოფელია. მისი მთავარი ქალაქია ჯანზა, შარვანი და ბაფლაკანი. იქ არის მდინარე ალ-ქურრი. ეს მდინარე არმინიასა და არ-რანს შორისაა. სათავე ხაზარანის ქვეყანაში<sup>40</sup> აქვს. შემდეგ ჩაივლის აზხაზთა ქვეყანას ალ-ლანთა მხარიდან. ჩაივლის

ქალაქ თიფლისს, ჰყოფს რა მას შუაზე, მერე – ჯანზას, შამქურსა და ბარზა‘ას კარიბჭესთან ჩაედინება. შემდეგ არ-რასს იერთებს. არ-რასსი მასზე პატარაა. ბარზა‘ადან სამი ფარსახის (მანძილზე) ადგილას ამ-შურამაჰჯისა, რომელიც ქვეყნებში დამარილებული გააქვთ, ხა-ზართა ზღვას უერთდება. იგი ამ ადგილისათვის დამახასიათებელი კარგი თევზის ჯიშია. ჰყვებიან, რომ ალ-ქურრი მშვიდი მდინარეა. მასში მოხვედრილი ცხოველების უმეტესობა მშვიდობით გადარჩება ხოლმე. ამაზე ჰყვებოდა ერთ-ერთი ნაკვჯუვანელი ფაკიჰი. იგი ამბობდა: ალ-ქურრში ჩვენ ვნახეთ დამხრჩვალნი, რომელიც წყალს მიჰქონდა. ხალხი სასწრაფოდ მის დასაჭერად გაემართა და დაეწია. მას სიცოცხლის ნაპერწკალი კიდევ შერჩენოდა. იგი ხმელეთზე გადაიტანეს, მოსულიერდა და დამშვიდდა. გვკითხა: ეს რა ადგილია? უთხრეს: ნაკვჯუვანია<sup>41</sup> მან თქვა: წყალში იმ ადგილას მე ამგვარად ჩავვარდი. მასსა და ნაკვჯუვანს შორის ხუთი თუ ექვსი დღის სავალი იყო. საჭმელი მოითხოვა. (ხალხი) საჭმლის მოსატანად წავიდა. კედელი კი, რომლის ძირში იგი იჯდა, ეშუქებოდა თავზე დანგრევით. ხალხი მდინარის გულკეთილობითა და კედლის ვერაგობით გაცოცხლებული იყო<sup>42</sup>.

331 არზანჯანი<sup>43</sup>. არმინიდის ერთ-ერთი ქალაქია, კარგად დასახლებული, მრავალი სიკეთით. მისი მცხოვრებლები მუსლიმები  
332 და ქრისტიანები არიან. იქ არის მთა. მასში გამოქვაბულია, რომლის ქერიდან წყალი ჩამოდის და ეს წყალი მაგარ და გლოვ ქვად იქცევა.

332 არზან არ-რჰმი<sup>44</sup>. არმინიდის ქალაქთაგან ცნობილი ქალაქია, ხილატის ახლოს, ძველი ნაგებობებით. მასსა და ხილატს შორისაა ადგილი, რომელსაც მასსი ჯიშანს უწოდებენ. იქ არის წყარო, საიდანაც ჩუხჩუხით უხვად წყალი გამოდის. მისი ხმა შორიდან ისმის. თუ მას ცხოველი მიუახლოედა, იმწამსვე კვდება. მის ირგვლივ, რამდენიც ალლაჰმა ისურვა, იმდენი, მკვდარი ცხოველია. იქ მცველები არიან დანიშნული, რომლებიც უცხოელს მასთან მიახლოვებას უკრძალავენ. იქ არის ალ-ფურათის წყარო. ის ცნობილი დალოცვილი წყაროა. იგონებენ, რომ ვინც გაზაფხულზე მისი წყლით განიბანს, იმ წლის დაავადებებისაგან დაცული იქნება.

332 ურმინა<sup>45</sup>. აზარბაჯანის ქალაქთაგან დიდი ქალაქია, მრავალი სიკეთით, უხვი შემოსავლით. მის ახლოსაა ტბა, ცნობილი ურმიდის

34

ტბის სახელით. ის არასასიამოვნო სუნისაა. მასში არც მცენარეულობაა და არც თევზები. მისი წრიული ხაზი 50 ფარსახს შეადგენს<sup>46</sup>. მისი საარსებო წყარო ამ ქვეყნის მთების ხეობებია. ტბის შუაში კუნძულია. ამ კუნძულზე გამაგრებული ციხე-სიმაგრეა. მის ირგვლივ, სოფლები, შემოგარენი და ყანებია. ამ ციხე-სიმაგრის პატრონი აზარბაჯანის მმართველების წინააღმდეგ უმეტეს ხანს აჯანყებული იყო, ვინაიდან შეუძლებელი იყო მისი დამორჩილება. ამ ტბიდან თუთიის მსგავსი გემრიელი მარილი ამოაქვთ. მის აღმოსავლეთ ნაპირზე, წყაროებია, რომლებიდანაც წყალი მოჩუხჩუხებს. როცა მას ჰაერი ეწევა, ქვავდება. (ამ წყაროებში) ცხოველია. მას „წყლის ძაღლს“ უწოდებენ<sup>47</sup>. წარმოშობით მასთან არის დაკავშირებული შეიხი აბუ აჰმადი, მეტსახელად თაჯ ად-დინ ალ-ურმავი<sup>48</sup>. იგი თავის დროზე უბადლო იყო პრინციპებით, ფიკში, სიბრძნეში, სიტყვიერებაში, მჭერმე-

ტყველი, კარგი მთხრობელი, ნაზი ბუნებისა და სიტყვამოსწრებული. მისი მრავალი შინაარსიანი კარგი ამბის, მოხდენილი ანდაზის, არაჩვეულებრივი შედარებისა და უცნაური ჰიპერბოლის საბაზით მასთან იკრიბებოდნენ ხოლმე. იგი ხშირად ამბობდა: თუ ხალიფა ალ-მუსთან-სირ ბილლაჰის<sup>49</sup> მრავალი წყალობით ამ ქვეყანას თათრები დაიცავენ, მაშინ უბედურებას ეს წყალობა ააცდენს. ეს თუ არა, ხვარახმშაჰის ჯარები დაიცავს, როგორც ალ-ირაკის ლაშქარი ელოდება. საქმე ისე მოხდა, როგორც ითქვა. როცა ალ-მუსთანსირი გარდავიდა და ეს წყალობა შესუსტდა, ისინი მოვიდნენ და გაიმარჯვეს. ჰყვებიან, რომ ერთ დღეს ეს შეიხი იბნ ალ-ვაზირ ალ-კუმმისთან<sup>50</sup> შევიდა. იბნ ალ-ვაზირი გამჭრიახი, გამოცდილი იყო, მან შეიხს უთხრა: მე ვხედავ შენ ქოსა მამლუქებს ფლობ. ეს კი არაა შეიხთა წესი. შეიხმა უპასუხა: არც შენს წინაშე ჩემი ჯდომაა შეიხთა წესი. მაგრამ ეს ამის გამოა: ამქვეყნიური ფუფუნებისადმი ჩემი სიყვარული რომ არა, მე შენს, წინაშე, არ დავჯდებოდი,

არ მ ი ნ ნ ა<sup>51</sup>. მხარეა აზარბაჯანსა და არ-რუმს შორის, მრავალი ქალაქით, ციხე-სიმაგრითა და სოფლით.

332

მის მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანები არიან. იქ არის მრავალი საკვირველება. მათი უმრავლესობა მის ქალაქებთან და სოფლებთან ერთად მოვიგონე. რომელთაც აქ დავუმატებთ, ეს არის ალ-ჰარისისა და ალ-ჰუვაირისის მთა. მათზე ასვლა არავის შეუძლია. ამბობენ, ისინი არმინიდის მეფეთა სასაფლაოა, მათი ქონება და განძი მათთან ერთადაა, ბალინას ბრძენმა მათ თილისმა გაუკეთა, რათა ისინი ხელთ არავის ეგდო იბნ ალ-ფაკიჰი ჰყვება, რომ არმინიდაში მდინარე, არ-რასსზე ათასი მადინა იყო და მათ ალლაჰმა მალაღმა მოციქული,

333

35

სახელად მუსა, იგი არაა მუსა იბნ იმრანი, გაუგზავნა. მან მათ ალლაჰი მალალისაკენ მოუწოდა. მათ კი მას სიცრუეში ბრალი დადეს და მის ბრძანებას ყური არ ათხოვეს. მაშინ მან მოუწოდა და ალლაჰმა მალაღმა ალ-ჰარისი და ალ-ჰუვაირისი ადგილიდან დაძრა და ორივენი მათ წინააღმდეგ გაგზავნა. ამბობენ, რომ არ-რასსის მცხოვრებნი ამ ორი მთის ძირში არიან. იქ არის აგრეთვე ტბა. მის 'არ იბნ მუჰალ-ჰილი ამბობს: ეს ტბა ნაკლებად სარგებლიანი, აყროლებულია. მასთან გამაგრებული ციხე-სიმაგრეებია. ამ ტბის ნაპირზე ადგილამდე, რომელსაც „ვადი ალ-ქურდს“<sup>52</sup> უწოდებენ, საკვირველი ქვებია. იქ აგრეთვე (ადგილას), რომელიც სალამასს ეკვრის, ცხელი წყლის წყაროა. მას ზარავანდის წყაროს უწოდებენ. ეს ცხელი წყლის წყარო დიდებული, ვეებერთელა ზომისაა და ძალიან სასარგებლოა. იმიტომ, რომ თუ ქრილობიანი და წყლულიანი ადამიანი ან ცხოველი მასში მოხვდება, განიკურნება და (ქრილობები) ხორცდება. და თუ მასში დასუსტებული საცოდავი ძვლები და დაფარული წვივის ძვლები მოხვდება, ღრუბელები იღება, ყოველგვარი ჭუჭყი იწმინდება და (ქრილობები) ხორცდება. მის არ იბნ მუჰალ-ჰილი ამბობს: მე კაცს ვიცნობდი, რომელიც იქ წავიყვანე. მისი ავადმყოფობა ფუფხი იყო, სურავანდი, ჭვალი, მკრეჭელი სირსველი, ტკივილი წვივში და სახსრებში მოდუნება. მას აგრეთვე სხეულში შეზრდილი ისარი ჰქონდა. ჩვენ ყველას გვემინოდა წუთი-წუთზე მისი სიკვდილისა. მან იქ სამ (დღეს) დაჰყო, ისარი გვერ-

დიდან გამოუვიდა და ავადმყოფობის ნაშთებისაგანაც განიკურნა. იგი (აგრეთვე) ამბობს: ამ ცხელი წყლის წყაროს კეთილი თვისება ისიც არის, რომ თუ ადამიანმა მისი წყალი შესვა, დაცულია დიფთერიისაგან და მელანქოლიას იოლად ასუსტებს. „თუჰდრათ ალ-ღარა“ იბის“ ავტორი ჰყვება, რომ არმინიძის ქვეყანაშია ცეცხლის სახლი, რომელსაც კირის სახურავი და სპილენძის წყალსადენი აქვს. წყალსადენს ქვემოთაა მარმალის დიდი აუზი. ამ სახლში მესაზღვრეები არიან. როცა ამ მხარეში წვიმები შემცირდება ხოლმე, ისინი ცეცხლს დაანთებენ და ამ სახლის სახურავს ბინძური წყლით გარეცხავენ, ვიდრე იგი წყალსადენით აუზში არ მოხვდება. შემდეგ ამ ჭუჭყიანი წყლით სახლს მათასხურებენ ხოლმე. ამასთან ერთად ცა ღრუბლებით იფარება და მანამ წვიმს, სანამ სახურავი, წყალსადენი და აუზი არ გაირეცხება. და (აუზიც) სუფთა წყლით ივსება.

337

ა ჭ ლ ლ ლ ლ ი ღ ა<sup>53</sup>. დიდი ქალაქია არმინიძის მხარეში. მცხოვრებლები ქრისტიანები არიან. მის თვისებებზეა თაგან ის არის, რომ მის მცხოვრებლებში სპილოს დაავადება ვრცელდება სწრაფად, რადგან მათი საჭმლის უმეტესი ნაწილი კომბოსტოა, და მათში ჯირკვლები ბუნებრივია. მათ (ჩვეულებად) სტუმრის მომსახურება, სტუ-

36

მართმოყვარეობა და ბერებისადმი კეთილი მორჩილება აქვთ. ბერები კი მათ აბრუებენ. ამბობენ, როცა რომელიმე მათგანი ავად გახდება, ბერს მოაყვანიან და ქონებას გადასცემს, რათა თავისთვის მონაწილეობა ითხოვოს. მღვდელი მოვა, სამოსელს გადააფარებს და ავადმყოფი ჩადენილ ცოდვებს აღიარებს. მღვდელი კი შეერთებული ხელებით ზის. როცა ცოდვილი (აღსარებას) დაამთავრებს, (მღვდელი) სამოსელში ხელებს დაიბერტყავს, ვიდრე (ავადმყოფი) თავისი ცოდვებისაგან მთლიანად არ განთავისუფლდება. როცა მორჩება, მღვდელი სამოსელის კალთას აიკრეფს, გარეთ გავა და (კალთას) გადაიბერტყავს. ისინი კი ფიქრობენ, რომ მოწყალების (გაღებითა) და მღვდლის ლოცვით ცოდვებისაგან განიკურნენ. ჰყვებიან აგრეთვე, რომ მათთან (ერთი) მადლია: თუ მამაკაცი ქალიშვილს ირთავს, სურვილს გამოთქვამს, რომ ნამუსის ახდისას (თან) ბერი იყოს, რათა შეუღლის დალოცვა ბერის ლოცვა-კურთხევით მოხდეს.

ბ ზ ბ ა ლ - ა ბ ვ ზ ბ ბ<sup>54</sup>. საკვირველი ქალაქია ხაზართა ზღვაზე, კლდით ნაგები, წაგრძელებული. მის კედელს ზღვის წყალი აღწევს მისი სიგრძე 2/3 ფარსახია<sup>55</sup>, სიგანე კი – ისრის გაფრენის მანძილისა. მას რკინის კარები და მრავალი ბურჯი აქვს ყოველ ბურჯზე მესაზღვრეთათვის და რელიგიური მეცნიერებებით დაკავებულთათვის დასაჯდომი ადგილია. კედელზე მცველები არიან, რომელნიც მტრისაგან იცავენ თავს. იგი ხოსრო ანუშირვანმა კეთილმა ააგო. იგი ერთ-ერთი დიდი პუნქტია, რადგანაც მრავალრიცხოვანია მტერი, რომელიც სხვადასხვა ჯურის ხალხთაგან მას გარს არტყია. ქალაქის გვერდით უგუნური მთაა, ცნობილი „აზ-ზანბის“ სახელით<sup>56</sup>. მის მწვერვალზე ყოველ წელს ცეცხლის გასაჩაღებლად მრავალ შემას აგროვებენ, თუ მტრის მოსვლის შესახებ არ-რანის, აზარბაიჯანისა და არმინიის მცხოვრებთა გაფრთხილება დასჭირდებათ ხოლმე. ხოსროელები ამ ადგილისადმი მისი დიდი მნიშვნელობისა და

340

საშიშროების გამო დიდ ზრუნვას იჩენდნენ. აბუ ალ-აბბას ატ-ტუსი<sup>57</sup> ჰყვება, რომ ხაზარებმა

სპარსთა მეფის (საზღვარი), ვიდრე ჰამადანსა და მოსულამდე, გადალახეს. როცა ხოსრო ანუშირვანი გამეფდა, ხაზართა მეფესთან (ელჩობა) გაგზავნა ქალიშვილი ცოლად და ორივენი თავიანთ მტრებთან (საბრძოლველად) დაყოფილიყვნენ სთხოვა. (ხაკანი) ამაზე დაეთანხმა. მაშინ ანუშირვანმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მხევალი გამოძებნა, იგი ხაზართა მეფეს ვითარცა თავისი ქალიშვილი გაუგზავნა და თან ის გაატანა, რასაც მეფეთა ასულებს ატანენ ხოლმე. ხაკანმა კი ანუშირვანს თავისი ასული გამოუგზავნა როდესაც მასთან (ქალი) მივი-

და, ხაკანს მისწერა: ეგების შეეხვდეთ და ჩვენს შორის სიყვარული დავაკანონოთ. (სპარსთა მეფეს) ამაზე იგი დაეთანხმა, მაშინ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და რამდენიმე დღეს ერთად დაჰყენენ. ანუშირვანმა თავის ერთ-ერთ დიდებულს უბრძანა სამასი მამაცი მებრძოლი შეერჩია და, როცა სიფხიზლე შესუსტდებოდა, ხაზართა ლაშქარს დასხმოდა, გადაეწვა, დაერბია და თავის ადგილს დაბრუნებოდა. მან (ასეც) მოიმოქმედა. როდესაც გათენდა, ხაკანმა ანუშირვანს (ბარათი) გაუგზავნა, რომ წუხელ შენ ჩემს ლაშქარს თავს დაესხიო. მაშინ ანუშირვანმა (პასუხი) გაუგზავნა, რომ ჩვენს მხრიდან ეს არ მომხდარა, შეისწავლე და გამოიძიეო, (ხაკანი) ასეც მოიქცა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. შემდეგ (ანუშირვანმა) რამდენიმე დღე დააყოვნა, მერე გაიმეორა, სამჯერ მოიმოქმედა და ყოველთვის ბოდიშს იხდიდა. მაშინ ხაკანმა თავის ერთ-ერთ დიდებულს დაუძახა და მას ის უბრძანა, რაც ანუშირვანმა თავის (დიდებულს) უბრძანა და როცა (ასე) გაკეთდა, ანუშირვანმა (შეკითხვა) გაუგზავნა: რაა ეს? ან ღამით ჩვენი ლაშქარი გაითელა. მაშინ ხაკანმა (ბარათი) გაუგზავნა, ეუბნებოდა რა: რა მალე აღელდი. ჩემს ლაშქარს ასე სამჯერ მოექცნენ, შენ კი ერთხელ მოგივიდა. მაშინ ანუშირვანმა მას (ბარათი) გაუგზავნა, ეუბნებოდა რა, რომ ეს მოიმოქმედა ხალხმა, რომელსაც ჩვენი (ურთიერთობის) გაფუჭება სურსო. მე საშენო აზრი მაქვს. ეს ისაა, რომ ნება ღამრთო ჩემსა და შენს შორის კედელი ავაშენო და მას კარები გავუკეთო. მაშინ შენს ქვეყანაში ვერ შემოვა გარდა მათი, ვინც შენ გსურს, და ჩემს ქვეყანაში ვერ შემოვა გარდა მათი, ვინც მე მსურს. ხაკანი ამაზე დათანხმდა და თავის სამფლობელოში გაემგზავრა. მაშინ ანუშირვანმა სიგანით 300 წყრთა, სიმაღლით კი, ვიდრე მთების მწვერვალებს არ მიაღწია, ქვისა და ტყვიისაგან კედლის მშენებლობა დაიწყო. შემდეგ იგი ზღვაში შეიყვანა. ამბობენ, რომ ტიკები გაბერა და მათზე მანამ აშენებდა, სანამ ისინი მიწაზე არ განმტკიცდნენ. შემდეგ ნაგებობა ზემოთ იქამდე მიიმართებოდა, ვიდრე იმას არ გაუსწორდა, რაც მიწის ზედაპირზე სიგანითა და სიმაღლით იყო. კედლის ერთ-ერთი მხარე ზღვაში გააკეთა, გაამაგრა და იგი შვიდ ფარსახზე უღრანი ტყის ადგილამდე განავრცო. იგი ძნელი გაუვალი მთაა. (კედელი) გათლილი ქვით აიგო. ყველაზე პატარა ზომა 50 კაცს გადაჰქონდა. ისინი ტყვიითა და ლურსმნებით დაამაგრა. ამ შვიდ ფარსახზე შვიდი გადასასვლელი გააკეთა, ყოველ გადასასვლელზე მადინა ააგო, მათში სპარსელი მეომრები ჩააყენა, ყოველ მადინაში – 100 კაცი დასაცავად, მაშინ როცა



100 ათასი კაცი იყო საჭირო. შემდეგ თავისი ტახტი ჯებირზე, რომელიც ზღვაში თეითონ გააკეთა, მოათავსა და ალლაჰს მადლიერებით

38

თავყანი სცა იმის გამო, რაც მან საკუთარი ხელით დაასრულა, და იგი თურქთა ბოროტებისა და მათ თავდასხმებს გადაარჩინა. (ანუშირვანი) ზურგზე დაწვა და თქვა: დროა დავისვენო! ქალაქი ბაბ ალ-აბ-ვაბი იმ ქალაქთაგანია, რომელსაც სპარსელები დარბანდს უწოდებენ. იქაა გამოსახულებანი, რომელნიც თილისმაა თურქთა უკუსაგდებად. თურქთა ჯარები იმ მხარიდან შემოსვლას არ წყვეტდნენ და ირანის ქვეყანას აოხრებდნენ. როდესაც ეს ჯებირი ანუშირვანმა ააგო და თოილისმა გაუკეთა, (არავის) უთქვამს, რომ იმ მხარიდან თურქები შემოსულიყვნენ.

ბ ა დ დ ი <sup>58</sup>. ოლქია არ-რანსა და აზარბაიჯანს შორის, ხშირი ნისლით. ცა იქ იშვიათად არის მოწმენდილი. ბაბაქ ალ-ხურრამის<sup>59</sup> გამოსვლას ალ-მუთასიმ ბილლაჰის<sup>60</sup> დღეებში იქ ჰქონდა ადგილი. იქ არის სადგომი კაცისა, სადაც, ვინც კი ალლაჰს მაღალს თხოვნით მიმართავს, შესძენილ იქნება. იგონებენ, რომ მის ქვემოთ დიდი მდინარეა. თუ მასში ვინმე, შეპყრობილი ძველი ციებ-ცხელებით, განიბანს, განიკურნება.

344

ბ ა რ ზ ა ა <sup>61</sup>. არ-რანის დიდი ქალაქია, კვადრატულ ფარსახზე მეტი. იგი კუბაზ მეფემ დააარსა. იგი ნაყოფიერია, ჯანსაღი, მდიდარი ხილით. მიხაკი, თხილი და წაბლია. იქ არის აგრეთვე ერთ-ერთი ჯიში, რომელსაც დარკალს უწოდებენ. ამპურას ზომისაა. ტკბილია. ამ ადგილს გარდა იგი არსად არ მოიპოვება. მის ახლოსაა ალ-ქურრი. მასში შურმაჰაძღს იჭერენ და ყველა ქვეყანაში გააქვთ. იქ არის აგრეთვე სიმაგრითა და მუხლის სიმტკიცით ქვეყანაზე საუკეთესო ჯორები. იქ არის ქურქის ბახარი, რომელიც ბაბ ალ-აქრადთან კვადრატული ფარსახის (ფართობზე) ყოველ კვირა დღეს იმართება. იქ ხალხი ყველა მხარიდან იყრის თავს, და მას სავაჭროდ (ყოველთვის) უბრუნდებოდნენ. ეს ძველი აღწერაა. რაც დღევანდელ დღეს შეეხება, მისი უმეტესი ნაწილი დანგრეულია, იქ მხოლოდ მრავალი საუკეთესო ძეგლია და მისი მცხოვრებლების სილატაკე თვალში საცემია. ეს მაგალითი პატივისცემას გვასწავლის. დიდება მას, ვინც ცვლის და თვით არ იცვლება, ვინც წარხოცს და თვით არ წარიხოცება.

344

ბ ა ე ლ ა კ ა ნ ი <sup>62</sup>. ცნობილი დიდი ქალაქია არ-რანის ქვეყანაში, გამაგრებული, მაღალი კედლით. იგი კუბაზ მეფემ ააშენა. ამბობენ, მასთან და არც მის ირგვლივ არც ერთი ქვა არაა. როდესაც მისკენ თათრები გაემართნენ და მისი კედლის მიუდგომლობას წააწყდნენ, მანჯანიკით მისი დანგრევა მოისურვეს, მაგრამ ქვა, რომელსაც კედელს ესროდნენ, ვერ ნახეს. დიდი ჭადრის ხეები ნახეს, მოხერხეს, ლოდსატყორცნი მათი ნაჭრები ჩადვეს და კედელს მანამ ესროდნენ, სანამ კედელი არ დაანგრეეს, (ქალაქი) არ გაძარცვეს და

345

(ხალხი) არ ამოხოცეს. (ქალაქი) ახლა თავის დასახლებას დაუბრუნ-

და. წარმოშობით იქიდანაა მუჯირ ალ-ბადლაკანი<sup>63</sup>. ღირსეული პოეტი კაცი. იგი ისფაჰანს<sup>64</sup> ჩავიდა და თავის ლექსში მოიხსენია, რომ ისფაჰანის მცხოვრებნი ბრძემბი არიან. ეს ისფაჰანის რა'ისმა<sup>65</sup> გაიგო და ისფაჰანის ყველა პოეტს უბოძანა, რომ მის შესახებ რაიმე გამოეთქვათ. ისინი (ასეც) მოიქცნენ. მაშინ კრებული შეიკრა და (მუჯირ ალ-ბადლაკანის) გაგზავნა.

348 თ ი ჭ ლ ო ს ი <sup>66</sup>. გამაგრებული ქალაქია. მის იქით ისლამი არაა. იგი ხოსრო ანუშირვანმა ააგო<sup>67</sup> და ისჰაკ იბნ ისმა'ილმა, ბანუ უმადას მავლამ<sup>68</sup>, გაამაგრა. მას ალ-ქურრის მდინარე ჰყოფს. მისი მცხოვრებლები მუსლიმები და ქრისტიანები არიან ალ-ქურრის ერთ-ერთ ნაპირზე ლოცვისაკენ მოუწოდებენ, მეორე ნაპირზე კი ზარს რეკენ. ჰყვებიან, რომ ქალაქი ფიჭვით იყო გადახურული. და როცა ალ-მუთავაქქილმა<sup>69</sup> ისჰაკ იბნ ისმა'ილთან საბრძოლველად იქ ბულა<sup>70</sup> გაგზავნა, ისჰაკი ბულასთან საომრად გამოვიდა. ბულამ ცეცხლის წამკიდებლებს უბრძანა, მათ ქალაქს ცეცხლი ესროლეს და იგი გადაწვეს. ქალაქი მთლიანად დაიწვა, ვინაიდან ფიჭვის ხის იყო. დაიღუპა 50000 კაცი. მის საკვირველებათაგანაა ძალიან ცხელი აბანო, რომლისთვისაც წყალს არც აცხელებენ და არც ქაჩავენ, რადგან იგი ცხელ წყაროზეა აგებული. ერთ-ერთი ვაჭარი ჰყვებოდა, რომ ეს აბანო მუსლიმთათვისაა განკუთვნილი. მასში ურწმუნო სრულიად არ შედის<sup>71</sup>. ქრისტიანული რელიგია იქ აშკარაა და ქალაქიც მათ ოლქშია. იქ არის საკნები, ეკლესიები და დინარი, რომელსაც ფერფერას<sup>72</sup> უწოდებენ. იგი სუფთა კარგად ჩაზნექილი დინარია, მასზე სირიული წარწერა და კერპთა გამოსახულებაა. ყოველი დინარი კარგი ოქროს მისკალია<sup>73</sup>, არავის შეუძლია მისი გაყალბება. ის არის აბხაზთა ქვეყნის ფული იჭრება მისი მეფეების მიერ. თიჭლისიდან გააქვთ.

349 ვერცხლის წყალი, არყის ხე, (გაჰყავთ) მონები და მორბენალი ცხოველები, (გააქვთ) მრავალნაერი ნაბდები, ტანსაცმელი, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი.

350 ჯ ა ნ ბ ა ზ ა კ ი <sup>74</sup>. სოფელია მარაღას ოლქში. მასსა და ციხე რუჯინ დიზს შორის ერთი ფარსახია. იქაა საოცარი ჭა, საიდანაც მრავლი მტრედი ამოდის. ჭის თავზე ბადეს გადებენ ხოლმე, რომელშიც უამრავი მტრედი ცვივა. ეს ჭა უძირია, ერთ-ერთი მარაღელი ფაკიჰი ჰყვებოდა, რომ მასში მათ ერთ-ერთი კაცი ჩაგზავნეს, რათა მტრედების მდგომარეობა გაეგოთ. იგი 500 წყრთის სიღრმეზე ჩავიდა. მერე ამოვიდა და თქვა, რომ მან ვერაფერი დაინახა, მძიმე ჰაერი იგრძნო და მის ბოლოში შუქი და მრავალი

351 მკვდარი ცხოველი დაინახა<sup>75</sup>.

40

ჯ ა ნ ზ ა <sup>76</sup>. ძველი გამაგრებული ქალაქია არ-რანის ქვეყანაში. მუსლიმთა საზღვარია ქართველებთან სიახლოვის გამო. იგი ქალაქია მრავალი სიკეთითა და უხვი შემოსავლით. მისი მცხოვრებლები სუნიტები არიან, უმწიკვლო, კეთილი და მორწმუნე ხალხი. ისინი თავიანთი ქვეყნის არც ერთ მცხოვრებს არ ტოვებენ ისე, თუ მათი რელიგიური სისტემისა და რწმენის არ იქნა. ასე, რომ მათთან მათი რელიგიური სისტემა და რწმენა აღრეული არაა. უმეტესობას მათთან იარაღისა და საომარი საჭურვლის მკეთებელნი შეადგენენ, ვინაიდან ისი-

351

ნი საზღვარზე, ურწმუნოთა ქვეყანასთან ახლოს არიან. იქ არის მდინარე კირდკასი<sup>77</sup>, ქართველთა ოლქის მხრიდან გამომდინარე. იგი ექვს თვეს მიედინება და ექვს თვეს წყდება. მისი დინების დრო ცნობილია. ასევეა (ცნობილი) მისი შეწყვეტის (დრო). აბრეშუმის ჭიის გამოზრდაში და აბრეშუმის დამზადებაში მისი მცხოვრებლები გამოცდილი არიან. ჯანზას აბრეშუმი ხარისხით სხვა ქვეყნებისაზე მაღლა დგას. საკუთრივ ქალაქშია არხი, რომელიც ორი გზით მასში შედის. ერთი მათგანია ადგილი, ცნობილი ბაბ ალ-მაკბარას (სახელით)<sup>78</sup>, მეორე – ბაბ ალ-ბარდა'ას (სახელით)<sup>79</sup>. ბაბ ალ-მაკბარასთან წყალს იღებენ ხოლმე და მისით აბრეშუმს ღებულობენ, ზრდიან რა მის ფასს აბრეშუმთან შედარებით, რომელსაც ბაბ ალ-ბარდაას წყლით ღებულობენ. თუ ბაბ ალ-მაკბარას წყალს ბაბ ალ-ბარდა'ასთან წაიღებენ, არაფერს რგებს, და თუ ბაბ ალ-ბარდაას წყალს ბაბ ალ-მაკბარასთან წაიღებენ, სარგებლობა მოაქვს. მისი აბრეშუმი კარგი გამოდის. იქ, ერთ გადასასვლელზე, არის აგრეთვე ციხე-სიმაგრე ჰარაქ. მის ირგვლივ ბაღები, წყლები და ხეებია. მისი ჰაერი ზაფხულში კარგია. ზაფხულში ჯანზას მცხოვრებლები მისკენ მიემურებენ. ყოველ მცხოვრებს (იქ) სახლი აქვს. იქ არის ერთი ადგილი, სადაც ჩერდებიან, ვიდრე სიციხე არ დაცხრება. ჯანზას დიდგვაროვანთ იქ მშვენიერი სახლები აქვთ. ისინი მდებარეობენ მდინარეზე რომელსაც დარურანს უწოდებენ. მდინარე კი მთიდან ჩამოდის, რომელსაც მურას ეძახიან<sup>80</sup>. იქ ხვლიკები მუდამაა. იგი ძალიან მაღალია. ჰყვებიან, რომ ყველა, ვინც ციხე-სიმაგრეზე ავა, მთას დაინახავს და, ვინც მთაზე ავა, ციხეს ვერ დაინახავს. ამ მთაზეა ხე, რომელსაც ნაყოფი აქვს. მას ბანანს<sup>81</sup> უწოდებენ. ამ (ადგილის) გარდა, იგი არსად არაა. სირიულ თუთას ჰგავს, მხოლოდ მრგვალია. სასარგებლოა ღვიძლის დაავადებისათვის. დარურანს გვერდითაა ციხე-სიმაგრის მსგავსი დიდი მრგვალი კლდე. რომელსაც მუნქ ნიმ დანიქს ეძახიან<sup>82</sup>. მას ხვდება ჟანგის მსგავსი ნესტი, რომლითაც თვალებს იღებავენ, მოქმედებს ინასავით. საოცარი ისაა, რომ ეს ნესტი თავის ზემოქმედებას შემდეგველზე მხოლოდ

ადგილზე ახდენს. სხვა ადგილას თუ იქნა გადატანილი, არავითარი სარგებლობა არა აქვს. ამბობენ, რომ ხალხს იქ პატარძლები მიყავს, როცა ისინი თავიანთი თვალების შეღებვას მოისურვებენ ხოლმე. ჯანზადან ყველა ქვეყანაში გააქვთ საუკეთესო აბრეშუმი, ატლასი, ტანსაცმელები, რომელთაც „ალ-ქანჯის“ ეძახიან<sup>83</sup>, უცხოელები კი მათ „ალ-კუტნის“ უწოდებენ<sup>84</sup>, აბრეშუმის ჩალმები და მისთანანი. წარმოშობით იქიდანაა აბუ მუჰამმად ან-ნიზამი<sup>85</sup>, გამოჩენილი მცოდნე, ბრძენი პოეტი. მას მშვენიერი ლექსების კრებული აქვს. მისი ლექსების უმეტესობა გასართობია დიდაქტიკური, ბრძნული, სიმბოლური მცოდნეთათვის და მათი მეტონიმიისათვის. მას ეკუთვნის პოემები „ხუსრუფ ვა შირინ“<sup>86</sup> და „ლაფლ ვა მაჯუნ“<sup>87</sup>. მისია აგრეთვე „მახხან ალ-ასრარ“<sup>88</sup> და „ჰაჰთ ფაჰარ“<sup>89</sup>, როცა იგი ლექსებს თხზავდა, შეისწავლა ალ-ჯურჯანის „ვის ვა რამინ“<sup>90</sup>, (დაწერილი) სელჩუკი სულტნის თოდრულ-ბეგისათვის<sup>91</sup>.

352 იგი მშვენიერების საზღვარია. მისი ლექსი გამდინარე წყალივითაა, თითქოსდა ძალდაუტანებლად და დაუძაბავად ლაპარაკობს. ან-ნიზა-

მის წადილ იყო „ხუსრუფ ვა შნრნი“ ამ მანერით (დაეწერა). მასში მრავალია გართობა, სიბრძნე, დარიგება, კარგი ამბავი და თხრობა. იგი სელჩუკიანი სულტნის თოღრულ იზნ არსლანისათვის შექმნა<sup>92</sup>. ეს სულტანი ლექსისა და პოეტთა მიმართ კეთილად იყო განწყობილი. (პოემამ) დიდი ადგილი დაიმკვიდრა, ხალხში სახელი გაითქვა და მისი ხელნაწერებიც გამრავლდა. რაც შეეხება „ლაჲლ ვა მაჯნუნს“, იგი შარვანის პატრონმა მოითხოვა და მანაც შეუთხზა<sup>93</sup>. თავისი ხელოვნებით (ან-ნზამი) უმაგალითო იყო. გარდაიცვალა 590 წლის ახლოდ<sup>94</sup>.

352

ხ ი ლ ვ ტ ი <sup>95</sup>. ცნობილი დიდი ქალაქია, არმინიის მთავარი ქალაქია, მრავალი სიკეთითა და მწიფე ნაყოფებით. იქ წყალი უხვადაა და ხეც მრავალია. მისი მცხოვრებლები მუსლიმები და ქრისტიანები არიან. მცხოვრებლების ენა სპარსული, სომხური და თურქულია. ალ-მალიქ ალ-ქა-მილ ალ-ავჰადის დროს<sup>96</sup> მისკენ ქართველები გაემართნენ და იქ შეჩერდნენ, ალყა შემოარტყეს რა მას. ქალაქგარეთ მდინარეზე ხიდი იყო. ხილატის მცხოვრებლებმა იგი დაანგრეს და რაღაც ბალახით გადაფარეს, ეგების მასში ის ქართველები ჩავარდნილიყვნენ, რომელნიც მასზე გადავიდოდნენ. (თვითონ) ხიდს ქვემოთ დასხდხენ, უყურებდნენ რა, თუ მასში ვინ ჩავარდებოდა, რომ (ტყვედ) აეყვანათ. ქართველთა მთავარს, სახელად ივანეს<sup>97</sup>, შესანიშნავი ვარსკვლავთმრიცხველი ჰყავდა, რომელიც მან რამდენიმეჯერ შეამოწმა და

42

ქეშმარიტი სიბრძნე გამოიჩინა. მან ივანეს უთხრა: ახლავე ამხედრდი, ბრძოლა გამართე და დღის დასასრულს ხილატის ტახტზე დაჯდები. იგი ცხენზე მთვრალი შეჯდა და პირველი, ვინც ხიდზე გადავიდა, ივანე იყო. ხიდში ჩავარდა, თავს (ხლათელები) დაადგნენ და დაატყვევეს. (ივანემ) უთხრა: ნუ მომკლავთ, მე ივანე ვარ. მაშინ იგი ხილატს წაიყვანეს და ტახტზე დასვეს. (ივანემ) მათ უთხრა: თუ მათავისუფლებთ, ჩქარა ქენით, ვიდრე ქართველები შეიტყობდნენ. ჩემს ადგილას ვინმე დანიშნეთ და ყველაფერი, რასაც მოითხოვთ, თქვენია. (ხლათელებმა) ყველა მუსლიმი ტყვის გათავისუფლება და დიდძალი ფული მოითხოვეს, ხილატის კედელი ააშენებინეს, ზავზე მრავალწლიანი ხელშეკრულება დადეს და გაათავისუფლეს<sup>98</sup>. მის საკვირველებათაგანაა ტბა, საიდანაც ყველა ქვეყნისათვის ქვირითიანი თევზი ამოყავთ. იზნ ალ-ქალბი<sup>99</sup> ამბობს: ხილატის ტბა მსოფლიოს საოცრებათაგანია. მასში ათ თვეს არც თევზია და არც ბაყაყი. წელიწადში ორ თვეში მრავლდებიან იმდენად, რომ ხელითაც დაიჭერ. ყველა ქვეყანაში გააქვთ, ინდოეთშიაც კი. ამბობენ, რომ იგი თილისმია, რომელიც ბალინას ბრძენმა კუბაზ

მეფისათვის გააკეთა. რაც შეეხება ხილატის მცხოვრებლებს, მათში დაუფარავი უზნეობაა, და მათი ხელოსნები ჩამოსაკიდ ბოქლომებს ამზადებენ, რომელთა მსგავსი არაფერია ქვეყანაზე.

353

ხ უ ვ ა დ დ <sup>100</sup>. აზარბაიჯანის ქალაქთაგან დასახლებული ქალაქია, მაგარი კედლით, წყლებით და ხეებით, მრავალსიკეთიანი, დიდძალი შემოსავლით, მრავალი მცხოვრებით. მისი მცხოვრებლები სუნიტები არიან რელიგიური თემები – ერთი სისტემის. მათთან სხვადასხვა სისტემები არაა ფარჩას რომელსაც ჯვლხ-ს ეძახიან<sup>101</sup>,

354

იქ ამზადებენ. იქ არის ქანქალას წყარო. ერთ-ერთმა ხუვაელმა ფაკიჰმა მომიყვა, რომ ეს ის წყაროა, საიდანაც ძალიან ბევრი წყალი მოედინება, ზაფხულში ცივი და ზამთარში ცხელი<sup>102</sup>, წარმოშობით მასთანაა დაკავშირებული ყადი

შამს ად-დინ ალ-ხუვადი<sup>103</sup>, შესანიშნავი სწავლული, მეცნიერების დარგების მცოდნე, შარიათისა და ინტელექტუალურისა, მშვენიერი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორი. როცა მოულოდნელად თავს თათრები დაესხნენ ხორასნიდან გაიქცა, სირიას გაემართა და, არ იცოდნენ რა მისი ღირსება, დამასკოს მედრესეში მუ 'იდად<sup>104</sup> დანიშნეს. ჰყვებიან, რომ ხალიფას რეზიდენციიდან ალ-მალიქ ალ-მუ'აზზამთან დესპანად იბნ ალ-ჯავზი<sup>105</sup> იქნა გაგზავნილი და, როცა იგი დამასკოს ჩავიდა, ითხოვა, რომ ალ-მალიქ ალ-მუ'აზზამის წინაშე ყოფილიყო წარდგენილი. ალ-მალიქი ჰანიფიტი

355

43

ფაკიჰი იყო<sup>106</sup>. მასთან დამასკოს დიდებულნი შეიკრიბნენ. იბნ ალ-ჯავზი მჭერმეტყველი ნიჭიერი მქადაგებელი იყო. ხალხში არავინ იყო, ვინც ერთ წუთს შეეკამათებოდა. როცა (მეფესთან) მივიდა, თქვა: ეს მშვენიერი ქალაქია, რომელშიც ფაკიჰი არაა. ამის გამო ალ-მალიქ ალ-მუ'აზზამი შეწუხდა და თქვა: ამით იგი დარწმუნდა რომ მან ცოტა თქვა. მაშინ (მეფეს) უთხრეს: აქ არის სპარსელი ფაკიჰი, შეჰყარე ორივენი და გაერთვე მათით როცა იბნ ალ-ჯავზი გამოცხადდა, შამს ად-დინი მოიკითხა და მასთან ერთად შეძლებისდაგვარად წინ დადგომა მოინდომა. შემდეგ შამს ად-დინმა შესავალი სიტყვა აიღო და (იბნ ალ-ჯავზის) გადმოულაგა. მერე გამოთქმებსა და ანდაზებში შეეკამათა, ვიდრე იგი არ განაცვიფრა. მაშინ იბნ ალ-ჯავზიმ იკითხა: ეს ფაკიჰი რა საქმიანობას ეწევა? უთხრეს: არავითარ საქმიანობას არ ეწევა. მაშინ (იბნ ალ-ჯავზიმ გაოცებულმა) თქვა: ამის მსგავსი (პიროვნება) უმუშევრადაა დატოვებული? და იგი დამასკოს სასამართლო წარმოებისა და მართლმსაჯულების სწავლების ხელმძღვანელად დანიშნეს. (შამს ად-დინი) ახალგაზრდა, დაახლოებით 640 (წელს) გარდაიცვალა<sup>107</sup> ალლაჰის წყალობა მას.

რუჟინდინი<sup>108</sup>. უკიდურესად მიუდგომელი ციხე-სიმაგრე მარაღადან სამ ფარსახზე, ღია ადგილზე. მისი მიუდგომლობა და სიმაგრე მაგალითად მოჰყავთ. იგი მდებარეობს მდელოებს შუა. მის მარჯვნივ მდინარეა და მარცხნივაც მდინარეა. ციხე-სიმაგრეზეა ბაღი, რომელსაც ამიდაბაზს ეძახიან. მის ქვემოთ გაყვანილია ჭა. მასში მკვრივ კლდეზეა წყარო, საიდანაც გამდინარე წყალი მოედინება. ციხე-სიმაგრის წინაა მთა. ამ მთაშია წყლით მდიდარი წყარო, რომელიც მთიდან ჩამოდის და საოცრად ნაგები შადრევნების საშუალებით ადის ამ ციხე-სიმაგრეში მისგან სვამენ წყალს ამ ციხე-სიმაგრის მცხოვრებნი. მისი ძალზე მიუვალობის გამო მისი პატრონი უმეტეს ხანს არ ემორჩილებოდა მარაღას ბატონს.

370

კალიკალა<sup>109</sup>. ქალაქია არმინიფაში. იგი ქალთანაა დაკავშირებული, რომლის სახელია „კალი“, თითქოს ამბობენ: კალიმ ააშენა, ისევე როგორც დარაბჯირდს<sup>110</sup> ეძახიან, და საკუთარი გამოსახულება ქალაქის კარიბჭეზე გააკეთა. იქიდან ნოხები და წმინდა შალის ნოხები, რომელთაც „კალი“ უწოდებენ, გააქვთ. მათ დამზადებაში

მის მცხოვრებლებს გამოცდილი ხელი აქვთ. იქიდან ისინი ყველა ქვეყანაში გააქვთ. იქ ბზობის ეკლესიაა. იბნ, ალ-ფაკიჰი ამბობს, რომ იგი ქრისტიანთა ეკლესიაა. მასში დიდი ოთახია, მათი გრაგნილებისა და ჯვრების საწყობი. როდესაც ბზობის ღამე დგება, ამ ცნობილი ადგილის კარი იღება, საიდანაც თეთრი მტვერი გამოდის, და იგი იმ ღამით დილამდე არ წყვეტს გამოსვლას. ამ დროს წყდება, მას ბერი

44

იღებს და ხალხს გადასცემს. მისი დამახასიათებელი თვისებაა შხამისაგან განკურნება და მორიელეებისა და გველების მოშხამვა. დანიკის წონისას მას წყალში ამზადებენ, მოშხამული სვამს და მისი ტკივილი იმწამსვე ცხრება. მას სხვა საოცრებაც აქვს. სახელდობრ, თუ იგი ცოტა იყიდეს, მის პატრონს სარგებლობას არ მოუტახნს და მისი მოქმედება უშედეგოა<sup>111</sup>.

ალ-ლანთა ციხე<sup>112</sup>. იგი ალ-ლანთა ქვეყანაში მთის მწვერვალზე უკიდურესად მიუვალი ციხე-სიმაგრეა. იგი მიუვალობით აღწერილ ციხე-სიმაგრეებს განეკუთვნება, რომელთაც ალ-ლანთა კარს უწოდებენ. ამბობენ, იქ ერთმა კაცმაც რომ ქვეყნის ყველა მეფე შეაკავოს, მისთვის ეს ციხე თაღთან და გზის სიძნელესთან (ციხე-სიმაგრის) კავშირის გამო მოსახერხებელია. მას ხიდი აქვს დიდი უცნაური ნაგებობა. საოცრება მისი ნახვაა, არა თხრობა. ამ საოცრების შინაარსს ენა ვერ გადმოსცემს. იგი სინდბაზ იბნ ქიშთასფ იბნ ლაჰრასიფმა ააგო<sup>113</sup>, ციხე-სიმაგრე მკვრივ კლდეზე მდებარეობს. იქ არის წყარო. სასმელი წყალი მაგარი კლდიდან მოედინება. იქ ორი საოცრებაა: ხიდი და სალი კლდის ციხე-სიმაგრის შუაში წყარო.

371

მ ა რ ა ლ ა<sup>114</sup>. აზარბაძჯანის ცნობილი დიდი ქალაქია. მისი მთავარი ქალაქია. მასში მრავალრიცხოვანი მცხოვრებია, დიდი ზომისაა, მდიდარი მდინარეებით, ბევრი ხითა და უხვი ნაყოფით. იქ მოგვთა ძველი ძეგლები, მედრესეები და მშვენიერი სასტუმროებია. მისმა ერთ-ერთმა მცხოვრებმა მომიყვა, რომ იქ ერთი კვადრატული ფარსახის ბაღია, რომელსაც

372

კიამთაბაზს უწოდებენ და რომ მის მფლობელებს ნაყოფის სიმრავლის გამო მოკრეფა არ ძალუძთ და იგი ხეებიდან ცვივა. კიამთაბაზის ახლოს წყალსაცავია, საიდანაც ცხელი წყალი მოჩუბჩუხებს. მასთან ავადმყოფები მიდიან, მასში ბანაობენ და იგი მათთვის სასარგებლოა. იგი რამდენიმე წყაროსაგან შედგება. უმეტესობა, ვინც იქ მიდის, ქრონიკულად დაავადებული და მუნთანები არიან. როცა ეს წყალი წყალსაცავიდან გადმოვა და მიწაზე დაიღვრება, გლუვ ქვად იქცევა. ქალაქის გარეთ გამოქვაბულია, რომელშიც ადამიანი შედის, ნახულობს რა იქ სახლებისა და ოთახების მსგავსს. თუ ყურადღებით იქნება, ჯვრის ნივთს დაინახავს, რომელსაც ვერავინ უახლოვდება, რომ არ დაინგრეს. ჰყვებიან, რომ იგი განძის თილისმაა, და ალლაჰმა უკეთესად იცის. იქ არის აგრეთვე მთა ზანჯიკანი<sup>115</sup>. ეს მთა მარაღას ახლოსაა. მასზე სასმელი წყლის წყაროა, რომლითაც ფქვილს ზელენ და იგი ბევრად იზრდება. მისი პური შესანიშნავია. ხაბახები თავიანთ ფქვილს ამით აფუებენ. ეს წყალი ქვად იქცევა რომელიც ვეებერთელა ქვებად მკვიდრდება. ხალხი მათ მშენებლობაზე იყენებს. (მა-

378

რადას სიამაყეა კეთილშობილებით, გულუხვობით, სიკეთეთ, ნაირსახეობითა და შეწირულებათა სახეობებით ცნობილი ყადი სადრ ად-დინი<sup>116</sup>, მის სიკეთეთაგანია ქალაქ ყაზვინის კედელი<sup>117</sup>. რომლის მსგავსის (აგება) ჩვენს დროში უდიდეს მეფეებსაც არ შეუძლიათ. მანვე, გამომწვარი აგურებით ამ ქალაქის უკიდურესი სიმაღლის კარიბჭეები ააგო, ხოლო დანარჩენი კედელი – თიხით, ამბრაზხურები – გამომწვარი აგურებით, ქალაქი კი – განუსაზღვრელად ვრცელი. ჰყვებიან, რომ მან ალლაჰის მოციქულის, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, მხარის ახლოს თავისთვის საფლავი მოისურვა აედო. ქალაქ მედინას ამირს (ბარათი) გაუგზავნა, ეს სურვილი აცნობა და შეპირდა, რომ მას ოქროთი სავსე ტომარას გაუგზავნიდა. შემდეგ ყადიმ უთხრა: ტომარა გამომიგზავნე, რათა იგი ოქროთი ავავსო. როცა მედინას ამირმა დიდი მონდომება და საკუთრივ მისი გულუხვობა ნახა, დაეთანხმა და მას (სურვილის შესრულების) საშუალება მისცა. როცა ყადი გარდაიცვალა, მედინაში დაკრძალეს. მისი თავის ადგილი ახლოსაა ალლაჰის მოციქულის, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, ფეხთან. ჰყვებიან შეიხი ნურ ად-დინ მუჰამმად იბნ ხალიდ ალ-ჯადლი, წმინდანთაგანი<sup>118</sup>, წიგნში, რომელიც მან თავისი კეთილშობილებისა და საოცარი მდგომარეობის გაო შეთხზა, ამბობს: მე ანგელოსთა ჯგუფი ვნახე, რომლის რაოდენობა გაუგებარი იყო, და: მათ თან საკვირველი ნივთები და საჩუქრები ჰქონდათ. ვიკითხე: ვისია ეს საჩუქრები? თქვეს: მარადას ყადისაა. ვთქვი: იგი პატივსაცემი მონაა. თქვეს: ეს (საჩუქრები) მისი კეთილშობილების გამო ალლაჰის მოციქულის მიმართ, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, მას ეკუთვნის.

379 მ ლ ა ნ ი <sup>119</sup>. ფართო ოლქია. იქ სოფლები და სამოვრებია. აზარბაჯანშია მარჯვენა მხარეს არდაბილიდან თიბრიზის მიმართულებით. იგი ცხელი მხარეა. მთლიანად აზარბაჯანი ცივია. დიდი სივრცისა და მცენარეულობის სიმრავლის გამო იქ თურქმენთა სახლები იყო. ახლა ისინი გამოსაზამთრებლად თათრებს აქვთ აღებული. თურქმენები იქიდან გარეკეს. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ამბობს: მე, იქ დიდი ციხე-სიმაგრე ვნახე. მას ვრცელი შემოგარენი აქვს. ბევრი გველისა და ქვეწარმავლის გამო მცხოვრებლები იქიდან გაიქცნენ. იგი აგრეთვე ამბობს: ჩემი იქ. ჩასვლისას გოლიათი მამაცი. ვნახე, და შემეშინდა.

381 ვ ა შ ლ ა <sup>120</sup>. ხუვადას სოფელთაგან ერთ-ერთი სოფელია აზარბაჯანში. იქ წყაროა, ვინც მის წყალს შესვამს, იმწამსვე მუცელში ყველაფერს შეუმსუბუქებს, თუნდაც რომ მარცვლებს შეიცავდეს. ამ წყლის, შესმის შემდეგ იმწამსვე გამოვა.

მ ა ს ს ო ჯ ი მ ა ნ ი <sup>121</sup>. ადგილია ხილატსა და არზან არ-რუმს შორის. იქ არის წყარო, საიდანაც წყალი უხვად მოჩუხჩუხებს. მისი ხმა შორიდან ისმის. თუ მას რომელიმე ცხოველი მიუახლოვდება, იმწამსვე კვდება. მის ირგვლივ ურიცხვი ფრინველი და ცხოველია. იქ დავალებული აქვთ ხელი შეუშალონ

უცხოელს მასთან მიახლოვება.

382

ბ ა ქ უ ვ ე ა <sup>122</sup>. ქალაქია დარბანდის მხარეში, შარვანის ახლოს. იქ ნავთის დიდი საბადოა. მისი დღიური საიჯარო გადასახადი ათას დირჰამს აღწევს. გვერდით მეორე საბადოა, რომლიდანაც ვერცხლის წყალივით თეთრი ნავთი გადმოდის. არც დღისით და არც ღამით იგი არ წყდება. მისი საიჯარო გადასახადი იმდენივეა, რამდენიც პირველისა. მის საკვირველებათაგან ისაა, რაც აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსიმ მოიხსენია, რომ იქ ნიადაგია, რომლის მიწა არაა ძალიან ცხელი. იგი კაცმა ნახა, ხალხი ქურციკებზე და სხვ. ნადირობს ხოლმე, (ნანადირევის) ხორცს ჭრიან და მას მარილთან და საჭირო თესლთან ერთად (ნანადირევის) ტყავში დებენ. ლერწმის მილს იღებენ, ლერწამს ნანადირევის ტყავში აბამენ, მას მიწაში ფლავენ და ლერწამს გარეთ ტოვებენ. შემდეგ ხორცის სითხე ლერწმიდან მთლიანად გარეთ გადოდის. როცა სითხე დაიცლება, იციან, რომ ხორცი მოიხარშა, და იგი უკვე გადახარშული ამოაქვთ. ერთ-ერთი ვაჭარი ჰყვებოდა, რომ მან ცეცხლი ნახა, რომელიც მუდამ ენთო და არ ქრებოდა, ვინაიდან მისი ადგილი ასანთის საბადოა. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ჰყვება, რომ ბაქუვიას ახლოს შავი მთაა. მის მწვერვალზე გრძელი ნაპრალია, საიდანაც წყალი გადმოდის. ამ წყალს თან მოჰყვება ციმბალის მსგავსი დიდი ან პატარა დანიკი. ხალხს იგი მხარეებში გასაკვირვებლად. მიაქვს.

389

ზ ე რ ე ჰ გ ე რ ა ნ ი <sup>123</sup>. მისი მნიშვნელობაა ჯავშნის ხელოსნები. ორი სოფელია ბაბ ალ-აბვაბს ზემოთ მაღალ მთაში. მის ირგვლივ

399

სოფლები, სახნავ-სათესი მიწები, დასახლებები, მთები და ტყეებია. მცხოვრებლები მაღალწელიანებია, ქერა სახის, გამსჭვალავი თვალებით. ისინი მხოლოდ ჯავშანს აწარმოებენ. გულკეთილი მდიდრები არიან, უყვართ უცხოელები, განსაკუთრებით ისინი, ვინც რომელიმე მეცნიერებას ან კალიგრაფიას იცნობს, ან რაიმე ხელობა იცის. თავიანთი ადგილის მიუვალობის გამო ისინი ხარაჯს არავის არ უხდიან. მათ არა აქვთ რელიგია და არც სამართლებრივი სისტემა. ყველა სოფელში მიწის ქვეშ სარდაფების მსგავსი ორი დიდი სახლია. ერთი მათგანი მამაკაცთათვისაა, მეორევი – ქალთათვის. ყოველ სახლში რამდენიმე კაცია. მათ თან დანები აქვთ. როცა ვინმე მათგანი მოკვდება, თუ კაცია მამაკაცთა სახლში გადაჰყავთ და თუ ქალია – ქალთა

400

სახლში. ეს კაცები (მიცვალებულს) იღებენ, მისი სხეულის ნაწილებს ჭრიან, ხორცისაგან წმენდენ და ასუფთავებენ. შემდეგ ამ მშრალ და სუფთა ძვლებს ტომარაში უყრიან თავს. თუ მდიდარია, აბრეშუმის ტომარაში (ათავსებენ), და თუ ღარიბია – მიტკლის ტომარაში. ტომარაზე ძვლების პატრონისა და მამამისის სახელებს, დაბადებისა და გარდაცვალების დროს წერენ და ტომარას იმ სახლებში ჰკიდებენ. მამაკაცების ხორცი სოფელს გარეთ მთაზე მიაქვთ. მასზე შავი ყორნებია, ამ ხორცს მათ აჭმევენ და სხვა ფრინველს მის შესაჭმელად არ უშვებენ. თუ სხვა ფრინველი შესაჭმელად მოფრინდება, ისრებს ესვრიან. დედაკაცთა ხორცი სხვა ადგილას მიაქვთ, ძერას აჭმევენ და სხვა ფრინველებს ხელს უშლიან. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ჰყვება, რომ მან დარბანდის მცხოვრებლებს მოუსმინა: მათ ერთხელ ლაშქარი შეკრიბეს და ზერეჰგერანს გაემართნენ. მათ მანამ იარეს, ვიდრე ამ



სოფელში არ შევიდნენ. მაშინ მიწიდან მამაკაცები ამოვიდნენ, იმ სახლებში შევიდნენ და საშინელი ქარი ამოვარდა, დიდი თოვლი მოვიდა, ისეთი, რომ ვერცერთი იმ მოლამშქრეთაგან თავის ამხანაგს ვერ ცნობდა. ზოგმა ერთმანეთის მოკვლა იწყო, გზა დაეხნათ და მრავალი ხალხი დაიღუპა. ზოგ მათგანს მას შემდეგ შეეშინდა, რაც (ხალხის) დაღუპვის მოწმე გახდა. იგონებენ აგრეთვე, რომ შარვანის ბატონი, უძლეველი, ძლიერი მფლობელი, ერთ დღეს მათკენ გაემართა, სურვილით მათთან (მოხვედრილიყო). მაშინ მას (იგივე ამბავი) ეწია, როგორც დარბანდის ხალხს შეემთხვა, და მეფეებმა თავიანთ ლაშქრობებზე უარი თქვეს.

403 შ ა ბ უ რ ი <sup>124</sup>. ბაბ ალ-აბვაბის მხარეშია. იქ არის ბიჯანის ორმო. იგი ღრმა ორმოა. როდესაც თურქთა მეფემ აფრასიდაბმა სპარსელთა მეთაური ბიჯანი დაამარცხა, არ მოისურვა, რომ იგი მოეკლა იმ მრავალი ბრძოლის გამო, რომელნიც მან მის გამო გადაიტანა, და მოინდომა იგი ეწამებინა, ამ ორმოში დაატყვევა და მას ზემოდან ლოლი დაადო. მაშინ იქ ჩუმად რუსთამ ძლიერი გაემართა, (სპარსთა მეთაური) მოიტაცა, ორმოს თავიდან ქვა აწია, გადააგდო, (ტყვე) სპარსთა ქვეყანაში წაიყვანა, ბიჯანს დაბრუნდა იმის გამო, რაც ლაშქარს ხელთ ჰქონდა ჩაგდებული, თურქებს სასტიკად შეებრძოლა და ისინი საშინელ განსაცდელში ჩააგდო. იქ გადაგდებული ქვა კი, რომელიც ორმოს თავზე იყო, ხალხს თავისი სიდიდით აოცებს, და ის კი რუსთამმა აწია. აქა აგრეთვე უვარგისი ღორები, რომელთა შესახებ მოგონებას „შაჰ-ნამეს“ წიგნში აქვს ადგილი თხრობისას ბიჯანის შესახებ.

403 შ ა რ ვ ა ნ ი <sup>125</sup> მხარეა ბაბ ალ-აბვაბს ახლოს. ამბობენ დაასახლა იგი ხოსრო ანუშირვანმა კეთილშობილმა და მისი სახელი ეწოდა.

48

(შემდეგ) შეკვეცის მიზნით ნაწილი ჩამოაცილეს<sup>125</sup>. იგი დამოუკიდებელი მხარეა. მის მეფეს ახსათანს ეძახიან<sup>127</sup>. ზოგი მათგანი უარყოფს მას, რომ მუსასი და ალ-ხიდრის ამბავს, – მშვიდობა მას, – იქ ჰქონდა ადგილი და რომ კლდე, რომელზეც მორთული თევზი დაავიწყდა, – მშვიდობა მას, – იქაა, შარვანში<sup>128</sup>. ეს ზღვა ხახართა ზღვაა და სოფელი, ისინი შეხვდნენ ყრმას და მოკლეს, სოფელი ჯირანია<sup>129</sup>. სოფელი, სადაც მათ მცხოვრებლებს საჭმელი თხოვეს, უარით უპასუხეს გამასპინძლებოდნენ, მათ ორივემ კედელი, რომელიც უნდა დანგრეულიყო, ნახა და გაამაგრა, ბაჯარვანია<sup>130</sup>. ყველაფერი ეს არმინიძის მხარეებია, დარბანდის ახლოს. არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ ისინი იფრიკიფას ქვეყანაშია<sup>131</sup>. იქ არის მიწა

ცხენის გარბენის (შესაძლებლობას) ზომისა, საიდანაც დღისით ბოლი და ღამით ცეცხლი ამოდის. როცა ამ მიწაში ხეს ჩაასობენ, იწვის. ხალხი იქ ორმოებს თხრის და მათში ხორცითა და თესლეულით მოსახარშავად თავიანთ ქვაბებს დებს. ამის შესახებ შარვანის ერთ-ერთმა ფაკიჰმა მომიყვა. იქ არის უცნაური მცენარე, რომელსაც ფართოფურცლებიან ჯადვარს უწოდებენ. ჰყვებოდა რა'ისი შეიხი, რომ მან იგი ნახა. ჰგავს მამაკაცის კვერცხებს (Testiculum, testis), რომელთაგან ერთი დამჭკნარია და მეორე აყვავებული. ჰყვებიან, რომ ის, ვინც მას სთავაზობს ხოლმე, ამბობს: დამჭკნარი თანაცხოვრების ძალას ასუსტებს, მეორე კი

404

მას აძლიერებს. წარმოშობით მასთანაა დაკავშირებული ალ-ჰაქიმე ალ-ფადილ აფდალ ად-დინ ალ-ხაკანი<sup>132</sup>, ბრძენი პოეტი კაცი, რომელმაც ფრაზის ნაირსახეობა გამოიგონა, გახადა რა იგი დამოუკიდებელი. იგი ლექსის წყობის შესანიშნავი ოსტატი იყო, სიბილწეს, რომელსაც პოეტები ჩადიოდნენ, გაუბოდა, წესიერებისა და რჯულის დამცველი იყო მანამ, სანამ შარვანის ბატონმა პიროვნება არ მოისურვა, რომელსაც თავის ერთ-ერთ საქმეს გააკეთებენებდა. მაშინ მისმა ვაზირმა უთხრა: ამ საქმისათვის ალ-ხაკანის ბადალი არ ჰყავს. მაშინ (შარვანის ბატონმა) იგი გამოითხოვა და მას (ის საქმე) შესთავაზა. მან უარით უპასუხა და უთხრა: მე ამ საქმის კაცი არ ვარ. მაშინ ვაზირმა თქვა: აიძულე. ამ მიზნით (შარვანის პატრონმა პოეტი) დაატუსაღა. საპყრობილეში მან რამდენიმე დღე დაჰყო, (მაინც) არ დათანხმდა და მეფემ ვაზირს უთხრა: დავაპატიმრე და მისგან არაფერი გამოვიდა. მაშინ ვაზირმა თქვა: შენ ერთი რამ არ გააკეთე. შენ იგი თავისუფალ საკანში მართო გყავდა დაპატიმრებული. მასაც ეს უნდოდა. იგი ბოროტმოქმედთა სატუსაღოში მოათავსე. (შარვანის ბატონმა) იგი ქურდებთან და მაწანწალებთან მოათავსა. ერთი მათგანი მიდიოდა და ეკითხებოდა: რა ცოდვის გამო ხარ დატუსაღებული? მასთან მეორე მიდიოდა და ეუბ-

ნებოდა: ყასიდა შემითხზე! და როცა მან ამ მდგომარეობის უბედურება და სხვების წამება ნახა, ერთ დღეს მეფეს (ბარათი) გაუგზავნა: მე ყველა შენს სურვილზე თანახმა ვარ, და არა ამ (მდგომარეობაზე). მაშინ მან იგი გამოიყვანა და ის საქმე დააკისრა.

404 შ ი ნ ა ს ი<sup>133</sup>. ლაქზანის ქვეყანაში<sup>134</sup> ძალიან მაღალი მთის ძირას ადგილია. მისკენ გზა მხოლოდ მაღალი მთით მიდის. ვინც იქ მისვლას მოისურვებს, ხელში ჯოხს აიღებს და

405 ძლიერი ქარის ქროლვის გამო, რომ ქაომა არ წაიღოს, ცოტ-ცოტას შეჩერდება ხოლმე. მრავალ თვეს მათთან აუტანლად ცივა, შვიდ თვეს იქ გვალვაა. მარცვლეულის სახეობა, რომელსაც ას-სულთს უწოდებენ, და რაღაც მთის ვაშლთაგანი მათთან იზრდება. მცხოვრებლები კეთილი და გულუბვი, ღარიბთა სტუმართმოყვარენი და უცხოელთათვის ხელგაშლილები არიან. მათი ხელობაა იარაღის წარმოება, როგორცაა ჯავშანი და იარაღის სხვა სახეობანი.

405 ზ ა ხ უ რ ი<sup>135</sup>. ჯანხადან ექვს გადასასვლელზე<sup>136</sup> დიდი დასახლებული ქალაქია. იგი ლაქზანის მთავარი ქალაქია. იქ ძალიან ცივა. ცაკიჰმა ძუსუფ იბნ მუჰამმად ალ-ჯანზიმ<sup>137</sup> მომიყვა, რომ წყალი მდინარისა რომელსაც სამურს<sup>138</sup> უწოდებენ, ზამთარ-ზაფხულ გაყინულია. ყინულს ტეხენ და მის ქვემოდან (ამოდებულ) წყალს ასმევენ, როცა დააღვივებენ, (დარჩენილ წყალს) დოქში ჩაასხამენ, მას ცხვრის ტყავში გაახვევენ, რომ იმწამსვე არ გაიყინოს. (ზახურის მცხოვრებლებს) ძალა იმ მარცვლეულის გამო შესწევთ, რომელსაც ას-სულთს ეძახიან გარეგნულად ქერს წააგავს, გემოთი – ხორბალს. მათ არც ვაჭრობა და არც ურთიერთობა აქვთ ერთმანეთში. არამედ ყოველი მათგანი ამ მარცვალს საჭირო რაოდენობით თესავს. ამით, თავისი ცხვრების რძითა და ცხვრის ფარით არიან ისინი ძლიერი. ცხვრის მატყლის (ქსოვილს) იცვამენ. მათ რა'ისი არა ჰყავთ. არამედ ხატები<sup>139</sup>, რომელიც მათზე ლოცულობს, და ყადი<sup>140</sup>, რომელიც მათ

შორის დავას იმამ აშ-შაფიის მეთოდით წყვეტს, ჰყავთ. ქალაქის მთელი მოსახლეობა შაფიიტები არიან. იქ არის მედრესე, რომელიც ვაზირმა ნიზამ ალ-მულქ ალ-ჰასან იბნ ალი ისჰაკმა<sup>141</sup> ააგო. იქ მასწავლებელი და ფაკიჰები<sup>142</sup> არიან. მის ყოველ ფაკიჰს პირობა აქვს ყოველ თვეში ერთ თავ ცხვარსა და ერთ ქვაბ ას-სულთზე. ჰყვებიან, რომ მათ ალ-მუზანის „მუხთასარ“ ლეკურ ენაზე გადაწერეს, ასევე – იმამ აშ-შაფიის წიგნი და ორივეს იყენებენ<sup>143</sup>.

# შენიშვნები

„აჯვ'იბ ალ-მახლუკნთ ვა ღარა'იბ ალ-მავეჯუდნთ“

## I

1. ხაზართა ზღვა – კასპიის ზღვა. ხაზართა ზღვის სახელწოდება მიიღო ადრეულ შუა საუკუნეებში მის ჩრდილოეთით მცხოვრებ, ხალხთაგან (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 4, I). იაკუტს ამ ზღვის უფრო ვრცელი სახელწოდებები აქვს ჩამოთვლილი ვიდრე ზაქარია ალ-ყაზვინის. იაკოტის მიხედვით ხაზართა ზღვას უწოდებდნენ აგრეთვე ტაბარისტანის, ჯურჯანის (ამას ზაქარია ალ-ყაზვინიც აღნიშნავს), აბასქუნის, ხორასნისა და ჯილის (ანუ ჯილანის, სპარს. გილანის) ზღვას. მისივე გადმოცემით ზოგიერთი ხაზართა ზღვას ხორასნის მორევესაც (დუვვარა) უწოდებდა. ხაზართა ზღვის სახელი სპარსულად იმავე იაკუტის ცნობით (ჰამზაზე დაყრდნობით) ზარაქფუდა თუ აქფუდა დარიავი ყოფილა. არისტოტელე მას არკანას უწოდებდა, წერს იაკუთი, ხოლო ზოგი – ხვარაზმის ზღვასაც. მაგრამ ეს ის არაა, სამართლიანად აღნიშნავს იაკუთი, რადგან ხვარაზმის ტბა სხვა არისო (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 500; თ ა რ გ მ ., გვ., 26–27). ხვარაზმის ტბას არაბი და სპარსელი ავტორები ჩვეულებრივ არალის ზღვას ეძახდნენ. (W. Barthold, EI, I, გვ. 604; В. В. Бартольд, Соч., т. III, М., 1965, გვ. 367). მოგვიანო ხანაში, მონღოლთა ბატონობის დროს, ხაზართა ზღვას შირვანის ზღვასა და ბაქოს ზღვასაც ეძახდნენ (G. le Sirange, გვ. 22; В. В. Бартольд, იქვე).

დამატებთ იხ.: ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 217-227 (სხვათა შორის, ალ-ისტახრის ნაშრომიდან იაკუტს მასალა მოაქვს ხაზართა ზღვასთან და-

51

კავშირებით (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 500–501; თარგმ., გვ. 27–28); ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 276–287; ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 7–8; ა ლ - მ ა ს უ დ ი , თანბიჰ, გვ. 60–66; ჰ უ დ უ დ ა ლ - ა ლ ა მ ი ; V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953; მისივე, История Ширвана и Дербенда X–XI веков, М., 1963; D. M. Dunlop, History of the Jewish Khazars, Princeton, 1954; მ ი ს ი ვ ე , E I, N E, I, გვ. 931; А. П. Ковалевский, Книга Ахмеда ибн-Фадлана о его путешествии на Волгу В 921–922 гг., Харьков, 1956.

2. არაბი ავტორები ტაბარისტანს უწოდებენ კასპიის ზღვის სამხ-

რეთით, სანაპიროზე მდებარე ტერიტორიას, თანამედროვე მაზანდარანს. უკვე იაკუთი აღნიშნავს, რომ ტაბარისტანს აგრეთვე მაზანდარანს უწოდებენ, მაგრამ ის კი არ იცის, თუ როდის ეწოდა მაზანდარანი, ძველ წიგნებში ეს სახელი არ მინახავსო. ისე კი უეჭველია ორივე სახელწოდება ერთსა და იმავე პროვინციას ეწოდებო (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 502).

ზაქარია ალ-ყაზვინის თავის ნამრომში ორ ადგილას აქვს მოტანილი მასალა ტაბარისტანზე (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 144–145, 270–272) და აღნიშნავს, რომ მას სპარსელები (ალ-აჯამ) მაზანდარანს ეძახიანო (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 270). იმავე ზაქარია ალ-ყაზვინის განმარტებით ტაბარისტანს ეკავა ტერიტორია, მდებარე ალ-ირაკსა და ხორასანს შორის (გვ. 144), ხოლო მეორე ადგილას ზაქარია ალ-ყაზვინი კვლავ ეხება ტაბარისტანის მდებარეობას და აღნიშნავს, რომ იგი რეის, კუმსა და ხაზართა ზღვას შორის იყო მოქცეული (გვ. 270).

იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი ტაბარისტანის სიგრძე-სიგანესაც იძლევა. მისი თქმით, ტაბარისტანის სიგრძე იყო 36 ფარსახი, ხოლო სიგანე – 20 ფარსახი (ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 304). თუ ფარსახის სიგრძედ 6–7 კმ მივიღებთ, მაშინ ტაბარისტანის სიგრძე ყოფილა 216–252 კმ, ხოლო სიგანე – 120–140 კმ. მაშასადამე, ტაბარისტანის მთლიანი ფართობი იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის მიხედვით შეადგენდა 25920 კვ კმ, ან 30240 კვ კმ თუ 35280 კვ კმ. ფართობზე გადაანგარიშებისას გვრჩება მხოლოდ მისი სამი ვარიანტი, ვინაიდან 216 კმ X 140 კმ და 252 კმ X 120 კმ გვაძლევს ერთსა და იგივე ფართობს.

ამავე დროს არაბ ავტორებს მოცემული აქვთ ცდა სახელწოდება „ტაბარისტანის“ ეტიმოლოგიის ახსნისა, თუმცა ეს ეტიმოლოგიები,

52

როგორც ჩანს, ხალხური გადმოცემებიდან უნდა მომდინარეობდეს და ამიტომ მათი მიღება ერთობ საეჭვო ხდება. იაკუთი განმარტავს, მაგ., რომ სახელი „ტაბარისტან“ არაბიზირებული სპარსული შედგენილი სიტყვა უნდა იყოს, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვებიდან „ტაბარ“ – „ნაჯახ“ და „ზანან“ ---- „ქალები“ აქედანაა თითქოს მიღებული სახელწოდება „ტაბარზანან“. მას შემდგომში „ტაბარისტანის“ არაბული ფორმა მიუღია (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 503). ასეთია იაკუთის ერთ-ერთი ვარიანტი სახელწოდება „ტაბარისტანის“ წარმოშობასთან დაკავშირებით. მეორე ცნობის მიხედვით „ტაბარისტან“ ასევე სპარსული შედგენილი სიტყვაა, სადაც „ტაბარ“ იგივე „ნაჯახს“ ნიშნავს, ხოლო „ისტან“ „ადგილის“ ან „ოლქის, პროვინციის“ (ნ ა ჰ ი დ ა ) აღმნიშვნელი სიტყვაა. მაშასადამე, თარგმანში „ტაბარისტან“ „ნაჯახის ადგილს, ოლქს, პროვინციას“ ნიშნავს (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 501). ასევე გადმოგვცემენ „ტაბარისტანის“ ეტიმოლოგიას იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი (გვ. 301–302) და ზაქარია ალ-ყაზვინი, მხოლოდ ზაქარია ალ-ყაზვინი მიუთითებს, რომ სიტყვა „ტაბარ“ არაბიზირებული „თაბარია“ (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 270).

დამატებით იხ.: ა ლ - ბ ა ლ ა ზ უ რ ი , გვ. 335–340; ა ლ - მ უ - კ ა დ დ ა ს ი , გვ. 354; F. C. Murgotten, The Origins of the Is-

lamic State, New York, 1924, II, გვ. 39–48; G. le Strange, გვ. 7, 173, 175, 368–376; C I. Huart, EI; IV, გვ. 627.

3. ჯურჯანი (სპარსული გორგანი) მდებარეობდა კასპიის ზღვის ნაპირზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, როგორც ამას თვით ზაქარია ალყაზვინიც თითქმის სწორად აღნიშნავს. შუა საუკუნეების ჯურჯანი არსებითად ემთხვევა თანამედროვე ასთარაბადის ოლქს (R. Hartmann [J. A. Boyel], EI, NE, II, გვ. 1141).

ჯურჯანზე შედარებით ვრცლად ლაპარაკობენ და მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი და იაკუთი (ალ-ისტახრი, გვ. 211–212; იბნ ჰაუკალი, გვ. 272–273; იაკუთი, II, გვ. 49). მაგ., ჯურჯანში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აბრეშუმის წარმოება, ხოლო ქალაქი ჯურჯანი, პროვინციის უდიდესი ქალაქი თავის დროზე, აღმოსავლეთში, ერაყში მდებარე ქალაქებს შემდეგ შეუდარებელი ყოფილა თავისი ნაყოფიერებითა და მოსავლიანობით. ასევე ახასიათებს ჯურჯანის ოლქს ზაქარიას ალყაზვინი

53

(II, გვ. 233–235), ცხადია, ამას ხელს უწყობდა პროვინციის საუკეთესო ბუნებრივი პირობები, რაზედაც, არაბი ავტორები წერენ.

დამატებით იხ.: იაკუთი, I, გვ. 242; G. Melgunov, Das südliche Ufer des Kaspischen Meeres, Leipzig; 1868, o4. 101–124; H.L. Rabino, Māzandārin and Astāribād, London; 1928, გვ. 71–75; EI, I, გვ. 1112; G. le Strange, გვ. 7, 8, 173, 369, 316–381.

4. ხაზართა ქვეყანა მდებარეობდა ვოლგისპირეთში, ხოლო მისი მთავარი ქალაქი ითელე – ვოლგის შესართავთან. ხაზართა ეთნიკური კუთვნილება დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ ჩანს. არცთუ მაინცადამაინც დიდი ხნის წინათ აკად. ვ. ბარტოლდი ამ საკითხს სულად გადაუჭრელად თვლიდა (В. В. Бартольд, Соч., т. V, М., 1968, გვ. 597). თანამედროვე ფრანგ მკვლევარს კლოდ კაენს ხაზართა სახელმწიფო ნახევრად თურქულ სახელმწიფოდ, მიაჩნია (Cl. Cahen; EI, NE, II, გვ. 1107), თუმცა საკითხის ამგვარად დაყენება არ ნიშნავს ხაზართა ეთნიკური კუთვნილების გარკვევას.

ეს საკითხი არც არაბ ავტორთათვის იყო ნათელი. ამით „ახსნება ის გარემრება, რომ – ხშირად ისინი გადმოსცემენ ხაზართა ზნე-ჩვეულებებსა თუ ადათის შესახებ, ნაწილობრივ ეხებიან კიდევ ხაზართა სახელმწიფოებრივ წყობილებას, სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს, გადმოგვცემენ ხაზართა შორის გავრცელებულ რელიგიურ სარწმუნოებებზე, მაგრამ ვერაფერს ამბობენ გადაჭრითა და გარკვევით ხაზართა ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ესმაშინ, როცა ხაზართა მესახებ ჩვენ გვაქვს ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორც არის აჰმად იბნ ფადლანის, ხალიფა მუკთადირის ელჩის ვოლგისპირეთში 921–922 წწ., შესამღებელია, არა თვითმხილველისა, მაგრამ პირისა, რომელსაც თავისე მოგზაურობის დროს ვოლგაზე ალბათ ბევრი სმენია ხაზართა შესახებ, თხზულება, გამოცემული სამჯერ 1924 წ. იმამ ალი რიზას მეჩეთის ბიბლიოთე აღმოჩენილი მამუკადის

ხელნაწერის მიხედვით (იხ. «Путешествие Ибн-Фадлана на-Волгу», перевод и комментарий под редакцией академика И. Ю. Крачко-вского, М.-Л., 1939; იმავე 1939 წ. გამოქვეყნდა იბნ ფადლანის ნაშრომის გერმანული გამოცემა: A. Zeki Validi Togan, Ibn Fadlān's Reisebericht, AKM, XXIV, 3, Leipzig, 1939; 1956 წ. პროფ. ა. კოვალევსკიმ კვლავ განახორციელა იბნ ფადლანის ნაშრომის ამ ხელნაწერის გამოცემა, მაგრამ ამჯერად უფრო ფართო გეგმით. კერძოდ, მან თავის, ახალ გამოცემაში, გარდა მამზადის ხელნაწერისა, გამოიყენა აგრეთ-

54

ვე იაკუთისა და სპარსელი ავტორების ნაჯიბ ჰამადანისა და ამინ რაზის მონაცემებიც სხვადასხვა ვარიანტების შეჯერებისა და კრიტიკული ტექსტის დადგენის მიზნით: А. П. Ковалевский, Книга Ахмеда Ибн-Фадлана о его путешествии на Волгу в 921–922 гг., статьи, переводы, комментарии, Харьков, 1956.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად რაღა შეიძლება ითქვას ისეთ ავტორებზე, როგორც არიან ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო ალ-ისტახრის თხზულებაზე და იგი არსებითად ალ-ისტახრის ნაშრომის მხოლოდ რედაქტორი იყო, თუმცა იბნ ჰაუკალმა ერთგვარი დამატებებიც დაურთო ალ-ისტახრის გეოგრაფიულ ნაწარმოებს, იაკუთი და ზაქარია ალ-ყაზვინიც.

ცნობილია, რომ აკად. ვ. ბარტოლდის აზრით ალ-ისტახრისა და იბნ ჰაუკალის წყაროს წარმოადგენდა აჰმად იბნ ფადლანის რისალა, როგორც იბნ ფადლანის ნაშრომს მკვლევარი უწოდებს (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 600). იაკუთის წყაროც საკუთრივ იბნ ფადლანის ნაშრომია. ამაზე თვით იაკუთიც მიუთითებს (იაკუთი., II, გვ. 436; თარგმ., გვ. 47). ერთი წყაროდან მომდინარეობით აიხსნება ის გარემოება, რომ ალ-ისტახრის ტექსტი თითქმის არ განსხვავდება იაკუთის ტექსტისაგან. ამ ორი ავტორის ტექსტებს შორის შეიმჩნევა მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებანი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. ალ-ისტახრი ამბობს, რომ ხაზართა ხაკანს. შვიდი: მსაჯული ჰყავდა (გვ. 221). იაკუთთან ცხრა მსაჯულეა მითითებული (გვ. 437; თარგმ., გვ. 48). ალ-ისტახრი ითილის აღწერილობასთან ერთად (გვ. 222) აღწერს აგრეთვე სამანდარს, (გვ. 222–223) და მოტანილი აქვს ცნობა სარირთა შესახებ (გვ. 223). იაკუთს კი სამანდარის აღწერა და მასალა სარირთა შესახებ მოცემული აქვს თავებში სამანდარზე და სარირთა შესახებ (III, გვ. 88, 143).

ზაქარია ალ-ყაზვინის მასალა სრულიად მცირეა და სულ რამდენიმე სტრიქონს შეიცავს (II, გვ. 393).

როგორც ჩანს, ხაზართა სახელმწიფო ეთნიკურად ქრელი იყო და სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ხალხთაგან იყო შემდგარი. ერთი კი ცხადია, რომ ხაზარები ოთხ რელიგიურ სარწმუნოებას აღიარებდნენ – იუდეველობას, რომელსაც არაბული წყაროების მიხედვით ხაზართა უზენაესი მბრძანებელი ხაკანი და მისი გარემოცვა, მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენლები მისდევდნენ, ქრისტიანობას, ისლამსა და კერპთაყვანისმცემლობას.

ხაზართა შესახებ ახლა აქ მეტს არაფერს ვიტყვით, ვინაიდან მათ შესახებ არსებული ზოგი მასალა თარგმანებშია მოცემული და ჩვენთვის სა-

ვსებით ხელმისაწვდომი. ამიტომ ამჯერად აღნიშნულ მასალაზე მხოლოდ მითითებით დავკმაყოფილდებით, თანაც დავასახელებთ რამდენიმე სპეცი-  
ალური ხასიათის ნაშრომს რომელნიც ხაზართა ისტორიას შეიცავენ:

ალ-ისტახრი, გვ. 10, 220–225; იბნ-ჰაუკალი, გვ. 276–  
277; იაკუთი, II, გვ. 436–440; თარგმ., გვ. 47–51; А. П. К о в а -  
л е в с к и й, Книга Ахмеда Ибн-Фадлана..., გვ. 140–141, 146–148;  
V. M i n o r s k y, Studies in Caucasian History, გვ. 32–33, 42, 69,  
74; D. M. D u n l o p, History of the Jewish Khazars; М. И. А р -  
т а м о н о в, История хазар, Л., 1962; В. Ф. М и н о р с к и й,  
История Ширвана и Дербенда X–XI веков, გვ. 142–145; Б. Н.  
З а х о д е р, Каспийский свод сведений о Восточной Европе, т. II,  
Булгары, мадьяры, народы Севера, печенеги, русы, славяне. М.,  
1967.

5. იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 39, I.

6. იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 37, I.

7. ალ-ჯაბალს, ჩვეულებრივ მრავლობით ფორმაში ალ-ჯიბალს,  
რაც „მთებს“ ნიშნავს არაბულად, არაბები უწოდებდნენ სპარსეთის  
ერაყს, ‘ირან კ’აჯამნ, არაბული ერაყისაგან, სამხრეთ მესოპოტამიისაგან,  
განსასხვავებლად. შუა საუკუნეებში, ალბათ მეტ-ნაკლები ცვალება-  
დობით, ალ-ჯიბალი მოიცავდა ტერიტორიას, ძველადმოსავლურ სამ-  
ყაროში ცნობილს სახელწოდებით მჰჰ (ძველი მიდია). ალ-ჯიბალი და-  
სავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა არაბულ ერაყს,  
ჩრდილო-დასავლეთით – აზერბაიჯანს, ჩრდილოეთით – ალბურცის  
მთებს, აღმოსავლეთით – ხორასნის უდაბნოს, სამხრეთ-აღმოსავლე-  
თით – ფარსს, ხოლო სამხრეთით – ხუზისტანს.

ალ-ჯიბალის პროვინცია, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარისა,  
მდებარეობდა მთებში, რის გამოც მან თავისი სახელწოდება მიიღო.

იხ. იბნალ-ფაკიკ ალ-ჰამადანი, გვ. 209; ალ-ის  
ტახრი, გვ. 195; იბნ ჰაუკალი, გვ. 255, 355; იაკუთი, II,  
გვ. 15–16, 22; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 228–233; G.  
l e S t r a n g e, გვ. 5, 185–231, 249; Cl. H u a r t, EI, I, გვ.  
1085–1086; L. L o c k h a r t, ET, NE, II, გვ. 534.

56

8. დაილამი მდებარეობდა კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით.  
იგი წარმოადგენდა ჯილანის (სპარსული გილანი) პროვინციის მთაგო-  
რიან ნაწილს (ალ-ისტახრი, გვ. 204, 205, 206; იბნ ჰაუკალი,  
გვ. 267, 268; ალ-მუკადდასი, გვ. 353; იაკუთი, I, გვ. 174, 812.  
II, 179, 711; III, 571).

იბნ ჰაუკალის გადმოცემით დაილამს სამხრეთით ესაზღვრებოდა  
ყაზვინი, ტარმი და აზერბაიჯანი და რეის ტერიტორიის ნაწილი, ად-  
მოსავლეთით – რეი და ტაბარისტანი, ჩრდილოეთით ეკვროდა ხაზარ-



თა ზღვა, ხოლო დასავლეთით – აზერბაიჯანისა და რანის საზღვრები.

ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით დაილამი ეკუთვნოდა ალ-ჯიზალის პროვინციას (იხ. შენიშვნ. 7, I). დაილამის მცხოვრებთ ზაქარია ალ-ყაზვინი მეტად ცუდად ახასიათებს და მათ სულელებსა და უმეცრებს უწოდებს. მათ შორის მუდმივად ჩხუბს ჰქონია ადგილი და სისხლის აღების წესიც ყოფილა გავრცელებული (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 221).

იხ. J. Marquart, *Ēiānšahr*, გვ. 126; G. Le Strange, გვ. 172–174, 218, 225; V. Minorsky, *EI, NE, II*, გვ. 189–s 194; მისივე, *La domination de Dailamites, Iranica, Publication Cf the University of Tehran, Vol. 775, 1964*, გვ. 12–30; C. I. Hart, *EI, I*, გვ. 934.

9. ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობას იმის შესახებ, რომ ხაზართა ზღვას არც ერთი ზღვა არ უერთდება, კაცი მას შემოუვლის და კვლავ თავის პირვანდელ ადგილს დაუბრუნდება, ხაზართა ზღვას არა აქვს მოქცევა და უკუქცევა, მასში არავითარი ძვირფასი ქვები არ მოიპოვება და არის დაუსახლებელი კუნძულები, რომლებიც დაფარულია უღრანი ტყეებით, წყლებითა და ბუჩქნარებით, თითქმის შეუცვლელად გადმოგვცემს აგრეთვე იაკუთი, თუმცა მისი მასალა ოდნავ უფრო ვრცელია. მაგ., იაკუთი ხაზართა ზღვის დამახასიათებელ ნიშნებს ადარებს წითელი ზღვისა (ბაჰრ ალ-კულუზუმ) და სპარსეთის ყურისას (ბაჰრ ჭარის), ანდა იმასაც ამბობს, რომ სპარსეთის ყურისა და ხმელთაშუა ზღვის (ბაჰრ არ-რუმ) კუნძულები დასახლებულია, ხოლო ხაზართა ზღვისა კი არა (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 500–501; თ ა რ გ მ ., გვ. 27–28).

10. ვ. ჰინცის მონაცემებით ფარსახი უდრის 6 კმ, მილი კი – 2 კმ (В. Х и н ц , *Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, М., 1970*, გვ. 71, 72). მაშასადამე, ზაქარია ალ-ყაზვინის

57

ცნობით, თუ ხაზართა ზღვის წრეხაზი შეადგენდა 1500 ფარსახს, კილომეტრებში იგი უდრის 9000 კმ, ხოლო ზღვის სიგრძე 800 მილი და სიგანე 600 მილი გადამრავლებული 2 კმ შეადგენს შესაბამისად 1600 კმ და 1200 კმ. ზაქარია ალ-ყაზვინის ეს ცნობა გადაჭარბებულია, ვინაიდან თანამედროვე მონაცემების მიხედვით კასპიის ზღვის სიგრძე მერიდიანით შეადგენს დაახლოებით 1200 კმ, მისი საშუალო სიგანეა 300 კმ და ზღვის აუზის ფართობია 3,6 კმ<sup>2</sup> (Б С Э , m. 20, გვ. 325).

იაკუთის ცნობა ხაზართა ზღვის წრეხაზზე ემთხვევა ზაქარია ალ-ყაზვინის. მაგრამ იაკუთთან მოცემულია ზღვის მხოლოდ რადიუსის ზომა – 100 ფარსახი ანუ 600 კმ (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 501; თ ა რ გ მ ., გვ. 28). როგორც ჩანს, ზაქარია ალ-ყაზვინის, გაცილებით უკეთესი წარმოდგენა ჰქონდა კასპიის ზღვის ფორმაზე, ვიდრე იაკუთს. ამ ცოდნის გამოა, რომ ზაქარია ალ-ყაზვინი არ კმაყოფილდება ხაზართა ზღვის მხოლოდ რადიუსის ან სიგანის ზომის გადმოცემით და იგი მის სიგრძესაც აღნიშნავს, თუმცა არასწორად. ზაქარია ალ-ყაზვინი მომდევნო წინადადებაში ხაზს უსვამს კიდევ, რომ ხაზართა ზღვას ელიფსის ფორმა აქვსო. მაშასადამე, მან კარგად იცოდა, რომ ხაზართა

ზღვას მრგვალი ფორმა არ ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ მისი რადიუსის გადმოცემა საკმარისი არ იყო.

11. აბუ ჰამიდ ალ-ღარნატი, მუჰამმად იბნ აბდ არ-რაჰმან (ვარიანტი არ-რაჰიმ) იბნ სულაიმან ალ-მაზინი ალ-კაისი, ანდალუსიელი მოგზაური. აქედანაა მისი ნისბა ალ-ანდალუსი, რომელსაც, ზაქარია ალ-ყაზვინი ხმარობს. მის შესახებ მცირე ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება და ის, რაც მასზე არის ცნობილი, ამოკითხულია აბუ ჰამიდ ალ-ღარნატის თხზულებებში. დაბადებულია გრანადაში 473/1080 წ. ჩანს, ახალგაზრდობა მან გაატარა თავის მშობლიურ ქალაქში, ხოლო შემდეგ ოცდაათი წლის ასაკში მიატოვა იგი და მას არასოდეს აღარ დაბრუნებია. სარდინიისა და სიცილიის გავლით 511/1117–1118 წ. ჩავიდა ალექსანდრიაში, მოგვიანებით კი 515/1123 წ. – კაიროში. ერთ ხანს დამასკოშიც ცხოვრობდა, ჩავიდა ბაღდადში და იქ ოთხ წელიწადს დაჰყო. 524/1130 წ. მოინახულა აბჰარი, სპარსეთი და ვოლგის შესართავი. სამი წელი, 548/1153 წლამდე, დაჰყო უნგრეთში. იმოგზაურა აღმოსავლეთ ევროპაში, იყო რუსეთშიც, ხორეზმში, ბუხარაში, ნიშაბურს, რეის, ისფაჰანსა და ბასრაში, მიაღწია არაბეთს და როგორც მუსლიმმა მოიხადა თავისი სარწმუნოებრივი ვალი საღვთო ქალაქ მექაში. 550/1155 წ. ბაღდადში დასახლდა, შემდგომი ექვსი წელი გაატარა მოსულში. ბაღდადსა და მოსულში ყოფნისას აბუ ჰამიდ ალ-

58

ანდალუსიმ შექმნა ორი თხზულება, რომლებმაც მის ავტორს ნამდვილი დიდება მოუტანეს (ამ თხზულებებზე იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 21, I). თავისი ცხოვრების ბოლო ხანს ალ-ღარნატი ჩავიდა სირიაში, ერთ ხანს დაჰყო ალეპოში, დამკვიდრდა დამასკოში საბოლოოდ და იქვე გარდაიცვალა 565/1169–1170 წ.

იხ. GAL, S, I, გვ. 877–878; E. Lévi - Provençal, EI, NE, I, გვ. 122; 1. Ю. Крачковский, Избранные сочинения т. IV, М.-Л., 1957, გვ. 299–302.

12. ამჯერად ჩვენ გვიჭირს დანამდვილებით ვთქვათ, თუ ხაზართა ზღვაში მდებარე რომელ მთას გულისხმობს ზაქარია ალ-ყაზვინი. იხ. შენიშვნ. 14, 1.

13. დანიკი – წონის ერთეული იგი შეადგენდა დირჰამის ან უფრო ხშირად დინარს 1/6-ს (В. Хинц დასახ. ნაშრ., გვ. 20). ამრიგად, როგორც ჩანს, ზაქარია ალ-ყაზვინის მიერ აღწერილი წინწილის მსგავსი დანიკი არ ყოფრილა, მაინცდამაინც დიდი ზომის.

14. სიდჰქუჰს (სიდჰჰქუჰი, სიდჰჰქუჰა, – სხვადასხვა დამწერლობით არაბულში) ჩვეულებრივ აიგივებენ თანამედროვე მანგიშლაკთან, მაგრამ ეს გაიგივება ამჟამად საეჭვოდ მიაჩნიათ (ჰუდუდალ-ალამი, გვ. 193; EI, NE, I, გვ. 931). სიაჰქუჰი იაკუთის განმარტებით სპარსული სიტყვაა და შავ მთას ნიშნავს. მისივე გადმოცემით ამ დიდ კუნძულზე წყაროები, ხეები, უღრანი ტყეები და სასმელი წყლებია. მიუხედავად ამისა, კუნძული რატომღაც არ ყოფილა სტუმართმოვე-

ვარე. ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობის მსგავსად იაკუთიც იტყობინება, რომ მასზე დასახლებული იყვნენ ოღუზი თურქები და იგი მდიდარი იყო გარეული საჯდომი ცხოველებით (იაკუთი, III, გვ. 208). იაკუთის ცნობით, რეისა და ისფაჰანს შორის აგრეთვე მსგავსი სახელწოდების მაღალი მიუვალი მთა მდებარეობს, რომელიც მეკობრეთა თავშესაფარი ყოფილა. შესაძლებელია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინიმ ამ ორ მთათაგან ერთ-ერთი მიიჩნია ხაზართა ზღვაში მდებარე ცალკე მთად.

იხ. აგრეთვე იბნ რუსთა, გვ. 91; იბნ ჰაუკალი, გვ. 277.

15. ამასვე იტყობინება იაკუთი (იქვე). არც ზაქარია ალ-ყაზვინისათვის და არც იაკუთისათვის, ჩანს, ნათელი არ იყო, თუ თურქულ

59

ტომთა შორის რომელი განსეთქილების გამო მოხდა ოღუზი თურქების (არაბ. წყაროების ალ-ღუზუ) გადასახლება კუნძულზე. ამიტომ ჩვენც გვეიძნებება გადაჭრით დასახლება თურქულ ტომთა შორის ჩამოვარდნილი იმ უთანხმოებისა, რომელიც აღნიშნულ არაბ ავტორებს აქვთ მხედველობაში. ვფიქრობთ კი, რომ ისინი აქ ეხებიან თურქულ ტომთა შორის მომხდარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოძრაობას. ამ მოძრაობის შედეგად VII ს. დასაწყისში აღმოსავლეთის თურქები გამოეყვნენ დასავლეთისას და შექმნეს ცხრა თურქული ტომის პოლიტიკური გაერთიანება. თუ ზაქარია ალ-ყაზვინი და იაკუთი ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზე ლაპარაკობენ, ცხადია, რომ ოღუზი თურქების გადასახლება კუნძულზე მათ მოჰყავთ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტი ახალი ტერიტორიის დაკავებისა ოღუზი თურქების მიერ.

ისევე როგორც დასავლეთის თურქები უმეტესწილად მომთაბარენი იყვნენ (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის არ იყვნენ აგრეთვე ისეთი ჯგუფები, რომელნიც ინტენსიურ მეურნეობას მისდევდნენ. ასეთი ჯგუფები ძირითადად დასახლებული იყვნენ ოაზისებში, ანუ იქ, სადაც მიწის დამუშავების სათანადო პირობები იყო.), ასევე აღმოსავლეთის ოღუზი თურქებიც მომთაბარე მეჯოგე ტომებისაგან შედგებოდნენ.

ოღუს თურქებში ეთნიკურად თურქული ელემენტი ჭარბობდა. მაგრამ მათ უნდა შერწყმოდათ ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე. ადრევე მცხოვრები ხალხები და არათურქული წარმოშობის ოღუზთა პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალი ეთნიკური ჯგუფები. ოღუზთა წარმომავლობის საკითხი კარგა ხანს გაურკვეველი იყო. პროფ. კლოდ კაენს მიაჩნია, რომ ამ საკითხში სიცხადე შეიტანა ჯ. ჰამთილტონმა (EI, NE, II, გვ. 1106).

სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად. თურქები და მათ შორის ოღუზი თურქებიც თავის დროზე სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების დიდ გავლენას განიცდიდნენ – მანიქეველობისას, ნესტორიანობისას, ბუდიზმისას, ქრისტიანობისას და ხაზართა იუდეველობისას. ისლამი მათ X ს. დასასრულისათვის უნდა მიეღოთ.

თურქთა და განსაკუთრებით ოღუს თურქთა შესახებ მასალა თითქ-

მის ყველა არაბ ავტორს მოეპოვება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავ-  
მოყრილია ნაშრომში В. И. Беляев, Арабские источники по ис-

60

тории туркмен и Туркмении, I, М. Л., 1939; იხ. აგრეთვე ზ ა ქ ა -  
რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II გვ. 394-395; ი ა კ უ თ ი , III, გვ. 208;  
ნ. შენგელ ი ა , სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ.,  
1968, გვ. 62 შმდგ.; А. П. К о в а л е в с к и й , დასახ. ნაშრ.

16. სალლამ ათ-თარჯუმანი, რაც ქართულად სალლამ მთარგმ-  
ნელს, თარჯიმანს ნიშნავს, ხალიფა ალ-ვასიკს გაუგზავნია ალექსანდ-  
რე მაკედონელის მიერ აგებული ჯებირის მოსანახულებლად, რომე-  
ლიც მას სიხმარში უნახავს თითქოსდა დანგრეულიყოს. ექსპედიცი-  
ის შემადგენლობაში ყოფილა 50 კაცი. ხალიფას თან მიუცია მათთვის  
5000 დირჰამი, ალბათ სხვადასხვა საჭიროებისათვის, და 10000 დირ-  
ჰამიც პირდაპირი დანიშნულებისათვის. გაუყოლებია აგრეთვე 2000  
ჯორი სურსათისა და წყლის გადასაზიდად. ექსპედიცია არმინიის გამ-  
გებლისა და თბილისი ამირის ცნობილი და ბედკრული ისჰაკ იბნ  
ისმაილის სახელზე შედგენილი ბარათით, რომელშიც ხალიფა ექსპე-  
დიციისათვის ყოველმხრივ დახმარებას მოითხოვდა, სამარადან გამო-  
სულა და ისჰაკ იბნ ისმაილს, როგორც ჩანს, თბილისს ჰხლებია. მას  
სალლამ ათ-თარჯუმანისათვის დახმარება აღმოუჩენია და სარირთა  
მბრძანებლისათვის ბარათიც მიუწერია. სარირთა გამგებელს ალანთა  
ხელმწიფისათვის მიუწერია ბარათი, მას კი თავის მხრივ – ფილანშა-  
ჰისათვის. ამ უკანასკნელს კი ექსპედიციისათვის ბარათი გაუტანე-  
ბია ხაზართა მეფესთან. ხაკანს ხუთი გამცილებელი გაუყოლებია და  
ექსპედიციის წევრებიც 26 დღის მგზავრობის შემდეგ, სალლამ ათ-  
თარჯუმანის სიტყვებით, რომელიდაც ამყრალებულ შავნიადაგიან ქვე-  
ყანას მისდგომიან, რომლის მყრალი სუნისაგან მათ თავი გამცილე-  
ბელთა რჩევით ძმრით დაუცავთ. ამ ქვეყანაში ათი დღის მგზავრობის  
შემდეგ მისდგომიან დანგრეულ ქალაქებს. აქაც 27 დღე უმოგზაურიათ  
და ბოლოს გამცილებლებისათვის უკითხავთ ამ ქალაქების დანგრევის  
მიზეზი. მათ უპასუხიათ, რომ ეს ქალაქები გოგმა და მაგოგმა დაანგ-  
რიესო (არაბ. მაჯუჯ ვა მაჯუჯ – იხ. შენიშვნ. 24, I). შემდეგ გადა-  
სულან მთასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ციხესთან, რომელიც ამ  
მთის ერთ-ერთი ხეობის დასაცავად ყოფილა აშენებული. მისგან  
ცოტა დაშორებით ექსპედიცია წააწყდა ციხე-სიმაგრეებს, რომლის  
მუსლიმი მოსახლეობა ლაპარაკობდა არაბულად და სპარსულად, კი-  
თხულობდა ყურანსა და ჰქონდათ მეჩეთები და დაწყებითი საშუალო  
სასწავლებლები. მცხოვრებლებს კითხვით მიუმართავთ ექსპედიცი-  
ის წევრებისათვის, თუ საიდან ჩამოვიდნენ ისინი და საითკენ მიემარ-  
თებიან უპასუხნიათ, რომ ისინი არიან მართლმორწმუნეთა ამირის

61

წარგზავნილები. ციხე-სიმაგრეთა მცხოვრებლებს მათი პასუხი გაკვი-  
რვებითა და უკითხავთ: მართლმორწმუნეთა ამირის? ექსპედიციის წევ-  
რებს უპასუხნიათ: დიახ! მაგრამ მათ უკითხავთ აგრეთვე: მოხუცია ის

თუ ახალგაზრდა? ექსპედიციის წევრებს უთქვამთ, რომ იგი ახალგაზრდა არისო. მცხოვრებლებს უკითხავთ, თუ სად იმყოფება მართლმორწმუნეთა ამირიო. სალლამ ათ-თარჯუმანსა და მის თანმხლებ პირთ უთქვამთ, რომ იგი ცხოვრობს ერაყში, ქალაქში, რომელსაც სურრა მან რა'სს (ანუ სამარას) ეძახიანო. ამაზე არაბ და სპარსელ მოსახლეობას უპასუხნია, რომ მის შესახებ არასოდეს არაფერი გვსმენიაო,

ექსპედიციის მეთაურის სალლამ ათ-თარჯუმანის თხოვრებას მისი და მისი ექსპედიციის მოგზაურობის შესახებ ხალიფა ალ-ვასიკის ბრძანებით ალექსანდრე მაკედონელის ჯებირთან კიდევ სხვა დეტალებიც გააჩნია, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ვინაიდან ხალიფა ალ-ვასიკი ტახტზე იჯდა 227/842 – 232/847 წწ., ცხადია, რომ ამ ექსპედიციის გამგზავრებაც აღნიშნულ წლებში უნდა მომხდარიყო. თვით სალლამ ათ-თარჯუმანის განცხადებით ექსპედიციის მგზავრობა წელიწადნახევარი თუ 28 თვე გაგრძელებულა. ზუსტი თარიღი გამგზავრებისა და ექსპედიციის უკან დაბრუნების წყაროებში, სამწუხაროდ აღნიშნული არ არის. არც სხვა რაიმე ცნობა სალლამ ათ-თარჯუმანის შესახებ ჩვენთვის ცნობილი.

არც იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, თუ რამდენად სარწმუნოა თითქოსდა სალლამ ათ-თარჯუმანის ზემოთ მოტანილი ცნობა. ასეთი ექსპედიცია, რომ ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო გაგზავნილი ხალიფას მიერ ე. წ. ალექსანდრე მაკედონელის ჯებირის მოსანახულებლად, რომლის დანგრევას სიზმარში ძალზე შეუშინებია აბასელი ხალიფა, გასაკვირი არაფერია. მაგრამ ამაზე ქვემოთ ვიტყვით, როცა საკუთრივ ჯებირს შევხებით (იხ. შენიშვნ. 27, I).

იხ. იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 162–170; იაკუთი, III, გვ. 56–58; ზაქარი ალ-ყაზვინი, II, გვ. 401–402; იბნ ალ-ფაკიჰალ-ჰამადანი, გვ. 301; ალ-მუკადდასი, გვ. 362–365.

17. რიგით მეცხრე აბასელი ხალიფა აბუ ჯაფარ ჰარუნ იბნ ალ-მუთასიმ ალ-ვასიკ ბილაჰში მეფობდა 227/842–232/847 წწ. და გარდაიცვალა 32–36 წლის ასაკში. მისი მეფობის წლები მაინცდამაინც არაფრითაა ღირსშესანიშნავი. პირიქით, აღსანიშნავია მხოლოდ ის რომ ხალიფა ალ-ვასიკის დროს დაიწყო ფაქტიურად აბასელთა სახალიფოს დაცემის პროცესი, რომლის შეჩერება აღარავის შეეძლო,

62

ტახტზე ალ-ვასიკის ისეთ უშუალო მემკვიდრესაც კი, როგორც იყო ენერგიული ხალიფა ალ-მუთავაქქილი (232/847–247/861 წწ.) იგი, როგორც ცნობილია, სახალიფოს სამეფო კარზე მოძალებულმა თურქმა ჯარისკაცებმა გამოასალმეს სიცოცხლეს. თვით ფაქტი ისაკვ იბნ ისმაილის, თბილისის ამირის, განდგომისა ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ურჩობა და ცდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა IX ს. 50-იანი წლების დასაწყისში ზემოთ აღნიშნული გარემოების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ცხადია, თბილისის ამირს კარგად უნდა ცოდნოდა სახალიფოში შექმნილი ვითარება და იგი არ დააყოვნებდა, რომ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა. სულ სხვაა, რა თქმა უნდა, საკითხი იმის შე-

სახეზე, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისპაკი დამარცხებული აღ-  
მოჩნდა.

იხ. იაკუბი, თარხი, II, გვ. 584–590; იბნ ალ-ასირი, VI, გვ. 372, 376; VII, გვ. 6–7, 14–26; G. Weil, II, გვ. 337–346; W. Muir *The Caliphate: its Rise Decline, and Fall. A new and revised ed. by T. H. Weir*, Edinburgh, 1915, გვ. 519–522; K. V. Zettersteen, EI, IV, გვ. 1226–1227; Philip K. Hitti, *History of the Arabs*, London, 1946, გვ. 297, 318, 337, 351, 426, 466.

18. ბულგარელებს ეკავათ თანამედროვე მდინარე ვოლგის, არა-  
ბული წყაროების ითილის, შუა დინებაზე მდებარე ტერიტორია, ხა-  
ზართა ჩრდილოეთით. მათ შესახებ მდიდარ მასალას გვაწვდის ცნო-  
ბილი აჰმად იბნ ფადლანი. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სადღეისოდ  
გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, რაც უმეტესწილად იბნ ფად-  
ლანის მონაცემებზე არის დაფუძნებული, X ს., ანუ იმ დროისათვის,  
როცა ბულგართა ქვეყანაში იბნ ფადლანის ექსპედიციამ იმოგზაუ-  
რა, ადგილობრივ მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციაციის პრო-  
ცესი უკვე დასრულებულად ჩანს და შექმნილია კლასობრივი საზო-  
გადოება, ჩამოყალიბებულია სახელმწიფო, რომელსაც სათავეში,  
როგორც ჩანს, თითქმის განუსახლვრელი უფლებების მქონე მეფე  
ედგა ბულგარელები ამ დროისათვის თავისი საზოგადოებრივ-ეკო-  
ნომიური განვითარების ადრეფეოდალურ საფეხურზე იდგნენ. ამ  
მნიშვნელოვან მოვლენას ბულგართა საზოგადოებრივ-ეკონომიურ  
ცხოვრებაში უკავშირებენ საბჭოთა სპეციალისტები ბულგართა ის-  
ლამიზაციის პროცესს, რომელიც IX–X სს. უნდა დაწყებულიყო.

63

ბულგარელები ინტენსიურ სოფლის მეურნეობას მიწათმოქმე-  
დებას მისდევდნენ.

უცხოელ მკვლევართა აზრით (კლოდ კაენი, EI, NE, II, გვ. 1107) ეთნიკურად ბულგარელების მეტი ნაწილი თურქული ტომებისაგან  
შედგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ალ-მასუდი გადმოგვცემს, რომ ბულგარე-  
ლები თურქთა მოდგმას განეკუთვნებიანო (ალ-მასუდი, მურუჯ აზ-  
ზაჰაბ, II, გვ. 15). ამასთანავე ერთად საინტერესოა ისიც აღინიშნოს, რომ  
პროფ. ა. კოვალევსკის აზრით იბნ ფადლანის ტექსტში მოხსენიებული ერთ-  
ერთი ტომი, რომელიც „სუვან“-ად უნდა წავიკითხოთ და არა „სავან“-  
ად, როგორც ადრე იკითხებოდა, თანამედროვე ჩუვაში ხალხის წინაპა-  
რი უნდა ყოფილიყო (А. П. К о в а л е в с к и й, Чуваши и булга-  
ры по данным Ахмеда Ибн-Ф д л г н а, Чебоксары, 1954, გვ. 21–22).

პოლიტიკურ ურთიერთობაში ბულგარელებს გამუდმებული ქიშ-  
პი და წინააღმდეგობა ჰქონდათ სამხრეთ მეზობელთან – ხაზარებ-  
თან. ბულგარელები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ თა-  
ვიანთ ჩრდილოელ მეზობლებთან – რუსებთან. მაგრამ ბულგარელები  
საგარეო ვაჭრობის განვითარებით მხოლოდ ჩრდილოეთით არ კმა-  
ყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ მის განვრცობას მდინარით სამ-  
ხრეთითაც, სადაც წინ აღუდგნენ ხაზარები, რომელთაც თავის მხრივ  
საკუთარი სავაჭრო ინტერესები ამოდროავებდათ. კერძოდ, ხაზარები  
ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩრდილოეთით რუსებთან ვაჭრობა

თავიანთ ხელში აეღოთ. საგარეო ვაჭრობის განვითარების თვალსა-ზრისით ბულგარელებს უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავათ, ვიდრე ხაზარებს. ბულგართა სამეფოს სახმელეთო გზითაც შეეძლო თავისი საგარეო ვაჭრობის განვითარება შუა აზიასთან, მაშინ როცა ხაზარები ასეთ შესაძლებლობას რუსებთან მოკლებული იყვნენ. ბულგარელებს ხაზართა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეც გამოუჩნდა ოღუზთა სახით. ოღუზებს დამაბული და მუდმივი საბრძოლო მდგომარეობა ჰქონდათ ხაზარებთან.

იხ. В. Д. Г р е к о в , Волжские болгары В IX – X вв., «Исторические записки», т. 14, 1935, გვ. 3 შმდგ.; А. П. К о в а - л е в с к и й , Книга Ахмеда Ибн-Фадлана..., 33- 27–31 (იქვე სქოლიოში მოცემულია იბნ ფადლანის არაბული ტექსტის გვერდებიც); В. В. Б а р т о л ь д , Болгары, Сеч., т. V, М., 1968; გვ. 509–520; D. M. D u n l o p , History of the Jewish Khazars; I. H r b e k , EI NE, I, გვ. 1304–1308.

64

19. ზუ ალ-კარნააზნი – ორრქიანი. ალექსანდრე მაკედონელის ეპითეტია.

20. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სალლამ ათ-თარჯუმანს სხვა დეტალებიც აქვს მოთხრობილი თავისი მოგზაურობიდან ხაზართა ქვეყანაში IX ს. ორმოციან წლებში (იხ. შენიშვნ. 16, I). ერთ-ერთი ასეთი ფაქტი აქვს მიწერილი იგივე სალლამ ათ-თარჯუმანს ვეებერთელა თევზის დაჭერასა და თევზის ყურიდან ლამაზი: ასულის გამოსვლასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ ამ ამბავს არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს სინამდვილესთან. ის კი არ არის გამორიცხული, რომ ხაზართა ქვეყნიდან დაბრუნებულ სალლამ ათ-თარჯუმანს თავისი მსმენელებისათვის მართლაც მოეთხრო ისეთი ამბები, რომელნიც ზღაპარს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე რეალურ ამბავს, ხოლო ხალხი, მათთვის ალბათ ლეგენდად ქცეული ქვეყნის ამბებით დაინტერესებული, ამ მოთხრობილ ზღაპრებს სინამდვილედ ღებულობდა, ყოველ შემთხვევაში, ისიც ცხადია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინი არ დააყოვნებდა თავის ნაშრომში „საოცარი ამბავი“ მოეთავსებინა და ამით კიდევ ერთხელ გაემართლებინა თავისი მიზანი და ამოცანები.

21. აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსის ბიოგრაფიული ცნობები ზემოთ იქნა მოტანილი (იხ. შენიშვნ. 11, I) და იქვე აღინიშნა, რომ აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსიმ მოსულსა და ბაღდადში ყოფნისას დაწერა ორი თხზულება რომლებმაც მათ ავტორს ნამდვილი დიდება მოუტანეს. ბაღდადში დაწერილი ერთ-ერთი ამ თხზულებათაგანი აქვს ამჯერად მოხსენიებული ზაქარია ალ-ყაზვინის, ოღონდ შემოკლებული სათაურით – „ქითაზ ალ-‘აჯა‘იბ“, ანუ „წიგნი საოცრებათა შესახებ“ თუ „საოცრებათა წიგნი“. საერთოდ კი სპეციალურ ლიტერატურაში ზაქარია ალ-ყაზვინის მიერ მოხსენიებული ნაშრომი რამდენიმე სათაურით არის ცნობილი: 1. „ნუხაბათ ალ-აზჰან ჰი ‘აჯა‘იბ ალ-ბულდან“ („გონებათა რჩეული ქვეყნების საკვირველებათა შესახებ“); 2. „ალ-მულრიბ ‘ან ბა‘დ ‘აჯა‘იბ ალ-ბულდან“ („ყარიბი ქვეყანათა ზოგი საკვირველების შესახებ“); 3. „ალ-მულრიბ ‘ან ბა‘დ ‘აჯა‘-

იბ ალ-მადრიბ“ („ალ-მუ‘რიბი მადრიბის ზოგი საკვირველების შესახებ“ (GAL, I, გვ. 626; E. Lévi-Provençal, ET, ML, I, გვ. 122).

თუ აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსის თხზულების შინაარსს გავითვალისწინებთ, პირველი ორი დასახელებული სათაური უფრო გამოხატავს ნაშრომის შინაარსს, ვიდრე მესამე სათაური, ვინაიდან თავის ნაშრომში აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსის მოთხრობილი აქვს არა მხოლოდ მადრიბის ქვეყნების საოცრებათა შესახებ. მის ნაშრომში ლაპარაკია აგ-

რეთვე იმ ქვეყნების შესახებ, რომელნიც ავტორმა აღმოსავლეთშიც მოინახულა – დამასკო, არდაბილი, კასპიის ზღვა, დერბენდი და ხაზართა ქვეყანა, რომლის შესახებ ერთ-ერთი ამბავი აბუ ჰამიდ ალ-ღარნატის ამჯერად, მართალია, სალლამ ათ-თარჯუმანის სიტყვებით ჰქონია გადმოცემული და არა როგორც პირადად ნანახისა.

22. ავნ ად-დინ აბუ ალ-მუზაფფარ იაჰია იბნ მუჰამმად იბნ ჰუბაირა აშ-შაიბანი ად-დური ალ-ბაღდადი დაიბადა 499/1105–1106 წ. ბაღდადის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ოლქის დუჯაილის სოფელ დურში. თავის დროზე მას კარგი განათლება მიუღია და იგი არანაკლებ ცნობილი სწავლული იყო, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე. ხალიფა ალ-მუქთაფისა (530/1136–555/1160 წწ.) და ალ-მუსთაფიზიდის დროს (555/1160–566/1170 წწ.) თექვსმეტი წლის განმავლობაში უწყვეტივ სიკვდილამდე ეკავა ვეზირის თანამდებობა. იგი შემდეგ შეცვალა მისმა შვილმა იზუ ად-დინ მუჰამმად იბნ იაჰიამ.

იხ. G. Weil, III, გვ. 305, 310; K. V. Zettersteen, EI, II, გვ. 413; GAL, S, I, გვ. 687–688; G. Makdisi, EI, NE, III, გვ. 802–803.

23. ბაჰო აშ-შამს (თარგმანში შამის, ანუ სირიის ზღვა), ხმელთაშუა ზღვას, არაბულ წყაროებში მრავალი სხვა სახელწოდებებითაც ვხვდებით. მივუთითებთ მხოლოდ ზოგ მათგანს. ბაჰრ აშ-შამი, ანუ „სირიული ზღვა“; ბაჰრ ალ-მადრიბ – „დასავლეთის ზღვა“; ბაჰრ ალ-მადრიბი ან ბაჰრ ალ-ღარბი – „დასავლური ზღვა“; ბაჰრ არ-რუმი – „რუმის“, ანუ „ბერძნების ზღვა“; ბაჰრ არ-რუმი – „ბერძნული ზღვა“, ბაჰრ ალ-კუსტანტინია – „კონსტანტინეპოლის ზღვა“.

იხ. ალ-ისტახრი, გვ. 68–71; იბნ-ჰაუკალი, გვ. 128–137; იაკუთი, I, გვ. 504–505; ზაქარია ალ-ყაზვინი, I, გვ. 123–127; G. le Strange, გვ. 127; C. F. Seybol, EI, I, გვ. 606; D. M. Dunlop, EI, NE, I, გვ. 934–936.

24. იაჯუჯი და მაჯუჯი (გოგი და მაგოგი), ლეგენდარული ხალხები, რომელნიც თითქოს ალექსანდრე მაკედონელს უნდა დაემწყვდია სპეციალურად აგებული კედლის მიღმა უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთით სამყაროს დაცვის მიზნით და უნდა გამოჩენილიყვნენ სამყაროს დასასრულს (И. Ю. Крачковский, Извр. соч., IV, გვ. 48). სპეციალური ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად თქმულება ია-



ჯუჯსა და მაჯუჯზე ყურანში (ს უ რ ა 18,<sup>93</sup>; ს უ რ ა 21,<sup>96</sup>) უნდა მოხვედრილიყო ბიბლიიდან ალექსანდრე მაკედონელზე სირიული ლეგენდების ციკლის მეშვეობით (A. J. Wensinck, ET, IV, გვ. 1236).

გადმოცემის თანახმად იაჯუჯისა და მაჯუჯის ხალხები იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილან, რომ მათ შეეძლოთ შეესვათ ტიგროსისა და ევფრატის ანდა ტიბერიუსის ტბის მთელი წყალი (A.J. Wensinck, იქვე; H. A. B. Gibb and J. H. Kramers, გვ. 637). იაჯუჯისა და მაჯუჯის ხალხები სამი ჯიშისა ყოფილან; ერთნი კედარივით მაღალნი, მეორენი ისეთივე სრული, როგორც მათი სიმაღლე იყო, ხოლო მესამე ჯიშის ხალხს შეეძლო თავიანთი სხეულის დაფარვა საკუთარი ყურებით (H. A. B. Gibb and J. H. Kramers, იქვე).

არაბულ წყაროებში დაცული ტრადიცია იაჯუჯისა და მაჯუჯის შესახებ ყურანთან არის დაკავშირებული.

იხ. იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 162; იბნ ლ-ფაკიჰი ალ-ჰამადანი, გვ. 298–301; იბნ რუსთა, გვ. 83, 98, 148 შმდგ.; ალ-მუკადდასი, გვ. 362–365; ალ-მასუდი, თანბიჰი, გვ. 24, 26, 32; იაკუთი, I, გვ. 515, II, გვ. 440, III, გვ. 56–58; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 400–402, 416–418.

25. აბდ ალლაჰ იბნ ალ-აბბასი (ხშირად იხმარება არტიკლის გარეშე, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინისთანაა ამ შემთხვევაში) დაიბადა ჰიჯრამდე, ანუ ალლაჰის მოციქულის მუჰამმადის გაქცევამდე მექიდან მედინაში 622 წ., ორი თუ სამი წლით ადრე. იბნ აბბასმა თავისი დიდება მოიპოვა ყურანის კომენტარებით, როცა მან, როგორც ჩანს, შესანიშნავად გაითვალისწინა სახალმწიფოში შექმნილი და მნიშვნელოვნად შეცვლილი ვითარება და მას მოხდენილად დაუკავშირა ყურანის დოგმები. ამდენად იბნ აბბასი, რომელსაც მეტსახელად უწოდებდნენ „ალ-ჰიბრ ალ-უმმ“-ას („თემის სწავლულს“) ანდა „ალ-ბაჰრს“-ს („ზღვას“), ითვლება მუსლიმთა პირველ თაობაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, შესაძლებელია უდიდეს სწავლულადაც კი. როცა იბნ აბბასი დაიბადა, დედამისი უკვე მუსლიმი იყო, ამიტომ მისი შვილიც მუსლიმად ჩაითვალა.

როგორც ჩანს, იბნ აბბასი არანაკლებ გამჭრიახი და ამავე დროს, შეიძლება ითქვას, გაქნილი და, ჩვენი აზრით, გარკვეულ პრინციპულობას მოკლებული პოლიტიკოსი იყო. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია, რომ იბნ აბბასი თანაბრად ემსახურებოდა როგორც უსმანს, ასევე ხალიფა ალის, ხოლო შემდეგ ომაელთა დინასტიის ხალიფების

სამსახურშიც ჩადგა, მაშინ როცა მას, როგორც საკმაოდ გონებაგახსნილ და რეალური მდგომარეობის კარგად მცოდნე პიროვნებას, არ შეიძლება არ ცოდნოდა ამ საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი, რომელთაც უზურპატორებად თვლიდნენ, დამოკიდებულება არაბულ საზოგადოებაში.

არც ბასრის ხაზინის გამარცვა ლაპარაკობს ქებული სწავლულის სასარგებლოდ. როგორც ცნობილია, ხალიფა ალიმ იბნ აბბასი დანიშნა ბასრის გამგებლად, მაგრამ მან, როცა კი ხელსაყრელი მომენტი

დაიგულა, ბასრის ხაზინიდან, როგორც ზოგი წყარო იტყობინება, ექვსი მილიონი დირჰამი გაიტაცა და ხალიფა მუავიას წარუდგა თხოვნით მოპარული თანხა მისთვის საჩუქარში ჩათვალა ღალატისათვის.

იზნ აზბასი გარდაიცვალა ტაიფში 68/687–688 წ. თუ 69 ან 70 წ. ბიბლიოგრაფია იზნ აზბასის შესახებ როგორც სწავლულზე იხ. EI, NE I, გვ. 41.

არაბ ავტორთაგან, რომელთაც მოტანილ აქვთ ცნობები იზნ აზბასის შესახებ, შეიძლება დასახელებულ იქნან ალ-მასუდი, მურეჯ აზ-ზაჰაბ, ატ-ტაბარი და იზნ ალ-ასირი. იხ. სამიებლები. თანამედროვე მკვლევართაგან იხ., მაგ., J. Wellhausen, *Das arabische Reich und sein Sturz*, Berlin, 1902, გვ. 69–70; CAL, S, I, გვ. 331; L. Veccia Vaglieri, EI, NE, I, გვ. 40–41; H. A. R. Gibb and J. H. Kramers, გვ. 4.

26. ხოსრო ანუშირვანი კეთილმოხილი (ალ-ხაირ), სასანური ირანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეფობდა 531–579 წწ. მის სახელთანაა დაკავშირებული სასანურ სახელმწიფოში მთელი რიგი რეფორმების გატარება ცხოვრებაში – საგადასახადო სისტემის, სამხედრო, ადმინისტრაციული.

არაბულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება სასანურ ხანაზე, კერძოდ, ხოსრო ანუშირვანის მეფობის პერიოდზე. არაბი ავტორების ალ-იაკუბის, ალ-ბალაჟურის, ატ-ტაბარის, ალ-მასუდისა და სხვათა ნაშრომებს საფუძვლად დაედო ფალაური ძეგლების ცნობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ატ-ტაბარს „მსოფლიო ისტორიაში“ მოცემული მასალა სასანურ ხანაზე. მან ცნობილი გერმანელი მეცნიერის თეოდორ ნელდეკეს საგანგებო ყურადღება დაიმსახურა, რომელმაც ატ-ტაბარის ტექსტს ვრცელი კომენტარები დაურთო (იხ. *Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden Aus der arabischen Chronik des Tabari übersetzung und*

68

*ausführlichen Erläuterungen und Ergänzungen* von Th. Nöldeke, Leyden, 1879).

აღბათ ხოსრო ანუშირვანის დიდი ავტორიტეტით არაბულ მწერლობაში და მისი სახელის ერთგვარი ლეგენდარული ხასიათით არაბულ საზოგადოებაში უნდა აიხსნას, როგორც გეგონია, ის, რომ რიგ შემთხვევაში ისტორიულ ფაქტებს, რომელთა განმარტებასაც არაბი მწერლები ვერ ახერხებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაბულ ნიადაგზე, სასანელ მბრძანებელს მიაწერენ ხოლმე. საამისოდ ამჯერად მხოლოდ ერთი ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილებით. ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში შევეხეთ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი 26 კომისრის სახელობის რაიონში, ძველ სოფლებილში, არაბული წყაროების ცნობების თანახმად თითქოსდა შუა აზიიდან გამოსული სოლდის ტომის დასახლების საკითხს ხოსრო ანუშირვანის მეფობის ხანაში, იხ VI ს. მაშინ ჩვენ, როგორც ვფიქრობთ, სამართლიანად უარყავით არაბულ წყაროებში დაცული ცნობების სისწორე სოფლებილს შესახებ (იხევე, როგორც ეს თავის დროზე და შემდგომშიც აღნიშნა ვ. მინორსკი. იხ. V. Minorsky, *Trenscaucasica*, JA, Jullet-September, 1930, გვ. 60–62; მი-

სივცე, История Ширвана и Дербенда X–XI веков, გვ. 46, შენიშვნ.

8.). უარყვავით არა მხოლოდ კავშირის შესაძლებლობა სოლდების სახელწოდებისა სოლდის ტომთან, არამედ ამასთან ერთად ექვქეემ დავაყენეთ და მცდარად მივიჩნიეთ საერთოდ რაიმე დასახლების არსებობა თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზემოთ აღნიშნულ რაიონში VII ს. და აღვნიშნეთ, რომ არაბი მწერლები ქრონოლოგიურად საკმაოდ შორს დგანან ხოსრო ანუშირვანის დროის ისტორიული მოვლენებიდან. ხოლო თაობიდან თაობაზე ზეპირად გადაცემულ ცნობებს საუკუნეების მანძილზე, არ შეიძლებოდა გარკვეული ცვლილება არ განეცადა და მათ თავისებური ანარეკლი არ ეპოვათ არაბულ მწერლობაში, თანაც ტრადიციის თანახმად გადაეტანათ ეს მოვლენა წინამუსლიმურ ხანაში, ვინაიდან მათ სხვა რეალური წყარო არ გააჩნდათ, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ფაქტის მუსლიმურ ხანაში გადმოტანა (იხ. ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1963, 5 (14), გვ. 146). ახლა კი დავუმატებდით იმას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: მით უმეტეს, რომ არაბ მწერლებს ჰყავდათ წინამუსლიმურ ხანაში ისეთი პიროვნება, როგორც ხოსრო ანუშირვანი იყო, რომელსაც თავიანთთვის აუხსნელ ისტორიულ ფაქტებს მიაწერენ.

69

27. ბალანჯარის ჯგებირის სახელთანაა დაკავშირებული ცნობილი სალლამ ათ–თარჯუმანის მოგზაურობა ხალიფა ალ–ვასიკ ბილლაჰის ბრძანებით IX ს. 40–იან წლებში (იხ. შენიშვნ. 16, 1). ბალანჯარის ჯგებირი, ჩანს, წარმოადგენდა სახალიფოს ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას რადგან იგი აგებული იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტში, სადაც ბაბ ალ–აბვაბს ზემოთ და მისი დანიშნულება იყო დაეცვა სახალიფოს უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ჩრდილოეთის ხალხთა, კერძოდ, ხაზართა თავდასხმებისაგან როგორც ჩანს, ამ ჯგებირის ასეთი მნიშვნელოვანი სამხედრო–სტრატეგიული მნიშვნელობით იყო გამოწვეული სახალიფოს ხელისუფალთა იმდენად დიდი ყურადღება მის მიმართ, რომ ხალიფა ალ–ვასიკს ჯგებირთან ექსპედიციაც კი უნდა გაეგზავნა მის მოსანახულებლად, თუმცა საკითხზე ამ ექსპედიციის ნამდვილად გამგზავრებასთან დაკავშირებით თანამედროვე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ა. შპრენგერს, ვ. გრიგორიევსა და ვ. მინორსკის, მაგალეთად, სალლამ ათ–თარჯუმანის ექსპედიცია არარეალობად მიაჩნიათ და მას მოგვიანო ხანის აზროვნების ნაყოფად თვლიან. არის მეცნიერთა მეორე ჯგუფი (მათ შორის ისეთი ავტორიტეტები, როგორც არიან მ. ი. დე გუე, ვ. ტომაშევი და. ი. კრაჩკოვსკი), რომელიც თვლის, რომ სალლამ ათ–თარჯუმანის ექსპედიციას ნამდვილად უნდა ჰქონოდა ადგილი. საამისოდ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს საკმაოდ დამაჯერებელი დასაბუთებაც მოაქვთ (ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ი. კრაჩკოვსკის ნაშრომი «Арабская географическая литература», Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957, გვ. 137–141; იქვე იხ. საჭირო ლიტერატურა საკითხთან დაკავშირებით). ერთ–ერთ ასეთ საბუთად მათ მიაჩნიათ დაახლოებით 840 წ. ცენტრალურ

აზიაში თურქთა ტომებს გადასახლება, რაც გამოწვეული იყო მონღოლეთში ყირგიზთა მიერ უიგურთა განადგურებით. ეს არის საგარეო ფაქტორი, რომლის გამო უნდა ენახა ხალიფა ალ-ვასიკს შემზარავი სიზმარი ჯებერას დანგრევის გამო და იქ სასწრაფოდ ექსპედიცია გაეგზავნა»

მაგრამ არა გვგონია, რომ ასეთი ექსპედიციის გამგზავრება ჩრდილოეთით მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ვითარებით ყოფილიყო გამოწვეული. არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ქვეყნის შიგნით შექმნილ ვითარებასაც. ზემოთ აღინიშნა, რომ ხალიფა ალ-ვასიკის დროს იწყება ფაქტიურად სახალიფოს დაცემა. არც ეს გარე-

70

მოება ასვენებდა, როგორც ჩანს, სახალიფოს მბრძანებელს, როცა იგი სალლამ ათ-თარჯუმანის ექსპედიციას აგზავნიდა.

ორივე საგარეო და საშინაო ფაქტორების ერთად გათვალისწინება სახალიფოს ხელისუფალთ, როგორც ჩანს, მეტად არასასიამოვნო სურათს უსახავდა არც თუ მაინცდამაინც შორეულ მომავალში. ამის გამო ისინი იძულებული იყვნენ ყველა ღონე ეხმარათ სახელმწიფოს საზღვრებზე არსებული რეალური მდგომარეობის გასაგებად და მათ გასამაგრებლად.

ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახალიფოში მუდამ იდგა ხაზართა, ისევე როგორც ბიზანტიის, პრობლემა და იგი მხოლოდ X ს. გადაიჭრა.

იაკუთთან ლაპარაკია ქალაქ ბალანჯარზე, რომელიც ალ-მასუდის ცნობით უნდა ყოფილიყო ხაზართა დედაქალაქი, ვიდრე ასეთად ითილი გახდებოდა (ალ-მასუდი, თანბიჰ, გვ. 62), და მის დაპყრობაზე არაბთა მიერ (იაკუთი, I, გვ. 729-730; თარგმნ., გვ. 36-37).

როგორც ვხედავთ, ბალანჯარის ჯებერის აგებას არაბული ტრადიცია ამ შემთხვევაშიც ხოსრო ანუშირვანს უკავშირებს, როდის და ვის მიერ იყო იგი აგებული დანამდვილებით ძნელი სათქმელია.

28. ალ-ჰარისისა და ალ-ჰუვაირისის სახელით არაბი მწერლები იხსენიებენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ორმწვერვალიან არარატის მთას. დიდი არარატის (არაბული წყაროების ალ-ჰარისი) მთა მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით და მისი სიმაღლეა 5172 მეტრი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მცირე არარატის მწვერვალის (არაბული ალ-ჰუვაირისის, ალ-ჰარისის კნინობითი ფორმა) სიმაღლეა 3296 მეტრი.

ამბავი, რომელიც ქვემოთ მომდინარეობს ალ-ჰარისისა და ალ-ჰუვაირისთან დაკავშირებით, იბნ ალ-ფაკიჰის თხრობით იაკუთთანაც არის მოტანილი და არ გვგონია, რომ მას რაიმე ისტორიული ღირებულება ჰქონდეს (იაკუთი, II, გვ. 183-184; თარგმნ., გვ. 44).

29. მუსლიმურ ლიტერატურაში, კერძოდ, არაბულში, ბალინასის სახელით ცნობილია ორი პიროვნება, ერთი მათგანია სახელგანთქმული მათემატიკოსი აპოლონიოს პამფილიელი (დაახლ. 200 წ. ჩვენს წელთაღრიცხვ.) და მეორე ბრძენი აპოლონიოს კაპადოკიელი (I ს. ჩვენს წელთაღრიცხვ.). ეს უკანასკნელი იხსენიება რვამდე არაბულ წყაროში (იხ. M. Plessner, EI, NE, I, გვ. 995), მათ შორის, როგორც ვხედავთ,

ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომშიც, ამასთან არაერთხელ, სათაურით „ქითაზ ალ-ხავასს („წიგნი დიდებულთა შესახებ“). რომელიც დღემდე არ

71

არის მიკვლეული და იგი ამ სათაურით მ. შტაინშნაიდერს შეთხზულად მიაჩნია.

30. იგულისხმება IX-X სს. არაბულენოვანი გეოგრაფი აბუ ბაქრ აჰმად იბნ მუჰამად იბნ ისჰაკ ალ-ჰამადანი, ცნობილი იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის სახელით. ჩვენ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ამ პიროვნების შესახებ, სამწუხაროდ, თითქმის არავითარი ბიოგრაფიული ცნობა არ შემონახულა (იხ. ოთარ ცქიტიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის (მასალები ფეოდალური, ქალაქის წარმოშობა-განვითარების ისტორიისათვის მახლობელ აღმოსავლეთში), თბ., 1968, გვ. 8). თავისი გეოგრაფიული თხზულების შედგენა მას უნდა დაესრულებინა 290/903 წ. ცნობილია აგრეთვე ის, რომ იგი წარმოშობით ქალაქ ჰამადანიდან იყო. ამაზე იბნ ალ-ფაკიჰის ნისბა – ალ-ჰამადანიც მიუთითებს.

როგორც ცნობილია, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის თხზულების შემოკლებული რედაქცია თავის დროზე გამოაქვეყნა ცნობილმა ჰოლანდიელმა აღმოსავლეთმცოდნემ მ. ი. დე გუემ სერიაში «Bibliotheca Geographorum Arabicorum», ტ. V, და მას საკმაოდ ვრცელი შესავალი წარუმძღვარა, სადაც მოცემულია ან-ნადიმისა და ალ-მუკადდასის ცნობები იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანიზე.

1923 წ. მაშჰადში (ძვ. ატ-ტუსი) იმამ ალი რიზას მეჩეთის ბიბლიოთეკაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა იბნ ფადლანის თხზულებასთან დაკავშირებით, თურქმა აღმოსავლეთმცოდნემ ა. ზ. ვალიდიმ ნახა ხელნაწერის კრებული, რომელშიც აღმოჩნდა სამი არაბი ავტორის იბნ ფადლანის, აბუ დულაფისა და იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ნაშრომები. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის თხზულების მაშჰადის ხელნაწერი წარმოადგენს ამ ავტორის ნაშრომის სრული რედაქციის მეორე ნაწილს.

ცხადია, მაშჰადის ხელნაწერის კრებულმა იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. როგორც ითქვა, იბნ ფადლანის ნაშრომის რამდენიმე გამოცემაც განხორციელდა (იხ. შენიშვ. 4, I). ასევე რამდენიმეჯერ გამოიცა აბუ დულაფის ორივე წერილი (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 34, II). მაგრამ მაშჰადის ხელნაწერში მოთავსებული იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ნაშრომი დღემდე სრულად არ არის გამოქვეყნებული. კ. ბროკკელმანის ცნობით თავის დროზე იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ნაშრომის ახალ გამოცემას ამზადებდა ე. ბროინლიხი (იხ. GAL, S, I, გვ. 406).

72

ამჟამად, როგორც ეს პროფ. კლოდ კაენმა შეგვატყობინა, გამზადებული არის დასასტამბავად იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის თხზულების ფრანგული თარგმანი, შესრულებული, როგორც ჩანს, ოთხი ხელნაწერის მიხედვით აწ განსხვავებული ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის ანრი მასესე მიერ.

ამავე დროს 1968 წ. ჩვენ განვახორციელეთ იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ნაშრომის მაშჰადისეული ხელნაწერის მხოლოდ ერთი ნაწილის ფოტოტიპირებად გამოქვეყნება – თავისა ბალდადის შესახებ და თან დავურთეთ მას საძიებელი იმ იმედით, რომ ტექსტის ამგვარი გამოცემა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა სპეციალისტთა ინტერესს ხელნაწერს იმ ნაწილისადმი, რომელსაც იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის თხზულება შეიცავს (იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული ნაშრომი). გარდა ამისა, 1970 წ. ჩვენ გამოვეცით ამავე ხელნაწერის თავი ვასიტზე. გაშიფრულ არაბულ ტექსტს თან დავურთეთ წინასიტყვაობა, ტექსტის რუსული თარგმანი, შენიშვნები და ტექსტის ფაქსიმილე (იხ. «Город Васит по Машхадской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадэни», კრ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სტორიიდან“, II, ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1970, გვ. 272-335).

იხ. А. З. В а л и д о в, Мешхедская рукопись Ибн ал-Факиха, ИРАН, VI серия, № 1-11, 1924, გვ. 237-248; «Путешествие Ибн-Фадлана на Волгу», перевод и комментарий под редакцией академика М. Ю. Крачковского, მიმოხილვა ლიტერატურისა «Мешхедская рукопись и литература о ней», გვ. 172-174; И. Ю. Крачковский, т. IV, გვ. 156-159; GAL, S, I, გვ. 405 – 406; EI, II, გვ. 398 – 399 H. M a s s e, EI, NE, III, გვ. 761- 762.

31. დღევანდელ არაბულში „მადინა“ ქალაქს ნიშნავს. მაგრამ, როგორც ჩანს, მას თავის დროზე, კერძოდ, ადრეულ შუა საუკუნეებში, გარდა ამ დღევანდელი მნიშვნელობისა, თავისი კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ადრეფეოდალური მახლობელი: აღმოსავლეთის დასახლებული პუნქტის ნაგებობათა გარკვეული კომპლექსი სპარსული ე. წ. მაჰრისთანის სახით, რომლის არაბული შესატყვისია ტერმინი „მადინა“, ფეოდალური ქალაქის გენეზისთან არის დაკავშირებული. ასე არის ეს საკითხი დაყენებული აკად. ვ. ბარტოლდისა და პროფ. ა. იაკუბოვსკის შრომებში. აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომები „ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის მახლობელ აღმოსავლეთში“ (კრ. „მახლო-

73

ბელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 135-155); „ძველი თბილისის ისტორიიდან“; „ქალაქ ბალდადის ისტორიისათვის“.

მეტად დამაფიქრებელია, თუ რა მნიშვნელობით შეიძლება ხმარობდეს ზაქარია ალ-ყაზვინი ამ შემთხვევაში არაბულ სიტყვას „მადინა“. წარმოუდგენელია, რომ იმ შორეულ წარსულში მდ. არაქსის ნაპირებზე მართლაც 1000 ქალაქი ყოფილიყო. აქ რამდენიმე ვარაუდი შეიძლება ითქვას, მაგრამ ამჯერად ასეთი ვარაუდებისაგან თავს ვიკავებთ.

32. ამ შემთხვევაში ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში ჰყავს ბიბლიური მუსა იბნ მიშა (მანასე) იბნ იუსუფ იბნ იაკუბი, რომელსაც მუჰამადი თვლიდა თავის წინამორბედად.

მასთან დაკავშირებით იხ. ყურანი: სურა 2, 48-130. სურა 7, 101-160; სურა 10, 76-88; სურა 20, 8-93; სურა 26, 9-65; სურა 28, 2-76; სურა 40, 24-56; ატ-ტაბარი, I, გვ. 414-449; ). J. Horowitz Koranische Untersuchungen, Berlin und Leipzig, 1926 («Studien zur Geschichte und Kultur des islamischen Orients. Zwanglose Beihelpte zur der Zeitschrift «Der Islam», hrsg. von C. H. Becker, Hgt IV), გვ. 141-143; J. Walker, Bibles Characters in the Koran, Paisley, 1931, გვ. 84-111; Bernard Heller, EI, III, გვ. 797-798; H. A. B. Gibb and J. H. Kramers, გვ. 414-415,

33. ზაქარია ალ-ყაზვინის მითითება „იგი არაა მუსა იბნ იმრანი“ ლაპარაკობს მასზე, რომ ყურანის პერსონაჟად მას მიაჩნდა ზემოთ მოხსენიებული ბიბლიური მუსა იბნ მიშა (მანასსე) იბნ იუსუფ იბნ იაკუბი. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მუსა არის მოხსენიებული ყურანში დღემდე წარმოადგენს მსჯელობის საგანს და მის ირგვლივ ვრცელი ლიტერატურაც არსებობს, ზოგი მათგანის ნახვა შეიძლება, კერძოდ, ყურანის კრაჩკოვსკისეულ რუსულ თარგმანში (Коран, перевод и комментарии И.Ю. Крачковского, М., 1963); იხ. აგრეთვე A. J. Wensinck, EI, II, გვ. 927; H. A. R. Gibb and J. H. Kramers, გვ. 235 და წინა შენიშვნები დასახელებული ლიტერატურა.

34. სავალანის, საბალანი არაბული წყაროების მიხედვით, 4820 მ სიმაღლის მთა მდებარეობს ქალაქ არდაბილის დასავლეთით, მასთან ახლოს, და იგი, როგორც თავის დროზე არაბი მწერლებიც წერდ-

74

ნენ (იხ., მაგ. ალ-ისტახრი, გვ. 181; იბნ ჰაუკალა, გვ. 238; იაკუთი, III, გვ. 35; თარგმნ., გვ. 61), ზამთარ-ზაფხულ თოვლით არის დაფარული.

35. „დიდება კი ალლაჰს, როცა გიღამდებათ და როცა გითენდებათ“ წარმოადგენს ყურანიდან ამოღებული 30-ე სურის „რუმი“ 16-ე (17) ლექსს, ხოლო „აი თქვენ გამოხვალთ“ არის იმავე სურის 24-ე (25) ლექსის ბოლო ნაწყვეტი. ყურანიდან ციტატების ამგვარი მოტანა, თანაც წინამდებარე კონტექსტში პირადად ჩვენთვის გაუგებარია.

36. ყადის აბუ ალ-ფარაჯ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-კასირი ალ-არდაბილის პიროვნების დადგენა ვერ მოხერხდა.

37. კაბკის მთა, ანუ კავკასიონი, არაბულ წყაროებში სხვადასხვა დამწერლობით გეხვდება: ალ-კაბკ, ალ-კაბჯ (იხ. ატ-ტაბარი, I, გვ. 2660, 2664, 2666; იაკუთი, IV, გვ. 31; თარგმან., გვ. 75-76), ალ-კბხ (ალ-მასუდი, მურუჯ აზ-ზაჰაბ, II, გვ. 1-76). როგორც პროფ. ვლ. მინორსკი სამართლიანად აღნიშნავს, ალ-მასუდის, შეიძლება ითქვას, ერთადერთს აქვს კავკასიონისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სისტემატური აღწერა ზემოთ მითითებული ნაშ-

რომის მე-2 ტომის მე-17 თავში (გვ. 1–76). მანვე გაითვალისწინა მასუ-  
დისეული ტექსტის დიდი მნიშვნელობა და მისი ფრანგული თარგმანის  
რიგი ადგილების ახლებურად ინტერპრეტაციის აუცილებლობა და თავის  
ნაშრომს «История Ширвана и Дербенда X-XI веков» თან დაურთო  
მასუდისეული ტექსტის რუსული თარგმანის ახალი რედაქცია (იხ. გვ.  
188–216).

კავკასიონთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ჩვენი ავტორი ზაქა-  
რია ალ-ყაზვინი ახალს არაფერს გვაწვდის. პირიქით, ამ ნაწილში მო-  
ტანილია ისეთი მასალა, რომელიც სხვა ადგილას საკითხთან უფრო  
უშუალოდ და კონკრეტულად არის დაკავშირებული. თუმცა ისიც უნ-  
და აღინიშნოს, რომ ამბავი ხოსრო ანუშირვანის მიერ ჯეზირის აგების  
შესახებ ალ-მასუდისაც აქვს, რა თქმა უნდა, მოტანილი (იხ. მ ი ნ ო რ -  
ს კ ი ს ე უ ლ ი თარგმნ., გვ. 189–190).

იაკუთის ცნობით კაბკის მთა ეკვრის ბაბ ალ-აბვაბსა და ალ-ლან-  
თა ქვეყანას. იგი არმინიის უკიდურესი საზღვარია და იბნ ალ-ფაკიჰ  
ალ-ჰამადანიზე მითითებით აღნიშნავს, რომ კაბკის მთაზე 72 ენაზე,

75

მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობენ. სხვათა შორის, ამასვე ამბობს ალ-  
მასუდიც, რომ კავკასიონზე ცხოვრობს 72 ხალხი, ჰყავთ თავიანთი  
მეფეები და აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ენა (იხ. მინორ-  
სკისეული თარგმნ., გვ. 189; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი , არაბული ქრეს-  
ტომათია, თბ., 1949, გვ. 34).

კავკასიონზე დამატებეთ იხ. ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 180–193;  
ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 110, 238–255; ა ლ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ-  
375–382; ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 286 – 298;  
ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი , გვ. 123 შმდგ.; ი ბ ნ რ უ ს თ ა , გვ. 89,  
148; ა ლ - მ ა ს უ დ ი , თანბიჰ, გვ. 64; G. le Strange, გვ. 181;  
J. Marquart, Ērarsāhr, გვ. 94 შმდგ; მ ი ს ი ვ ე , Streifzüge,  
გვ. 164 შმდგ.; C. L Arendonk, E, II, გვ. 635–636.

38. იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 54, II.

39. ალანები, ირანული მოდგნის ხალხი ჩრდილო კავკასიაში, ითვ-  
ლებიან თანამედროვე ოსთა წინაპრებად. ალანები ისტორიულ ასპარეზზე  
ჩანან ჩვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან. ალანთა შესახებ საყურადღებო  
გამოკვლევები ეკუთვნის პროფ. ვლ. მინორსკის. განსაკუთრებით აღსა-  
ნიშნავია მისი ცნობილი სტატია «Ceucesica III. The Alān Capital Ma-  
gas and the Mongol Campaigns (ESOAS, Vol. XIV, Part 2, 1952,  
გვ. 221–238). აღნიშნულ სტატიაში ვლ. მინორსკი განიხილავს ორ სა-  
კითხს: 1. ას-თა (ალანთა, თანამედროვე ოსთა) ძველი დედაქალაქის სა-  
ხელწოდებასა და 2. მონღოლთა მიერ 636/1239 წ. სამხედრო ლაშქრო-  
ბის შედეგად დაპყრობილი ქალაქ მქს-ს იდენტიფიკაციას. როგორც თვით  
ვლ. მინორსკი აღნიშნავს, ნაშრომის მიზანს შეადგენს ას-თა დედაქალაქის  
მქს-სათვის დაერთო სათანადო განმარტებები, მაგრამ იგი არ შემოფარგ-  
ლულა ჯუფაინისა და რაშიდ ად-დინის ნაშრომთაგან მხოლოდ მცირეო-  
დენი ნაწყვეტების მოტანითა და თავის სტატიაში მნიშვნელოვანი ადგი-  
ლი დაუთმო აგრეთვე მანამდე ინგლისურად გამოუქვეყნებელ ცნობებს



მონღოლთა ლაშქრობების შესახებ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ძირითად საკითხთან დაკავშირებით კი ვლ. მინორსკიმ გააკეთა მეტად საყურადღებო დასკვნები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული ღირებულება (იხ. აგრეთვე О. В. Цкитишвили, «Caucasica» В. Ф. Минорского», კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1968, გვ. 188–190).

76

გარდა ვ. მინორსკის მითითებული ნაშრომისა იხ. აგრეთვე მისივე «История Ширвана и Дербенда X-XI веков», გვ. 145; «Studies in Caucasian History», გვ. 20, 22, 31, 59, 67; EI, NE, I, გვ. 354).

იაკუთი ალანთა ქვეყანას ვრცელსა და ხალხმრავალს უწოდებს (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 350; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 17).

40. არ-რუმს არაბები უწოდებდნენ ბიზანტიის იმპერიას. თუ სახალიფოს ჩრდილოეთით არაბთა მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ბრძოლა ხაზართა მოძალების წინააღმდეგ, დასავლეთით იმავე არაბებს გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ ბიზანტიის სახელმწიფოსთან, მაგრამ უშედეგოდ (ბიზანტიასთან სახალიფოს წარუმატებელი ბოძოლების მიზეზების შესახებ იხ. W. M. R a m s a y , The Attempt of the Arabs To Conquer Asia Minor (641–964 A. D.) and the Causes of its Failure, AR. BSH., II, 1924, გვ. 1–8).

ბიზანტიის შესახებ ზოგი მასალის მოტანა, უმეტესწილად გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათისა, არც ზაქარია ალ-ყაზვინის დავიწყებია (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 356–358, 394). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცნობა ბიზანტიაში ყოველი წლის გახაფხულზე რომელიღაც ბაზრობის ჩატარების შესახებ, რომელიც თურმე 40 დღეს გრძელდებოდა და სადაც იკრიბებოდნენ ვაჭრები ქვეყნის ყველა მხრიდან – ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. ბაზრობაზე, როგორც ჩანს, საკმაოდ ფართო და გავრცელებული ვაჭრობა, ალებ-მიცემობა იმლებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით ჩრდილოეთის ხალხი ვაჭრობდა სამხრეთის ხალხთან, ხოლო აღმოსავლეთისა დასავლეთის ხალხთან (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 357). არა გვგონია, რომ ვაჭრობის ამგვარი წესით წარმოდგენა ბაზრობაზე შეეფარდებოდეს სინამდვილეს. ამჯერად ზაქარია ალ-ყაზვინიმ, როგორც ვფიქრობთ, არ უღალატა თავისი ნაშრომის ძირითად მიზანს და სცადა ამ ბაზრობისათვისაც საოცრების ელფერი მიეცა.

41. ქალაქი ჰამადანი მდებარეობს ცენტრალურ ირანში, ალ-ჯიბალის რაიონში, და იგი ძველი წარმომობის უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, იაკუთის ცნობით, მაგალითად, უკვე მეფე დარიოსს, მეს დარიოსისა, რიგი სამუშაოებისა ჩაუტარებია ჰამადანის ხელახალი აღდგენის მიზნით (ი ა კ უ თ ი , IV, გვ. 982–983). ხოლო ზაქარიკ ალ-ყაზვინის ცნობით ჰამადანი აუშენებია ლეგენდარულ ნოეს ერთ-ერთ.

შთამომავალს (ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 323). არაბული წყაროების მიხედვით X ს. ჰამადანი წარმოადგენდა საკმაოდ დიდ ქალაქს, რომელსაც აღორძინება უნდა განეცადა არაბთა დაპყრობების შემდეგ. იაკუთი და ზაქარია ალ-ყაზვინი ერთხმად გადმოგვცემენ, რომ ჰამადანის ფართობი შეადგენდა ოთხ კვადრატულ ფარსახს (იაკუთი, გვ. 981; ზაქარია ალ-ყაზვინი, გვ. 323). თუ ფარსახი 6 კმ უდრიდა, მაშინ X ს. ჰამადანს უნდა ჰქონოდა დაკავებული 24 კვ კმ. აქ, როგორც ჩანს, მხედველობაშია არა მადინა-შაჰრისთან, არამედ ქალაქ ჰამადანის გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია, რომელსაც არაბი მწერლები ბალადს უწოდებდნენ. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში უფრო ფართო გაგებითაც იყოს ლაპარაკი ქალაქ ჰამადანზე. ზაქარია ალ-ყაზვინი იმასაც აღნიშნავს, რომ ახლა, ანუ XIII ს. ქალაქის მდგომარეობა შეცვლილია, თუმცა იგი მაინც დიდი ქალაქიაო (ზაქარია ალ-ყაზვინი, იქვე).

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, რომელსაც თავისი ნიშნა ქალაქ ჰამადანიდან აქვს მიღებული, ალბათ იმის გამო, რომ იგი წარმოშობით ჰამადანიდან იყო, მცირე მასალას გვაწვდის თავისი მშობლიური ქალაქის შესახებ.

ჰამადანს ჰქონდა ოთხი კარიბჭე, სამი ბაზარი და ვრცელი ე. წ. გარეუბანი, რაბადი იმავე არაბული წყაროების მიხედვით ჰამადანი რეის, ისფაჰანისა და სხვ. ქალაქების მსგავსად არ იყო არც კულტურული და არც ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრი. იგი იყო მდიდარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სავაჭრო ცენტრი.

42. ალ-მავსილი, ცნობილი მოსული, მდებარე მდ. ტიგროსის დასავლეთ ნაპირზე ძველი ნინევიის პირდაპირ. იაკუთი მას ერაყის კარიბჭესა და ხორასნის გასაღებს უწოდებს (იაკუთი, IV, გვ. 683) თავისი სახელწოდება მან მიიღო იმის გამო, რომ იგი მდებარეობს ალ-ჯაზირასა და ერაყს, მდ. ტიგროსსა და ევფრატს თუ სინჯარსა და ალ-ჰადისას შორის (იაკუთი, იქვე). იმავე იაკუთის ცნობით მოსულს თავისი სახელი მიუღია თითქოსდა იმ მეფის სახელისაგან, რომელსაც; ქალაქი დაუფუძნებია (იქვე). როგორც ჩანს, მოსული ყოველთვის, იქცევდა არაბ მწერალთა ყურადღებას თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, სიდიდით, მოსახლეობის სიმრავლით, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო წარმოების განვითარებით, მისი ხვედრითი წონით ქვეყნის ეკონომიკაში თუ სხვა გარემოებით. იბნ ჰაუკალს, მაგ., მეორეჯერაც კი მოუხაზულებია მოსული 358/968–969 წ. (იბნ ჰაუკალი, გვ. 146). ზაქარია ალ-ყაზვინი მოსულს

78

„ცნობილ დიდ ქალაქს“ უწოდებს (ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 309). ზაქარია ალ-ყაზვინის აღწერით XIII ს. მოსულს ჰქონია კედელი, ფასილი, ღრმა თხრილი და ქუჰენდიზი, ხოლო მათ ირგვლივ გაშენებული ყოფილა ბალები (ზაქარია ალ-ყაზვინი, იქვე).

იხ. აგრეთვე ალ მუკადდასი, გვ. 136–138; იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 17; A. Socin, Mosul und Mardin, ZDMG, XXXVI 1882, გვ. 1–53, 238–277, XXXVII, 1883, გვ. 188 – 222; G. le Strange, გვ. 87–89; Max van Berchem, Arabische Inschriften von Mosul, ნაშრომში E. Sarre und E. Herzfeld,

Archäologische Reise im Euphrat-und Tigriesgebiet, I, Berlin, 1911  
გვ. 6–10; E. Herzfeld, Archäologische Reise..., Bd. II, 1920,  
გვ. 203 – 204, Bd. III, ტაბ. V–IX, LXXXVII–CX; H. I.  
Lloyd, The Geography of the Mosul Boundary, GJ, LXIII, 1926,  
ა3. 104–117, 192.

43. როგორც ცნობილია, ხაზართა მეფე ხაკანის ტიტულს ატარებდა.

44. აქ ისევ და ისევ ლაპარაკია იმ გამაგრებულ ადგილზე, რომელიც კავკასიონისა და კასპიის ზღვის ვიწრო ყელში, გასასვლელში, მდებარეობდა და რომელიც მუდამ წარმოადგენდა არა მარტო სასაზღვრო ირანის მესვეურთა ზრუნვის საგანს, არამედ იგი აგრეთვე მუდამ იყო სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში, როგორც ადგილი, საიდანაც ყოველთვის მოსალოდნელი იყო ჩრდილოეთის ხალხთა და, კერძოდ, ხაზართა შემოჭრა. ოდნავ ქვემოთ, თავში ქალაქ მუქსის შესახებ, ზაქარია ალ-ყაზვინი ამბობს, რომ თავში ბაბ ალ-აბვაბის, ანუ დარუბანდის შესახებ, ამ ზღუდეს უფრო ვრცლად განვმარტავ, თუ ალლაჰი მაღალი ისურვებსო და იგი ასრულებს კიდევ თავის დანაპირებს, იგივე ამბავს იმეორებს, თუმცა არც ისე ვრცლად, როგორც ამას ზაქარია ალ-ყაზვინი გვპირდება.

45. აბუ უბადა ალ-ვალიდ იბნ უბაიდ ალლაჰ ალ-ბუჰთური, ცნობილი არაბი პოეტი, დაიბადა 205/821 წ., ეკუთვნოდა ტაის ტომის. ბუჰთურის გვარსა და გარდაიცვალა 284/897 წ. თავისი პოეტური კარიერის დასაწყისში იგი წერდა თითქმის უკლებლივ ტრაბახა ხასიათის ლექსებსა და პოემებს. მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა ალ-ბუჰთური გახდა სამეფო კარის პოეტი, მამინ სახოტბო

79

ლექსები იქცა მისი პოეტური შემოქმედების ძირითად ფორმად. აღმოსავლელი ლიტერატურათმცოდნენი ალ-ბუჰთურის თვლიან აბასელთა ხანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოეტად აბუ თამამასა და ალ-მუთანაბბისთან ერთად.

ლიტერატურა ალ-ბუჰთურიზე იხ. D.S. Margoliouth, EI I, გვ. 807; CAL, S, I, გვ. 125–127; Ch. Pellat, EI, NE, I, გვ. 1290; ბიოგრაფიული ცნობა ალ-ბუჰთურის შესახებ იხ. იბნ ხალ-ლიქანი, III, გვ. 657–667.

46. ქალაქ მუქსის ადგილმდებარეობა იაკუთს შემდეგნაირად აქვს განმარტებული: მუქსი – ადგილი არმინიამი, ბუსფურაჯანის ერთ-ერთ ოლქში, კალიკალას მახლობლად, იხსენიებს მას ალ-ბუჰთური (იაკუთი, IV, გვ. 614; თარგმნ., გვ. 84). აღნიშნულ ქალაქს რომ ალ-ბუჰთური იხსენიებს, ზემოთ უკვე დავინახეთ.

47. ძნელია თქმა იმისა, თუ რომელი მდინარე აქვს აქ მხედველობაში ზაქარია ალ-ყაზვინის.

48. აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ზაქარია არ-რაზი, ცნობილი მკურნალი, ალქიმიკოსი და ფილოსოფოსი, დაიბადა ქალაქ რეიში 250/864 წ. სამწუხაროდ, მისი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. როგორც ჩანს, არ-რაზიმ მშობლიურ ქალაქში ახალგაზრდობაშივე მიიღო ფართო განათლება მათემატიკაში, ფილოსოფიაში, ასტრონომიასა და ლიტერატურაში, ალქიმიამში. უნდა გარდაცვლილიყო 313/925 წ. იაკუთს თავში ქალაქ რეის შესახებ ქალაქის სხვა გამოჩენილ პირთა შორის დასახელებული ჰყავს აბუ ზაქარია არ-რაზი, ნაშრომების ავტორი, რომელიც მისი გადმოცემით გარდაიცვალა 311/923–924 წ. რეიში ბაღდადიდან დაბრუნების შემდეგ (ი ა კ უ თ ი , II, გვ. 898).

იხ. P. Kraus und S. Pines, EI, III, გვ. 1225–1227 (იქვე იხ. ვრცელი სია ლიტერატურისა აბუ ზაქარია არ-რაზიზე); GAL, I, გვ. 267–271; CAL, S, I, გვ. 417–421,

49. ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში ჰყავს IX ს. დასასრულისა და X ს. პირველი მეოთხედის, ცნობილი შუაზიელი გეოგრაფი, სამანიანთა ვეზირი, აბუ აბდ ალლაჰ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ ნასრ ალ-ჯაიჰანი, როწელიც ავტორი იყო ნაშრომისა სათაურით „ქითაბ ალ-მასალიჟ ვა.ალ-მამალიც („გზებისა და სამეფოთა წიგნი“). მას, როგორც გხედავთ, ზაქარია ალ-ყაზვინიც იხსენიებს, ოღონდ ოდნავ შეცვლილი სათაურით „ალ-მა-

80

სალიჟ ვა ალ-მამალიჟ აშ-მარკნია“ („აღმოსავლეთისგზები და სამეფოები“). სამწუხაროდ, ალ-ჯაიჰანის ეს ნაშრომი დღემდე აღმოჩენილი არ არის და მასზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა არაბ ავტორებთან ალ-ჯაიჰანის ნაშრომიდან შემონახული მასალების მიხედვით. არაბ ავტორებს, მაგ., ალ-მუკადდასის, იაკუთს, ალ-მასუდისა და სხვ., გამოთქმული აქვთ თავიანთი თვალსაზრისი ალ-ჯაიჰანის აღნიშნული ნაშრომის შესახებ. თუმცა, როგორც ი. კრაჩკოვსკი მიუთითებს, ზოგი მათგანის აზრი ალ-ჯაიჰანის თხზულებაზე ზედმეტად მკაცრი და გადაჭარბებული ჩანს. ალ-მუკადდასის მითითებით, კერძოდ, ალ-ჯაიჰანის თავის გეოგრაფიულ ნაშრომში მთლიანად უნდა შეეტანა იბნ ხურდაზბიჰის თხზულება (დაწვრილებით ალ-ჯაიჰანიზე იხ. И. Ю. Крачковский, Избран. соч., Т. IV, გვ. 219–226).

50. წინამდებარე წიგნში მოტანილ მასალებში ზაქარია ალ-ყაზვინი ნაშრომს „თუჰჰათ ალ-ღარაბის“ („საოცრებათა სურათი“) ავტორის დაუსახელებლად ხუთჯერ იხსენიებს. ამჯერად თავს ვიკავებთ დაბეჯითებით ვთქვათ, თუ ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული თხზულების ავტორი, მით უმეტეს, რომ ზაქარია ალ-ყაზვინისათვის უცხო არ არის, როცა იგი ამა თუ იმ წყაროს სათაურს შეცვლილი სახით იძლევა ხოლმე. ამის ერთ-ერთი ნიმუში ზემოთ უკვე ვნახეთ (იხ. შენიშვნ. 49, I) და ქვემოთ კიდევ შევხვდებით.

51. არ-რასსი. ასე უწოდებენ არაბი მწერლები მდ. არაქსს, რომელიც თავის სათავეს იღებს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და 638-ე კმ შემოდის საბჭოთა კავშირის ფარგლებში. გაივლის სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე.

საბირაბადთან უერთდება მდ. მტკვარს. მდ. არაქსი 568 კმ მანძილზე წარმოადგენს სახელმწიფო საზღვარს, ერთი მხრივ, სსრ კავშირსა და, მეორე მხრივ, თურქეთსა და ირანს შორის. მდ. არაქსის სიგრძეა 914 კმ, აუზის ფართობია 93 550 კმ<sup>2</sup> (БСЭ, т. 2, გვ. 608).

თითქმის უკლებლივ ყველა არაბი ავტორი იხსენიებს მდ. არაქსს და თანაც აუცილებლად მდ. მტკვართან ერთად. აღნიშნავენ არაქსის დამახასიათებელ ნიშნებსა და მიუთითებენ, რომ მდ. არაქსი უერთდება მტკვარს (იხ. ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 189 ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 241, 246, 247, 249, 276; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 19, 23, 373–374, 379, 380). ამ უკანასკნელ გარემოებას, სხვა ნიშნებთან ერთად, იაკუთიც აღნიშნავს (ი ა კ უ თ ი , II, გვ. 779; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 59).

52. ქალაქი ყაზვინი მდებარეობს სპარსეთის ერაყში, თეირანიდან 150 კმ დაშორებით, ზღვის დონიდან 1320 მ სიმაღლეზე:

IX–X სს. არაბი გეოგრაფები და ისტორიკოსები (ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 169 შმდგ., 200 შმდგ., 211, 214; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 258, 265, 269, 271, 274; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 39, 391–392; ი ბ ნ ალ - ფ ა კ ი ჰ ალ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 254, 279–284; ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი - ჰ ი , გვ. 244, 250, 261; ი ბ ნ რ უ ს თ ა , გვ. 169; ალ - ი ა კ უ ბ ი , გვ. 271; ალ - მ ა ს უ დ ი , თ ა ნ ბ ი ჰ , გვ. 321 შმდგ.; ალ - მ ა ს უ დ ი , მურუჯ აზ-ზხაჰაბს IX, გვ. 8 შმდგ.) იძლევიან ყაზვინის შედარებით დეტალურ აღწერილობას, რა თქმა უნდა, ყაზვინსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს შორის არსებული მანძილების მითითებასთან ერთად. ამავე დროს ისინი იძლევიან ბუნებრივი პირობების ვრცელ დახასიათებას და ყაზვინის პროვინციაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნუსხას. ყაზვინზხზე მასალა მოტანილი აქვს იაკუთსაც (ი ა კ უ თ ი , IV, გვ. 88–91).

მაგრამ შედარებით ყველაზე კარგი მასალა თავისი მშობლიური ქალაქის შესახებ მოაქვს ზაქარია ალ-ყაზვინის. ამ მასალის გამოყენებით ჩვენ სპეციალური წერილიც გამოვაქვეყნეთ სათაურით «Топография города Казвина XIII в. по данным Закарийя ал-Казвини» (იხ. კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1971, გვ. 22–25). ალ-ყაზვინისთან მოტანილი მასალიდან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქალაქ ყაზვინის ტოპოგრაფიულმა გეგმამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, იშვიათია არაბ ავტორთა მწერლობის პრაქტიკაში. მთავარი და აღსანიშნავი ის არის, რომ ეს გეგმა წარმოადგენს კარგ თვალსაჩინოებას XIII ს. ყაზვინის ტოპოგრაფიაზე.

53. აბუ სალიმ დაისამ იბნ იბრაჰიმ იბნ შაზალვაიჰ ალ-ქურდი, როგორც მისი ქუნია მიუთითებს, წარმოშობით ქურთი, ა. ბიკოვის აზრით, უფრო პოლიტიკური ავანტიურისტი, ვიდრე მოღვაწე, იყო მოსულელი ხარიჯიტის ჰარუნ ალ-ვაზიკის ერთ-ერთი მიმდევრის შვილი. დაისამ იბნ იბრაჰიმის დაბადების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. დაბადებული უნდა იყოს არა უადრეს 284/897–898 წ.

დაისამ იბნ იბრაჰიმი ფლობდა საჯიანთა დინასტიის ყოფილ ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა აგრეთვე სომხეთისა და არ-რანის ნაწილს, მაგრამ არასრულად. შემდგომში ბრძოლა ძირითადად წარიმართა დაისამ იბნ იბრაჰიმსა და მუსაფირიანთა (სალარიანთა) დინას-

ტიის წარმომადგენლის მარზბანს შორის. ეს ბრძოლა დასრულდა დაისამ იბნ იბრაჰიმის საბოლოო დამარცხებითა და მისი სიკვდილით

82

346/958 წ. თუ როგორ მოექცა დაისამ იბნ იბრაჰიმი, აზერბაიჯანში ხელისუფლების სათავეში, ცნობილი არ არის.

ა. ა. ბიკოვის წერილში «Дайсам ибн Ибрахим ал-Курдии его монеты» (ЭВ, X, 1955, გვ. 14–37) დაწვრილებით არის განხილული არა მხოლოდ 50-იანი წლების შუა ხანებისათვის ცნობილი დაისამ იბნ იბრაჰიმის კუთვნილი ორი მონეტა და მათი მნიშვნელობა X ს. აზერბაიჯანის ისტორიის შემსწავლისათვის, არამედ მოცემულია აგრეთვე დაისამ იბნ იბრაჰიმის ბიოგრაფია, საკითხის შესწავლის ვრცელი ისტორია, მითითებულია ის სამამულო თუ უცხოური ლიტერატურა, სადაც კი დაისამ იბნ იბრაჰიმის პიროვნებას შეხებიან, თუნდაც გაკვრით (ე. პ ა ხ ო - მო ვ ი , რ. ფ ა ს მ ე რ ი , ი. მ ა რ კ ვ ა რ ტ ი , მ. კ ა ნ ა რ ი , ე. ზ ა მ ბ ა უ რ ი , ვ. ჰ უ ა რ ი , ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი ს ს ტ ა ტ ი ე ბ ი , გამოქვეყნებული „ისლამის ინციკლოპედიის“ ძველ გამოცემაში (EI, II, გვ. 1217; III, გვ. 803), ვ. მინორსკის ნაშრომები «Studies in Caspian History» და «Caucasica IV: Sehl b. Sumbat. The Caucasian Vassals of Marzuban in 344/955», BSCAS, Vol. XV, Part 3; გვ. 504–529).

ა. ბიკოვის ნაშრომშივე დეტალურად არის განხილული ის არაბული წყაროები (იბნ მისქავაიჰი, იბნ ალ-ასირი, იბნ ჰაუკალი, ათ-თანუხი, იბნ ხალდუნი), რომელნიც დაისამ იბნ იბრაჰიმის ისტორიას ეხებიან. განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული საკითხი იბნ მისქავაიჰის ნაშრომის „ქითაბ თაჯარიბ ალ-უმამის“ („ხალხთა გამოცდილებების წიგნი“) და იბნ ალ-ასირის ცნობილი თხზულების „მსოფლიო ისტორიის“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დაისამ იბნ იბრაჰიმი ისტორიის გადმოცემასთან დაკავშირებით. ა. ბიკოვის მითითებით იბნ მისქავაიჰი, დაისამ იბნ იბრაჰიმის უმცროსი თანამედროვე, არის, შეიძლება ითქვას, დაისამ იბნ იბრაჰიმ ალ-ქურდის დროინდელი აზერბაიჯანის ისტორიის ერთადერთი ძირითადი წყარო. ამ წყაროდან უხვად უსარგებლია იბნ ალ-ასირს, თუმცა თხრობა შეუმოკლებია, ხოლო რიგ ადგილებში გრძელი წინადადებები უფრო მოკლე წინადადებებით შეუცვლია.

სამწუხაროდ, ა. ბიკოვი თავის სტატიაში არ იხსენიებს ზაქარია ალ-ყაზვინის ნაშრომებს, რომლებშიც დაისამ იბნ იბრაჰიმი და...ამბავი მდინარე არაქსში ბავშვის ჩავარდნისა და მისი გადარჩენის შესახებ ორჯერ არის მოხსენიებული, მაშინ როცა ეს ამბავი, მოთხრობილი ათ-თანუხისთან თითქოსდა მისთვის დაისამ იბნ იბრაჰიმის უშუალო გადმოცემით, საგანგებოდ აქვს აღნიშნული ა. ბიკოვს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 27).

83

54. მდ. ზაქვირის სახელით აქ ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში უნდა ჰქონდეს მდ. زلوير ხილუბარი თუ ზილბარ-ჩაი ახლაც არსებობს და მარანდთან ახლოს მიედინება.

55. ქალაქი მარანდი მდებარეობს სპარსეთის აზერბაიჯანში, თავრიზიდან ჩრდილოეთით 60 კმ დაშორებით, თავრიზსა და მდ. არაქსს შორის გზაზე (V. Minorsky, EI, III, გვ. 290). X ს. არაბ ავტორებს სხვა ქალაქებთან ერთად მოტანილი აქვთ მასალა მარანდში სხვადასხვა ხასიათის ნაწარმის – ნოხების ლოგინზე გადასაფარებლების, ჭილოფების, ბალეშების, სკამებისა და სხვ. წარმოების შესახებ (იხ., მაგ. იბნ ჰალკალი, გვ. 246). ქალაქ მარანდეს შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე იაკუთ. ჯერ ერთი, იგი გვამღვეს მანძილ, არსებულს მარანდსა და თავრიზს შორის, და აღნ მ ნავს, რომ ამ ორ ქალაქს შორის მანძილე ცინი დღის სავალეაო (იაკუთი, IV, გვ. 503: თარგმ., გვ. 83). მეორეც, საგანგებოდ აქვს აღწერილი, რომ ახლა, ე. ი. XIII ს. პირველ მეოთხედში, მარანდში უწესრეგობაა და მან ნგრევა იწყო მას შემდეგ, რაც იგი ქართველებმა გამარცხეს, ხოლო მისი ყველა მცხოვრები ტყვედ წაასხესო (იაკუთი, იქვე) აქ, ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, იაკუთს მხედველობაში აქვს ქართველთა ჯარის ძლევამოსილი ლაშქრობა სპარსეთში თამარ მეფის დროს 1210 წ. ზაქარია მხარგრძელის მხედართმთავრობით, როგორც ცნობილია, ქართველთა მხედრობის ეს ლაშქრობა დაწერილებით აქვს განხილული აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვ. წყაროთა მიხედვით (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 283–287).

56. ოთხ ფარსახზე, ანუ 24 კმ მდ. ზაქვირი მიწის ქვეშ მიედინება.

57. მიუხედავად ყველა ჩვენი ცდისა, ამ-შარიფ მუჰამმად იბნ ზი ალ-ფაკარ ალ-ალავი ალ-მარანდის პიროვნების დადგენა ვერ მოვახერხეთ.

58. მდინარეები შაჰრუზი და ისფიდრუზი, რომელნიც ფაქტიურად ქმნიან ერთ მდინარეს (იხ. იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 175; იბნ რუსთა, გვ. 89–90; ალ-მასუდი, თანბიჰ, გვ. 79) და ნაოსნო ბისათვის გამოუყენებელი არიან (იხ. ალ-ისტახრი, გვ. 189;

84

იბნ ჰალკალი, გვ. 246–247), მიედინებიან აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და გილანის გავლით უერთდებიან კასპიის ზღვას (G. le Strange, გვ. 169; იბნ ხურდაზბიჰი, იქვე; იბნ რუსთა, იქვე).

არაბულ წყაროებში მდ. ისფიდრუზი სხვადასხვა დამწერლობით გვხვდება – ისჰიდრუზი, საჰიდრუზი, ისბიზრუზი, საბიდრუზი. იაკუთის განმარტებით ისბიზრუზი „თეთრ მდინარეს“ ნიშნავს (იაკუთი, I, გვ. 239; თარგმ., გვ. 15). გ. ლე სტრენჯი სპარსელ ავტორზე მუსთაუფიზე მითითებით აღნიშნავს, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში საფიდრუდი ცნობილი იყო ჰულან მუღლანის სახელწოდებით (უფრო სწორია ულან მიორენ), რაც მოსწლოლურ ენაზე „წითელ მდინარეს“ ნიშნავს დღესაც, განაგრძობს გ. ლე სტრენჯი, საფიდრუდის ნაწილი კიზილ უზენის (თურქულად „წითელი მდინარე“) სახელით არის ცნობილი (C. le

Strange, იქვე).

59. ჯილანი (სპარსული გილანი), რომელსაც ხალხი ალ-მუკად-დასის გაღმაცემით ქილანს (ალ-მუკადდასი, გვ. 28) უწოდებდა, მდებარეობს კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე როგორც წინა შენიშვნაში აღინიშნა, მდ. საფიდ-რუდის შესართავთან კასპიის ზღვასთან, აღმოსავლეთით ესაზღვრება ტაბარისტანი, ანუ მახანდარანი.

ჯილანი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების რაიონი იყო. იაკუთის ცნობით ჯილანში დიდი ქალაქები არ ყოფილა. იქ იყო მხოლოდ სოფლები, მდებარე მთების ხეობებში (იაკუთი, II, გვ. 179).

იხ. აგრეთვე ალ-ისტახრი, გვ. 204, 265, 211; იბნ ჰალუკალი, გვ. 267 შმდგ.; ალ-მუკადდასი, გვ. 51, 355, 360, 367 შმდგ.; ჰუდუდ ალ-ალამი, გვ. 136 შმდგ.; J. Marquart, Ērānšahr, გვ. 124 შმდგ., 127, 230; C I. Huart, EI, II, გვ. 180; G. le Strange, გვ. 5, 172–175; B. Spuler. EI, NE, II, გვ. 1111–1112,

60. ალ-ქურრუ – ასე უწოდებენ არაბი ავტორები მტკვარს, რომელსაც ისინი საკმაოდ ხშირად იხსენიებენ და დახასიათებულად აქვთ მსგავსად ზაქარია ალ-ყახვინისა (იხ., მაგ., ალ-ისტახრი, გვ. 183, 189; იბნ ჰალუკალი, გვ. 241, 246; ალ-მუკადდასი, გვ. 23, 375, 379 იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 174–175 იბნ რუსთა, გვ. 89 ალ-იაკუბი, გვ. 364; ალ-მასუდი, თანბიჰი, გვ. 62). ზოგი მათგანის აზრით მდ. მტკვარი გამოსაყენებელი იყო სანაოსნოდ

85

(ალ-ისტახრი, გვ. 189; იბნ ჰალუკალი, გვ. 246). აკად. ვ. ბარტოლდის შეხედულებით მტკვრის სანაოსნოდ გამოყენების მიზნით მინგეჩაურიდან კასპიის ზღვასთან შეერთებამდე უკანასკნელ დროსაც საჭირო იყო მხოლოდ მცირეოდენი სამუშაოების ჩატარება (B. B. Bartold, Соч., т. III, М., 1965, გვ. 472). იაკუთის ცნობა მტკვრის შესახებ უმეტესწილად ალ-ისტახრის ცნობებს ეყრდნობა და ამდენად იგი ახალს ვერაფერს იძლევა სხვა არაბ მწერლებთან შედარებით (იხ. იაკუთი, IV, ავ. 259; თარგმნ., გვ. 79).

აკად. ს. ჯიქიას აზრით არაბული „ალ-ქურრუს“ ქართული სახელწოდება „მტკვარი“ საკუთრედ ქართული წარმოშობის უნდა იყოს. კიდევ მეტი. აქედან უნდა იყოს წარმომობილი სხვა ენებში არსებული მდ. მტკვრის მეორე სახელწოდებაც «Кура» (იხ. С. Джиия «А. Ахундов. Этимология слова «Кура», თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №91, აუშოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 443–149).

მტკვრის სათავე მდებარეობს სომხეთის ზეგანეს კიზილ-გიადუკის მთის ფერდობებზე თურქეთში 2742 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სიგრძეა 1515 კმ. აუზეს ფართობი მუდგენს 188000 კმ<sup>2</sup> (БСЭ, т. 24, გვ. 75).

61, ჯურხანს არაბი მწერლები ჩვეულებრივ საქართველოს ეძახდნენ



და მას მეორე არმინიის ფარგლებში ათავსებდნენ ( ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 287 ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი , გვ. 122).

ჯურზანზე ბევრს ლაპარაკობს იაკუთი, რომელსაც ძირითადად ისტორიული ფაქტები მოაქვს, კერძოდ, ამბავე თბელესში ბედკრული ისპაკ იბნ ისმაილის წინააღმდეგ ბულა თურქის ლაშქრობაზე ( ი ა კ უ თ ი , II, გვ. 58; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 42-43). საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. A. Dirr, Georgien, EI, II, გვ. 138-139.

62. ამ შენიშვნაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს შევხვით თუნდაც მოკლედ აფხაზეთის ისტორიას, ვინაიდან ქართველი მკითხველი ყოველთვის შეძლებს დაძებნოს თავისთვის საჭირო ლიტერატურა საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის, როგორც ტექსტიდან ჩანს, მთლად ნათელი წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა დასავლეთ ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაზე. ზაქარია ალ-ყაზვინის განმარტებით მდინარე „ალანთა მხარიდან აფხაზთა ქვეყანას ჩაუვლის“. ამგვარი განმარტება ჩვენთვის გაუგებარია. კიდევაც რომ თავი დავანებოთ ალანთა მხარეს, საიდანაც თურმე

86

მდინარე გამომდინარეობს, რას ნიშნავს „აფხაზთა ქვეყანას ჩაუვლის“? ჩანს, ზაქარია ალ-ყაზვინისათვის ერთი გეოგრაფიული მცნება იყო ჯურზანი და მეორე იყო აფხაზეთი;

ისტორიული გეოგრაფიიდან ცნობილია, რომ აფხაზეთად ზოგჯერ იწოდებოდა ხოლმე არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთი, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველო. ისიც ცნობილია, რომ „არაბთა ისტორიკოსები ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზთა მეფედ იხსენიებენ, იმიტომ, რომ საქართველოს გამაერთებელ მეფეთა „ღვაწლში აფხაზთა სამეფო გვარეულობასაც დიდი წილი უდევს“ ( ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი - შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 50). ცხადია, ზაქარია ალ-ყაზვინის რომ ამჯერად „აფხაზეთი“ ასეთი ფართო მნიშვნელობით ეხმარა, მაშინ იგი ჯურზანს არ მოიხსენიებდა. ვიმეორებთ, როგორც ჩანს, ზაქარია ალ-ყაზვინისათვის „ჯურზანი“ და „აფხაზეთი“ ორი დამოუკიდებელი მცნებაა. ფაქტების ამგვარი: დამახინჯება ზაქარია ალ-ყაზვინისათვის უცხო არ არის და მის შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება შემთხვევა აღვნიშნოთ.

იაკუთი აფხაზეთის შესახებ შედარებით მცირე ცნობას გვაწვდის, ამავე დროს მასთან შესაძლებელია არცთუ მაინცდამაინც დაცული იყოს სიზუსტე, მაგრამ „აბხაზის“ მცნების საკითხი იაკუთთან გაცილებით უფრო. გარკვეული ჩანს, ვიდრე ზაქარია ალ-ყაზვინისთან. იაკუთი ასე განმარტავს: „აბხაზი... ერთ-ერთი მხარის სახელი კაბკის მთაზე, რომელიც ესაზღვრება ბაბ ალ-აბვაზს.. ემეზობლება იგი ალ-ლანის ქვეყანას. დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ...“ ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 78; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 1).

63. ქალაქი შამქორი თანამედროვე სპარსეთის აზეობაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ ბარდავის (არაბ. ბარზა; იხ. ქვემოთ, შენიშვნ.,

61, II) ჩრდილო დასავლეთითაა. თუ იაკუთს დავუჯერებთ, შამქორი ძველი და ამავე დროს „ყოველთვის დასახლებული და აყვავებული“ ქალაქი ყოფილა, ვიდრე იგი სანავარდიელებს არ დაუ ნგრევიათ. 240/854 წ. შამქორი ბუღა თურქს, ხალიფა მუთასუმის მავლას, არაბ მხედართმთავარს, რომელმაც არმინიასა და საქართველოში ილაშქრა და თბილისი ააოხრა, განუახლება, აღუდგენია და ხალიფა ალ-მუთავაქქილის (232/847–247/861 წწ.) საპატივცემულოდ „ალ-მუთავაქქილია“ უწოდებია (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 322; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 67; G. le Strange, გვ. 178 – 179).

87

ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი, X ს. არაბი გეოგრაფები, შამქორს იხსენიებენ ბაილაკანთან, ვარსანთან, ბარდიჯთან, შამახიასთან, კაბალასთან, შაქისტან, განჯასთან, ხუნანთან და სხვ. ქალაქებთან ერთად და აღნიშნავენ, რომ ჩამოთვლილი ქალაქები მოცულობით პატარები არიან, ფართობით თითქმის ტოლები და ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერი აქვთ (ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 187; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 244).

შამქორი კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. როგორც ვიცით, სწორედ შამქორთან მოხდა ცნობილი ბრძოლა ქართველთა ჯარსა და თურქთა კოალიციურ ლაშქარს შორის სპარსეთის აზერბაიჯანის ათაბაგ აბუ ბაქრის მეთაურობით 1195 წ., როცა თურქთა შეერთებული მხედრობა სასტიკად დამარცხდა, შამქორი და განჯა ქართველებს დარჩა, ხოლო ამ გამარჯვებამ ნათელჰყო ქართველთა სამხედრო ძალის უპირატესობა მახლობელ აღმოსავლეთში.

64. სამი ფარსახი, ახუ ვ. ჰინცის მონაცემებით 18 კმ.

65. თევზის ეს ერთ-ერთი ჯიში ამ-შურმაჰიჯისა, რომელიც დამარილებული სხვადასხვა ქვეყნებში გაჰქონდათ, იაკუთთან ოდნავ შეცვლილი დამწერლობით გვხვდება – ამ-შურმაჰი, ისე კი იაკუთი იმასვე ამბობს ამ თევზის ჯიშზე, რასაც ზაქარია ალ-ყაზვინი გადმოგვცემს (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 559; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 32).

66. სხვაგვარი დამწერლობით გვხვდება აგრეთვე ად-დარაკინის, თევზის ამ ერთ-ერთი ჯიშის, დამწერლობა იაკუთთან. მასთან თევზის ეს ჯიში „დავაკინად“ იხსენიება (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 559; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 32).

67. ად-დარაკინისა და ალ-უშბის მიმართ იაკუთი იმასვე ამბობს, რასაც ზაქარია ალ-ყაზვინი გადმოგვცემს, რომ ორივე ეს თევზი ამ მხარეში ყველა თევზის ჯიშზე უკეთესია,

68. კედლის „ვერაგობის“ ამ ფაქტს ზაქარია ალ-ყაზვინი სხვა ადგილასაც იმეორებს თავში არ-რანის შესახებ, ოღონდ ოდნავ შეცვლილი სახით. თუ ამ შემთხვევაში მტკვარში ჩავარდნილი კაცი ცოცხალი გადარჩენილა და იგი თავზე დაქცეული კედლის მსხვერპლი გამ-

ხდარა, იქ, მეორეჯერ თხრობისას, წყალში ჩავარდნილი ეს პირი საერთოდ ცოცხალი გადარჩენილა, ოუმცა კედელი, რომლის ქვემოთ მოსულიერებული იჯდა, მხოლოდ თავზე დანგრევით ემუქრებოდა. ამის გამო ხალხი, ზაქარია ალ-ყაზვინის სიტყვებით, გაცეცხლებული იყო. მდინარის გულკეთილობითა და კედლის ვერაგობით.

69. აზერბაიჯანში არსებული რომელიღაც წყაროზე ასეთი მითითებით, რა თქმა უნდა, ძნელია კონკრეტულის თქმა, მით უმეტეს, რომ მის შესახებ არც იაკუთს მოეპოვება რაიმე ჩვენთვის საინტერესო მასალა.

70. ზარავანდს იაკუთიც იხსენიებს და საკმაოდ ვრცელი მასალაც მოაქვს მის შესახებ მისარ იბნ მუჰალჰილის მიხედვით, რომელიც გადმოგვცემს, რომ ურმიის მლაშე ტბასთან ახლოს სალამასის მხარეს მდებარეობდა „შესანიშნავი, დიდებული, დიდმნიშვნელოვანი და ძალიან სასარგებლო ცხელი წყალი. საერთო აზრითა და თანხმობით იგი ითვლება საუკეთესოდ მათ შორის, რაც მიწის მადნეულთაგან გამოდის“ ( ი ა კ უ თ ი , II, გვ. 922; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 59–60).

იაკუთის ამ მითითების წყალობით, მამასადამე, ხერხდება ზარავანდის წყაროს ადგილმდებარეობის მიახლოებითი განსაზღვრა. ვინაიდან სალამასი (თუ სალმასი, იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 31, II), მდებარეობდა ურმიის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო თვით წყარო სალამასის მხარეს იყო, ცხადია, რომ ეს წყაროც ურმიის ტბის ჩრდილო-დასავლეთით არის სამეზბნი.

დანარჩენს ზარავანდის წყაროს წყლის თვისებების შესახებ იაკუთი ისევე ლაპარაკობს, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი, უფრო ვრცელად.

71. წინა შენიშვნაში აღვნიშნეთ, რომ ზარავანდი იაკუთის მითითებით ურმიის ტბასთან ახლოს სალამასის მხარეს იყო. ზაქარია ალ-ყაზვინიც მიუთითებს, რომ ზარავანდი „აყროლებული ტბის“ ახლოს მდებარეობს. ექვი არ არის, რომ „აყროლებულ ტბაში“ ზაქარია ალ-ყაზვინი ურმიის ტბას გულისხმობს. ეს ზაქარია ალ-ყაზვინის სხვა მითითებით სავსებით დასტურდება. თავისი მეორე წიგნის „სჯარ ალ-ბილად ვა ახბარ ალ-იბნადის“ თავში ურმიის შესახებ (გვ. 194) ზაქარია ალ-ყაზვინი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ურმიის ტბა უსიამოვნო, ანუ აყროლებული, სუნის არისო.

89

72. როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი ქვემოთ მიუთითებს, შირქირანის წყარო მდებარეობდა იმავე სახელწოდების სოფელთან, რომელიც მარალადან (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 114, II), ორი დღის გადასასვლელზე ყოფილა.

73. თუ ვინ იყო ალ-ფაკიჰ ჰასან ალ-მარალი, ვერ დავადგინეთ.

74. ალ-ფურათის წყარო ზაქარია ალ-ყაზვინის მითითებით მდებარეობდა არზან არ-რუმის, ანუ ერზერუმის ახლოს (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 44, II).

75. კულტურის წყარო ზაქარია ალ-ყაზვინის მითითებით მდებარეობდა იმავე სახელწოდების ციხე-სიმაგრესთან ახლოს, სამხრეთ აზერბაიჯანში, ხოის დასავლეთით (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 100, II).

76. აშ-შარიფ მუჰამმად იბნ ზი ალ-ფაკარის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

77. ქანქალას წყაროსთან დაკავშირებით შენიშვნას ვერაფერს დავუმატებთ, გარდა იმისა, თუ გავიმეორებთ ზაქარია ალ-ყაზვინის სიტყვებს, რომ ეს წყაროც სამხრეთ აზერბაიჯანში ხოის ახლოს მდებარეობდა.

78. ვაშლას წყაროც სამხრეთ აზერბაიჯანში ხოის ახლოს იმავე სახელწოდების სოფელთან ახლოს მდებარეობდა.

79. იასსი ჯიძანი ერზერუმსა და ხლათს შორის ყოფილა (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 95, 11).

80. ბიჯანი, ანუ ბეჟანი, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი სამიჯნურო თავგადასავლის პერსონაჟია. იგი აფრასიაზმა, თურანელთა მბრძანებელმა, ირანელთა მტერმა, დაატყვევა და დიდ ორმოში მოათავსა, რომელსაც ზემოდან ვეებერთელა ლოდი დაადო იმის გამო, რომ ბეჟანმა გაბედა და აფრასიაზის ქალიშვილის მანიყეს კოშკში მისი ძიძის დახმარებით შეიპარა და გაბედა და თავისი სიყვარული შე-

90

თავაზა თურანელთა მბრძანებლის ასულს. სწორედ ამ ბეჟანს მოეწვლინება მხსნელად რუსთამ, ანუ როსტომ, ძლიერი, ზაალისა და რუდაბეს, მეჰრავის ასულის, ძე. იგი შაჰ ქეიხოსროვის თხოვნით გაემართება ბეჟანის დასახსხელად, იმ ლოდს, რომელიც ორმოს თავზე აქონდა გადადებული, გადააგდებს, ბეჟანს ორმოდან ამოიყვანს და გაათავისუფლებს (იხ. შენიშვნ. 124, II).

81. როცა ზაქარია ალ-ყაზვინი ამბობს, რომ „ამის შესახებ (ე. ი. ბეჟანის განთავისუფლებაზე) ცნობილი გრძელი ამბავი არსებობსო“, სწორედ ის ამბავი აქვს მხედველობაში, რომელზედაც ჩვენ წინა შენიშვნაში ძალზე მოკლედ შევჩერდით (შედარებით ვრცელი შინაარსისათვის იხ. ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა , ფირდოუსი, თბ., 1963, გვ. 67–70).

82. როგორც იოკვევა, ჯანზადაკის ჭა, რომელიც იმავე სახელწოდების სოფელთან ყოფილა მარაღას ოლქში, მდებარეობდა აგრეთვე დვინის ციხე-სიმაგრედან ექვსიოდე კილომეტრით დაშორებული.

83. დავინის ციხე-სიმაგრეში ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში

აქვს მდ. არაქსის ახლოს ერევნის სამხრეთით მდებარე ქალაქი დვინი (ამჟამად პატარა სოფელი, G. le Strange, გვ. 182), რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში, არაბთა ბატონობის ხანაში, წარმოადგენდა, სომხეთის მთავარ ქალაქს. არაბულ წყაროებში დვინი სხვადასხვა დამწერლობით გვხვდება – დავინის (იხ. ი ა კ უ თ ი , II, გვ. 632, ანდა იგივე ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი) ან დაბილის ფორმით. ეს ბოლო ფორმა უფრო გავრცელებული ჩანს ადრეული შუა საუკუნეების არაბულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მწერლობაში. ქალაქის სახელწოდება, რაც „მთას, ბორცვს“ უნდა ნიშნავდეს წარმოშობით წინაირანული უნდა იყოს (იხ. M. Minorsky, Le nom de Dvin. Kasal-Kazakh, Revue des Etudes Armeniennes, T. X, Fasc. I, 1930, გვ. 119 შმდგ.; მისი - ვ ე , Transcaucasica, JA, Juillet-September, T. CCXVII, Fasc. I, 1930, გვ. 41 შმდგ.).

არაბი გეოგრაფები ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი (გვ. 188), ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი (გვ. 244–246), ა ლ - მ უ კ ა დ დ ა ს ი (გვ. 377, 379, 380, 381), ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი (გვ. 292), ი გ ი ვ ე ი ა კ უ თ ი (II, გვ. 549, 632; თ ა რ გ მ ნ , გვ. 53, 57) და სხვ. იძლევიან დვინის როგორც გარეგანი სახის გარკვეულ აღწერილობას, ასევე იქ წარმოებული სახელოსნო ნაწარმის შედარებით ვრცელ ნუსხას. X ს. დროინდელი

91

დვინი არდაბილზე დიდი ყოფილა მოცულობით და, როგორც ზემოთ აღნიშნა, იყო სომხეთის მთავარი ქალაქი. მას ირგვლივ შემოვლებული ჰქონია კედელი. ქალაქის მოსახლეობაში ქრისტიანობა მრავლად ყოფილა წარმოდგენილი. საკრებულო მეჩეთი და ეკლესია ერთიმეორის გვერდით მდებარეობდნენ აწარმოებდნენ დვინში შალის ტანსაცმელს, რომელსაც ყირმიზის საღებავით ღებავდნენ, აგრეთვე აოხებს, ფარდებს, ბალიშებს, გადასაფარებლებსა და სხვ. დვინში წარმოებულ ჩამოთვლილ სახელოსნო ნაწარმს „ალ-არმინის“ ეძახდნენ. ბიზანტიური ნაწარმის მსგავსად ამზადებდნენ დვინში აბრეშუმის ქსოვილებს, რომელნიც ზოგჯერ უკეთესი იყო კიდეც ბიზანტიურ ნაწარმზე. ცხადია, ასეთი მაღალი ხარისხის სახელოსნო ნაწარმი საექსპორტოდაც გადიოდა.

იბნ ჰაუკალი სიამაყით აღწერს დვინის ბაღებს, მის ხეხილს, მარცვლოვან კულტურებს, აღნიშნავს ბრინჯსა და ბამბას და ამავე დროს აღნიშნავს იმასაც (ი. კრამერის გამოცემის მიხედვით), თუ როგორ დაანგრის ქართველებმა დვინი. ეს უკანასკნელი ფაქტი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, უბრალო შეცდომაზე უნდა იყოს აგებული, ანდა, რაც უფრო საფიქრებელია, იბნ ჰაუკალის ტენდენციურობას უნდა მივაწეროთ.

როგორც ჩანს, იბნ ჰაუკალს მხედველობაში აქვს X ს. დასაწყისის პოლიტიკური ამბები, როცა სახალიფოს ხელისუფლებმა ერთხელ კიდეც სცადეს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ, ამიერკავკასიის შემომტკიცება. ამ მიზნით, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში 914 წ. გამოგზავნილ იქნა არაბთა მხედართმთავარი აბუ ალ-კასიმ იბნ იუსუფ აბუ ას-საჯი, რომელსაც მიემხრნენ ქართლის მეფე ადარნასე, ვასპურაკანის მთავარი გაგიკი და სომეხთა მეფის სუმბატის ძმისწული აშოტი აფხაზთა მეფის კონსტანტინესა და სომეხთა მეფის სუმბატის

წინააღმდეგ საბრძოლველად. ისიც ცნობილია, რომ როცა სუმბატ მეფემ შექმნილი მძიმე ვითარება დაინახა, გადაწყვიტა მტერს გასცლოდა და „მიმართა მათა აფხაზეთისათა“. მაგრამ არაბი სარდალი მას უკან დაედევნა, შეიპყრო და 914 წ. დვინში ძელზე ჩამოკიდა. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, „თუ სომხეთი დაზიანდა, არც ქართლსა, სამცხესა და ჯავახეთს დაჰყრია არაბების ლაშქრისაგან ხერი“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 105). მამასადაძმე, როგორც ვხედავთ, თუ იმხანად საკუთრივ დვინი დაზიანდა, იგი დაზარალებულა არა ქართველთა გამო, არამედ პირველ რიგში არაბთა მხედრობის შემოსევის შედეგად, რომლის მხედართმთავარი აბუ ალ-კასიმი გამოგზავნილი იყო ამიერკავკასიაში როგორც სა-

92

ქართველოს, ასევე სომხეთის ურჩი მბრძანებლების დასასჯელად. X ს. დასაწყისში საქართველოს, რა თქმა უნდა, ძალა არ შესწევდა დამოუკიდებელი აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა, ვინაიდან მისი მესვეურები საკუთარი საშინაო პოლიტიკით – ერთიანი, პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს შექმნით იყვნენ დაკავებული.

ცხადია, დვინის გაპარტახებაში ალბათ ქართველებიც მონაწილეობდნენ მეფე ადარნასეს მეთაურობით, ისევე როგორც ამ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აგრეთვე არაბთა სხვა მოკავშირეებსაც, კერძოდ, ზემოთ აღნიშნულ ვასპურაკანის მთავარს გაგიკსა და სომეხთა მეფის სუმბატის ძმისწულს აშოტს. მაგრამ მთავარი დამკვერელი ძალა, თქმა არ უნდა, არაბთა ჯარი იქნებოდა აბუ ალ-კასიმის მესვეურობით.

იბნ ჰაუკალმა არაბთა ჯარის ლაშქრობა სომხეთში და, კერძოდ, დვინში ქართველებს მიაწერა, მისი დანგრევაც მათ გადააბრალა, შესაძლებელია, შეგნებულად და ამიტომ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ამ ისტორიული ფაქტის ისე გადმოცემა, როგორც იგი იბნ ჰაუკალმა მოგვაწოდა, უფრო მის ტენდენციურობას უნდა მივაწეროთ და არა უბრალო შეცდომას. სხვა რომელიმე ფაქტი დვინის აოხრებისა ქართველთა მიერ X საუკუნემდე, რომელსაც შესაძლებელია იბნ ჰაუკალი გულისხმობდეს, ჩვენ არ ვიცით.

84. თუ წყრთის საფუძვლად დამრგვალებულ რიცხვს 50 სმ ავილებთ, მაშინ გამოდის, რომ ამ ჯანზადაკის ჭის სიღრმე დაახლოებით 250 მეტრი ყოფილა.

85. ამ ამბავს ზაქარია ალ-ყაზვინი სხვა ადგილასაც იმეორებს თავში სოფელ ჯანზადაკის შესახებ (იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 75, II).

1. ამ თავში აწერბაიწანის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი სტრიქონი აქვს დათმობილი, ზაქარია ალ-ყაზვინი ახალს არაფერს იძლევა. თავში არსებითად თავმოყრილია და ერთადაა წარმოდგენილი წინა წიგნის სხვადასხვა თავებში მოცემული მასალა, რომელიც აწერბაიწანს ეხება. ასეთად არის მოტანილი, მაგ., მასალა საბალანის მთის შესახებ. იგი თითქმის სიტყვა-სატყვივით იმეორებს ჩვენთვის უკვე ცნობილ თავს ყურანიდან მოტანილი ციტატის ჩათვლითაც კი, ამბავს მეჩქეთის საძირკვლისათვის საჭირო ბოძების თაობაზე და ა. შ. (იხ. თავი „საბალანის მთა“). აქვე აქვს ზაქარია ალ-ყაზვინის კვლავ მოთხრობილი მდ. არ-რასის თვისებაზე ქალის მწრობიარობისა და დაისამ იბწ იბრაჰიმისა და მისა ლაშქრის მიერ მდინარეში ჩავარდნილი ბავშვის გადარჩენის შესახებ (იხ. თავი „არ-რასის მდინარე“). აღწერილი აქვს მდინარე ზაქვირი, რომელიც ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით, როგორც ვიცით, ოთხ ფარსახზე, ანუ თანამედროვე სახომ ერთეულზე გადატანილი 24 კმ, მიწის ქვეშ იკარგება, ხოლო შემდეგ კვლავ მიწის ზედაპირზე ამოდის (იხ. თავი „მდინარე ზაქვირი“). და, დაბოლოს, ზაქარია ალ-ყაზვინის მოხსენიებული აქვს ისევ აწერბაიწანის წყარო თავისი სასარგებლო, ალბათ ასე უწდა ვიგულისხმობთ, თვისებებით (იხ. თავი „აწერბაიწანის წყარო“).

თქმა არ უწდა, აწერბაიწანის შესახებ იაკუთის ცნობების შედარებაც არ შეიძლება ზაქარია ალ-ყაზვინის მასალასთან, განსაკუთრებით ისტორიულ ნაწილში. საინტერესოა იაკუთის ერთ-ერთი ცნობა სახელწოდება „აწერბაიწანის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. იაკუთი გადმოგვცემს, რომ „აწარ“ ცეცხლის სახელი ყოფილა ფალაურად ხოლო „ბიჯან“ კი ცეცხლის მცველს ნიშნავს და აქედან დაასკვნის იაკუთი, რომ „ეს უფრო ჰგავს სიმართლეს და ყველაზე უფრო შეეფერება მას, რადგანაც ცეცხლის ტაძრები ამ მხარეში ძალიან ბევრი იყო“ (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 172; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 4). იაკუთს სახელწოდება

94

„აწერბაიწანის“ წარმოშობასთან დაკავშირებით მეორე ვარიანტიც მოაქვს, ცნობილი აგრეთვე სხვა არაბი მწერლების მიხედვითაც (იხ., მაგ, ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 374–375; ი ბ წ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 284), და ამიტომ ამბობს იგი, რომ „ეს უფრო ჰგავს სიმართლეს და ყველაზე უფრო შეეფერება მას“.

დანარჩენი მასალა აწერბაიწანთან დაკავშირებით იხ. M. Streck, ET, I, გვ. 141–143; V. Minorsky, EI, NE, I, გვ. 188–191.

2. კუჰისტანი ან კუჰისტანი არის არაბული ფორმა სპარსული „ქუჰისტანისა“, სადაც „ქუჰ“ სპარსულად „მთას“ ნიშნავს (იხ. ი ა კ უ თ ი , IV, გვ. 205; J. H. Kramers, EI, II, გვ. 1188; C. le Strange, გვ. 352). ჩვეულებრივ არაბი გეოგრაფები კუჰისტანს ხორასნის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ და მას, როგორც ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, ეკავა მთაგორიანი, განსხვავებით მისგან აღმოსავლეთით მდებარე

დაბლობიანი სიჯისთანისაგან, ტერიტორია, რომელსაც გეოგრაფები ყოველთვის ალ-ჯიბალს ემახდნენ (ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 228; ალ-ჯიბალთან დაკავშირებით იხ. ზემოთ, შენიშვნ. 7, I).

ადრეულ შუა საუკუნეებში კუპისთანის მთავარი ქალაქი იყო არაბი მწერლების ცნობით ქალაქი კაინი, რომელიც სიდიდით დაახლოებით სარახსის ოდენა ყოფილა (ალ-ისტახრი, გვ. 274). თვით სარახსი კი X ს. მერვის ნახევარი იყო. ალ-მუკადდასი აქებს მის საკრებულო მეჩეთსა და შესანიშნავ ბაზრებს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ ე. წ. საქალაქო გარეუბანს იქით სარახსს ჰქონდა მშვენიერი ბაღები (ალ-მუკადდასი, გვ. 312, 313). სარახში წარმდებულ სანიმუშო სახელოსნო ნაწარმზე ზაქარია ალ-ყაზვინიც ლაპარაკობს (ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 261).

იმავე ალ-ისტახრის ცნობით (იხ. იქვე) კაინის შენობები თიხისაგან ყოფილა ნაგები, რაც იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა წინ. თვით ქალაქს ჰქონია ცნობილი თხრილით შემოვლებული ქუჰანდიზი, რომელშიც მდებარეობდა საკრებულო მეჩეთი და ამირის სასახლე. ისევე როგორც მთლიანად მთელი კუპისთანის ჰავა, ქალაქ კაინის ჰავაც ცივი იყო. ქალაქის მოსახლეობა იკმაყოფილებდა თავს მიწისქვეშა არხის წყლით. ქალაქს ნაკლებად ჰქონდა ბაღები. ხოლო სოფლები მთაგორიანი რელიეფის გამო მიმოფანტული იყო.

გარდა კაინისა წყაროებში დასახელებულია აგრეთვე ქალაქები იუნაბიზი, ატ-ტაბასაინი და ხური. მოცემულია მათი ძალზე მოკლე აღწერა და გაკეთებულია ზოგჯერ მათი ურთიერთშეჯერებაც.

95

3. იხ. შენიშვნ. 34, I.
4. იხ. შენიშვნ. 35, I.
5. იხ. შენიშვნ. 36, I.
6. იხ. შენიშვნ. 51, I.
7. იხ. შენიშვნ. 52, I.
8. იხ. შენიშვნ. 53, I.
9. იხ. შენიშვნ. 54, I.
10. იხ. შენიშვნ. 55, I.
11. იხ. შენიშვნ. 57, I.
12. იხ. შენიშვნ. 48, I.

13. იხ. შენიშვნ. 49, I. აქვე გვსურს აღვნიშნოთ ის ერთ-ერთი ზაქარია ალ-ყაზვინისათვის დამახასიათებელი გარემოება, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (იხ. შენიშვნ. 50, I). სწორედ ამ შემთხვევაში ზაქარია ალ-ყაზვინი ალ-ჯაიჰანის ნაშრომის დასათაურებას, როგორც ვხედავთ, შეცვლილი სახით იძლევა. ახლა ალ-ჯაიჰანის ნაშრომს უკვე სათაურად აქვს არა „ალ-მასალიქ ვა ალ-მამალიქ აშ-შარკნა“ („აღმოსავლეთის გზები და სამეფოები“), არამედ „ალ-მასალიქ ალ-მამრიკნა“ ანუ „აღმოსავლური (აღმოსავლეთის) გზები“.

14. იხ. შენიშვნ. 50, I.



15. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში იგივე წყარო აქვს, რომლის ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოვახერხეთ (იხ. შენიშვნ. 69, I). გვეგონია, რომ ამაზე ნათლად მიუთითებს ერთი და იგივე წყარო – „თუჰრათ ალ-ღარაჴის“ ჩვენთვის უცნობი ავტორი.

16. არდაბილი მდებარეობს აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან 40 კმ დამშორებული.

X ს. არდაბილი წარმოადგესდა აზერბაიჯანის მთავარ პოლიტიკურ, სახედრო და სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრს. ალ-ისტახრისა და იბნ ჰა-

96

უკალის ცნობით (ალ-ისტახრი, გვ. 181; იბნ ჰაუკალი, გვ. 273) არდაბილი იყო აზერბაიჯანის ყველაზე დიდი ქალაქი, მაგრამ დვინზე მცირე კი ყოფილა, როგორც ალ-მუკადდასი იტყობინება (ალ-მუკადდასი, გვ. 377). იქ იყო დისლოცირებული ჯარი, იქვე მდებარეობდა ამირეს სასახლე. არდაბილს ეკავა 2/3 კვ ფარსახის ფართობი. ირგვლივ შემოვლებული ჰქონია კედელი სამი კარიბჭით. არდაბილსავე ჰქონია გამაგრებულე ცეხე-სიმაგრე და ურთიერთგადამკვეთ ოთხ გზაზე გაშლილი ბაზრები. ამ ოთხი გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა კათედრალური მეჩეთი. სახლების უმრავლესობა თიხით ნაგები ყოფილა, ნიადაგი ნოყიერი და მოსავლენი. ციხის უკან, როგორც ახლო აღმოსავლური ქალაქის წესი, დასახლებული რაბადიც ყოფილა (ალ-მუკადდასი, გვ. 377–378; შდრ. G. le Strange, გვ. 168).

არდაბელეს ე ტემოლოგიას სპეციალისტები გაურკვეველად თვლიან (R. N. Frye, EI, NE, I, . გვ. 625), მიუხედავად იმისა, რომ ადრე ვლ. მინორსკემ თავისი თვალსაზრისიც გამოთქვა საკითხთან დაკავშირებით (იხ. V. Minorsky, Transcaucasica, გვ. 68).

617./1220–1221 წ. არდაბილი მოუნახულებიას იაკუთს. მოსალოდნელი იყო, რომ იაკუთი რაიმე ახალ მასალას მოგვაწვდიდა არდაბილთან დაკავშირებით, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ, მას ახალი არაფერი შეუმჩნევია ქალაქში გარდა იმისა, რაც მის წინამორბედ თუ თანამედროვე მწერლებს დაუნახავთ (იაკუთი, I, გვ. 197–198; თარგმნ., გვ. 7–9).

17. ფაირუზის სახელით ლაპარაკია სასანელ შაჰინშაჰზე პეროზზე (457–484 წწ.), რომლის მეფობა მაინცდამაინც არაფრით არის ღირსშესანიშნავი გარდა იმისა, რომ მან თითქმის მთელი თავისი ხანგრძლივი ზეობის წლები გაატარა ეფტალიტებთან (თეთრ ჰუნებთან) მძიმე ბრძოლებში, ერთხელ თუ ორჯერ ტყვედაც ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, ერთ ხანს იძულებული იყო სასანელი უფლისწული, საკუთარი შვილი, ირანის მომავალი შაჰინშაჰი, კავადი მძევლადაც დაეტოვებინა ეფტალიტებთან, ხოლო დაბოლოს იმავე ეფტალიტების მახვილმა გამოასალმა წუთისოფელს პეროზ მეფე, რომლის ერთ-ერთი ქალიშვილი მეფისათვის ამ უკანასკნელ ბრძოლაში დაატყვევა კიდევ მტერმა.

იაკუთიც ამასვე იტყობინება რომ არდაბილი ფაირუზ მეფემ გააშენაო და ბაზან ფაირუზი უწოდაო. მაგრამ მას მეორე ცნობაც მო-

ყავს იბნ სადზე დაყრდნობით იმის შესახებ, რომ „შესაძლოა იგი (ანუ ქალაქი თავისი დაარსებით) დაკავშირებული იყოს არდაბილ იბნ არმი-  
7. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ 97

ნი იბნ დანტ იბნ იუნანთანო“ (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 198; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 8).

18. ქალაქ არდაბილში სინებისა და ხალანჯის ჯამების. დამამზადებელ ხელოსანთა სიმრავლეზე იაკუთიც ლაპარაკობს (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 197; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 8).

19. ამ, თავის დასასრულს ზაქარია ალ-ყაზვინი აღნიშნავს, ისევე როგორც იაკუთი (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 198; თარგმნ., გვ. 9) და, თუ გნებავთ, ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი და ალ-მუკადდასიც, შირაზისა და არდაბილის მანის შესახებ (ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 191; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 215; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 452), რაც ირანის სინამდვილისათვის იგივე რატლია, რომ არდაბილის რატლი წონით 1040 დირჰამს უდრის. დირჰამის წონა კი ვ. ჰინცის მონაცემებით ირანში უდრიდა 3,2 გრ (В. Х и н ц , Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, გვ. 16). მასადაამე, ერთი მანი თუ რატლი გრამებში შეადგენდა 3328 გრ. ხოლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 200-რატლიანი ლოდის წონა კგ-ში შეადგენდა 665 კგ და 600გრ. აქ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ზაქარია ალ-ყაზვინის მიერ მოთხრობილი ამბავი დარისა და ავდრის რეგულირების შესახებ ამ 200-რატლიანი ლოდის წყა ლობით. ეჭვი არ არის, ეს ამბავი ზღაპარია და მას სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო.

20. ჰაქიმი სინდი იბნ შაჰიქი. ვერც ამ პიროვნების ვინაობის დადგენა მოხერხდა.

21. გამოდის, რომ ამ ღორმუცელა კაცს ერთ ჭამაზე შეუჭამია თითქმის 30 კგ ბრინჯი, უფრო ზუსტად 29 კგ და 925 გრ, და თან ერთი ძროხის თავიც დაუყოლებია.

22. ძნელი სათქმელია, თუ რას გულისხმობს ბრინჯის სამმაგ გაზრდაში ზაქარია ალ-ყაზვინი, ბრინჯის წონას, მოცულობას თუ ორივეს ერთად. თუ ზაქარია ალ-ყაზვინის, ვთქვათ, წონა აქვს მხედველობაში, მაშინ ამ ზედმეტად კარგი მადის ადამიანს თითქმის ერთი ცენტნერი ბრინჯი შეუჭამია. როგორც არ უნდა იყოს საქმის ვითაობა, არდაბილელთა მადის შესახებ ფაქტის გადმოცემა, თქმა არ უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, გადაჭარბებაა და მას სინამდვილედ არავინ მიიღებს.

98

23. ურმიის ოლქი და იმავე სახელწოდების ქალაქი, თანამედროვე რეზაიე, ირანის მეოთხე ასთანის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობენ სპარსეთის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (V. Minorsky, EI, IV, გვ. 118; G, le Strange, გვ. 160). თვეთ ურმიის ტბამ, ახლა რეზაიეს ტბამ, თავისი სახელწოდებაც ქალაქ ურმიისაგან მიიღო. საკუთრივ

ქალაქი მდებარეობს რეზაიეს ტბის დასავლეთ ნაპირზე. X ს. არაბი გეოგრაფები ურმიას სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქთა შორის მესამე რიგში აყენებენ თავისი სიდიდით არდაბილსა და მარაღას შემდეგ (ალ-ისტახრი, გვ. 181; იბნ ჰაუკალი, გვ. 239).

იბნ ჰაუკალის ცნობით ურმია ყოფილა ნაყოფიერი და წყლით უხვი. მას ჰქონია ვრცელი სანახები. გადმოცემის თანახმად ქალაქი ურმია უნდა ყოფილიყო მოგვთა, ცეცხლთაყვანისმცემელთა, წინასწარმეტყველის ზარადუშთის მშობლიური ქალაქი (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 285–286; იაკუთი, I, გვ. 219; თარგმნ., გვ. 11).

ურმიის ტბა არაბულ წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: ურმიის ტბა, ქაბუზანის ტბა (იბნ ჰაუკალი, გვ. 239, 247; ალ-მასუდი, თანბიჰ, გვ. 75), რაც სომხურიდან უნდა იყოს წარმოშობილი და „ლოურჯ ტბას“ უნდა ნიშნავდეს (G. le Strange, გვ. 160), აშ-შურათის ტბა (ალ-ისტახრი, გვ. 181).

ურმიის ტბის წყალი მლაშეა და, თუ იბნ ჰაუკალსა და ზაქარია ალ-ყაზვინის დაუჯერებთ, მასში თევზი არ მოიპოვება (იბნ ჰაუკალი, გვ. 247; იაკუთი, I, გვ. 513; თარგმნ., გვ. 29; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 332). ალ-ისტახრი კი პირიქით ამტკიცებს, რომ ურმიის ტბა თევზით მდიდარია (ალ-ისტახრი, გვ. 189). ზაქარია ალ-ყაზვინი იმასაც ამბობს, რომ ურმიის ტბის ჭაობებში თურმე თევზის ისეთი ჯიში ყოფილა, რომლის ქონისაგან სანთელს ამზადებდნენ. იქნებ ეს ალ-ისტახრისთან (იქვე) მოხსენიებული „წყლის ძაღლია“.

ტბაში მდებარეობდა კუნძული, როგორც ამას ზაქარია ალ-ყაზვინიც იტყობინება. ზოგის ცნობით ამ კუნძულს ქაბუზანი ერქვა, ზოგის ცნობით კი კუნძულზე აღმართული მთის სახელი უნდა ყოფილიყო ქაბუზანი. ამ კუნძულზე ცხოვრობდნენ ტბაში მცურავი ხომადების მეზღვაურები. მთაზევე მდებარეობდა ციხე-სიმაგრე, რომელიც იაკუთს, ხორასანს მიმავალს, 617/1220–1221 წ. ტბაზე გადასვლისას შორიდან დაუნახავს (იაკუთი, I, გვ. 513; თარგმნ., გვ. 29). ეს ის ციხე-სიმაგრე უნდა იყოს, რომელსაც ზაქარია ალ-ყაზვინიც იხსენიებს. იგი მეკობრეთა თავშესაფარი ყოფილა (იაკუთი, იქვე). რეზაიეს სამხრეთ ნაწილში მართლაც მდებარეობს კლდოვან კუნძულთა მთელი არქიპელაგი (Б С Э, т. 36, გვ. 256).

99

24. ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით კუნძულის წრეხაზი შეადგენდა 50 ფარსახს, ანუ 300 კმ. იაუთი კი ამბობს, რომ ურმიის ტბის წრეხაზია 50 ფარსახიო (იაკუთი, I, გვ. 513; თარგმნ., გვ. 29). როგორც ჩანს, ზაქარია ალ-ყაზვინის შეცდომა აქვს დაშვებული და ერთმანეთში არეული ტბის პერიმეტრი კუნძულის წრეხაზთან. რეზაიეს ტბის სიგრძეა 140 კმ, ხოლო სიგანე კი 65 კმ-მდე (Б С Э, იქვე). მაშასადამე, მისი პერიმეტრი შეადგენდა 346 კმ-ზე ოდნავ მეტს. ამდენად, იაკუთის ცნობა თითქმის უახლოვდება მოტანილ დაანგარიშებას.

25. თავრიზი, სამხრეთ აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი, მდებარეობს რეზაიეს ტბის ჩოდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 50 კმ დამორებუ-

ლი (V. Minorsky, EI, IV, გვ. 631; G. le Strange, გვ. 161).

ადრეულ შუა საუკუნეებში თავრიზი უმნიშვნელო როლს ასრულებდა აზერბაიჯანის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვერებაში. X ს. არაბ ავტორებს იგი დასახელებული ჰყავთ ქალაქების მაიანიჯთან, ხუნ-აჯთან, უჯანთან, დახხარაკანთან, ხოისთან, სალამასთან, მარანდთან, ბარზანდთან, ვარსანთან, მუკანთან, ჯაბრავანთან, ბაილაკანთან და უმნუსთან ერთად და აღნიშნავენ, რომ ეს ქალაქები და, მათ შორის, თავრიზიც პატარა ქალაქებია, სიდიდით ერთმანეთთან ახლოს მდგომი (ალ-ისტახრი, გვ. 181; იბნ ჰალუკალი, გვ. 239). იაკუთი იმასაც კი აღნიშნავს, რომ თავრიზი IX ს. მეორე ნახევარში სოფელი იყო (იაკუთი, I, გვ. 822; თარგმნ., გვ. 38).

მაგრამ XIII ს. თავრიზი უკვე აზერბაიჯანის მთავარი და ყველაზე ცნობილი ქალაქია. ასე ამბობს, მაგ., იაკუთი (იაკუთი, იქვე). როგორც ვხედავთ, ამასვე იმეორებს ზაქარია ალ-ყაზვინი. სპარსელ ავტორს მუსთაუფის თავრეზის ვრცელი აღწერა აქვს მოცემული, რომელსაც გ. ლესტრენჯი თავის ნაშრომში იძლევა (G. le Strange, გვ. 162) იაკუთს თავრიზში წარმოებული სახელოსნო ნაწარმის მოკლე ნუსხაც მოაქვს (იაკუთი, იქვე), ისევე როგორც ამას აკეთებს ზაქარია ალ-ყაზვინი.

26. სხვათა შორის, თავრიზისადმი ზიანის მიუყენებლობაზე უცხო დამპყრობელი ძალის მხრივ იაკუთიც ლაპარაკობს, მაგრამ განსხვავება იაკუთსა და ზაქარია ალ-ყაზვინის შორის ის არის, რომ, ჯერ-ერთი, ხაკუთთან თურქების ნაცვლად თათრებია მოხსენიებული, ხოლო, მეორეც, იაკუთი ლაპარაკობს იმ ხარკზე, რომელიც თავრიზელებს გაუღიათ თავიანთი ქალაქის უვნებლად გადარჩენის მიზნით. მამასადამე, იაკუთთან სავსებით სწორად საქმე ისე არის წარმოდგენილი, როგორც

100

სინამდვილეში უნდა ყოფილიყო და არა ისე, როგორც ეს ზაქარია ალ-ყაზვინის აქვს, თითქოსდა თავრიზის დაუზიანებლად გადარჩენის მიზეზი იყო ის, რომ ქალაქის „ჰოროსკოპი მორიელი ყოფილა, პატრონი კი – მარსი“.

თათრებში, როგორც ჩანს, იაკუთი მონღოლებს გულისხმობს, ვინაიდან იაკუთი აღნიშნავს, რომ თავრიზს თათრებმა მაშინ ჩაუარეს, როცა ისინი 618 წ., რა თქმა უნდა, ჰიჯრით, ანუ 1221–1222 წწ., ქვეყნებს ანგრევდნენო (იაკუთი, I, გვ. 822; თარგმნ., გვ. 38). როგორც ვხედავთ, ეს ის ხანაა, როცა მახლობელ აღმოსავლეთში გარდა მონღოლებისა სხვა მარბიელი ძალა არ არსებობდა. ალბათ თურქებშიც იმავე მონღოლებს გულისხმობს ზაქარია ალ-ყაზვინიც. არა გვგონია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის თურქებში თურქ-სელჩუკები ჰყავდეს მხედველობაში.

27. ლაპარაკია ცნობილ არაბ ფილოლოგზე აბუ ზაქარია იაჰია იბნ ალი იბნ მუჰამმად იბნ ალ-ჰასან იბნ ბისტამ აშ-მაიბანი ალ-ქათიბ ათ-თიბრიზიზე (421/1030–502/1109 წწ.), რომლის მასწავლებელი იყო სახელგანთქმული არაბი პოეტი აბუ ალ-ალა ალ-მაარრი (363/973–449/1058 წწ.).

აბუ ზაქარია ათ-თიბრიზის იხსენიებს იაკუთიც, რომელიც ამბობს,

რომ იგი იყო ადიბთა იმამი, სწავლობდა აბუ ალ-ალა ალ-მარრისთან და ისმენდა ჰადისებს აბუ ალ-ფათჰ სულაიმ იბნ აიუბ არ-რაზისა და სხვ. (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 823; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 38).

28. აბუ ალი-ჰასან იბნ ალი იბნ ისჰაკ ატ-ტუსი, აღმოსავლეთის პოლიტიკურ ისტორიაში ნიზამ ალ-მულქად წოდებული თავისი დიდი დამსახურების გამო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წინაშე, წარმომობით ირანელი, სელჩუკი სულტნების ალფ-არსლანისა (455/1063–465/1072 წწ.) და მალიქ-შაჰის (465/1072–485/1092 წწ.) პირველი ვეზირი, დაიბადა 408/1018 წ. ტუსის მახლობლად მდებარე სოფელ რადქანში.

ნიზამ ალ-მულქი მსოფლიო ისტორიაში ცნობილია არა მხოლოდ როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ აგრეთვე ავტორი ცნობილი პოლიტიკური ტრაქტატისა „სიასეთ-ნამე“ („პოლიტიკური წიგნი“), რომელშიც ავტორს გადმოცემული აქვს თავისი პოლიტიკური მრწამსი და იცავს იდეას ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისა და შენარჩუნების თაობაზე. ნიზამ ალ-მულქს ასეთ სახელმწიფოთა ნიმუშად მიაჩნდა ლაზნევიანთა, სამანიანთა და ბუიდთა

101

სახელმწიფოები, ხოლო კიდევ უფრო ადრე სასანიანთა სპარსული სამეფო. ბუნებრივია, ნიზამ ალ-მულქის პოლიტიკური შეხედულებები ცენტრალიზებული და მტკიცე სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ფეოდალური განვითარების პროცესს. ამის გამო იგი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გადაყენებულ იქნა ვეზირის თანამდებობიდან, იმ დაინტერესებული ჯგუფის მიერ, რომელსაც ნიზამ ალ-მულქის მსგავსი პიროვნება ხელს არ აძლევდა. 485/1092 წ. იგი ისმაილიტებმა მოკლეს.

ნიზამ ალ-მულქსაც იხსენიებს იაკუთი თავში ქალაქ ტუსის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ვეზირი ნიზამ ალ-მულქ ალ-ჰასან იბნ ალი აქიდან არის წარმომობითო (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 561).

29. ნიზამ ალ-მულქის მიერ ბაღდადში აშენებული მედრესე „ან-ნიზამია“, წოდებული ამგვარად დიდი ვეზირისა და მისი დამაარსებლის პატივსაცემად, ჩანს. უმაღლესი ტიპის სასწავლებელი იყო (იხ. ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 124).

30. ვ. ჰინცის მონაცემებით დინარი, ალბათ ამჯერად ჯერ კიდევ ოქროს მონეტა, იწონიდა 4,235 გრ-ს (В. Х и н ц , Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, გვ. 11, 21). ძნელია თქმა იმისა, თუ რა მსყიდველობითი უნარი ჰქონდა იმხანად დინარს საერთოდ და, კერძოდ, იმ ათ დინარს, რომელსაც აბუ ზაქარია ღებულობდა როგორც მედრესე „ან-ნიზამიას“ წიგნთსაცავის ზედამხედველი. იგივე ითქმის, რა თქმა უნდა, იმ თხუთმეტი დინარის მიმართაც, რომელნიც თითქოსდა აბუ ზაქარიასთვის უნდა დაენეშნათ ნეზამ ალ-მულქთან შეხვედრის შემდეგ.

31. შენიშვნაში თავრიზთან დაკავშირებით (იხ. შენიშვნ. 25, II) აღვნიშნეთ, რომ X ს. არაბულ წყაროებში ეს ქალაქი რიგი ეკონომიურად არცთუ მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ქალაქების ჯგუფთან ერთად იხსენიება. ქალაქების ამ ჯგუფშია მოხსენიებული აგრეთვე ქალაქი სალამასი, თანამედროვე სალამასი, რეზაყეს ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე (V. Minorsky, EI, IV, გვ. 125). ყოველ შემთხვევაში, X ს. აღ-მუკადდასის ცნობით სალამასი კარგი ქალაქი ყოფილა, მას ჰქონია გამომწვარი აგურესა და თიხისაგან ნაგები ციხე-სიმაგრე და მისგითი, მდებარე ბაზრის პირას, სადაც ძირითადად ქურთები ყოფილან წარმოდგენილი

102

(აღ-მუკადდასი, გვ. 377). იბნ ჰაუკალის ცნობით კი სალამასში ამზადებდნენ ქვეყანაზე საუკეთესო დინარიდან ათ დინარამდე ღირებულების შარვალში გასაყრელ ზონარებს (იბნ ჰაუკალი, გვ. 246). იაკუთის გადმოცემით XIII ს. კი სალამასი და მისი შემოგარენი დანგრეული ყოფილა (იაკუთი, III, გვ. 120; თარგმნ., გვ. 62), ჩანს, მონღოლთა შემოსევების შედეგად.

32. შიხი ქალაქია აზერბაიჯანში, იგი მდებარეობს რეზაყეს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით (J. Ruska, EI, IV, გვ. 415), მარალასა და ზანჯანს შორის, როგორც ზაქარია აღ-ყაზვინი იტყობინება. თუ რას წარმოადგენდა ქალაქი შიხი თავის დროზე, დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ქვემოთ ზაქარია აღ-ყაზვინის, ისევე როგორც შიხეს შესახებ ამბავი მრავალ არაბ ავტორს აქვს გადმოცემული და, მათ შორის, რა თქმა უნდა, იაკუთსაც (იხ., მაგ., იბნ-ხურდაზბიჰი, გვ. 119–120; იბნ აღ-ფაკიჰი აღ-ჰამადანი, გვ. 246–247; აღ-მასუდი, თანბიჰი, გვ. 95; მისივე, მურუჯ აზ-ზაჰაბი, IV, გვ. 74 შმდგ. და იაკუთი, III, გვ. 353–356; თარგმნ., გვ. 68–70). შიხის აღწერილობა და მასთან დაკავშირებული ამბები ვრცლად აქვს მოცემული გ. ლე სტრენჯს (G. Le Strange, გვ. 223–224).

33. ქალაქი ზანჯანი, როგორც წესი, არაბულ წყაროებში იხსენიება ქალაქ აბჰართან ანდა აბჰართან და ყაზვინთან ერთად (იხ., მაგ., იბნ აღ-ფაკიჰი აღ-ჰამადანის თხზულების მამჰადის ხელნაწერი; იაკუთი, II, გვ. 948). როგორც წინა შენიშვნიდანაც ნათელია, მდებარეობს ჩრდილოეთ ირანში. აღ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი იტყობინებიან, რომ ზანჯანი და აბჰარი პატარა ქალაქებია, თუმცა ზანჯანი უფრო დიდია აბჰარზე. ორივე ქალაქი ნაყოფიერია ნიადაგით, მდიდარია წყლებით, სახნავ-სათესი მიწებითა და ტყით. ორივე ავტორი ამავე დროს იმასაც გვაცნობებენ, რომ ზანჯანის მოსახლეობაში უდარდებლობა და უწესრიგობა ჭარბობს: (აღ-ისტახრი, გვ. 211; იბნ ჰაუკალი, გვ. 271).

ზოგი ცნობა ზანჯანზე მოცემული აქვთ აგრეთვე იაკუთსა და ზაქარია აღ-ყაზვინის (იაკუთი, II, გვ. 948–949; ზაქარია აღ-ყაზვინი, II, გვ. 256–251). იაკუთი, მაგ., ამბობს, რომ სპარსულად ზანჯანი ზანქანად „ქაფით“ ითქმისო, ხოლო ზაქარია აღ-ყაზვინი გვატყობინებს, რომ ზანჯანის მთებში რკინის მადანი მოიპოვება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში გააქვთო.

34. მისარ იბნ მუჰალჰილ აბუ დულაფ ალ-ხაზრაჯი ალ-იანბუი, ცნობილი არაბი პოეტი და მოგზაური, მოკალათებული იყო როგორც მოხეტიალე პოეტი – პანეგირისტი სამანიანთა მმართველის ნასრ II იბნ აჰმადის (301–331/914–945 წწ.) კარზე.

მისარ იბნ მუჰალჰილის სახელით, რომლის ცნობები ჩვენი ავტორის ზაქარია ალ-ყაზვინის ერთ-ერთი წყაროა, როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოაღწია ორმა რისალემ. ისინი წარმოადგენენ ტექსტის შინაარსის მიხედვით ავტორის თურქესტანში, ირანში, ჩინეთსა და ინდოეთში მოგზაურობის ანგარიშსა და ამ ქვეყნებში ხანახის აღწერილობას.

მისარ იბნ მუჰალჰილის ამ ორი წერილის ირგვლივ, საკითხზე იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ამბავი აბუ დულაფის მოგზაურობისა აღნიშნულ ქვეყნებში, შექმნილია საკმაოდ ვრცელი სპეციალური ლიტერატურა, დაწყებული რუსი აღმოსავლეთმცოდნის ვ. გრიგორიევის ნაშრომით (იხ. В. В. Григорьев, Об арабском лутешественнике X века Абу-Долефе и странствовании его по Средней Азии, Журнал Министерства просвещения, т. CLXIII, 2, 1872, გვ. 1–45) და დამთავრებული ვლ. მინორსკისა და პ. ბულგაკოვისა და ა. ხალიდოვის შრომებით.

როგორც ცნობილია, აბუ დულაფის მოგზაურობის სინამდვილეზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი მისარ იბნ მუჰალჰილის მოგზაურობას სინამდვილედ მიიჩნევენ, მეორენი კი არა და თვლიან, რომ რისალებში მოთხრობილი ამბები წარმოადგენენ ავტორის ფანტაზიის ნაყოფს (დაწვრილებით იხ. акад. И. И. Крачковский, Избранные сочинения, т. IV, გვ. 186–187). თვით ი. კრაჩკოვსკი თვლის, რომ «Путешествие Абу Дулафа в Китай и Индию представляет, несомненно, реальный факт» (акад. И. И. Крачковский, იქვე, გვ. 188).

ცნობილია ისიც, რომ მაჰჰადის ხელნაწერის კრებულში იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანისა და იბნ ფადლანის თხზულებებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მისარ იბნ მუჰალჰილის ორივე წერილის ხელნაწერი. მათგან პირველი რისალე გამოსცა ა. რორ-ზაუერმა (იხ. A. Rohr-Sauer, Des Abū Dulaf Bericht über seiner Reise nach Turkestan, China und Indien, Neu übersetzt und untersucht, BOS, 26, Stutigart, 1939), მეორე წერილი კი ჯერ გამოაქვეყნა ვლ. მინორსკიმ (იხ. V. Minorsky, Abū Dulaf Mis'ar ibn Muhahhil's Travels in Iran (cica A. D. 950), Arabic Text with an English Translation and Documentary, Ca-

104

iro, 1955), შემდეგ პ. ბულგაკოვმა და ხალიდოვმა (იხ. Вторая записка Абу Дулафа, издание тексте, перевод, введение и комментарии П. Г. Булгакова и А. Б. Хгаидова, М., 1960).

აბუ დულაფის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ცნობილი არ არის. ისე კი მისი ნისბები „იანბუი“ და „ალ-ხაზრაჯი“ მიუ-

თითებენ მასზე, რომ მისარ იბნ მუჰალჰილი წარმოშობით არაბი იყო.

35. ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში როგორღაც გვქონდა შემთხვევა აღ-გვენიშნა ის, თუ წყრთა, გადმოტანილი თანამედროვე საზომ ერთეულზე, რამდენს უდრის ვ. ჰინცის მიხედვით და რამდენია იგი თანამედროვე ეგ-ვიპტელი მკვლევრის მუჰამმად დია ად-დინ არ-რაისის გაანგარიშებით (იხ. ოთარ ცქიტიშვილი, ეალაქ ბაღდადის ისტორიისათვის, გვ. 42). ვ. ჰინცთან წყრთა შეადგენს 54,04 სმ (В. Хинц, Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, გვ. 64), ხოლო არ-რაისთან წყრთა უდრის 46,2 სმ (დოქტორი მუჰამმად დია ად-დინ არ-რაისი, ხარაჯი და ისლამის სახელმწიფოს საფინანსო სისტემა, გამოცემა მეორე, კაირო, 1961, გვ. 279–380 (არაბ. ენაზე). წყრთის ზომაზე აზრთა ასეთი სხვადასხვაობის გამო ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში თავი დავანებეთ არითმეტიკულ ვარჯიშს და წყრთის ზომად ავიღეთ მისი სამუალო ერთეული – 50 სმ, გამომდინარე ვ. ჰინცისა და მუჰამმად დია ად-დინ არ-რაისის მონაცემებიდან (იხ. ო. ცქიტიშვილი, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ერთი ცნობის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 53, № 1, 1969, გვ. 253–256; იგივე წერილი იხ. JESHO, vol. XIII, fasc. I, 1970, გვ. 88–90; „ალ-მაჯალლა ათ-თარიხია“, 2, 1972, ბაღდადი, გვ. 35–43). ჩვენს თავს ამის უფლება მიეცით მით უმეტეს, რომ ამგვარი საშუალო თუ დამრგვალებული ერთეულის აღება თანამედროვე მკვლევართა მიერ დაშვებულია. ამრიგად, თუ წყრთის საფუძვლად 50 სმ ავიღებთ, მაშინ გმოდის რომ ამ მართლაცდა უძირო ტბის სიღრმე 7000 მეტრზე მეტი ყოფილა, რაც, უეჭველია, შეუძლებელია სინამდვილედ მივიჩნიოთ. ტბის სიღრმის ამბავს იაკუთივ გადმოგვცემს და მასთანაც იგი 14000 წყრთაზ მეტია (იაკუთი, III, გვ. 354; თარგმნ., გვ. 69).

36. ფართობის აღმნიშვნელი არაბული საზომი ერთეულის ჯარობის მიმართ იგივე ვითარება გვაქს სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც წინა შენიშვნაში წყრთის შესახებ იყო აღნიშნული. დ. არ-რაისთან ჯარობი უდრის 1366,0416 კვ მეტრს, ხოლო ვ. ჰინცთან –

105

1592 კვ მეტრს (დ. არ-რაის, დასახ. ნაშრ., გვ. 300; В. Хинц, დასახ. ნაშრ., გვ. 73). როგორც ვხედავთ, ქალაქ შიზის შუაგულში მდებარე ტბის ფართობი არ ყოფილა დიდი.

37. ქუმთასფის სახელში, როგორც ჩანს, იგულისხმება ჰისტასპი, აქემენიანთა ირანის ხელახალი გამაერთიანებლის დარიოს I-ის მამა, რომელიც, უნდა აღინიშნოს, არასოდეს ყოფილა სპარსთა მეფე, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი ირწმუნება ცნობილიას, რომ ჰისტასპი მხოლოდ მმართველად იყო ირანის ერთ-ერთ შოლრეულ პროვინციაში. თუ ქუმთასფში ჰისტასპი იგულისხმება, მაშინ არც ის გენეალოგიაა სწორი, რომელიც ზაქარია ალ-ყაზვინის მოაქვს. მეფე დარიოსის გენეალოგია კარგად არის ცნობილი ბეჰისტუნის წარწერის მიხედვით.



38. ადრეული შუა საუკუნეების არაბული წყაროების სიჯისთანი, იგივე სისთანი, მდებარეობს ირანსა და ავღანეთს შორის (V. E. Buchner, EI, IV, გვ. 490). სიჯისთანზე არაბულ წყაროებში საკმაოდ მდიდარი მასალა მოიპოვება. ალბათ ამით აიხსნება, რომ სიჯისთანის მიმოხილვას ისეთ ნაშრომში, როგორც არის ა. ლე სტრენჯის შრომა, ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი (იხ. G. le Strange, გვ. 334–351).

სიჯისთანს არც ჩვენი ავტორი ზაქარია ალ-ყაზვინი ივიწყებს და მის ბუნებრივ თუ გეოგრაფიულ დახასიათებასაც იძლევა. ზაქარია ალ-ყაზვინი აღნიშნავს, მაგ., რომ სიჯისთანი ვრცელი და დიდი მხარეა, რომლის ნიადაგი ქვიშიანია, სადაც არასოდეს არ წყდება ქარი, იცის სიცხე, ძლიერი ქარის გამო ადგილი აქვს ქვიშის გადაადგილებას, როგორც ჩანს, მრავლად ყოფილა გავრცელებული ზღარბი (ყოველ შემთხვევაში, ზაქარია ალ-ყაზვინი მიუთითებს, რომ სიჯისთანში არ არის სახლი, რომლის ქვეშ ზღარბი არ იყოსო), სიჯისთანის მცხოვრებლები კეთილნი ყოფილან და ა. შ. (ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 134–135).

სიჯისთანს ეხება იაკუთიც. მისი მასალა ნაწილობრივ ემთხვევა კიდევ ზაქარია ალ-ყაზვინისას. იაკუთიც ამბობს, რომ სიჯისთანი ვრცელი და დიდი მხარეა, ნიადაგი ქვიშიანია, იცის სიცხე და უწყვეტი ძლიერი ქარი, რის გამო ქვიშა ადგილს ინაცვლებს ხოლმე. მაგრამ იაკუთთან არის ისეთი მასალაც, რომელიც ზაქარია ალ-ყაზვინის არ მოეპოვება. მაგ., იაკუთი აღნიშნავს, რომ სიჯისთანში თოვლი არ იცის, იგი მდებარეობს დაბლობზე და იქ არ არის მთა. განსაკუთრე-

106

ბით საყურადღებოა იაკუთის ცნობა იმის შესახებ, რომ სიჯისთანში მრავლად იყვნენ ხარიჯიტები (ი ა კ უ თ ი , III, გვ. 41–42).

39. არ-რანი, რანი, კავკასიის ალბანეთი (გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე - ლ ი , არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 11), მდებარეობდა მდინარეების არაქსისა და მტკვრის აუზში (B. В артольд, Сочинения, т. III, გვ. 334; R. N. Frye, EI, NE, I, გვ. 660). X ს. მი-სი მთავარი ქალაქი იყო ბარდავი, ხოლო ბარდავის დაცემის შემდეგ – ბაილაკანი. არ-რანის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ აგრეთვე ქალაქები განჯა და შამქორი. ყველა აღნიშნული ქალაქის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვით. ორი ზემოდასახელებული ქალაქის განჯასა და ბაილაკანზე ამავე თავში ზაქარია ალ-ყაზვინიც ლაპარაკობს, როგორც არ-რანის მთავარ ქალაქებზე.

არ-რანის მიმოხილვა გ. ლე სტრენჯსაც აქვს მოცემული ცალკე თავში, მაგრამ მისი მიმოხილვა ძირითადად არ-რანის ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების აღწერას ეხება (G. le Strange, გვ. 176–179).

იაკუთი რატომღაც საკმაოდ ძუნწად გვაწვდის ცნობებს არ-რანის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ არ-რანი არის „ვრცელი ვილაიეთის და მრავალი ქალაქის არაარაბული სახელი, რომელთა შორისაა ჯანზა, ხალხური ქანჯა, ბარზაა, შამქური და ბაილაკანი. აზერბაიჯანსა და არ-რანს შორის არის მდინარე არ-რასის სახელით. ყველაფერი, რაც მას დასავლეთითა და ჩრდილოეთით ემეზობლება, არ-რანს ეკუთვნის, ხოლო ის, რაც აღმოსავლეთით – აზერბაიჯანს. ნასრი ამბობს: არ-

რანი არის არმინიის ერთ-ერთი მხარე, რომელიც სისაჯანთან ერთად იხსენიება“ ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 183; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 6–7).

ეს არის და ეს, რასაც იაკუთი არ-რანზე ლაპარაკობს, თუ არ ჩავთვლით თავის დასაწყისში სახელწოდება „არ-რანის“ იაკუთისეულ გახმოვანებას თუმცა იაკუთის ასეთი სიძუნწე არ-რანზე ცნობების მიმართ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ არ-რანის ქალაქებზე იგი თავის ადგილზე უფრო ვრცელ მასალას იძლევა.

40. ხაზარანეს სახელწოდებით, ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ალ-ბალაზურის ცნობით ( ა ლ - ბ ა ლ ა ზ უ რ ი , გვ. 194) არ-რანის უძველეს დედაქალაქს კაბალას, მდებარეს დარუბანდს ახლოს მთებში (. 16 Strange, გვ. 181), ხაზარანი ერქვა. ამ ცნობას . ბარტოლდმა ძალზე მნიშვნელოვანი უწოდა (B. B. Bartold, Соч., т. V, გვ. 597). ხაზარანი ერქვა აგრეთვე მდ. ვოლგაზე მდებარე ქალაქ ითილის, ხახართა დედაქალაქის, აღმოსავლეთ ნაწილს,

107

სადაც ვაჭართა და მუსლიმთა უმრავლესობა ყოფილა დასახლებული, მაშინ როცა ქალაქის უფრო დიდ დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ითილი ჰქვიოდა, ცხოვრობდნენ ხაზართა მეფე (ხაკანი), მისი ამალა და იყო განლაგებული ლაშქარი (ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 278, 281). ხაზარანი ეწოდებოდა აგრეთვე სოფელს, რომელიც დაკავშირებულია ბიბლიური მუსსას ამბავთან ( ა ლ - მ უ კ ა დ ა ს ი , გვ. 46).

ცხადია, შეუძლებელია რომელიმე ამ დასახლებულ პუნქტს ჰქონდეს რაიმე საერთო ზაქარია ალ-ყაზვინის ხაზარანთან. საერთოდ მითითება მასზე, რომ მდ. მტკვარს სათავე აქვს ხაზარანის ქვეყანაშიო, ვფიქრობთ, ხელნაწერის გაუგებრობაზე უნდა იყოს აგებული და აქ ხაზარანის ნაცვლად ჯურზანი უნდა ეწეროს. მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას თავისუფლად იძლევა ამ სიტყვის გრაფიკული დამწერლობა جرزان — خزران. აქ დიაკრიტიული ნიშნების, წერტილების, არასწორ განლაგებასთან გვაქვს საქმე. თავის ადგილზე ზაქარია ალ-ყაზვინი აკი სწორედ ასე აღნიშნავს რომ მდ. მტკვრის სათავე ჯურზანის (ანუ საქართველოს) ქვეყანაშიაო (იხ. ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა - ზ ვ ი ნ ი I, გვ. 184; შე ნ ი შ ვ ნ . 60, 61, I).

41. ქალაქ ნაკჯუვანს ან ნახჯუვანს ( ი ა კ უ თ ი , IV, ა3. 767; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 87) არაბული წყაროების მიხედვით, იგივე ნახიჩევანს, მდებარეს მდ. არაქსის ჩრდილოეთით, ადრეულ შუა საკუნეებში. შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეკავა ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. X ს. არაბ მწერლებთან ნაშავ ას სახელწოდებით (V. Minorsky , EI, II, გვ. 907; G. le Strange , გვ. 167) იგი დასახლებულია ისეთ ქალაქთა რიგში როგორიცაა ბარქარი, ხილატი (ხლათი), მანაზქირდი (მანაზ(ს)კერტი), ბადლისი (ბითლისი), კალიკალა, არზანი, მაიაფარიკინი, სირაჯი და აღნიშნულია, რომ ჩამოთვლილი ქალაქები ნაშავასთან ერთად, რომელიც, სხვათა შორის, პირველია დასახლებული მითითებულ ქალაქთა შორის, ტოლები არიან, მოცულობით მცირენი და ისინი ვერ შეედრებიან სიდიდით დაბილს, ანუ დვინს ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 188; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა -

ლი, გვ. 246).

42. იხ. შენიშვნ. 68, I.

43. ქალაქი არზანჯანი მდებარეობს მდ. ევფრატის მარჯვენა ჩრდილოეთ ნაპირზე, არზან არ-რუმთან ახლოს. ზაქარია ალ-ყახვინისა და

108

იაკუთის ცნობით (იაკუთი, I, გვ. 205; თარგმნ., გვ. 9) არზანჯანი, რომელსაც მისი მცხოვრებლები არზანქანს ეძახდნენ, იყო მშვენიერი ქალაქი, მრავალი სიკეთითა და კარგად დასახლებული. ზაქარია ალ-ყახვინი ამბობს, რომ არზანჯანის მცხოვრებლები მუსლიმები და ქრისტიანები არიან, ხოლო იაკუთს კი ეს ფაქტი უფრო დაზუსტებულად აქვს მოტანილი და აღნიშნავს, რომ არზანჯანის მცხოვრებლების უმეტესობა სომხებია და მათში მუსლიმებიც არიან. ამავე დროს იაკუთი იმასაც ამბობს, რომ მუსლიმები არზანჯანის მცხოვრებთა შორის ყველაზე წარჩინებული არიან და იქ საჯაროდაა გავრცელებული ღვინის სმა და გარყვნილება.

44. ქალაქი არზან არ-რუმი, თანამედროვე არზრუმი, მდებარეობს მდ. ყარასუსა და მდ. არაქსის ველს შორის, წარმოადგენს თანამედროვე აღმოსავლეთ თურქეთის მთავარ ქალაქს, მოსახლეობა შეადგენს 90000-ზე მეტს (Halil Inalcik, EI, NE, I, გვ. 712; G. le Strange, 117).

არაბი მწერლები დაწვრილებით არ ეხებიან არზან არ-რუმს, მხოლოდ აღნიშნავენ, რომ იგი დიდი ქალაქია.

ქალაქმა თავისი სახელწოდება შემდეგნაირად მიიღო. 1049 წ. სელჩუკებმა დაანგრიეს ქალაქი არზანი (იხ. შენიშვნ. 41, II; აგრეთვე იაკუთი, I, გვ. 205; თარგმნ., გვ. 9–10), მდებარე არზანსუს ნაპირზე, და მისი მოსახლეობა გადასახლდა ქალაქ თეოდოსიოპოლში (კალიკალაში – იხ. ქვემოთ, შენიშვნ. 109, II). ამის გამო ქალაქმა მიიღო სახელწოდება „არზან არ-რუმ“, ანუ „რომაელთა არზანი“, „არზ არ-რუმი“ და მერე იგი გაიაზრეს, როგორც „არდ არ-რუმ“ „რომაელთა ქვეყანა“. აქედანაა მიღებული არზრუმი, (იხ. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 11–12).

იაკუთის ცნობით არზან არ-რუმი მის დროს დიდი და ვრცელი ქალაქი ყოფილა, სომხებით დასახლებული. ქალაქ არზანჯანის მსგავსად არზან არ-რუმშიც გავრცელებული ყოფილა ღვინის სმა და ბოროტმოქმედება (იაკუთი, I, გვ. 206; თარგმნ., გვ. 10).

45. იხ. შენიშვნ. 23, II.

46. ამჯერად ზაქარია ალ-ყახვინი სწორად ამბობს, რომ ურმიის ტბის წრებაში შეადგენს 50 ფარსახს (იხ. შენიშვნ. 24, II).

109

47. თუ ალ-ისტახრის ცნობით ე. წ. „წყლის ძაღლი“ თვით ურმიის

ტბაში ცხოვრობდა (იხ. შენიშვნ. 23, II), ზაქარია ალ-ყაზვინის მიხედვით ეს ცხოველი იმ წყაროებში ყოფილა გავრცელებული, რომელნიც ურმიის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობენ.

48. შეიხ აბუ აჰმადის, მეტსახელად თაჯ ად-დინ ალ-ურმავის, ვინაობის დადგენა ჩვენთვის შეუძლებელი შეიქნა.

49. აბუ ჯაფარ ალ-მანსურ იბნ ალ-ხაჰირ ალ-მუსთანსიო ბილლაჰი (623–640/1226–1242 წწ.), აბასელი ხალიფა, ცნობილი თავისი ღვთისმომიბობითა და უმიწკვლობით. ალ-მუსთანსირ ბილლაჰის ხალიფობა სხვა მხრივ არაფრით ნიშანდობლივი არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ 631/1234 წ. მისი თაოსნობით ბაღდადში დაარსდა სასულიერო სემინარია „ალ-მუსთანსირია“ ოთხივე ორთოდოქსალური სკოლის მიმდევართათვის. გარდა ამისა, თუ ხალიფა ალ-ვასიკის ზეობისას, როგორც ითქვა, ფაქტიურად დაიწყო აბასელთა იმპერიის დაქვეითება, ალ-მუსთანსირის დროს ბაღდადის სახალიფო დაცემის პირას იყო მისული. თუმცა ხალიფას კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა საერო ხელისუფლება და მისი ძალაუფლება შემოფარგლული იყო მხოლოდ სასულიერო უფლება-მოვალეობებით, მაგრამ ახლა უკვე დღის წესრიგში იდგა ამ უფლება-მოვალეობების დაკარგვის საშიშროებაც. ასეც მოხდა. მისი მემკვიდრე ხალიფა ალ-მუსთასიმი (640–656/1242–1258 წწ.) უკანასკნელი აღმოჩნდა იმ აბასელ ხალიფათა შორის, რომელნიც საუკუნეების მანძილზე ბაღდადში მოკალათებულნი განაგებდნენ ვეებერთელა მსოფლიო იმპერიას ბაღდადის, ანუ აღმოსავლეთის სახალიფოს. სახით. 656/1258 წ. ამ სახალიფოს ბოლო მოუღეს მონღოლებმა.

ტექსტში ზაქარია ალ-ყაზვინის საქმის ვითარება ისე აქვს ნაჩვენები, თითქოს ხალიფა ალ-მუსთანსირის სიკვდილი რომ არა, აბასელთა დინასტია ალბათ არ დაეცემოდა.

იხ. იბნ ალ-ასირი, XII, გვ. 299; C. Weil, III, გვ. 453–469; G. le Strange, Baghdad during the Abbasid Caliphate, გვ. 194, 266 შმდგ., 337 შმდგ.; Philip K. Hitti, History of the Arabs, London, 1946, გვ. 411, 483; K. V. Zettersteen, EI, III, გვ. 829.

50. ვერც იბნ ალ-ვაზირ ალ-კუმმის ვინაობის დადგენა მოხერხდა

110

51. ცნობილია, რომ ტერმინით „არმინია“ არაბულ წყაროებში აღნიშნება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეთნიკური და გეოგრაფიული ერთეული.

ეთნიკურ-ტერიტორიულ გაერთიანებაში ტერმინით „არმინია“ არაბ მწერლებს მხედველობაში აქვთ მეზობელი სომეხი ხალხის კომპაქტურად დასახლებული ტერიტორია, მათი სამშობლო, საკუთრივ სომხეთი.

გეოგრაფიული ტერმინით აღნიშნული ტერიტორია კი გაცილებით ვრცელია, თუმცა იგი არაბ ავტორებთან სხვადასხვა შემადგენლობი-

საა და ამდენად სხვადასხვა მოცულობისაც, თანაც მათ მიერ განლაგებულმა მასალამ შეიძლება ზოგჯერ მხოლოდ ჩვენი გაკვირვება გამოიწვიოს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ მხოლოდ ოთხი არაბი გეოგრაფის იბნ ხურდაზბიჰის, ალ-იაკუბის, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანისა და იაკუთის მასალას.

ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი , გვ. 122.

პირველი არმინია: სისაჯანი, არ-რანი, თბილისი, ბარზაა, ბაილაკანი, კაბალა და შარვანი.

მეორე არმინია: ჯურზანი, სულდაბილი, ბაბ ფაირუზ კუბაზი და ალ-ლაქზი.

მესამე არმინია: ალ-ბუსფურაჯანი, დაბილი, სირაჯ ტაირი, ბალრავანდი და ნაშავა.

მეოთხე არმინია: შიმშატი, ხილატი, კალიკალა, არჯიში და ბაჯუნაისი.

ალ-იაკუბი, გვ. 364.

ალ-იაკუბის ცნობით არმინია სამ ნაწილად იყოფა. ამავე დროს იგი იძლევა ამ დაყოფის ორ ვარიანტს.

პირველი ვარიანტი:

პირველ ნაწილში შედიან დაბილი, კალიკალა, ხილატი, შიმშატი და ას-სავადი (?).

მეორე ნაწილშია ბარზაა, ბაილაკანი, კაბალა, ბაბ ალ-აბვაბი,

მესამე ნაწილი შედგება ჯურზანის თბილისისა და მასჯიდ ზი ალ-კარნაინისაგან,

მეორე ვარიანტი:

პირველი ნაწილი მოიცავს კალიკალას, ხილატს, შიმშატს და მათ შორის მდებარე ტერიტორიას.

მეორე ნაწილში შედიან ჯურზანი, თბილისი, ბაბ ალ-ლანი და მათ შორის მდებარე ტერიტორია.

მესამე ნაწილი შედგება ბარზაას, ბაილაკანისა და ბაბ ალ-აბვაბის ტერიტორიებისაგან.

111

ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 287

პირველი არმინია: ბაილაკანი, კაბალა, შარვანი.

მეორე არმინია: ჯურზანი, სულდაბილი, ბაბ ფაირუზ კუბაზი, ალ-ლაქზი.

მესამე არმინია. ალ-ბუსფურაჯანი, დაბილი, სირაჯ ტაირი, ბალრავანდი, ნაშავა.

მეოთხე არმინია: შიმშატი, ხილატი, კალიკალა, არჯიში, ბაჯუნაისი.

არმინია – სომხეთთან დაკავშირებით საინტერესოა იაკუთის ცნობები, თუმცა იგი ამ შემთხვევაში მთელ მოტანილ მასალას სხვებს მიაკუთვნებს. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნება ზედმეტი, რომ იაკუთის მასალა სრულად მოვიტანოთ: „ამბობენ არის ორი არმინია – დიდი და მცირე. ორივეს საზღვრებია ბარზაადან ბაბ ალ-აბვაბამდე, ხოლო მეორეს მხრივ – არ-რუმის ქვეყნამდე, კაბკის მთამდე და სარირთა ბატონის (სამფლობელომდე). ამბობენ აგრეთვე: დიდი არმინიაა ხილატი და მისი სანახები, მცირე არმინია კი თბილისი და მისი შემო-

გარენია. ამბობენ აგრეთვე არის სამი არმინია, ამბობენ – ოთხიც. პირველია: ბაილაკანი, კაბალა, მარვანი და ის, რაც მათ ეკვრის, მასშივე ჩაითვლება. მეორეა: ჯურზანი, სულდაბილი, ბაბ ფაირუზ კუბაზი, ალ-ლაქზი. მესამეა: ალ-ბუსფურაჯანი, დაბილი, სირაჯ ტაირი, ბაღრავანდი და ნაშავა მეოთხეა: მიმშატი, კალიკალა, არჯიში, ბაჯუნაისი“ ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 220; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 12–13).

როგორც ჩანს, არაბ ავტორებს გეოგრაფიული არმინია ძირითადად მაინც ოთხ ნაწილად ჰქონდათ დაყოფილი. დასახელებულ ავტორთა შორის ამ შემთხვევაში ალ-იაკუბი გამონაკლისს წარმოადგენს. ამასთან ერთად, არც ერთი მათგანის ცნობა არ ემთხვევა ზუსტად ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით. იბნ ხურდაზბიჰი, იბნ ალ-ფაკიჰ ალ ჰამადანი და იაკუთის ბოლო ცნობა თუ დგანან ერთმანეთთან ახლოს. ალბათ საყურადღებოა ისიც, რომ იბნ ხურდაზბიჰს თბილისი პირველ არმინიაში ჰყავს მოთავსებული, ხოლო ჯურზანი, ანუ, როგორც ვიცით, იგივე საქართველო, და სულდაბილი, ანუ თბილისის მარცხენა ნაპირზე მდებარე ცნობილი სოფლებილი, დღევანდელი 26 კომისრის სახელობის რაიონი – მეორე არმინიაში. ამ მხრივ იქცევენ ჩვენს ყურადღებას ალ-იაკუბის მეორე ვარიანტისა და იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ცნობებიც მასზე, რომ ალ-იაკუბისთან ჯურზანი და თბილისი არმინიის მეორე ნაწილში არიან მოთავსებული, ხოლო იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანისა და იაკუთთან მეორე არმინიაში არიან მოხვედრილი ჯურზხანი და სოფლებილი, თითქოს თბილისი და სოფლებილი საქართველოს შემადგენელი ნაწილები არ იყვნენ.

112

თუ ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობას დავუკვირდებით, ამჯერად მას სწორედ საკუთრივ სომხეთი აქვს მხედველობაში, რაც მისი ტერიტორიული, შესაძლებელია, არცთუ მაინცდამაინც ზუსტი განსაზღვრიდანაც ჩანს, როცა ზაქარია ალ-ყაზვინი აღნიშნავს, რომ არმინია „მხარეა აზერბაიჯანსა და არ-რუმს შორის“. ამავე დროს იმასაც აღნიშნავს სწორად, რომ აქ არსებული საკვირველებანი მას სომხეთის ქალაქებზე, სოფლებსა თუ ციხე-სიმაგრეებზე თხრობისას მოიგონა. მაგრამ ზაქარია ალ-ყაზვინი იქვე სცოდავს, როცა ლაჰარაკობს, რომ „რომელთაც აქ დავუმატებთ ეს არის ალ-ჰარისისა და ალ-ჰუვაირისის მთისა“ და სალამასის ახლოს მდებარე ცხელი წყლის წყაროს ზარავანდის ამბები. როგორც. ზემოთ ვნახეთ, ცნობები მათ შესახებ ზაქარია ალ-ყაზვინის პირველად არ მოაქვს ამ თავში.

52. „ვადი ალ-ქურდი“ თარგმანში ნიშნავს „ქურთთა ხევს, ველს“,

53. თუ აფლულუნის მცხოვრებთა შესახებ ზაქარია ალ-ყაზვინი წერს, რომ ისინი ქრისტიანები არიან, იაკუთი აღნიშნავს, რომ აფლულუნია დიდი ქალაქია სომეხთა ქვეყნისაო. იბნ ხურდაზბიჰის მითითებულ ბოსფორის სრუტის (ალ-ხალიჯ) მდებარე თერთმეტი ოლქიდან ერთ-ერთში, კერძოდ, აფლაჯუხიაში თუ აფლალუნიაში (ორგვარი დამწერლობით) ხუთი ციხე-სიმაგრე მდებარეობდა, ხოლო მისი ლაშქრის შემადგენლობა 10000 შეადგენდა. ჩანს, ერთ-ერთი ამ ციხეთაგანი უნდა იყოს, იაკუთი ვარიანტის სახელით რომ იხსენიებს.

იაკუთს ამბავი მომაკვდავის აღსარებისა და ცოდვების მიტევების შესახებ თითქმის ზუსტად ისევე აქვს გაღმაცემული, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინის, და თანაც მას უცნაურ, უცხო ჩვეულებად მიიჩნევს (იაკუთი, I, გვ. 331; თარგმნ., გვ. 16-17).

54. ქალაქი ბაბ ალ-აზვაბი, ანუ „კარიბჭეთა კარიბჭე“, თანამედროვე დარუბანდი (დერბენდი), არაბულ წყაროებში სხვა დამწერლობითაც გვხვდება: უბრალოდ „ალ-ბაბი“ – „კარიბჭე“ და „ალ-ბაბ ვა ალ-აზვაბი“ ---- „კარიბჭე და კარიბჭეები“. ეს ქალაქი არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა, ვინაიდან იგი წარმოადგენდა მუსლიმთა ქვეყნების, სახალიფოს, უკიდურეს სასაზღვრო პუნქტს ჩრდილოეთით კასპიის ზღვაზე. ბაბ ალ-აზვაბი მდებარეობდა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასასვლელის ვიწრო ყელში, რომელიც გამაგრება-განმტკიცების გარეშეც ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენ-

8. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

113

და ჩრდილოეთიდან მოძალებულ ამა თუ იმ მომთაბარე ხალხთაგან, მაგ., ხაზართაგან თავდასაცავად, რომელთა დამოკიდებულების შესახებ სახალიფოსთან ზემოთ უკვე ითქვა. ამიტომ არის, რომ ბაბ ალ-აზვაბის აღწერას სახალიფოს როგორც ერთ-ერთ გამაგრებულ პუნქტს არაბულ წყაროებში საგანგებო და საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს. იქ ჩატარებულ საფორტიფიკაციო მშენებლობის ინიციატივას არაბული ტრადიცია, მართალია, სასანელ მეფეს ხოსრო ანუშირვანს მიაწერს, მაგრამ ისიც ცხადია რომ ბაბ ალ-აზვაბი სახალიფოს მესვეურთა მუდმივი ზრუნვის ობიექტი იყო. ამიტომ ახლა აქ ამ აღწერის ხელახალი მოტანა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია და დავკმაყოფილდებით მხოლოდ ბაბ ალ-აზვაბზე ზოგი წყაროსა და სათანადო სპეციალური ლიტერატურის მითითებით: ალ - ის ტ ა ხ - რ ი , გვ. 184, 185, 186, 187, 190, 192, 219, 227; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 79, 110, 241, 242, 244, 249, 251, 273, 277, 282, 286, 287; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 51, 374, 376, 380, 381, 382; ი ბ ნ ალ - ფ ა კ - ი ჰ ალ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 145, 193, 286-288, 291-293, 295, 305, 307; ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი , გვ. 122-124, 173, 209, 227; ი ა კ უ - თ ი , I, გვ. 437-442; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 19-25; J. Klapproth, Extrait du Derbend-rameh, ou de l'histoire de Derbend, JA, 2 sér., t. III, 1829, გვ. 439- 467; The Lerbencl-Nanieh, or the history of Derbend, translated and published with text and notes, illustrative of the history, geography, antiquities etc. occurring throughout the work by Mirza A. Kazem Beg, St. Petersburg, 1851; Тарихи Дербенд-наме. Перевод с языков: тюркского, персидского и французского, под ред. М. Алиханова - Аварского, Тифлис, 1858; G. Le Strange, გვ. 180 V. Minorsky, Studies in Caucasian History; მ ი ს ი ვ ე , История Ширвана и Дербенда X-XI веков; В. В. Бартолд, Дербент, Соч., т. III, გვ. 419-430 (სტატია „ისლამის ენციკლოპედიის“ ძველი გამოცემიდან); D. M. Dunlop, History of the Jewish Khazars, მისივე, EI, NE, I, გვ. 835-836.

55. 2/3 ფარსახი, ანუ ბაბ ალ-აზვაბის კედლის სიგრძე ყოფილა

56. ქალაქის გვერდით მდებარე მთას ზაქარია ალ-ყაზვინი „აზ-ზანზ“ – „ცოდვა, დანაშაული, ბოროტება“ – უწოდებს, ხოლო იაკუტის მიხედვით მას „აზ-ზი'ზ“ – „მგელი“ – ერქვა (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 438; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 20). ეს მთა ზაქარია ალ-ყაზვინის თქმით,

114

რატომღაც უგუნური იყო, და თუ ეს ასეა, მაშინ შინაარსობლივად მას ორივე სახელწოდება შეიძლება მიუდგეს, ოღონდ თუ რომელია მათგან ამ მთის ნამდვილი სახელი, თქმა გვიძნელებს.

57. იაკუთთანაც იგივე წყაროა დასახელებული ხოსრო ანუშირვანის მიერ გამაგრებული კედლის აგების მთხრობელად – აზუ ალ-აბ-ბას ატ-ტუსი (ი ა კ უ თ ი , I, გვ. 439; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 21). ამ პიროვნების ვინაობა დაუდგენელი დარჩა.

58. ციხე-სიმაგრე ბაზის, ახერბაიჯანში აჯანყებულთა ცენტრის ბაქის მეთაურობით (იხ. შენიშვნ. 59, II), ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით წყაროებში და სპეცხალურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა (იხ. З. М. Буниятов, О местонахождении городов-крепостей Базз и Шаки, КСИНА, 47, 1961, გვ. 89–90; მ ი ს ი ვ ე , О локализации города-крепости Базз, Известия Академии наук Азербайджанской ССР, Серия общественных наук, 1959, № 5, გვ. 17–18; მ ი ს ი ვ ე , Азербайджан в VII–IX вв., Баку, 1965, გვ. 240–241). მაგრამ ზ. ბუნიატოვის თავისი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ციხე-სიმაგრე ბაზის ადგილმდებარეობა უნდა ყოფილიყო ყარადაღის მთაგორიან ოლქში, ვარსანის დასავლეთითა და თანამედროვე ორდუბადის აღმოსავლეთით, ანუ სადღაც ამ ორ პუნქტს შორის, ტერიტორიაზე, რომელიც შემოფარგლულია მდ. არაქსით ჩრდილოეთით, მდ. ყარასუთი – აღმოსავლეთით, ახარით – სამხრეთითა და ხიჯილარჩაით დასავლეთით. ზ. ბუნიატოვის მითითებით, ყარადაღის ოლქში მდ. კირსიჩაისა და მდ. მარზრუჩაის აუზში მდებარეობს დიდი მთაგორიანი რაიონი დაირ-ბაშის, საგრამის, სურაჯართაპას, ყაბახ-თაპას, სალისა და სხვ. მწვერვალები. ამ მწვერვალებზე არის მრავალი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელთაგან ერთ-ერთი მიაჩნია ზ. ბუნიატოვის ბაზის ციხე-სიმაგრის ნანგრევებად (З. М. Буниятов, О местонахождении, городов-крепостей Базз и Шаки, გვ. 90; მ ი ს ი ვ ე , О локализации, города-крепости Базз, გვ. 19; მ ი ს ი ვ ე , Азербайджан в VII – IX вв., გვ. 243). ზ. ბუნიატოვის თვალსაზრისი მით უფრო საყურადღებო ჩანს, რომ მისი მეხედულება ემთხვევა ე. რაიტის, ზ. იბრაჰიმოვისა და ვლ. მინორსკისას (იხ. იქვე).

იაკუტის ცნობები ბაზის ლოკალიზაციისათვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. იგი ზოგადად მიუთითებს, რომ ბაზი ოლქია აზერბაიჯანსა და არ-რანს შორის, აქ მოხდა ბაბაქ ალ-ხურამის გამოსვლა,



მას იხსენიებენ სხვადასხვა მწერლები, აქ ელოდნენ მაჰდის, მესიის გამოჩენას, მის გვერდით არის მდ. არაქსი და სხვ. ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 529–530; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 30).

59. ლაპარაკია აზერბაიჯანში ცნობილი აჯანყების მეთაურზე ბაბაქ ალ-ხურამიზე, რომელიც ოცი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა სახალიფოს რეგულარულ ჯარებს.

ეს სოციალური მოძრაობა, არსებითად მიმართული არაბთა ბატონობისა და მათ მიერვე შემოღებული გლეხთა ექსპლუატაციის ფორმების წინააღმდეგ, ისტორიაში ცნობილია ხურამიტების მოძრაობის სახელწოდებით.

ტერმინ „ხურამის“ თუ „ხურამდინის“ წარმოშობასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. ერთი თვალსაზრისის მიხედვით ტერმინი წარმოშობილი უნდა იყოს ადგილ ხურამის სახელწოდებიდან (ალ-მასუდი, იაკუთი, სადიკ ისფაჰანი). ეს შეხედულება სწორად მიაჩნიათ ა. მიულლერს, ფ. ჰითთეს, დ. მარგოლეუსს, ს. ნაფისის, ვან ვლოტენს. მეორე თვალსაზრისის თანახმად ხურამის უწოდებდნენ ხალხს, რომელნიც მხიარულ, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ეს ტრადიცია შემონახულია სამანისთან და მასვე იმეორებენ მუზაფფარ იბნ ტაჰირ მაკდისი, აბუ მუზაფფარ ასფარაინი, აბუ ალ-ფარაჯ ალ-ჯავზი, იბნ ალ-ასირი. ევროპელ მკვლევართაგან ამ თვალსაზრესს იზიარებენ გ. ფლიუგელი და ვ. მური, აგრეთვე სომეხი ისტორიკოსი ლეო, ი. მანანდიანი, ეგვიპტელი ისტორიკოსი ჰასან იბრაჰიმ ჰასანი. მესამე თვალსაზრისი დაკავშირებულია მაზდაკის ცოლის სახელთან ხურამასთან. იგი შემოინახეს „მავმალ ათ-თავარიხ ვა ალ-კისასის“ ანონიმმა ავტორმა და ნიზამ ალ-მულქმა. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ირჟი ცეიპეკი. დაბოლოს, ერთ-ერთი უკანასკნელი შეხედულება ტერმინ „ხურამთან“ დაკავშირებით გამოთქვა ზია ბუნიატოვმა, რომელმაც მისი წარმომშობა სპარსულ და სომხურ ენებში არსებულ „ხურ“ სიტყვას დაუკავშირა, რაც სპარსულში ნიშნავს „მზეს“, „ცეცხლს“, ხოლო სომხურ ენაში – „უხილავ, არანივთიერ ცეცხლს“ (აქ მოტანილი საკითხის ისტორია, საჭირო წყაროები და ლიტერატურა, დაბოლოს თვით ზ. ბუნიატოვის თვალსაზრისი იხ. З. М. Буниятов, О термине «хуррам», Известия Академии наук Азербайджанской ССР, Серия общественных наук, 1959, № 2, გვ. 45–52; მისივე, Азербайджан в VII–IX вв., გვ. 230–236).

ხურამიტელთა იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა მაზდაკის მოძღვრება. ხოლო მათი რელიგიური რწმენის საწყისად მიჩ-

116

ნეული იყო ორი დიადი ძალა, რომელნიც გამოხატავდნენ სინათლესა და ბნელებს, ანუ სიკეთესა და ბოროტებას.

ზუსტი თარიღი ამ მოძრაობის დაწყებისა ცნობილი არ არის. წყაროებიდან კარგად არის ცნობილი ის, რომ ხურამიტების გამოსვლას ხალიფა ალ-მაჰდის დროს (158–169/775–785 წწ.) ხელმძღვანელობდა ჯავიდან იბნ საჰლ იბნ სუჰრაკი, რომლის სული სიკვდილის შემდეგ თითქოსდა გადასახლდა ბაბაქის სხეულში. წყაროები გად-

მოცემენ, რომ ამ მანიპულაციაში და ბაბაქის ჯავიდანის მემკვიდრედ გამოცხადებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯავიდანის ახალგაზრდა მეუღლემ, რომელიც არცთუ მაინცდამაინც გულგრილი ყოფილა ბაბაქისადმი. ამ აქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 201 წ. ჰიჯ. (816 წ.).

ჯავიდანის დროს ხურრამიტთა მოძრაობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და იგი არ იყო არსებითად მიმართული სახალიფოს ბატონობის წინააღმდეგ. ანტისახელმწიფოებრივ, ანტიხალიფურ ხასიათს მოძრაობა მაშინ ღებულობს, როცა მას სათავეში ჩაუდგა ბაბაქი. აჯანყების ახალმა ხელმძღვანელმა მოხდენილად გამოიყენა სახალიფოში ამტყდარი შინაომი ტახტის პრეტენდენტების ძმების ალ-ამინსა და, ალ-მამუნს შორის და მან იმდენად ფართო ფრონტით გაშალა საომარი მოქმედებები და აჯანყებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მან საფუძვლიანად ჩააგონა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება და, კერძოდ, ხალიფა ალ-მამუნი (198–218/813–833 წწ.), რომელმაც ანდერძიც კი დაუტოვა თავის მემკვიდრე ძმას ალ-მუთასიმს ხურრამიტელთა მოძრაობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობაზე. ხალიფა ალ-მუთასიმი (218–227/833–842 წწ.), თანახმად ანდერძისა იძულებული შეიქნა ბაბაქის წინააღმდეგ გაეგზავნა კარგად შეიარაღებული რეგულარული ლაშქარი მხედართმთავრის აფშინ ჰაიდარ იბნ ქავუსის მეთაურობით. წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში დაწვრილებით არის განხილული აფშინსა და ბაბაქს შორის წარმოებული ბრძოლების ისტორია. ისიც არის აღნიშნული, თუ როგორ დამარცხდა ბაბაქი და ისიც, თუ როგორ ცდილობდა ძღვევამოსილი სოციალური მოძრაობის მეთაური თავის მცირერიცხოვან რაზმთან ერთად გადასულიყო ბიზანტიაში, რომელთანაც მას ადრეც უნდა ჰქონდა გარკვეული კავშირი (იხ. З. М. Бунятгов, Бабек и Византия, Доклады Академии наук Азербайджанской ССР, 1959, XV, № 7, გვ. 613–616). ბრძოლის დასასრულს კი ბიზანტიას იმპერატორის თეოფილეს დახმარება ნაგვიანები აღმოჩნდა. გაქცეული ბაბაქი შინ მიიპატიჟა შაქის ოლქის მფლობელმა საჰლ იბნ სუნბატმა. მასთან ოდესღაც ბაბაქს საერთო ინტერესები ჰქონდა. მაგრამ მასპინძელმა სტუმარი

117

გასცა და ბაბაქი აფშინს ჩააბარა. წყაროებში ისიც არის აღწერილი, თუ რა საშინელი წამებით დასაჯეს ბაბაქი ბაღდადში 222 წ. ჰიჯ. (836–837წწ.).

არც ბაბაქის დაღუპვის შემდეგ ჩამქრალა სრულად ხურრამიტების მოძრაობა. მაგრამ მას, რა თქმა უნდა, ისეთი ძალა და გაქანება აღარ ჰქონდა, როგორც ბაბაქის დროს.

ბაბაქზე და ხურრამიტების მოძრაობასთან დაკავშირებით საერთოდ ამჯერად მივუთითებდით მხოლოდ ზ; ბუნიატოვის ზემოთ დასახელებულ ნაშრომზე «Азербайджан в VII–IX вв.» არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნაშრომში დეტალურად არის განხილული. ბაბაქის ბიოგრაფია, ხურრამიტთა მოძრაობის საწყისი დრო, მისი მამომრავებელი ძალები, მსვლელობა, დამარცხების მიზეზები და მისი შედეგები შემდგომდროინდელი მახ-

ლობელი აღმოსავლეთისათვის (იხ. 33. 230–284), არამედ იმიტომაც, რომ ამ ნაშრომში დამატების სახეთ მოტანილია რუსულ თარგმანში ვრცელი მასალა ხურრამიტთა აჯანყებებს შესახებ არაბ ავტორთა ატ-ტაბარის ან-ნადიმის, აბუ მანსურ ალ-ბაღდადის, იბნ ალ-იბრის, ალ-მასუდის, აბუ ტაჰირ ალ-მაკდისის, აბუ ჰანიფა ად-დინავარის, აგრეთვე სომეხი ისტორიკოსების კათალიკოს იოაზესის, მოსე, კაგანკატვაცის, სტეფანოს ორბელიანისა და ვარდაპეტ ვარდანის თხზულებებიდან (იხ. გვ. 287–337).

60. რიგით მერვე აბასელ ხალიფაზე აბუ ისჰაკ მუჰამმად ალ-მუთასიმ ბილლაჰზე ზოგი რამ წინა შენიშვნამიც ითქვა. კერძოდ, აღნიშნული იყო ის, რომ ხალიფას ზეობის თითქმის ნახევარი დრო დაჰქირდა ბაბაქსა და ხურრამიტებთან ბრძოლაზე, მათზე გამარჯვებას, რაც იმდენად სასიხარულო მოვლენა აღმოჩნდა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის და თვით ალ-მუთასიმისათვის, რომ იგი ამ სიხარულს საჯაროდ გამოხატავდა.

ხალიფა ალ-მუთასიმი, ჰარუნ არ-რეშიდისა და თუოქი მონა ქალის სახელად მარიდას შვილი, დაიბადა 179 წ. ჰიჯ. (795/796 წწ.) თუ 180 წ. ჰიჯ. (796/797 წწ.). როგორც ზემოთ აღინიშნა, მან ტახტი მიიღო თავისი ძმის ალ-მამუნისაგან. ტახტზე ასვლამდე მონაწილეობას ლეზულობდა მცირე აზიაში ბიზანტიის წინააღმდეგ სახალიფოს მიერ წარმოებულ სამარ ოპერაციებში და იმავდროულად ეგვიპტეს განაგებდა.

ალ-მუთასიმის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ ბაღდადის როგორც სახალიფოს პოლიტიკური ცენტრის მიტოვება 222/836 წ. და გადასახლება თავის სამეფო კართან ერთად ბაღდადის ჩრდილოეთით მდ. ტიგროსზე საგანგებოდ აგებულ ქალაქ სამარა-

118

ში, რომელმაც საკმაოდ მყვირალა სახელი მიიღო სურრა მან რა'ს (سر من رأى), ანუ „გაიხარებს, ვინც იხილავს“.

ალ-მუთასიმის ფაქტიურად გაქცევა ბაღდადიდან სამარაში არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ამ აქტით სახალიფოს უზენაესი მზრძანებელი შეეცადა თავი დაეღწია სახალიფოს ცენტრში მნიშვნელოვნად მოძალბებული თურქული ელემენტისაგან. მაგრამ ამგვარმა ღონისძიებამ ხალიფა და მისი გარემოცვა, რა თქმა უნდა, ვერ იხსნა უცხო ელემენტის მოძალბებისაგან. გაქცეულ ხალიფას თურქები თან გადაჰყვანენ სამარაში და შემდგომში იმდენად მომძლავრდნენ, რომ 247 წ. ჰიჯ. (861 წ.) ტერორისტული აქტით სიცოხლეს გამოასალმეს აბასელთა სახალიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ხალიფა ალ-მუთავაქელი (232–247/847–861 წწ.).

აღბათ ის, რომ ვერც სამარაში: გადასვლამ იხსნა სამეფო კარი თურქებისაგან არის მიზეზი იმისა, რომ ახალი დედაქალაქი პოლიტიკურ ცენტრად დარჩა მხოლოდ 56 წელს რვა ხალიფას ალ-მუთასიმის (218–227/833–842 წწ.) ალ-ვასიკის (227–232/842–847 წწ.), ალ-იმუთავაქელის (232–247/847–861 წწ.), ალ-მუნთასირის (247–248/861–862 წწ.), ალ-მუსთაინის (248–251/862–866 წწ.), ალ-მუთაზის (251–255/866–869 წწ.) ალ-მუჰთადის (255–256/869–870 წწ.) და ალ-მუთამიდის

დროს (256–279/870–892 წწ.).

ხალიფა ალ-მუთადიდი (279–289/892–902 წწ.) საბოლოოდ ტოვებს სამარას, ბრუნდება ბაღდადში და სახლდება, მართალია, არა ხალიფას ძველ რეზიდენციაში კარგად ცნობილ ალ-მანსურის მადინაში მდ. ტიგროსის მარჯვენა, დასავლეთ ნაპირზე, არამედ მის საპირისპირო მხარეს, ოდნავ სამხრეთით, მდ. ტიგროსის მარცხენა, აღმოსავლეთ ნაპირზე ხალიფას ახალ რეზიდენციაში. ასე დასრულდა არსებითად ალ-მუთასიმის მიერ აგებული ახალი სარეზიდენციო ქალაქის არსებობა სახალიფოს როგორც პოლიტიკური, ასევე მალე მისი როგორც სავაჭრო-ეკონომიური ცენტრისა. მას ვერც იმ მყვირალა სახელწოდებამ უშველა, რომელზედაც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი.

იხ. ალ - ი ა კ უ ბ ი , თარხ, II, გვ. 566–570, 574–584; ალ - ბ ა ლ ა ზ უ რ ი , საძიებელი; ა ჰ მ ა დ ა ბ ი ტ ა ჰ ი რ ტ ა ი - ფ უ რ ი , თარხ ბაღდად, VI; ა ტ - ტ ა ბ ა რ ი , III, გვ. 757 შმდგ., 1164–1329; ალ - მ ა ს უ დ ი , მურუჯ აზ-ზაჰაბ, VII, გვ. 102–453, IX, გვ. 45, 51, 69; იბნ ალ - ა ს ი რ ი , VI, გვ. 201 შმდგ., 310–376; G. We il, II, გვ. 240 შმდგ., 295–335; V. M u i r, The Caliphate: its Rise, Decline, and Fall, Edinburg, 1915, გვ. 572 შმდგ.; G. le S t r a -

119

n g e, Baghdad during the Abbasid Caliphate, London, 1900, საძიებელი; G. le S t r a n g e , გვ. 53, 54–57, 67, 121, 131, 137, 139; K. V, Zettersteen, EI, III, გვ. 847–848; Ph. K. Hitti, History of the Arabs, გვ. 297, 300, 301 შმდგ., 323, 328, 333 შმდგ., 417, 420, 466. მითითებულ წყაროებსა და ლიტერატურაში გაცილებით მეტი მასალის პოვნა შეიძლება, ვიდრე იგი ორ ზემოაღნიშნულ შენიშვნაშია მოტანილი.

61. ქალაქი ბარზაა, ქართ. ბარდავი, სომხ. პარტავი, მდებარე მდ. ტერტერზე, 20 კმ დაცილებული იმ ადგილს, სადაც ეს მდინარე ერთვის მტკვარს, X ს. არაბ გეოგრაფთა აღწერით წარმოადგენდა აზერბაიჯანში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრს. იგი იყო, ალ-მუკადდასის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ქვეყნის ბაღდადი, ანუ ბარდავი იყო არა მარტო სავაჭრო-ეკონომიური, არამედ აგრეთვე მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური ცენტრიც. X ს. არაბ ავტორთა შორის ყველაზე კარგი აღწერა ბარდავისა ალ-ისტახრის აქვს მოცემული, თუმცა იბნ ჰაუკალის თხრობა კარგად ცნობილი გარკვეული მიზეზების გამო თითქმის არ განსხვავდება ალ-ისტახრის მასალისაგან. ალბათ ამიტომ არის, რომ იაკუთი ალ-ისტახრის ეყრდნობა და მისი აღწერა თავიდან ბოლომდე მოაქვს თითქმის უცვლელად.

ალ-ისტახრის თქმით ბარდავი ძალიან დიდი ქალაქი იყო, მოცულობით კვადრატულ ფარსახზე, ანუ 36 კვ კმ მეტი, ნაყოფიერი და ძალიან მდიდარი ნათესებითა და ნაყოფით. ხორასანსა და ერაცს შორის რეისა და ისფაჰანს შემდეგ არ ყოფილა ადგილი უფრო დიდი, ნაყოფიერი და მშვენიერი მდებარეობით. ბარდავიდან ფარსახზე ნაკლებ მანძილზე ყოფილა. ალ-ანდარაბად წოდებული ადგილი, რომელიც მდებარეობდა ქარნას (იაკუთთანაა ქურრა), ლასუბსა და იაკტანს (იაკუთთანაა ნაფტანი) შორის და რომლის ფართობი შეადგენდა ერ-

თი დღის სავალზე მეტს. ეს ადგილი, დაფარული ბაღებითა და ბახჩებით, მდიდარი იყო ხილით. იქვე ხარობდა სამარყანდის თხილზე უკეთესი ჯიშის თხილი და სირიის წაბლზე უკეთესი წაბლი. ალ-ანდარაბში მოუშენებიათ აგრეთვე ამჟურას ზომის რავკალად წოდებული (იაკუთთანაა დაკვალი, ხოლო ზაქარია ალ-ყახვინისთან დარკალი) დამწიფებამდე მწარე, დამწიფების შემდეგ კი ტკბილი. ნაყოფი. წაბლი ზომით კაკლის ნახევარი ყოფილა, ხოლო. გემოთი კი იგი უახლოვდებოდა თხილსა და ახალ ფინიკს. საუკეთესო ლეღვი. ბარდავში ლასუბიდან შექჟონდათ. ბარდავში ამზადებდნენ მრავალ ნივთს აბრეშუმისას, რომლის ჭიასაც კვებავდნენ თავისუფლად და უპატრონოდ

120

მიტოვებული თუთის ხის ფოთლებით. ამ აბრეშუმით დამზადებული მრავალი ნახელავი გაჰქონდათ ფარსსა და ხუზისთანში. ბარდავიდან სამი ფარსახის დაშორებით მდებარეობს მტკვარი მისი თევზი ასსურმაჰი (იაკუთთანაა ამ-შარმაჰი: ამაზე ზემოთაც იყო ლაპარაკი) დამარილებული სხვადასხვა ქვეყნებში გაჰქონდათ. მტკვარშივე იქერდხენ ამ მხარეში საუკეთესო ჯიშის თევზებს ახზ-ზარაკინსა და ალ-უმუზას (იაკუთთანაა ად-დავაკინი და ალ-უმუზი).

ბარდავის „ბაზ ალ-აქრადად“ („ქურთთა კარიბჭე“) წოდებულ კარიბჭესთან მდებარეობდა კვადრატული ფარსახის ზომის ბაზარი „ალ-ქურქი“, რაც სპეციალისტთა განმარტებით ნიშნავს „აღდგომას“. ამ ბაზარში ყოველ კვირა დღეს იმართებოდა ბაზრობა, საითკენაც, თვით ერაციდანაც კი, მიეშურებოდა ხალხი სავაჭროდ. იგი ქულსარას ბაზარზე უფრო დიდი ყოფილა (იაკუთთან და იბნ ჰაუკალთანაა ქულსარა). სახელწოდება „ალ-ქურქი“ იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ იგი კვირა დღის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა.

სირიის წესის მსგავსად ტყვიის სახურავით გადახურული, რკინის კარებიანი, ცხრა სვეტზე მდგარი ბაით ალ-მალი მეჩეთში ყოფილა. დარ ალ-იმარაც მადინაში კათედრალური მეჩეთის გვერდით მდებარეობდა, ხოლო ბაზრები კი – რაბადში. ბარდავიდან გაჰყავდათ აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში ჯორები, რომელთაც დიდი ფასი ჰქონდათ, ალ-მუკადდასის ცნობით ისეთ შორეულ მხარეშიც კი, როგორც, ცენტრალური აზიაა. გაჰქონდათ ყველა ქვეყანაში, მათ შორის ინდოეთშიც, ენდრო.

ეტიმოლოგიურად არაბები სახელწოდება „ბარდავს“ უკავშირებენ სპარსულ სიტყვას „ბარდა-დარ“ – „ტყვეთა ადგილი“, ხოლო ქალაქის გაშენებას – სასანელ მეფეს კავად I (488–531 წწ.), ხოსრო ანუშშირვანის მამას. ავტორთა კოლექტივის ნაშრომში Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, «История Ирана с древнейших времен до конца XVIII века» (Л., 1958) სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ბარდავი კავადმა გაამაგრა, ე. ი. მხოლოდ საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩაატარა, თუმცა შემდგომი წინადადება ერთგვარად ან ბს, სამწუხაროდ, ამ აზრს (გვ. 59).

მკითხველი ქვემოთ დაინახავს, რომ ზაქარია ალ-ყახვინის ბარდავთან დაკავშირებით თითქმის ყველა იმ მომენტზე აქვს ზოგადად-

გამახვილებული ყურადღება, რომლებზეც ჩვეულებრივ არაბი მწერ-  
ბი ჩერდებიან ხოლმე.

ასეთად აყვავებულსა და თავისი გაფურჩქვნის მწვერვალზე ვხე-  
დავთ X ს. ბარდავს არაბი გეოგრაფების აღწერით, მაშინ როცა XIII

121

ს., როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი და იაკუთი აღნიშნავენ, ბარდავისა-  
გან მხოლოდ ოდინდელი დიდების სახელიდა იყო დარჩენილი. „რაც  
შეეხება დღევანდელ დღეს, – წერს ზაქარია ალ-ყაზვინი ქვემოთ –  
მისი (ანუ ბარდავის) უმეტესი ნაწილი დანგრეულია, აქ მხოლოდ  
მრავალი საუკეთესო ძეგლია და მისი მცხოვრებლების სიღატაკე თვალ-  
შისაცემია“. ასევე ამბობს იაკუთიც: „რაც შეეხება ახლანდელ დროს,  
ყოველივე ამისაგან აღარაფერი დარჩა. აზერბაიჯანში მე შევხვდი ბარ-  
ზაას ერთ-ერთ მცხოვრებს, რომელსაც შევეკითხე მისი ქალაქის შესახებ  
და მიაგზო, რომ მას ძალიან ეტყობა გაპარტახების კვალი. ახლა მას  
სოფლის ნიშნებიდა შემორჩა. ხალხი ცოტაა, მდგომარეობა ამაღელ-  
ვებელი, სიღარიბე და გაჭირვება თვალსაცემი, სახლ-კარი მთლიანად  
განადგურებული და დანგრეული“.

იხ. ალ - ის ტ ა ხ რ ი, გვ. 182–184, 190; იბნ ჰ ა უ კ ა ლ ი,  
გვ. 240–241, 244, 249, 250, 277; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი, გვ. 374,  
375, 380; იბნ ალ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი, გვ. 287, 288,  
297; იბნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი, გვ. 123, 244; იაკუთი, I, გვ. 558–  
561; თ ა რ გ მ ნ ., გვ. 31–34; B. D o r n, Caspia. Über die Einfälle  
der alten Russen in Tabaristan nebst zugaben über andere von ihnen  
auf dem Kaspischen Meere und in den anliegenden Lindern ausgefü-  
hrte Unternehmungen, St.-Pétersbourg», 1875 («Mémoires de l’Acad.  
imp. des sciences de St.-Pétersbourg», VII<sup>e</sup> sér., t. XXIII, № 1);  
J. M a r q u a r t, Ērānšahr; მ ი ს ი ვ ე, Streifzüge; G. l e S t r a -  
n g e, გვ. 177–178; V. M i n o r s k y, Studies in Caucasian History,  
გვ. 16–17, 65, 104, 117; მ ი ს ი ვ ე, Hudūd al-‘ālam, მისივე, Ис-  
тория Ширвана и Дербенда X–XI веков; D. M. D u n l o p, His-  
tory of the Jewish Khazars; მ ი ს ი ვ ე, EI, NE, I, აზ. 1040–1041;  
B. B. Бартольд, Бердаа, Соч., т. III, გვ. 372–373.

62. ქალაქი ბაილაკანი, მდებარე ბარდავის სამხრეთითა და არაქ-  
სის ჩრდილოეთით ბარზანდს ზემოთ, ბარდავის დაცემის შემდეგ გახ-  
და არ-რანის მოავარი ქალაქი. ბაილაკანის წარმოშობასაც არაბი მწერ-  
ლები სასანელ კავადს უკავშირებენ. იაკუთი კი მის ამშენებლად ვინ-  
მე ლეგენდარულ ბაილაკან იბნ არმან ლანტა იბნ იუნანსაც ასა-  
ხელებს.

X ს. არაბ გეოგრაფებთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ.  
შენიშვნ. 25, II), ბაილაკანი წარმოადგენდა მეორეხარისხოვან ქალაქს.  
იგი ჩამოთვლილია ქალაქებთან მაიანიჯთან ვარსანთან, ბარდიჯთან,  
შამახიასთან და სხვ. ერთად და იგივეა აღნიშნული, რასაც თავრიზ-

122

თან დაკავშირებით წერენ არაბი ავტორები, რომ ეს ქალაქები პატა-

რები არიან და თანაბარნი მოცულობით.

617 წ. ჰიჯ. (1220–1221 წწ.) ბაილაკანი დიდ განსაცდელში ჩა-  
ვარდნილა მონღოლთა შემოსევების გამო და მისი მცხოვრებლები  
იძულებული გამხდარან ქალაქი დაეტოვებინათ. მაგრამ, როგორც  
ჩანს, ბაილაკანი საკმაოდ სწრაფად აღორძინებულა, თუ გავითვალის-  
წინებთ იმ გარემოებას, რომ XIII ს. 20-იანი წლების დასასრული-  
სათვის იაკუთი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო იგივე იაკუთი (ზაქა-  
რია ალ-ყაზვინისთან ერთად) გვატყობინებს, რომ „როდესაც მას (ბაი-  
ლაკანს თათრები, ანუ მონღოლები – ო. ც.) განშორდნენ, გაქცეული  
ხალხი დაბრუნდა, მათ სხვებიც შეუერთდნენ და ახლა იქ მტკიცედ  
ფეხმოკიდებული არიან“.

როგორც ცნობილია, საინტერესო მასალა XII ს. დასაწყისის ბაი-  
ლაკანზე მოიპოვება მდივნის, წარმოშობით ქურთის, მასუდ იბნ ნამ-  
დარის დოკუმენტთა კრებულში. მისი უნიკალური ხელნაწერი 1612 წ.  
ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და უკვე XVIII ს.  
ეს ხელნაწერი გახდა კვლევის ობიექტი, თუმცა ეს კვლევა არაფრით  
დამაკმაყოფილებელი არ იყო. კრებულის პირველი სერიოზული გა-  
მოკვლევა ეკუთვნით ვლ. მინორსკისა და კლოდ კაენს. ხოლო უკანას-  
კნელ ხანს მასუდ იბნ ნამდარის დოკუმენტების კრებულის ტექსტის  
ფაქსიმილე შესავლითა და საძიებლებით გამოაქვეყნა ვ. ბეილისმა,  
რომელმაც ამ კრებულს კიდევ უფრო ადრე ჯერ საგანგებო მოხსენე-  
ბა დაუთმო თბილისში 1966 წ. ივნისში ჩატარებულ სემიტოლოგთა  
II საკავშირო კონფერენციაზე, ხოლო კვალდაკვალ მას სპეციალური  
სტატიაც მიუძღვნა. კრებული მით უფრო იქცევეს სპეციალისტთა ყუ-  
რადღებას, რომ მასში მოთხრობილია XII ს. დასაწყისის ბაილაკანის  
მჩქეფარე პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამგვარი ხასიათის მასალით კი  
არცთუ მაინცადამაინც მდიდარია თანამედროვე მეცნიერება.

იხ. ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 187–188; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ.  
239, 244, 251; ალ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 376; ი ბ ნ ალ - ფ ა კ ი ჰ  
ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 287–288; ი ა კ უ თ ი , I, გვ. 797 – 798;  
თ ა რ გ მ ნ . , გვ. 37; G. le Strange , გვ. 178; V. Minorsky  
et Claude Cahen , Le recueil Transcaucasien de Mas'ud b. Na-  
mdar, JA, t. CCXXXVII, fasc. 1, 1949, გვ. 93–142; В. Ф. Ми -  
н о р с к и й , История Ширвана и Дербенда X-XI веков, გვ. 27,  
32–33, 54, 56, 108, 153, 156–157, 177, 212; В. М. Б е й л н с ,  
Мас'уд ибн Намдар и городское население Байлакана, Известия  
Академии наук Азербайджанской ССР, Серия истории, философии  
и права, № 3, 1966, გვ. 50–64; Мас'уд ибн Намдар, Сборник расска-

зов, писем и стихов, Факсимиле текста, предисловие и указатели  
В. М. Б е й л и с а , М., 1970; С. В: Ц к и т и ш в и л и , «Cau-  
casica» В. Ф. М и н о р с к о г о , Сб. «Очерки по социально-эко-  
номической истории Ближнего Востока», Тб., 1968, გვ. 198–200.

63. მუჯირ ალ-ბაილაკანის ვინაობის დაზუსტებაც, სამწუხაროდ,  
ვერ მოხერხდა.

64. ზემოთ დავინახეთ, რომ არაბ მწერალთა ცნობით ქალაქი ბარ-დავი ხორასანსა და ერაყს შშორის რეისა და ისფაჰანს შემდეგ უდიდესი ქალაქი ყოფილა (იხ. მენიშენ. 61, II). ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო X ს. ისფაჰანი, მდებარე ალ-ჯიბალის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდ. ზაინდა-რუდის, ვარიანტია, ზარინ-როუდის, მარცხენა, ჩრდილოეთ ნაპირზე. თქმა არ უნდა, თავისი დიდი სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობით აიხსნება ის, რომ ისფაჰანის აღწერას არაბულ წყაროებში (და არა მხოლოდ არაბულ წყაროებში) ფართო ადგილი უჭირავს.

იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი ისფაჰანის მეორე ბაღდადს უწოდებს. მისივე, იბნ ხურდაზბიძისა და იბნ რუსთას ცნობით მთლიანად ისფაჰანის პროვინციის ფართობი შეადგენდა 6400 კვ ფარსახს, ანუ 230 400 კვ კმ. ისფაჰანის შემადგენლობაში შედიოდა 17 რუსთაკი. ყოველ რუსთაკში იყო 360 თუ 365 ძველი სოფელი, როგორც არაბი გეოგრაფები უწოდებენ. ჩამოთვლილი აქვთ რუსთაკების სახელწოდებანიც.

იბნ რუსთას ცნობით, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენთვის ცნობილი არაბული თხზულებებიდან ისფაჰანის ყველაზე ვრცელი აღწერა აქვს მოტანილი, ქალაქი ალექსანდრე მაკედონელს გაუშენებია. ამას სხვებიც იმეორებენ, მაგ., იაკუთი. ისფაჰანს შემოვლებული ჰქონდა კედელი ასი ბურჯითა და ოთხი კარიბჭით – ხავრის კარიბჭე, ასფიჯის კარიბჭე, ტირას კარიბჭე და ალ-იაჰუდიას, ანუ ებრაელთა კარიბჭე. იბნ რუსთას შეუსწავლია მანძილი კარიბჭეებს შორის, გაუზომავს და უნახავს, რომ კედლის გარედან მანძილი ხავრისა და ალ-იაჰუდიას კარიბჭეებს შორის ყოფილა 1100 წყრთა, ანუ დაახლოებით 550 მეტრი, ხოლო ბურჯთა რაოდენობა შეადგენდა 18, ალ-იაჰუდიასა და ტირას კარიბჭეებს შორის 1200 წყრთა, ანუ 600 მეტრი მანძილი ყოფილა, ბურჯები კი 23, ტირასა და ასფიჯის კარიბჭეებს შორის მანძილი შეადგენდა 1300 წყრთას, ანუ 750 მეტრს, ბურჯები ყოფილა 24, ასფიჯისა და ხავრის კარიბჭეები დაცილებული იყვნენ ერთმანეთისაგან 2400 წყრთით, ანუ 1200 მეტრით, მათ შორის კი გაშენებული იყო 35 ბურ-

124

ჯი. იბნ რუსთა მიუთითებს დაუსახლებელ არაარაბ, ალბათ სპარსელ, ავტორებზე და აღნიშნავს, რომ ქალაქ ისფაჰანის სიგრძეა 1750 წყრთა, რაც შეადგენს დაახლოებით 875 მეტრს და სიგანეა 1500 წყრთა, რაც დაახლოებით 750 მეტრს უდრის. იბნ რუსთას ეს ზომები, ჩანს, ისფაჰანის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ალ-იაჰუდიას ეხება, ვინაიდან X ს. ისფაჰანი ორი „ნაწილისაგან შედგებოდა. ერთ მათგანს ერქვა, როგორც ახლახან აღინიშნა, ალ-იაჰუდია, ებრაელთა ქალაქი, ხოლო მეორეს ალ-მადინა, რომელსაც იაკუთის დროს უკვე მისი სპარსული შესატყვისი შაჰრისთან ერქვა. იბნ ჰაუკალისა და აგრეთვე იაკუთისა და ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით ალ-იაჰუდია დასახლებული უნდა ყოფილიყო იერუსალიმიდან გადასახლებული იუდეველებით ახალი ბაბილონური სამეფოს მეფის ნაბუქოდონოსორის დროს (605-562 წწ.-ჩ. წელთაღრიცხვამდე). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არაბ ავტორებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ბაბილონელთა მიერ 586 წ. ჩ. წელთაღრიცხვამდე იერუსალიმის აღება. გამარცვა და განადგურება იმ მედგარი წინააღმდეგობისათვის, რომელიც ებრაელებმა ბაბილო-



ნელთა ლაშქარს გაუწიეს როგორც ეგვიპტის მოკავშირეებმა. სწორედ ამ ბრძოლის შედეგად იყო, რომ ნაბუქოდონოსორი სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს, მრავალი იუდეველი ტყვედ წაასხა ბაბილონში, როგორც ირკვევა, ისინი ისფაჰანშიც კი დაუსახლებია.

ალ-იაჰუდიასა და ალ-მადინას შორის მანძილი ორი მილი ყოფილა (=4 კმ). ყოველ მათგანში მდებარეობდა კათედრალური მეჩეთი. ალ-იაჰუდიას მრგვალ სვეტებზე აგებული ლამაზი მისგითი, როგორც ალ-მუკადდასი იტყობინება, მდებარეობდა ბაზარში. მას ჰქონია 70 წყრთის სიმაღლის (35 მეტრი) ალიზით ნაგები მინარეთი ყიბლის (მექის) მიმართულებით. ალ-მადინას მეჩეთი კი ისფაჰანში ყველაზე ძველი და მტკიცე ნაგებობა ყოფილა.

X ს. ალ-იაჰუდია მოცულობით ორჯერ მეტი ყოფილა ალ-მადინაზე. ჰამადანს მარტო ალ-იაჰუდია ჭარბობდა სიდიდით.

ისფაჰანის რუსთაკები ალ-ჯიბალში ყველაზე ნაყოფიერი იყო. ალ-ისტახრი ისფაჰანს ფარსის, ალ-ჯიბალის, ხორასნისა და ხუზისტანის ნავთსაყუდელს უწოდებდა. ალ-მუკადდასი იტყობინება, რომ ისფაჰანი დასახლებული იყო დიდვაჭრებითა და გაწაფული, საუკეთესო ხელოსნებით. ისფაჰანის ხელოსნებსა და მათ ნაწარმს განსაკუთრებით აქვს ზაქარია ალ-ყაზვინი. ისფაჰანში დამზადებული ბამბის ქსოვილი სხვადასხვა ქვეყნებში გაჰქონდათ. ისფაჰანშივე ამზადებდნენ ათაბის ტიპისა და ჭრელ ქსოვილებს, აბრეშუმისა და ბამბის ყოველნაირ ტანსაცმელს. ყველა ეს ნაწარმი წარმოადგენდა ექსპორტის საგანს და გაჰქონდათ ისინი ერაყში, ფარსში, ხორასანსა და სხვ. ქვე-

125

ყნებში. ერაყსა და სხვ. ქვეყნებში გაჰქონდათ აგრეთვე ზაფრანა და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, X ს. ისფაჰანი თავისი აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში იყო, ისევე როგორც ასეთი განვითარება ჰპოვა მან სეფიანთა დინასტიის დროს (907/1502–1145/1722 წწ.), როცა იგი ირანის სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა.

იაკუთი თავში ისფაჰანის შესახებ ძირითადად თავის წინამორბედ არაბ ავტორებს იმეორებს და ამავე დროს მისი მასალა არსებითად ისტორიული ხასიათისაა. ამ თავში, მაგ., მოცემული აქვს არაბების მიერ ისფაჰანის დაპყრობის ისტორია და მასთან ერთად მოტანილია იმ ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტი რომელიც ისფაჰანის, მცხოვრებლებსა და არაბებს შორის დაიდო. ისფაჰანი არაბებმა სულ-ჰით დაიპყრეს.

იხ. ალ-ისტარხი, გვ. 189; იბნ ჰაუკალი, გვ. 160; ალ-მუკადდასი, გვ. 388–389, 394; იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 229, 261–263; იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 20–21; იბნ რუსთა, გვ. 151–163; იაკუთი, I, გვ. 292–298; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 196–199; G. Le Strange, გვ. 202–207 (ინგლისელ მკვლევარს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, მოტანილი აქვს აგრეთვე ცნობები ისფაჰანის შესახებ სპარსელი მწერლების თხზულებებიდან, გამოყენებული აქვს ამასთან ერთად ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის მასალები).

65. რაისის თანამდებობის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში საკმაოდ ბევრი დაწერილა ადრეც და უკანასკნელ დროშიც. საბჭოურ, კერძოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქალაქთა რაისების“ ინსტიტუტის წარმოშობა სავსებით სამართლიანად არის დაკავშირებული მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალიზაციის პროცესთან და აღნიშნულია, რომ რაისის როგორც მაღალი სამოხელეო თანამდებობის წარმოშობა განპირობებულია მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობით. ამიტომ არის, რომ ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვებამდე: მახლობელ აღმოსავლეთში IX–X სს. ტერმინ „რაისით“ აღინიშნებოდა ჩვეულებრივ ყველა მაღალი თანამდებობის პირი, იქნება ეს ვთქვათ, სოფლის მამასახლისი, უბნის თავკაცი თუ რომელიმე სავაჭრო ამხანაგობის ხელმძღვანელი.

სპეციალურ ლიტერატურაში ამავე დროს ისიც არის გამორკვეული, რომ „ქალაქთა რაისები“ იყვნენ მაღალი სოციალური კლასის.

126

წარმომადგენლები, ეკუთვნოდნენ დიდვაჭართა სოციალურ ფენას, ეწეოდნენ დიდ სავაჭრო ოპერაციებს. ვაჭრობა მათთვის წარმოადგენდა გამდიდრებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეკონომიურად მომძლავრებული რაისები ეწეოდნენ აგრეთვე მიწების შესყიდვას და ამით ისინი მსხვილი მიწათმფლობელებიც ხდებოდნენ, რითაც გარკვეულად უახლოვდებოდნენ კიდევ ფეოდალურ კლასს. |

„ქალაქთა რაისების“ პოლიტიკური აყვავების ხანად მაინც X – XII სს. ითვლება, უფრო ზუსტად ის დრო, ვიდრე მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე მონღოლთა მარბიელი ძალა გამოჩნდებოდა. მახლობელი აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისტორიაში ცნობილია ფაქტები „ქალაქთა რაისების“ იმდენად მომძლავრებისა, რომ ისინი ქალაქთა ფაქტიური ბატონ-პატრონნი ხდებოდნენ და უგულვებელჰყოფდნენ თავიანთ ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას შეესრულებინათ შუამავლის როლი ამირის ხელისუფლებასა და ქალაქის მოსახლეობას შორის. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისინი ამირის ადმინისტრაციის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. ამის სანიშნუშო მაგალითია ქალაქ დერბენდის ისტორია, შესწავლილი პროფ. ვლ. მინოსკის მიერ.

იხ. ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X–XI საუკუნეებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 349–357; მ ი ს ი ვ ე , ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ქამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება). „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, I, თბ., 1966, გვ. 127–132; მ ი ს ი ვ ე , რეცენზია ნაშრომზე C1. C a h e n «Movements populaires et autonomisme urbain dans L'Asie musulmane du Moyen Âge» (Leiden, 1959), „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1963, გვ. 242–248; გ ი ა ბ ე რ ა ძ ე , მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის ისტორიიდან („ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი), „მაცნე“, 1969, № 4, გვ. 57–74; მ ი ს ი ვ ე , „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი X–XIII სს. ირანში („ქალაქის რაისების“ ქონე-

ბრივი და სოციალური მდგომარეობა)“, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, II, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 65–110; В. В. Бартольд, Туркестан В эпоху монгольского нашествия, Соч., т. 1, М., 1963, გვ. 294, 350–352; Б. Н. Захедер, Хорасан и образование государства сельджуков, В И, 1945, № 5–6, გვ. 126–127; V. Minor sky, Studies in Caucasian History, გვ. 39 50; მისივე, История Ширвана и Дербенда X–XI веков, გვ. 55, 61–62, 65, 67–68, 71, 73, 76,

127

85, 101–102, 104–105, 130, 152, 163–167, 184, 203; A. K. S. Lam b t o n , The Administration of Sanjar’s Empire as illustrated in the ‘Atabat al-kataba, BSOAS, XX, 1957, გვ. 383–387; H. Horst, Die Staatsverwaltung des Grossselguqen und Horasmšahs (1038–1231), Eine Untersuchung nach Urkundenformularen der Zeit, Wiesbaden, 1964, გვ. 53–57.

66. იაკუთი თბილისს ორნაირად ახმოვანებს – „თაფლს“ და „თიფლს“. ეს არის არსებითად საქართველოს ერთადერთი ქალაქი, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან არაბულენოვანი ავტორები. საერთოდ ცნობილია, რომ მუსლიმ ავტორებს ზოგადად და არაბულენოვან მწერლებს, კერძოდ, თავიანთი თხზულებების შედგენისას აინტერესებდათ მხოლოდ მუსლიმური ქვეყნები. მაგამთ თუ თბილისი მათი ინტერესების სფეროში ხვდებოდა და მის შესახებ ზოგი ცნობა შემოგვინახეს, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ არაბ გეოგრაფთა თუ ისტორიკოსთა წარმოდგენით თბილისი იყო მუსლიმურ ქვეყნებში შემავალი ქალაქი, ანუ იგი უკეთეს შემთხვევაში დასახლებული იყო ძირითადად მუსლიმებით. ასე აქვს, მაგ. ეს საკითხი წარმოდგენილი იაკუთს ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 857, 858; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 39, 40). ასეთივე შეხედულებისაა ამ საკითხზე ზაქარია ალ-ყაზვინიც, როცა იგი აღნიშნავს თბილისს იქით ისლამი აღარ არის, ანუ მისივე წარმოდგენით თბილისი მუსლიმთა ქვეყნებში შემავალ მხარეში მდებარეობდა, თუმცა ოდნავ ქვემოთ ზაქარია ალ-ყაზვინი იმასაც აღნიშნავს, რომ თბილისი ქრისტიანთა ოლქშია და თბილისის მცხოვრებლები მუსლიმები და ქრისტიანები არიან. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, პირველ რიგში თბილისის მცხოვრებთა შორის მაინც მუსლიმები არიან დასახლებული, ხოლო მეორეში – ქრისტიანები. ალ-ისტახრისა და იბნ ჰაუკალის მითითებით კი თბილისი არ-რანში მდებარეობს ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 187; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 244).

იმავე არაბ გეოგრაფთა ცნობით X ს. თბილისი თავისი სიდიდითა და, ალბათ უნდა ვიფიქროთ, თავისი სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობითაც ამიერკავკასიის ქალაქთა შორის მესამე ადგილზე იყო ქალაქების ბარდავსა და დარუბანდს შემდეგ, შესაძლებელია, მათ უტოლდებოდა კიდევ. „არ არის არ-რანში ქალაქი ბარდავზე, ალ-ბაზსა და თბილისზე დიდი“, – აღნიშნავს ალ-ისტახრი ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , იქვე). ზუსტად იგივე სიტყვებს იმეორებს იბნ ჰაუკალი ( ი ბ ნ

ჰ ა უ კ ა ლ ი , იქვე). არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ალ-ისტახრი

სიდიდით ალ-ბაბზე პატარა არისო (ალ-ისტახრი, გვ. 185 იბნ ჰაუკალი, გვ. 242; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 33).

როგორც არაბი გეოგრაფები იტყობინებიან, თბილისს ორი კედელი და სამი კარიბჭე ჰქონია (ალ-ისტახრი, გვ. 185, 186; იბნ ჰაუკალი, გვ. 242). ატ-ტაბარის ცნობით, როგორც ცნობილია, თბილისს ხუთი კარიბჭე ჰქონდა – მაიდნის კარიბჭე, კარის კარიბჭე, მცირე (პატარა) კარიბჭე, რაბადის კარიბჭე და სოლდებილის კარიბჭე. მაგრამ ამ შემთხვევაში ატ-ტაბარის მხედველობაში უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ საკუთრივ თბილისი, არამედ მისი შემადგენელი ნაწილიც სოლდებილი და ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ კიდევ, რომ ჩამოთვლილი კარიბჭეებიდან სოლდებილისა და რაბადის კარიბჭეები სოლდებილში მდებარეობდნენ, ხოლო დანარჩენი სამი კარიბჭე, ანუ კარის კარიბჭე, მაიდნისა და მცირე კარიბჭეები საკუთრივ თბილისს, უფრო ზუსტად, კალა-თბილისის კარიბჭეებია (ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 5 (14), 1963, გვ. 157).

ალ-მუკადდასი აღნიშნავს, რომ თბილისი მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს, რომელნიც ხიდით იყვნენ შეერთებული. მისი კედელი თუ მოაჯირი ქვით ნაგები და ხით გადაკრული ყოფილა (ალ-მუკადდასი, გვ. 375–376). რა თქმა უხდა, ყველა არაბი ავტორი იმასაც გვამცნობს, რომ თბილისისა და მისი მიდამოების ნიადაგი ნაყოფიერია, მრავლადაა სახნავ-სათესი მიწები და სხვ. როგორც წესი, არც ერთ მათგანს არ რჩება მხედველობიდან საგანგებოდ აღნიშნოს ის გარემოება, რომ თბილისში არის აბანოები, რომელთა წყალი ტაბარისთანის აბანოების წყლის მსგავსად უცეცხლოდ არის ცხელი და ზოგი არაბი მწერალი ამ ფაქტს საოცრებათა რიცხეში თვლის, თუმცა იაკუთი თბილისის აბანოების ცხელ წყალს ასეთ საკვირველებად არ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „ამის მიზეზი გამჭრიახი ხალხისათვის ნათელია და ეს მათავისუფლებს აუცილებლობისაგან, რომ იგი განვმარტო“ (იაკუთი, I, გვ. 857; თარგმნ., გვ. 39).

განსაკუთრებით აღსანიშნავია იბნ ჰაუკალის ცნობა თბილისელთა ხასიათების დადებით თვისებებსა და მათ სტუმართმოყვარეობაზე (იბნ ჰაუკალი, გვ. 243).

იაკუთი სახელწოდება „თბილისის“ ორნაირი გახმოვანების, ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობისა და მისი აღწერის შემდეგ ძირითადად იძლევა ისტორიულ ცნობებს. იაკუთის ცნობის თანახმად თბილისი დაპყრობილ იქნა ხალიფა უსმან იბნ აფფანის დროს (23–

35/644–656 წწ.) არაბი მხედართმთავრის ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ. დადებულ იქნა ზავი და არაბებმა გასცეს თბილისელებზე ამანის წიგნი. ამ წიგნში ძირითადი ის არის, რომ ყოველ კომლს ეკისრებოდა ჯიზია,

სულადი გადასახადი, ერთი დინარის ოდენობით. ამავე დროს ხელშეკრულების მიხედვით აიკრძალა კომლების შეერთება ან მათი გაყოფა გადასახადების შემცირების ან გადიდების მიზნით. ამასთან ერთად, ყოველ მცხოვრებს დაეკისრა სტუმართმოყვარეობა გამოეჩინა თითოეული მუსლიმის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მათთვის. როგორც ცნობილია, ჰაბიბ იბნ მასლამას ეს ე. წ.

„დაცვის სიგელი“ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში რამდენჯერმე იყო სპეციალური მსჯელობის საგანი. შემდეგ ლაპარაკია თბილისის განთავისუფლებაზე მუსლიმთაგან 515 წ. ჰიჯ. (1122 წ.). ცხადია, აქ იაკუტს მხედველობაში აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიული დეაწლი ქართველი ხალხის წინაშე, როცა მან შეძლო თბილისის საქართველოს სამეფოსათვის დაებრუნებინა. არაბულენოვანი ავტორი იმასაც გვამცნობს, თუ როგორ ააოხრა თბილისი ხვარაზმშაჰმა ჯალალ ადდინმა, რომელმაც ქალაქში ვალი დატოვა, მაგრამ იგი იმდენად უსამართლოდ მოპყრობია ქალაქის მცხოვრებთ, რომ ისინი იძულებული გამხდარან თბილისი „გადარჩენილი“ ქართველებისათვის გადაეცათ. როგორც იაკუთი ირწმუნება, ქართველებს შეშინებიათ ხვარაზმშაჰის დაბრუნებისა და ამიტომ მათ ქალაქი გადაუწვავთ და მიუტოვებიათ. ამ ამბავს ადგილი ჰქონდა 624 წ. ჰიჯ. (=1226–1227 წწ.) (ი ა კ უ თ ი , I, 33 857-859; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 38–41). ჩვენ ამჯერად მიზნად არ დავგისახავს ანალიზი გაგვეკეთებინა იაკუთის ცნობებისათვის, ვინაიდან ასეთი მიზანი ძალზე შორს წაგვიყვანდა. ჩვენი ამოცანა იყო მხოლოდ მოგვეტანა ის მასალა, რომელიც იაკუთთან არის შემონახული, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინის თანამედროვესთან.

სპეციალური ლიტერატურიდან საგანგებოდ დავასახელებდით პროფ. ვლ. მინორსკის შესანიშნავ და საკმაოდ ვრცელ სტატიას თბილისზე, რომელიც გამოქვეყნებულია „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში (EI, IV, გვ. 814–826). სამწუხაროა, რომ იგი დღემდე არ არის თარგმნილი ქართულად.

67. ზემოთ უკვე აღინიშნა სასანელი მეფის ხოსრო ანუშირვანის შესახებ არსებული ზოგი მასალის გადმოცემასთან დაკავშირებით, რომ „აღბათ ხოსრო ანუშირვანის დიდი ავტორიტეტით არაბულ მწერლობაში და მისი სახელის ერთგვარი ლეგენდარული ხასიათით არაბულ საზოგადოებაში უნდა აიხსნას, როგორც გვგონია, ის, რომ რიგ შემთხვევაში ისტორიულ ფაქტებს, რომელთა განმარტებასაც არაბი

130

მწერლები ვერ ახერხებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაბულ ნი-ადაგზე, სასანელ მზრძანებელს მიაწერენ ხოლმე“ (იხ. შენიშვნ. 26, I). ვფიქრობთ, ზემოთქმულის კიდევ ერთ სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს ზაქარია ალ-ყაზვინის მტკიცება იმის შესახებ, რომ თბილისი თითქოსდა ანუშირვანს აუშენებია, ამ მტკიცების უსაფუძვლობაზე განსაკუთრებით ქართველი მკითხველისათვის არა გვგონია საჭირო იყოს რაიმე დასაბუთების მოტანა. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, თუ რაოდენ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს არაბულენოვან მწერალთა ცნობები, რომელნიც საქართველოს ეხებიან.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სათანადოდ მიუზღო თბილისის

აღმაშენებელს ქართველთა მეფეს ვახტანგ გორგასალსს. საამისოდ საკმარისი იქნება დავასახელოთ მეტეხის ციხის გვერდით (ძველი სო-  
ლდებილი – ისინი დღევანდელი 26 კომისრის სახელობის რაიონი),  
ადგილზე, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს ძველი კალა-თბილისის  
განახლებულ უბნებს, ამხედრებული ვახტანგ გორგასლის მშვენიერი  
ძეგლი, შესრულებული მოქანდაკე ელ გ უ ჯ ა ა მ ა შ უ კ ე ლ ი ს მიერ.

68. ისპაკ იბნ ისმაილის, ქართული წყაროების სააკის, საჰაკის,  
თბილისის ამირის, პაპა შუაბი, ყურაიშიტთა საგვარეულოს წარმომად-  
გენელი (ა ლ - მ ა ს უ დ ი , მურაჯ აზ-ზაჰაბ, II, გვ. 65), ხალიფა მარ-  
ვან II-ის (126-132/744-750 წწ.), ომაელთა დინასტიის უკანასკნე-  
ლი წარმომადგენლის, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მურვან  
ყრუდ ცნობილის, მავლა იყო. ისპაკის მამა ისმაილი საქართველოში ხა-  
ლიფა ალ-ამინის დროს (193-196/809-813 წწ.) დასახლებულა.

ისპაკ იბნ ისმაილის პიროვნება საკმაოდ კარგად არის ცნობილი  
ქართული ისტორიული წყაროებიდან და სპეციალური ლიტერატური-  
დან. ისიც ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ისპაკს, როცა მას არაბმა მხე-  
დართმთავარმა ბუღა თურქმა თავი გააგდებინა ურჩობისათვის. საერ-  
თოდ ბუღა თურქი უფროსის ლაშქრობასთან დაკავშირებით თბილის-  
ში კვლავ ჩვენს ნაშრომზე „ძველი თბილისის ისტორიიდან“ მივუთი-  
თებთ. ატ-ტაბარის ისპაკ იბნ ისმაილის ფიზიკური აღწერა აქვს  
მოცემული. მისი თქმით, თბილისის ამირი „იყო ზორბა მოხუცი,  
ტყლიპით შეღებილი ვეებერთელა თავით, მელოტი, ელამი“ (ა ტ - ტ ა -  
ბ ა რ ი , III, გვ. 1415).

69. აბუ ალ-ფადლ ჯაფარ იბნ მუჰამმად ალ-მუთავაქქილი ალა ალ-  
ლაჰი, რიგით მეათე აბასელი ხალიფა (232-247/847-861 წწ.), ხა-  
ლიფა ალ-მუთასიმის შვილი, ტახტზე ავიდა თავისი ძმის ხალიფა ალ-

131

ვასიკის შემდეგ. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ხალიფა ალ-მუ-  
თავაქქილი პირველ რიგში აღსანიშნავია იმ მხრივ, რომ სწორედ მის  
დროს და მისი ბრძანებით მოხდა არაბი მხედართმთავრის ბუღა თურქი  
უფროსის გალაშქრება თბილისის საამიროს წინააღმდეგ 852 წ. მშემოდ-  
გომაზე. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობის შედეგად თბილისი, უნდა  
ვიფიქროთ, მისი ორივე ნაწილი, მდებარე მდ. მტკვრის ნაპირებზე,  
აოხრებულ იქნა, ხოლო თბილისის ამირი ისპაკ იბნ ისმაილი, როგორც  
ზემოთ უკვე აღინიშნა, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ხალიფა ალ-მუთავაქქილის სახელთან არის დაკავშირებული ზოგი სა-  
მშენებლო სამუშაოების ჩატარება მამამისის ხალიფა ალ-მუთასიმის მიერ  
გაშენებულ სახალიფოს ახალ დედაქალაქ სამარაში (იხ. G. le Stran-  
ge , გვ. 54 შმდეგ.). მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ეს არ არის. ძირითა-  
დი ის არის, რომ ხალიფა ალ-მუთავაქ ქილის დროს სწრაფი ტემპით და-  
იწყო სახალიფოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების დაცემა და უც-  
ხო თურქული ელემენტის მომძლავრება, რისი მსხვერპლიც ხალიფა ალ-  
მუთავაქქილი გახდა, რომლის მკვლელობაში მისი შვილი ალ-მუნ-  
თასირიც (247-248/861-862 წწ.) დებულობდა მონაწილეობას (ა ტ -  
ტ ა ბ ა რ ი , III, გვ. 1452-1465; იბნ ა ლ - ა ს ი რ ი , VII, გვ. 60-

64). ამიერიდან აბასელები, თურქ ჯარისკაცთა ფაქტიური ტყვეები, მათ სათამაშო ნივთებად იქცნენ.

70. ისჰაკ იბნ ისმაილთან საომრად გაგზავნილ ბულაში, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი აღნიშნავს, არაბ მწერალს მხედველობაში უნდა ჰყავდეს ბულა თურქი უფროსი განსხვავებით ბულა თურქი აშ-შარაბი უმცროსისაგან ყოველ შემთხვევაში, ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეა ცნობილი, რომ თბილისის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობას ბულა თურქი უფროსი ხელმძღვანელობდა, რომელიც საერთოდ მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ როლს ასრულებდა სახალიფოში 230/844–845 წ. მან თავი გამოიჩინა მედინას რაიონში ამბოხებულ ტომთა წინააღმდეგ ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში. 237/851–652 წ. ბულა თურქი უფროსი მხედართმთავრობდა ლაშქარს, რომელიც მოქმედებდა, არმენიაში. ეს ის სამხედრო ღონისძიება, როცა ბულა თურქმა პირადი ანგარიშიც გაუსწორა ისჰაკ იბნ ისმაილს. არაბ ავტორთა, კერძოდ, ალ-იაკუბის ცნობით თბილისის ამირსა და ბულას მშორის ამ დროს მიმოწერა გამართულა. მაშინ ბულა ალ-ბაკს იმყოფებოდა. თავის წერილში არაბი მხედართუფროსი მოითხოვდა ისჰაკ იბნ ისმაილი, „ალ-მუთაღალლიბი“ („მიმტაცებელი, დამპყრობი“ – ჩვეულებრივი ტერმინი, რომლითაც არაბული წყაროები სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან განმდგარ ოლქთა განმგებლებს უწოდებენ ხოლმე), მასთან გამოცხადებულიყო. მაგ-

132

რამ ისჰაკს უარით უპასუხნია, თუმცა კი დაჰპირებია სახსრებითა და ხალხით დახმარებას (ალ-იაკუბი, II, გვ. 598). საგულისხმოა, რომ იაკუბის ცნობა ბულა თურქის ლაშქრობის შესახებ ისჰაკ იბნ ისმაილის დასასჯელად მოაქვს თავში სოღდებილზე (იაკუბი, III, გვ. 396; თარგმნ., გვ. 70–71). მოგვიანებით 244/857 წ. ბულა თურქი უფროსი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ იბრძვის, როგორც წესი, უშედეგოდ.

თავისი მბრძანებლის ხალიფა ალ-მუთავაქქილის მკვლელობის დროს 247/861 წ. ბულა თურქი ადგილზე არ იყო. 248/862 წ. კი მან სხვა თურქ ჯარისკაცებთან ერთად სამეფო ტახტზე დასვა ხალიფა მუსათაინი (248–251/862–866 წწ.) და იმავე წელს ბულა თურქი უფროსი გარდაიცვალა კიდევ.

მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს სახალიფოს სამეფო კარზე ასრულებდა აგერთვე ბულა თურქის შვილი მუსა იბნ ბულა, რომელიც ერთ ხანს საფოსტო უწყებასაც განაგებდა.

მასალები ბულა თურქი უფროსის შესახებ და საერთოდ მის ეპოქაზე მრავალ არაბ ისტორიკოსთან არის შემონახული, თანაც ისინი სხვადასხვა გვერდებზეა მიმოფანტული. ამიტომ ახლა აქ ამ გვერდების კონკრეტული მითითება ვერ ხერხდება. საამისოდ საჭირო იქნება სამიუბელში ჩახედვა. ასეთ არაბ ავტორთაგან პირველ რიგშია დავასახელებდით ალ-იაკუბის, ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარისა და ალ-მასუდის. მათი ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებანი საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი.

71. იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის ცნობით ქართველებს, ებრაელებსა

და სომხებს აკრძალული ჰქონდათ შესულიყვნენ ისმაილის აბანოში, რომელიც, როგორც ჩანს, მუსლიმთათვის იყო განკუთვნილი (ვ. ფუთე-რიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 141). ეს ის აბანო უნდა იყოს, რომელსაც სიბტიბნ ალ-ჯავზი, იაკუთი (იხ. ოთარ ცქიტიშვილი, სიბტიბნ ალ-ჯავზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 205, 211; იაკუთი, გვ. 857; თარგმნ., გვ. 39) და ზაქარია ალ-ყაზვინი იხსენიებენ. ვ. მინირსკის აზრით, ამ აბანოს სახელი დაკავშირებული უნდა იყოს ისპაკის მამის ისმაილ იბნ შუაბის სახელთან (V. Minorsky, *Caucasica in the History of Mayyāfāricīn*, BSOAS, Vol. XIII, Part I, 1949, გვ. 34, შენიშვნ. 2).

72. ფერფერას სახელწოდებით ცნობილ ოქროს მონეტასთან დაკავშირებით მოვიტანთ აწ განსვენებული ქართველი ნუმიზმატის პროფ.

133

დ. კაპანაძის სიტყვებს: «Древнейший термин для обозначения основной единицы в золотом исчислении, упоминаемый в рукописях – это «перпера». Впервые введенный в X в., т. е. в то время, когда собственно грузинские золотые монеты не чеканились, этот термин был заимствован из Византии и употреблялся и в дальнейшем. Несколько раз он, например, упоминается в бессмертной поэме Руставели, употреблял его европейский путешественник Платно Карпини, историк XIII в. Захарий Казвин и т. д.» (Д. Г. Капанадзе, *Грузинская нумизматика*, М., 1955, გვ. 140).

როგორც ვხედავთ, ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერს არც ჩვენი ავტორის ზაქარია ალ-ყაზვინის მითითება გამორჩენია მხედველობიდან ფერფერას მონეტასთან დაკავშირებით.

73. მესაძლებელია, ზაქარია ალ-ყაზვინის სუფთა ოქროს დინარის აღნიშვნით მხედველობაში ჰქონდეს კლასიკური ოქროს დინარი, რომლის წონა უდრადა 4,235 გრ (В. Хинц, *Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему*, გვ. 11).

74. სოფელ ჯანბაზაკის შესახებ, რომელიც ზაქარია ალ-ყაზვინის თქმით მარაღას ოლქში მდებარეობდა, სამწუხაროდ, სხვაგან ვერაფერი ვნახეთ დამატებით. ერთი კი აღსანიშნავია, რომ თუ ამ შემთხვევაში ზაქარია ალ-ყაზვინი ლაპარაკობს, რომ ეს სოფელი ერთი ფარსახის მანძილით იყო დამორებული ციხე რუჟინ დიზს, სხვაგან, როგორც უკვე ვნახეთ (იხ. ზაქარია ალ-ყაზვინი, I, გვ. 198; შენიშვნ., 83, I), ზაქარია ალ-ყაზვინი მანძილს იძლევა სოფელსა და დვინის ციხე-სიმაგრეს შორის და ამჯერადაც მანძილი ერთი ფარსახია მითითებული.

75. ამ ჭაზეც, ჯანბადაკის ჭის სახელწოდებით, ჰქონდა უკვე აღნიშნული ზაქარია ალ-ყაზვინის თავის პირველ წიგნში იმავე გვერდზე, რომელზეც წინა შენიშვნაში მივუთითეთ და ახლაც მას ამ ჭის შესახებ იგივე მასალა მოაქვს.



76. ქალაქი განჯა, არაბ მწერალთა ცნობით, ხალხური ქანჯა, არაბ. ჯანზა, ქართ. განძა, განძანი, 1804 წ. ელისავეტპოლი, თანამედროვე კიროვაბადი მდებარეობს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე მდ. განჯა-ჩაის ორივე ნაპირზე, რომელიც მდ. მტკვარს ერთვის. ეს ის მდინარე უნდა იყოს, რომელსაც ზაქარია ალ-ყაზვინი კირდკასს უწოდებს

134

და მის დახასიათებასაც იძლევა. ოდნავ ქვემოთ ტექსტში ზაქარია ალ-ყაზვინი აღნიშნავს, რომ მდ. კირდკასს სათავე თითქოს საქართველოში აქვს, ექვსი თვე მდინარის კალაპოტი წყლით ყოფილა სავსე, ხოლო ექვს თვეს გამოშრალი. როდის იყო იგი მშრალი და როდის წყალუხვი, ზაქარია ალ-ყაზვინი არ ამბობს, აღნიშნავს მხოლოდ, რომ მისი გაშრობისა და წყლით სიუხვის დრო ცნობილიაო.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ქალაქი განჯა ისეთ ადრეულ არაბ მწერლებთან, როგორც არიან იბნ ხურდაზბიჰი და ალ-იაკუბი, მართლაც არ იხსენიება და, როგორც ჩანს, იგი არაბთა ბატონობის დროს ამიერკავკასიაში უნდა იყოს დაარსებული. სპეციალისტები შუა საუკუნეების სათანადო ავტორთა ცნობების მითითების საფუძველზე მისი დაარსების თარიღსაც იძლევიან. ქალაქ განჯის დაარსების თარიღად აღებულია 845 წ. თუ 854 წ. ამავე დროს ისიც არის მითითებული, რომ ქალაქ განჯას თავისი სახელწოდება უნდა მიეღო წინამუსლიმური ხანის აზერბაიჯანის დედაქალაქის სახელისაგან (ამჟამად თახთ-ი სულეიმანის ნანგრევები).

ყოველ შემთხვევაში, არაბ ავტორთა ცნობების თანახმად ცნობილია, რომ X ს. განჯა არ იყო დიდი ქალაქი. პირიქით, ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი აღნიშნავენ, რომ ქალაქი განჯა პატარა ქალაქია და იგი ჩამოთვლილია ისეთ ქალაქებთან ერთად, როგორც არიან ბაილაკანი, ვარსანი, ბარდიჯი, ბარზანდი, აშ-შამახია, აშ-შაბარანი, კაბალა, შაქი, შამქორი დახუნანი. სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ XIII ს. განჯაში იაკუთისა და ზაქარია ალ-ყაზვინის დროს, როცა ქალაქმა ბარდავმა დაკარგა თავისი ოდინდელი სიდიადე და მან პირველობა დაუთმო ქალაქ განჯას, როგორც არ-რანის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრს. იაკუთი, მაგ., პირდაპირ აღნიშნავს, რომ განჯა ყველაზე დიდი ქალაქია არ-რანში. ალბათ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ზაქარია ალ-ყაზვინი, სხვათა შორის წინააღმდეგ იაკუთისა, საკმაოდ ვრცელ და ამჯერად საინტერესო მასალას იძლევა XIII ს. განჯის )-სახებ. იგი ვრცლად ლაპარაკობს ქალაქ განჯის სახელოსნო წარმოებაზე, მის ნაწარმზე, იქ დამზადებულ აბრეშუმზე, მართალია, ამ აბრეშუმის წარმოებას იგი ერთგვარ ზღაპრულ ხასიათს აძლევს. ზაქარია ალ-ყაზვინისთან ფართოდ არის ლაპარაკი აგრეთვე განჯასთან მდებარე ადგილებზე, რომელთაც სხვადასხვა სასარგებლო თვისებები ჰქონია და ა. შ.

განჯა, მდებარე, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინიც აღნიშნავს, საქართველოსთან საზღვარზე, კარგად არის ცნობილი აგრეთვე ქართველი ხალხის ისტორიასთან დაკავშირებით.

განჯამი ქართველთა ლამქრობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი და სიბტ იბნ ალ-ჯავზი., 516 წ. ჰიჯ. (1122–1123 წწ.) განჯას თავს დასტყდომია მიწისძვრა. მეფე დავით აღმაშენებელი თავისი ჯარით განჯას მისდგომია და მრავალი განჯელი დაუტყვევებია. რომელნიც იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის სიტყვებით ცხვრებივით ურმებზე შესმული წამოუყვანიათ, ხოლო სიბტ იბნ ალ-ჯავზის ცნობით დავითს დატყვევებული განჯელი მცხოვრებლები თბილისში გამოურეკავს ისე, რომ ისინი ურმებს ეწეოდნენ და მუსლიმებს ცხვრებივით მიერეკებოდნენ განჯელი ტყვეები თბილისში მცხოვრებ მუსლიმებს გამოუსყიდიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ეს ღონისძიება იმდენად ძვირი დასჯდომიათ, რომ ამის შემდეგ მათ ლაპარაკი დაუწყიათ, ეს წელი რომ არა, ჩვენ რა გაგვაღატაკებდაო.

განჯას, როგორც ცნობილა, 533 წ. ჰიჯ. (1138–1139 წწ.) კვლავ თავს დაატყდა მიწისძვრა, რის შედეგად იმად ად-დინის ცნობით დაღუპულა 300 000 კაცი, ხოლო იბნ ალ-ასირის სიტყვებით 130 000 განჯელი. ამის შემდეგ ულაშქრია განჯამი მეფე დიმიტრი I-ს, რომელსაც განჯა გაუმარცხავს, ხოლო მისი კარიბჭე მოუხსნია და საქართველოში წამოუღია. ეს კარიბჭე, როგორც ცნობილია, დღესაც გელათის მონასტერშია. ამდენად იმად ად-დინის ცნობა, როგორც სწორად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ თითქოს საქართველოში ჩამოტანილი განჯის კარიბჭე უკანვე დაებრუნებინოს ერთ-ერთ მუსლიმ განმგებელს.

იხ. ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 187–188; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 244; ი ა კ უ თ ი , II, გვ. 132; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 43–44; G. le Strange, გვ. 178; V. Minorsky, Studies in Caucasian History; მი ს ი ვ ე , История Ширвана и Дербенда X–XI веков; А. А. Ализаде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII–XIV вв., Веку, 1956; W. Barthold [J. A. Boyle], EI, NE, II, გვ. 975–976; В. В. Бартольд, Соч., т. III, გვ. 405–407; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 223; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 72; ოთარ ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ. 206, 212.

77. მდ. კირდკასის შესახებ იხ. წინა შენიშვნაში.

78. „ბაბ ალ-მაკბარა“ თარგმანში ნიშნავს „სასაფლაოს კარიბჭეს“.

136

79. „ბაბ ალ-ბარდაა“, ანუ „ბარდავის კარიბჭე“.

80. ყველა აქ ჩამოთვლილი ადგილი ციხე-სიმაგრე ჰარაქ, მდინარე დარურანი, მურას მთა და საერთოდ ის საკურორტო ზონა, რომელსაც ზაქარია ალ-ყაზვინი დადებით და მაღალ შეფასებას აძლევს თავისი კლიმატურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო და რომელიც ესოდენ იყო საჭირო განჯელთათვის განჯის არაჯანსაღი კლიმატური

პირობების გამო, როგორც ჩანს, ქალაქის სამხრეთით მდებარეობდა.

81. ნაყოფი „ალ-მაფი“, რომელსაც ზაქარია ალ-ყაზვინი იხსენიებს, ლექსიკონებში „ბანანად“ არის თარგმნილი და ჩვენც ასე მოგვაქვს თარგმანში, თუმცა ცხადია, რომ ამ სიტყვის ასეთი თარგმანი მეტად პირობითია, ვინაიდან არა გვგონია მაშინ და ახლაც განჯის რაიონში: ბანანი ხარობდეს.

82. „მუნქ ნიმ დანიქი“ თარგმანში ნიშნავს „ნახევარი დანიკის ქვას“. დანიკი არაბულში გამოიყენებოდა წონისა და ფულადი ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად და იგი უდრიდა დირჰამისა და დინარ-მისკალის 1/6-ს. ეგვიპტეში დანიკი ფართობის საზომი ერთეულიცაა და ახლა იგი უდრის 29, 1725 კვ მ (იხ. В. Х и н ц , Мусульмекские меры и веса С переводом в метрическую систему, გვ. 20, 73).

საჭიროა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების შუა აზიაშიც იხმარებოდა დანიკი თუ დანგი, როგორც წონის, ზომისა და ფართობის აღმნიშვნელი ტერმინი. აქაც დანიკი როგორც წონის ერთეული XIV–XIX სს. უდრიდა მისკალის 1/6-ს. თუმცა მისკალი შუა აზიაში სხვადასხვა წონის იყო. მაგ., ბუხარის მისკალი უდრიდა 4,8 გრ, ანუ დანიკი შეადგენდა 0,8 გრ. ხორეზმის მისკალი კი XIV–XIX სს. შეადგენდა 4,53 გრ, ანუ დანიკი უდრიდა 0,76 გრ. დანიკი სიგრძის ერთეული შეადგენდა ღაზის ან ზარის 1/6-ს, ხოლო ფართობის აღმნიშვნელი დანიკი ამჯერადაც თანაბრისა და ჯარიბის 1/6-ს უდრის (იხ. Е. А. Д а в и д о в и ч , Материалы по метрологии средневековой Средней Азии, М., 1970, გვ. 81, 116, 122).

ამრიგად, მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ დანიკი ალბათ ყველგან მახლობელ და შუა აღმოსავლეთში და ყველა შემთხვევაში 1/6-ს შეადგენდა.

83. „ალ-ქანჯი“, ანუ „განჯური“. ამ შემთხვევაში ზაქარია ალ-ყაზვინისთან ლაპარაკია განჯაში დამზადებულ ტანსაცმელზე.

137

84. უცხოელები თურმე განჯაში შეკერილ ტანსაცმელს „ალ-ქანჯის“ ნაცვლად „ალ-კუტნის“, ანუ „ბამბისეულს“ ეძახდნენ. ჩანს, ეს ტანსაცმელი ბამბეულის ნაწარმიდან იყო შეკერილი.

85. აბუ მუჰამმად ან-ნიზამის სახით ზაქარია ალ-ყაზვინი იხსენიებს XII ს. აზერბაიჯანული მხატვრული სიტყვის სიამაყეს ნიზიმ ადდინ აბუ მუჰამმად ილიას იზნ იუსუფ ან-ნიზამის. იგი დაიბადა განჯაში 535 წ. ჰიჯ. (1140/1141 წწ.). გარდაიცვალა 599 წ. ჰიჯ. (1202–1203 წწ.).

აზერბაიჯანელ ხალხს ნიზამი განჯელმა დაუტოვა და მსოფლიო კულტურის საგანძურშია შესული მისი სახელგანთქმული ე. წ. „ხამსა“, ანუ „ხუთეული“, ხუთი ეპიკური ხასიათის პოემის კრებული, რომელმაც მის ავტორს ნიზამი განჯელს სამუდამოდ დაუმკვიდრა სახელი კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ხუთი პოემიდან ზაქარია ალ-ყაზვინი ოთხს ქვემოთ ასახელებს კიდევ და მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის, კერძოდ, პოემა

„ხუსრუვ ვა შირინსა“ და „ლაილი ვა მაჯუნს“ შესახებ, რაც მასზე მიუთითებს, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის კარგი წარმოდგენა ჰქონია XI–XII სს. აღმოსავლურ ლიტერატურაზე.

ეს პოემებია: 1. „მახზან ალ-ასრარ“ („საიდუმლოებათა საგანძურ-რი“), დაწერილი 561 წ. ჰიჯ. (1165/1166 წწ.) და მიძღვნილი აზერბაიჯანელი ილდიღიზელი ათაბაგისადმი; 2. „ხუსრუვ ვა შირინი“ („ხოსროვი და შირინი“, „ხოსროვშირინიანი“), რომელიც ნიზამი განჯელს 571 წ. ჰიჯ. (1175/1176 წწ.) შეუთხზავს და მიუძღვნია ილდიღიზ მუჰამადისა და ყიზილ არსლანის შვილებისათვის; 3. „ლაილი ვა მაჯუნს“ („ლაილი და მაჯუნსი“, „ლეილმაჯუნსიანი“), შეთხზული 584 წ. ჰიჯ. (1188/1189 წწ.) და მიძღვნილი შირვანშაჰ ახსათან მინუჩიჰრისადმი; 4. „სიქანდარ-ნამა“ ან „ისქანდარ-ნამა“ („ისქანდერის წიგნი“). დაწერილია 587 წ. ჰიჯ. (1191 წ.). იგი ორ ნაწილად იყოფა და ცნობილია დამოუკიდებელი სათაურებით „იკბალ-ნამა“ („იღბლის წიგნი“) და „მარაფ-ნამა“ („დიდების წიგნი“). მიეძღვნა მოსულის ათაბაგს იზუ ად-დინ მასუდ I-ს; 5. „ჰაფთ ფაიქარი“ („შვიდი მთიები“), შეთხზული 595 წ. ჰიჯ. (1198/1199 წწ.). იგი მიეძღვნა იმავე მოსულელ მბრძანებელს, რომელზედაც ახლახან აღინიშნა „ისქანდარ-ნამასთან“ დაკავშირებით.

ოდნავ ქვემოთ, როცა ზაქარია ალ-ყაზვინი ფაზრ ად-დინ გორგანის „ვის ვა რამინს („ვისრამიანს“) იხსენიებს, აქებს მას, მაღალ შეფასებას აძლევს ამ ნაწარმოებსა და აღნიშნავს, რომ „ან-ნიზამის წადილი იყო „ხუსრუვ ვა შირინი“ ამ მანერით (ანუ „ვისრამიანის“ მა-

138

ნერით) დაეწერაო, იგი არ ცდება და სწორია, ვინაიდან, მართლაც, ცნობილია „ვისრამიანის“ დიდი გავლენა „ხოსროვშირინიანზე“, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ნიზამი განჯელის ამ თხზულებაში ვისი რატომღაც ცუდად არის მოხსენიებული. არც მაშინ ცდება ზაქარია ალ-ყაზვინი, როცა აღნიშნავს, რომ „ლეილმაჯუნსიანი“ ნიზამი განჯელმა შირვანის ბატონისათვის შეთხზაო, თუმცა მის სახელს კი არ იხსენიებს. ხოლო ზაქარია ალ-ყაზვინი მაშინ ცოდავს, როცა აცხადებს, რომ „ხოსროვშირინიანი“ სელჩუკ სულტანს თოდრულ იზნ არსლანს მიუძღვნაო.

ამჯერად ჩვენ ნიზამი განჯელთან დაკავშირებით ლიტერატურას არ ვასახელებთ, ვინაიდან იგი დღეს საკმაოდ მდიდრულად არის წარმოდგენილი. საკითხთან დაკავშირებით რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომების პოვნა შეიძლება მაგ., სტატიაში ნიზამი განჯელზე, რომელიც ეკუთვნის ე. ბერტელსს და გამოქვეყნებულია „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში (EI, III, გვ. 1013).

86. იხ. წინა შენიშვნა.

87. იხ. წინა შენიშვნა.

88. იხ. წინა შენიშვნა.

89. იხ. წინა შენიშვნა.

90. ალ-ჯურჯანის სახით ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში ჰყავს XI ს. სპარსული სატრფიალო პოეზიის შესანიშნავი ნიმუშის

„ვის ო რამინის“ (ქართ. „ვისრამიანი“) ავტორი ფახრ ად-დინ ასად გორგანი. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ეს არის პირველი ძეგლი, რომელმაც გზა გაუხსნა სატრფიალო ეპოსს ახალ სპარსულ ლიტერატურაში და პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომელმაც არა მისტიკურ, არამედ ამქვეყნიურ სიყვარულს უმღერა („ვისრამია-ხი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბ., 1962, გვ. 5).

სამწუხაროდ, ფახრ ად-დინ გორგანის ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ მას თავისი შედეგ-

139

რი უნდა შეეთხზა სადღაც XI ს. შუა ხანებში და იგი, შესაძლებელია, თოღოლ-ბეგის კარზეც მსახურობდა. თავისი ნაწარმოები გორგანის დაუწერია ისფაჰანის მმართველის ამიდ ად-დინ აბუ ალ-ფათჰ ალ-მუნაფფარის თხოვნითა თუ დავალებით და, თუ ზაქარია ალ-ყაზვინის დაფუჯერებთ, „ვის ო რამინი“ ავტორს სელჩუკი სულტნის თოდრულ-ბეგისათვის მიუძღვნია.

როგორც ცნობილია, ქართულმა სასოგადოებამ იმთავითვე, ჯერ კიდევ რუსთაველის ეპოქიდან, გამოიჩინა დიდი ინტერესი გორგანის პოემისადმი და იგი ქართულად ითარგმნა. XIX ს. დასასრულიდან კი საფუძველი ჩაეყარა „ვისრამიანის“ მეცნიერულ შესწავლას. ინტერესი ამ ძეგლისადმი, განსაკუთრებით მეცნიერული, დღესაც დიდია საქართველოში. საამისოდ საკმარისია აღინიშნოს ის, რომ ამ ცამეტი წლის განმავლობაში „ვისრამიანი“ ორჯერ გამოიცა ჯერ ქართულად თბილისში (იხ. ზემოთ), ხოლო შემდეგ სპარსულადაც თეირანში

رؤیس و رامین از فخرالدین اسعد گرگانی ، صحیح ماگالی تودوا

والسکندر گواخاریا ، تهران ، ۱۹۷۰) - (ალექსანდრე გვახარია და მაგალი თოდუა არიან.

თეირანისეულ გამოცემაში გათვალისწინებულია „ვისრამიანის“ ყველა დღემდე გამოვლენილი ხელნაწერი,

91. თოდრულ-ბეგი იყო სელჩუკის შვილიშვილი, არსლანის ძმის მიქაილის შვილი. თოდრულ-ბეგი თავის ძმასთან ჩაღრი-ბეგთან ერთად ჯერ კიდევ XI ს. დასაწყისში მავარანნაპრში მომთაბარეობდა, მაგრამ შემდგომში სწრაფად დაწინაურდა. სელჩუკებს დიდი ომების გადახდა მოუხდათ ლაზნელებთან ზორასანში 1035 წ. ფარავსა და შაჰრისთანს შორის მდებარე ველზე და 1038 წ. სარახსთან. ამ ბოლო გამარჯვების შემდეგ თოდრულ-ბეგი ნიშაბურში შევიდა და მასუდის ტახტი დაიკავა. ამ დროიდან მიეცა დასაბამი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას, რომლის ფუძემდებლადაც თოდრულ-ბეგი ითვლება არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან პირველმა დაიკავა სულტნის ტახტი და სულტნის ტიტული მიიღო, არამედ იმიტომაც, რომ იგი იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი. იგი პირველი იყო სელჩუკ უფლისწულთა შორის, რომელიც სათავეში ჩაუდგა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც და მის მართვასაც. ბრძოლა სელჩუკებსა და ლაზნელთა შორის არც შემდგომ-

ში შეწყვეტილა. ერთ-ერთ ბრძოლაში 1039 წ. კვლავ სარახსთან სულტან მასუდმა სძლია კიდევ სელჩუკებს. მაგრამ ეს გამარჯვება დროებით

140

თი აღმოჩნდა. ღაზნელთა დასუსტებულ სახელმწიფოს ძალა აღარ შესწევდა წინააღმდეგობა გაეწია სელჩუკებისათვის, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ საგარეო მდგომარეობით, არამედ სელჩუკთა წარმატებებს ხელი შეუწყო აგრეთვე ღაზნელთა სახელმწიფოში შექმნილმა საშინაო ვითარებამ. ადგილობრივი მოსახლეობა აშკარად გადადიოდა სელჩუკთა მხარეზე. სარახსსა და მერვს შორის მდებარე დენდანეკანის ბრძოლის შედეგად 1040 წ. 22–24 მაისს ღაზნელთა სულტანი მასუდი საბოლოოდ იქნა დამარცხებული. ახლად შექმნილი სელჩუკთა იმპერია სელჩუკმა უფლისწულებმა დაინაწილეს. მაგრამ მათ უზენაეს მბრძანებლად მაინც თოღრულ-ბეგი რჩებოდა, თუმცა ამ სელჩუკ უფლისწულთა მხრივ იყო ცდები სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და თოღრულ-ბეგისაგან განდგომისა. ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობებს თოღრულ-ბეგსა და დანარჩენ სელჩუკ ნაშიერთა შორის, კერძოდ, თოღრულ-ბეგსა და მის უფროს ძმას ჩადრი-ბეგს შორის, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობით შეძლო თოღრულ-ბეგმა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შეკოწიწება.

სელჩუკი სულტანი შემდგომშიც კვლავინდებური ენერგიით წარმატებით განაგრძობდა თავისი ისედაც ვეებერთელა იმპერიის საზღვრების გაფართოებას. კერძოდ, მან დაიპყრო და მორჩილებაში მოიყვანა ირანის მთელი რიგი ქალაქები და პროვინციები, ბოლო მოუღო ბუვეიანთა 127-წლიან ბატონობას ბაღდადში და იქ თავისი შიჰნაც დანიშნა. თოღრულ-ბეგის ზეობის წლებია 429–455 წწ. ჰიჯ. (1038–1063 წწ.).

ის, თუ რა როლი ითამაშეს სელჩუკებმა საქართველოს მიმართ და თუ როგორი იყო მათი დამარბეველი შემოსევების შედეგები ქართველი ხალხისათვის, კარგად არის ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიიდან. ამიტომ აქ სპეციალურად ამ საკითხზე არაფერს ვიტყვით და ორიოდ ლიტერატურის მითითებით დავკმაყოფილდებით. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შემოსევები დაიწყო არა თოღრულ-ბეგის დროს, არამედ მისი მემკვიდრის ალფ-არსლანის მბრძანებლობის ხანაში (455–465/1063–1072 წწ.).

იხ. ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 124–141; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 74–79, 82–86, 88, 90–95, 97–106; აგრეთვე M. Th. Houtsuma, EI, IV, გვ. 897–898.

92. თოღრულ იბნ არსლანის სახით ზაქარია ალ-ყაზტინის მხედველობაში ჰყავს უკანასკნელი სელჩუკი სულტანი, რომელიც 573–

141

590 წწ. ჰიჯ. (1177–1194 77.) მეფობდა, და ირწმუნება, რომ ნიზამი განჯელმა თავისი პოემა „ხოსროვშირინიანი“ უღმენა სელჩუკთა დი-

ნასტიის ამ უკანასკნელ წარმომადგენელს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. შენიშვნ. 85, II.

თავისი პირადი თვისებებით, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის მონაცემებით თოღრულ იბნ არსლანი საკმაოდ განსხვავდებოდა სეხნია თოღრულ-ბეგისაგან, იმ დიდი წინაპრისაგან რომელმაც როგორც წინა შენიშვნაში აღინიშნა, თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით მოხდენილად გამოიყენა მახლობელ და შუა აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება და საფუძველი ჩაუყარა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს.

93. ზაქარია ალ-ყაზვინი სწორად უთითებს, რომ ნიზამი განჯელმა „ლეილმაჯუნუნი“ შარვანის მფლობელს მიუძღვნა, ოღონდ, როგორც ჩანს, მისი სახელი კი არ სცოდნია (იხ. შენიშვნ. 85, II).

94. ზაქარია ალ-ყაზვინის, როგორც ჩანს, ნიზამი განჯელის არც გარდაცვალების ზუსტი თარიღი სცოდნია. ალბათ ამიტომ ამბობს იგი, რომ ნიზამი განჯელი 590 წ. ახლოს გარდაიცვალაო (1193–1194 წწ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. შენიშვნ. 85, II), დიდი აზეობა იქნა მისი გარდაცვალების თარიღის შესახებ (იხ. 599 წ. 3 იჯ. (1202–1203 წწ.) გარდაიცვალა.

95. ხილატი ან ახლატი არაბულად, ქართ. ხლათი, მდებარეობდა ვანის, ანუ შუა საუკუნეების არაბი ავტორების დასახელებით არჯიშის ტბის დასავლეთ ნაპირზე. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი ვანის ტბას არმინის საოცრებათა ხილატის ტბას ეძახის (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 295), ისევე როგორც ხილატის ტბას უწოდებს მას იბნ ალ-ქალბი (იაკუთი, II, გვ. 458; თარგმნ., გვ. 51; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 352). ალ-ისტახრისთან ხლათი ჩამოთვლილია ქალაქებთან ნაშავასთან, ბარქარისთან, მანახქირდთან, ბადლისთან, კალიკალასთან, არზანთან, მაიაფარიკინთან და სირაჯთან ერთად და აღნიშნულია, რომ ეს ქალაქები მოცულობით მცირენი, სიდიდით ერთმანეთს უახლოვდებიან, თუმცა ყველა ისინი დასახლებული, ნაყოფიერი და მრავალსიკეთიანი არიან (ალ-ისტახრი გვ. 188). ალ-მუკადდასის ცნობით, დაბლობზე მდებარე ქალაქ ხლათს ჰქონია მშვენიერი ბაღები, ალიზით ნაგები ციხე-სიმაგრე, ბაზარში მდებარე სავრებულო მისგითი და არხი (ნაჰრ) (ალ-მუკადდასი, გვ. 377).

142

X საუკუნიდან XIII საუკუნემდე ქალაქმა ხლათმა, როგორც ჩანს, განვითარების კარგი გზა განვლო, რადგან იაკუთი მას აყვავებულ და დოვლათთან ქალაქს უწოდებს (იაკუთი, II, გვ. 457; თარგმნ., გვ. 51; შდრ. G. le Strange, გვ. 183).

საინტერესოა ცნობა, რომელსაც ვანის ტბის ფაუნის შესახებ გვაწვდიან იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, იაკუთი და ზაქარია ალ-ყაზვინი. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ცნობით ვანის ტბაში საერთოდ არ მოიპოვებოდა არც ბაყაყი, არც კიბო და არც თევზი (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, იქვე), ამასვე აღნიშნავენ იბნ ალ-ქალბიზე დაყრდნობით იაკუთი და ზაქარია ალ-ყაზვინი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი: მდგომარეობა იყო ტბაში მხოლოდ ათ თევს (იაკუთი, იქვე; ზაქა-

რია ალ-ყაზვინი, II, გვ. 352), ხოლო დარჩენილ ორ თვეში თევზი იმდენად მრავლდებოდა ტბაში, რომ მისი დაჭერა ხელითაც კი შეიძლებოდა (ზაქარია ალ-ყაზვინი, იქვე). ამავე დროს იაკუთი, ისევე როგორც ალ-ისტახრი (ოლ-ისტახრი, იქვე), იმასაც აღნიშნავს, რომ ხლათში არის ტბა, რომლის მსგავსი არ ყოფილა მთელს დუნიაზე და საიდანაც ტირიხის სახელით ცნობილი საექსპორტოდ გატანილი თევზი იაკუთს ბალხშიც კი უნახავს (იაკუთი, იქვე). ზაქარია ალ-ყაზვინი ამბობს, რომ ხლათის ტბის ქვირითიანი თევზი ყველა ქვეყანაში გააქვთ, თვით ინდოეთშიაც კი (ზაქარია ალ-ყაზვინი, იქვე).

96. ალ-მალიქ ალ-ქამილ ალ-ავჰადის სახით ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში ჰყავს აიუბიდთა დინასტიის წარმომადგენელი, რომელიც იყო ხლათისა და მაიაფარიკინის განმგებელი. გარდაიცვალა 607/1210 წ. მას აკად. ივ. ჯავახიშვილიც იხსენიებს (იხ. შენიშვნ. 98, II).

97. ცხადზე უცხადესია, რომ ქართველთა მთავრის ივანეს სახელით ზაქარია ალ-ყაზვინი იხსენიებს თამარ მეფის სახელოვან ქართველ მხედართმთავარსა და დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ივანე მხარგრძელს.

98. ხლათში ქართველთა ჯარის ლაშქრობის შესახებ და ხლათელთა მიერ ივანე ათაბაგის დატყვევების თაობაზე აკად. ივ. ჯავახიშვილს რამდენიმე ვარიანტი მოჰყავს და თავის თვალსაზრისსაც გამოთქვამს. ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ აქ არც ჩვენ ავარიდებთ თავს ამ საკითხს და სიტყვა-სიტყვით მოვიტანთ ამონაწერს ივ. ჯავახიშვი-

143

ლის ნაშრომიდან. „რაკი არჭეში აღებული იყო, ეხლა ხლათს მიადგნენ ქართველები. კირაკოზ განძაკელის სიტყვით მას შემდეგ, რაც ქართველებმა ხლათის მფლობელი შაჰიარმენ სულტანი დაამარცხეს, თვით ქ. ხლათის აღებაც მოიწადინეს ამიტომ ჯარი შეკრიბეს და ხლათს გარშემოერტყნენ. უკვე ქალაქის აღებამდის იყო მიწურული, რომ ივანე მსახურთ-უსუცესის ცხენს ხლათის კედლების დასათვალიერებლად სეირნობის დროს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და ივანე გადმოაგდო. ხლათელებმა ამას ციხითგან თვალი მოჰკრეს და ფიცხლავ გამოცვივდნენ, დაიჭირეს და ქალაქში ტყვედ შეიყვანეს. ხლათელები ამ ამბავმა დიდად გაახარა. ივანეს შეპყრობა დიდ სულტანსაც კი აცნობეს. მას, რასაკვირველია, ეს სასიამოვნოდ დარჩა და შემოეთვალა დატყვევებული მომგვარეთო. როდესაც ივანეს ძმამ, ამირსპასალარმა ზაქარიამ, ეს შეიტყო, განრისხებულმა ხლათელებს შეუდვალა: თუ თქვენ გაგიბედიათ და ჩემი ძმა ან ქალაქითგან გაგიყვანიათ, ან მისთვის რამე დაგიშმავებიათ, თქვენი ქვეყნის მიწასაც კი საქართველოში წავალბინებ და თქვენც ყველას გაგწყვიტავთო. ამ მუქარით შემინებულმა მოქალაქეებმა დატყვევებული ივანე დამასკოსისა და ეგვიპტის სულტნებს აღარ გაუგზავნეს. მოლაპარაკების შემდგომ ხლათელებმა და ქართველებმა დაზავება ირჩიეს და ამგვარად შეთანხმდნენ: ივანე მსახურთ-უსუცესს ხლათელები განათავისუფლებდნენ,



თუ მის ასულს თამთას სულტანს ცოლად მისცემდნენ. ივანემ ამ პირობაზე თანხმობა გამოაცხადა და მძევლების ჩამორთმევის შემდგომ ივანე ხლათითგან განათავისუფლეს. მინ დაბრუნებულმა ივანე მხარგრძელმა თავისი ქალი სულტანს გაუგზავნა.

ამის შემდგომ დამასკოსისა და იერუსალემის მმართველთა და ქართველებს შორის მშვიდობიანობა და სიყვარული დამკვიდრდაო<sup>2</sup>. (2 კირაკოზ განძაკელის ისტორია, 155–157). ივანე მსახურთუხუცესის დატყვევებას და შემდეგ ტყვეობითგან დახსნას ვარდანიც იხსენიებს<sup>3</sup>. (3 ვარდანი, ისტორია, 181–182).

ამ ამბავის შესახებ არაბულ საისტორიო მწერლობაშიც არის ცნობები შენახული. აბულფედას სიტყვით, ეს მომხდარა 1210–1211 წწ. (607 წ. ჰიჯრ.). ქართველებმა ხლათისაკენ გაილაშქრეს და გარშემოერტყნენ. ხლათში მელიქ აუჰადი იჯდა. ქართველთა მხედართმთავარმა<sup>4</sup> (4არაბი ისტორაკოსი შეცდომით მას მეფედა სთვლის) ივანემ ღვინო დალია და შეზარხომდა. შეხურებული ოცის ცხენოსნით გაემართა ხლათისაკენ. მუსულმანები ხლათითგან გამოცვივდნენ, დაატყვევეს და მელიქ აუჰადს მიჰგვარესო. ივანემ დაუბრუნა რამდენიმე ციხე, 5000 ტყვის განათავისუფლება და 100000 დინარის მიცემა აღუთქვა ფულად. ხელშეკრულობა და ზავი დასდეს 30 წლით ქართველთა და მაჰმადიანთა შორის. ივანე თა-

144

ვის ქალის ცოლად მიცემას შეჰპირდა მელიქ აუჰადს. ამ პირობის დადების შემდგომ იგი განათავისუფლებულ იქნაო<sup>1</sup>. (1 დეფრემერი, Frag. 520). XIII საუკ. გეოგრაფი ზაქარია ყაზვინი კი ივანეს დატყვევების მიზეზად იმ სამხედრო ხერხს ასახელებს, რომელიც უხმარიათ ხლათელებს. მათ თურმე იმ მდინარეზე, რომელიც ხლათს ჩამოუდის, იდუმალ ხიდი ჩატეხეს, მაგრამ ზედ თივა მიაფარეს ისე, რომ ზიანი არაფერი არ ეტყობოდა. ცხენოსანს ივანე მსახურთ-უხუცესს შეუდგამს თუ არა ფეხი ხედზე, ჩავარდნელა და მტერს ხელთ ჩავარდნია<sup>2</sup> (2 დეფრემერი, Frag. 521). მე მგონაა ეს მოთხრობა უფრო სწორი უნდა იყოს. როგორც აღნიშნული იყო, ეს უბედური შემთხვევა 1210–1211 წ. მომხდარა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 281–282).

მოტანილ მასალასთან დაკავშირებით ორ გარემოებას გვინდა გავუსვათ ხაზი, ჯერ-ერთი, სამწუხაროა, რომ ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი არ ამბობს, თუ რატომ უნდა იყოს ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობა ივანე ათაბაგის დატყვევების თაობაზე უფრო სწორი კირაკოზ განძაკელისა და აბუ ალ-ფიედას ცნობებთან შედარებით. მეორე, ივანე მხარგრძელი ზაქარია ალ-ყაზვინისთანაც „მალიქად“ არის მოხსენიებული, მაგრამ არაბული „მალიქ“ ყოველთვის არ ნიშნავს მეფეს და იგი ხსშირად შეიძლება ითარგმნოს როგორც „მთავარი, მფლობელი“ და ა. შ. ჯერ-ერთი, არაბული „მალიქ“ „მწლიქადაც“ შეიძლება წავიკითხოთ და იგი „მფლობელსაც“ ნიშნავს (A. D. Biberstein Kazimirski, Dictionnaire Arabe-Francais, II, Paris, 1860, გვ. 1154). მეორე, „მალიქად“ ჩვეულებრევ განმგებლებიც იწოდებოდნენ (R. Dozy, Supplément aux Dictionnaires Arabes, II, Leide-Paris, 1927, გვ. 614). მესამეც, არა გვგონია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინისათვის უცნობი ყოფილიყო თამარ მეფე, რომლის უმცროსი თანამედროვე იგი იყო და რომლის სახელი და დიდება შორს იყო გავარდნილი აღმოსავლეთში, რომ ივანე ათაბაგი საქარ-

თველოს მეფედ მიეჩნია.

99. ალ-ქალბის სახელით ცნობილია ქუფელ სწავლულთა საგვარეულო მამა აბუ ან-ნადრ მუჰამმად იბნ ას-საიბ იბნ ბიშრი (გარდაიცვალა 146 წ. ჰიჯ. (763 წ.) და შვილი აბუ ალ-მუნზირ ჰიშამი (გარდაიცვალა 204 წ. ჰიჯ. (819 წ.) თუ 206 წ. ჰიჯ. (821–822 წ.).

ამ საგვარეულოს, როგორც ჩანს, თავის დროზე მეტად მღელვარე და მშფოთვარე წარსული უნდა ჰქონოდა. მისი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, აბუ ან-ნადრ მუჰამმად იბნ ას-საიბ იბნ ბიშრის პაპა, თავის შვილებთან ას-საიბთან, უბაიდთან და აბდ არ-რაჰმანთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდა 656 წ. 9 დეკემბერს ხალიფას

10. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

145

ტახტისათვის გამართულ ე. წ. „აქლემის ბრძოლაში“ ხალიფა აღის მხარეზე. ალ-ქალბის საგვარეულოს მეორე მოდგმის ნაშიერი მუსაიბ იბნ ახ-ზუბაირის მომხრე იყო. ხოლო თვით აბუ ან-ნადრ მუჰამმად იბნ ას-საიბ იბნ ბიშრი, მომავალი ცნობილი ფილოლოგი და ისტორიკოსი, მონაწილეობდა აჯანყებაში აბდ არ-რაჰმან იბნ მუჰამმად იბნ ალ-ამასის ხელმძღვანელობით ხალიფა აბდ ალ-მალიქის დროს VIII ს. დასაწყისში. იბნ ალ-ქალბი შვილი უმეტესწილად ისტორიკოსი იყო და აგრძელებდა მამის მიერ დაწყებულ საქმეს.

იხ. იბნ ხ ა ლ ლ ი ქ ა ნ ი , III, გვ. 27–28, 608–611; C. B r o - c k e l l m a n , EI, I, გვ. 737–738; GAL, I, გვ. 144–145.

100. ქალაქი ხოი, არაბ. ხუვაი, რაც იაკუთის ცნობით წარმოადგენს ხავვის კნინობით ფორმას, მდებარეობს თავრიზიდან ჩრდილო-დასავლეთით 101 კმ დაცილებული (Cl. H u a r t , EI, II, გვ. 1035).

ქ. ხოი X ს. არაბ მწერლებთან დასახელებულია ქალაქებთან ალ-მაიანიჯთან, ალ-ხუნაჯთან, უჯანთან, დახხარაკანთან, სალამასთან, მარანდთან, თავრიზთან, ბარხანდთან, ვარსანთან, მუკანთან, ჯაბრავანთან და უშნუსთან ერთად. ამავე დროს ისიც არის აღნიშნული, რომ ჩამოთვლილი ქალაქები პატარები იყვნენ სიდიდით, თუმცა, როგორც ზაქარია ალ-ყაზვინი და იაკუთი აღნიშნავენ, ქ. ხოი გამაგრებული ქალაქი იყო ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 181; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 239; იაკუთი, II, გვ. 502; თარგმნ., გვ. 52; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 354; შდრო. C. l e S t r a n g e , გვ. 166).

101. ჯვლხ-ს ფარჩას, რომლის გახმოვანებას ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი, ჩანს, იაკუთიც იხსენიებს, როცა იგი აღნიშნავს, რომ „აქედანაა ხუვეური ტანსაცმელი“ ( ი ა კ უ თ ი , II, გვ. 502; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 52).

102. ქანქალას წყაროზე იხ. ზემოთ, შენიშვნ. 77, I.

103. შამს ად-დინ ალ-ხუვაის ვინაობაც დაუზუსტებელი დარჩა.

104. შამს ად-დინ ალ-ხუვაი, რომელიც, როგორც ვხედავთ, „თათრებს“ გაქცევია და დამასკოს წვევია, ამ ქალაქის ერთ-ერთ მედრესეში; მუიდად, ანუ შეიძლება ითქვას, რიგით მასწავლებლად დაუნიშნავთ, რაც ზაქარია ალ-ყაზვინის შამს ად-დინისათვის შეუფერებელ თანამდებობად მიაჩნია მისი დიდი ნიჭისა და უნარის გამო.

146

105. აბდ არ-რაჰმან იბნ ალი იბნ მუჰამმად აბუ ალ-ფარაჯ (აბუ ალ-ფადაილ) ჯამალ ად-დინ იბნ ალ-ჯავზი, ცნობილი მწერალი პოლიპისტორი და ჰანბალიტთა მქადაგებელი, დაიბადა 510 წ. ჰიჯ. (1116 წ.) და გარდაიცვალა 597 წ. ჰიჯ. (1200 წ.). იგი არის ქართული ისტორიოგრაფიისათვის ამჟამად კარგად ცნობილი არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის თანამედროვე და პაპა დედის მხრიდან და აღმზრდელი სიბტ იბნ ალ-ჯავზისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, დაგვიტოვა შინაარსიანი ცნობა მეფე დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის შესახებ საერთოდ და, კერძოდ, მის ეკონომიურ პოლიტიკაზე ახლად განთავისუფლებული თბილისის მუსლიმ მცხოვრებთა მიმართ (იხ. ოთარ ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯავზის ცხოვა დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ. 201–213).

იბნ ალ-ჯავზიმ თავის დროზე ფართო განათლება მიიღო და გაატარა, საკმაოდ მჩქეფარე ინტელექტუალური, რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, წყაროებიდან ცნობილია, რომ მას უნდა შეეთხზა 200 თუ 1000 ნაშრომი. მათგან მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული ნაწილობრივად ისტორიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია სახალიფოს ისტორია 257 წ. ჰიჯ. (871 წ.) 574 წ. ჰიჯ. (1179 წ.), და კარგად დოკუმენტირებული ნაშრომი, რომელიც სუფიზმს ეხება.

იხ. იბნ ხალიქანი, I, გვ. 380 (არაბ. ტექსტი); II, გვ. 96–98 (ინლ. თარგმნ.); C. Brockelmann, EI, II, გვ. 395; GAL, I, გვ. 659–666; GAL, S. I, გვ. 914–920; H. Laust, EI, NE, III, გვ. 751–752; აგრეთვე И. Ю. Крачковский, Извр. соч., т. IV, გვ. 501.

106. ჰანიფიტი ფაკიჰი, ანუ ჰანიფიტთა რელიგიურ-იურიდიული სკოლის კანონმცოდნე. ერაყში აღზოცენებული ამ სკოლის დამარსებელი იყო წარმოშობით ირანელი აბუ ჰანიფა ან-ნუმან იბნ საბითი, რომელიც გარდაიცვალა 150 წ. ჰიჯ. (767 წ.). ჰანიფიტთა იურიდიულმა სკოლამ დიდი გავრცელება ჰპოვა ჯერ სახალიფოს აღმოსავლეთ, რაიონებში, ხოლო შემდგომში მას მხარი დაუჭირეს სელჩუკმა სულტნებმა და კიდევ უფრო გვიან ოსმანთა იმპერიის მბრძანებლებმა. აბუ ჰანიფას სისტემის ძირითად პრინციპს შეადგენდა სამოთხის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ სკოლის დოგმებიდან თითქმის არ განსხვავდება მალიქიტთა სკოლის შეხედულებები, რომლის დამარსებელი იყო აბუ ჰანიფას თანამედროვე მალიქ იბნ ანასი (გარდაიცვალა, 179 წ. ჰიჯ. (795 წ.). მალიქიტთა მოძღვრება ძირითადად დასავლეთში, კერძოდ, ჩრდილოეთ აფრიკაში გავრცელ-

და (იხ. V. Heffening - (J. Schacht), EI, NE, III, გვ. 163; A. Массэ, Ислам, М., 1963, გვ. 88).

აბუ ჰანიფას სახელი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი იმ დავის გამო, რომელიც აბასელ ხალიფა ალ-მანსურსა და მასს შორის ჩამოვარდნილა. როგორც ცნობილია, ჩალიფას სურვილი ყოფილა, რომ სახალიფოში ეს ერთ-ერთი გავლენიანი პირი მართლმსაჯულების განმგებლად დაენიშნა, მაგრამ აბუ ჰანიფას ფიცი დაუდევს, რომ არ დაეთანხმებოდა შეთავაზებულ წინადადებაზე. აბუ ჰანიფას ასეთი ცივი უარი ყადის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კანონმცოდნენი სახალიფოში, ყოველ შემთხვევაში თეორიულად, საერთოდ უარყოფითად უყურებდნენ მოსამართლის თანამდებობას. ცნობილია ფაქტი, მაგ., იმის შესახებ, რომ იგივე აბუ ჰანიფა ფიზიკურისასჯელის შემდეგაც არ დათანხმებულა ყადის თანამდებობას, (იხ. А: Мец, Мусульманский ренессанс, М., 1966, გვ. 182).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, აბუ ჰანიფას თავისი პრინციპები დაუცავს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. შესაძლებელია, რომ აბუ ჰანიფას ფიზიკური დასჯა ყადის შეთავაზებული თანამდებობის დაკავების უართან დაკავშირებით იგივე ფაქტი იყოს, რომლის შესახებ ზემოთ აღინიშნა.

ამ უარის გამო ალ-მანსურსაც დაუდვია ფიცი, რომ დანაშნავდა აბუ ჰანიფას აგურების დამზადების ხელმძღვანელად. აბუ ჰანიფას ეს ამბავი შეუტყვია, წინააღმდეგობის გაწევა ახლა ამაოდ ჩაუთვლია და შედგომია თავისი მოვალეობის შესრულებას. წყაროების ცნობით აბუ ჰანიფას პირველს შემოუდია აგურების დათვლა ლერწმით, რის გამო ხალხს დიდი მოგება უნახავს. აბუ ჰანიფა დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა მანამ, სანამ ალ-მანსურის მადინას გარე კედლის მშენებლობა არ დამთავრებულა (ოთარ ცქიტიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის, გვ. 40-41).

ტექსტში რამდენჯერმე მოხსენიებული ალ-მალიქ ალ-მუაზზამის სახით ზაქარია ალ-ყაზვინის, ჩანს მხედველობაში ჰყავს აიუბიდთა დინასტიის დამასკოს განმგებელი ალ-მალიქ ალ-მუაზზამ შარაფ ად-დინი (615/1218-624/1227 წწ.). როგორც ვიცით, იბნ ალ-ჯავზი კი გარდაიცვალა 597/1200 წ. ამდენად, ამ შემთხვევაში ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე.

107. ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობით შამს ად-დინ ალ-ხუვაი ახალგაზრდა 640 წ. ჰიჯ. გარდაცვლილა; ანუ 1242-1243 წ. დამასკოში იბნ

148

ალ-ჯავზისა და შამს ად-დინის შეხვედრა, როგორც ჩანს, XII ს. დამლევს უნდა მომხდარიყო, თუ ამ ფაქტს საერთოდ ჰქონდა ადგილი.

108. რუვინ დიზის ციხე-სიმაგრეს სპეციალურად ეხება პროფ. ელ. მინორსკი თავის წერილში მარაღაზე, რომელიც „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაშია მოთავსებული (იხ. EI, III, გვ. 287), თუმცა ახალს არაბული წყაროებიდან ავტორი ვერაფერს იძლევა. ისე კი ცხადია, რომ რუვინ დიზი, მართლაც, მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომ მას ზაქარია ალ-ყაზვინი სა-

კმაოდ დაწვრილებით აღწერს და თანაც იმასაც აღნიშნავს, რომ მიუვალობის გამო რუვინ დიზის მფლობელი უმეტეს ხანს არ ემორჩილებოდა მარალას მფლობელს.

109. ზოგი მასალა ქალაქ კალიკალასთან დაკავშირებით ზემოთაც იქნა მოტანილი, როცა ამავე ქალაქს არზან არ-რუმის, არზრუმის, სახელწოდებით შევეხეთ (იხ. შენიშვნ. 44, II). კალიკალა X ს. არაბ მწერლებთან იმავე ქალაქებთან ერთად არის მოხსენიებული, რომელნიც ხოისთან ერთად არიან ჩამოთვლილი (იხ. შენიშვნ. 100, II).

მნელია თქმა იმისა, თუ რამდენად სარწმუნო უნდა იყოს არაბულ თხზულებებში მოცემული სახელწოდება „კალიკალას“ ამოხსნის ცდა. არაბი ავტორები ამ სახელს ორ ნაწილად ჰყოფენ. „კალი“ მათი განმარტებით ქალის სახელი ყოფილა, ხოლო „კალა“ ლამაზსაც ნიშნავს, სიკეთესაც და კალის მიერ აშენებულსაც, როგორც ეს უკანასკნელი ზაქარია ალ-ყაზვინის აქვს მოტანილი (იხ. ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 292; ი ა კ უ თ ი , IV, გვ. 19; თარგმნ., გვ. 74).

110. დარაბჯირდის ოლქი მდებარეობს სამხრეთ ირანში, ფარსის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში. იყო აგრეთვე ამავე სახელწოდების ქალაქი, თანამედროვე დარაბი, მდებარე დარაბჯირდის ოლქშივე შირაზიდან აღმოსავლეთით 280 კმ დამორებული, ზღვის დონიდან 1188 მ სიმაღლეზე (Cl. Huart, EI, გვ. 960; C. le Strange, გვ. 288; D. N. Wilber, EI, NE, I, გვ. 135).

არაბი მწერლები ქალაქის გაშენებას მიაწერენ დარიოს III-ს და მათივე განმარტებით „დარაბჯირდი“ უნდა ნიშნავდეს „დარიოსის ოლქს“ (ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 123; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 179; ა ლ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , გვ. 422; ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ - ყ ა ზ ვ ი ნ ი , II, გვ. 126). არაბ ავტორებს ეს სახელწოდება, როგორც ვხედავთ, შედგენილ სა-

149

ხელად მიაჩნიათ „კალიკალას“ მსგავსად, თანაც საკუთარი სახელით ჩართული, და ალბათ ამიტომ არის, რომ ისინი სახელწოდება „კალიკალას“ „დარაბჯირდს“ ადარებენ. არაბულ წყაროებში დარაბჯირდის ოლქი ძვირფას ოლქად იხსენიება.

X ს. დარაბჯირდის ოლქის ყველაზე დიდი ქალაქი იყო ქალაქი ფასა, სიდიდით დაახლოებით შირაზის ოდენა, ხშირი სახლებითა და ფართო ქუჩებით გაშენებული, მაგრამ ჰავით უკეთესი, ვიდრე შირაზის ჰავაა და დასახლებით უფრო ვრცელი, ვიდრე შირაზის დასახლება იყო. ფასა ძველი ქალაქი იყო, მას ჰქონდა მადინა ციხე-სიმაგრით, თხრილხთა და რაბადით. ბაზრები ფასას რაბადში მდებარეობდა (ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 127; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 197-198). ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი ამავე დროს იმასაც ამბობს, რომ ფასას ზოგი ბაზარი რაბადში მდებარეობსო, ზოგიც მადინაშიო (ი ბ ნ ა ლ - ფ ა კ ი ჰ ა ლ - ჰ ა მ ა დ ა ნ ი , გვ. 214).

ქალაქ დარაბჯირდის კარგი აღწერა მოტანილი აქვს ალ-ისტახრის. რომელსაც შემდეგ იბნ ჰაუკალიც იმეორებს. ალ-ისტახრის ცნობით ქალაქ დარაბჯირდს შემოვლებული ჰქონია კედელი, რომლის ირგვლივ წყლით სავსე თხრილი იყო. ამ თხრილში სარეველა ბალახი ხარობ-

და იმდენად ხშირი, რომ მასში ჩასულ კაცს ან ცხოველს თავის დაღწევა შეემლო მხოლოდ დიდი ჯაფის შემდეგ. კედელს ჰქონდა ოთხი კარიბჭე. მადინას შუაგულში მდებარეობდა განცალკევებულად აღმართული თაღის მსგავსი მთა (ალ - ის ტახრი, გვ. 123; იბნ ჰაუკალი, გვ. 194-195).

ალ-ისტახრი იმასაც გადმოგვცემს, რომ ამ თხრილში გაშენებული იყო თევზის ისეთი ჯიში, რომელსაც არც ფხა ჰქონია, არც ძვლები და არც მალეები (ალ-ისტახრი, გვ. 154).

ალ-მუკადდასის ცნობით დარაბჯიდი მრგვალი ფორმის იყო. მისი ბალები ხილით დახუნძლული და ბაზრები სავაჭრო საქონლით მდიდარი იყო. ქალაქი წყალს არხებით ღებულობდა (ალ-მუკადდასი, გვ. 428).

დარაბჯირდის ახლოს მდებარეობდა ბითუმის (მუმიის) გამოქვაბული, რომელიც დაკეტილი იყო რკინის კარებით. წელიწადში ერთხელ მას აღებდნენ ჩასული მეფის მოხელეები, თორმეტი თვის განმავლობაში დაგროვილ ბითუმს იღებდნენ და შირაზში გადაჰქონდათ სახელმწიფო საჭიროებისათვის (იბნ ჰაუკალი, გვ. 214; იბნ ალ ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 428; ზაქარია ალ ყაზვინი, II, გვ. 126). იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი ასეთ საბადოს დარაბჯირდის ოლქშივე მდებარე ქალაქ არაჯანთანაც იხსენიებს (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 199). ზაქარია ალ-ყაზვინის დარაბჯირდისა და არაჯანის ბითუ-

150

მის საბადოები ერთიდაიგივე საბადოდ მიაჩნია და ამბობს, რომ იბნ ალ-ფაკიჰი ბითუმის საბადოს ქალაქ არაჯანთან იხსენიებსო (ზაქარია ალ-ყაზვინი, იქვე; შდრ. G. le Strange, გვ. 289, შენიშვნ. 1).

იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი დარაბჯირდთან მდებარე ბითუმის გამოქვაბულს ყველაზე დაწვრილებით აღწერს სხვა არაბ მწერლებთან შედარებით. ამიტომ დარაბჯირდისა და არაჯანის ბითუმის საბადოების გაიგივება შეუძლებელია. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი აღნიშნავს კიდევ, რომ არაჯანში მეორე ასეთი, ანუ დარაბჯირდის ბითუმის გამოქვაბულის მსგავსი, საბადო არსებობსო (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 443).

დარაბჯირდიდან გაჰქონდათ ტაბარისტანში დამზადებული „ატ-ტაბარის“ სახელწოდებით ცნობილი მსგავსი ტანსაცმელი (ალ-ისტახრი, გვ. 154; იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 442). დარაბჯირდიდანვე გაჰქონდათ ყოველგვარი ძვირფასი, საშუალო და დაბალი ხარისხის ტანსაცმელი, აზადანისეული ჭილოფის მსგავსი ჭილოფები, კარგი ნოხები, გადასაფარებლები, მრავალნაირი თესლი, გამხმარი ფინიკი და სხვ. (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 442).

დარაბჯირდშივე ყოფილა შვიდივე ფერის მარილის მთა (იბნ ჰაუკალი, გვ. 214; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 126).

111. ამ ე. წ. ბზობის ქრისტიანული ეკლესიის შესახებ ცნობა იაკუთსაც მოაქვს თავში კალიკალზე (იაკუთი, IV, გვ. 20; თარგმნ., გვ. 75). იაკუთთანაც გადმოცემული ამბის წყაროა იბნ ალ-ფაკიჰი. მას თავის მხრივ ეს ამბავი მოუსმენია აბუ ალ-ჰაიჯა ალ-იამამისგან, რომელიც დიპლომატიურ სარბიელზე ელჩად მსახურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ამიტომ მისი მოთხრობილი სანდო არისო, ამ-

ბობს იაკუთი.

112. ალანთა, თანამედროვე ოსთა ხალხის წინაპრების, ციხე-სი-  
მაგრის შესახებ მასალა სხვა არაბ ავტორებსაც მოეპოვებათ ( ალ -  
ის ტ ა ხ რ ი , ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , ა ლ - მ უ კ ა დ დ ა ს ი , ი ბ ნ ა ლ - ფ ა -  
კ ი ჰ ა ლ ჰ ა მ ა დ ა ნ ი , ი ბ ნ ხ უ რ დ ა ზ ბ ი ჰ ი და ს ხ ვ .). ი ბ ნ რ უ ს თ ა ,  
მაგ., ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „ციხე-სიმაგრე, რომელსაც ალან-  
თა კარს უწოდებენ, მდებარეობს მთის მწვერვალზე. მთის ქვემოთ  
გზაა, ხოლო მის ირგვლივ მაღალი მთებია. ამ ციხის კედელს იცავს  
ყოველ დღე მის მცხოვრებთა ათასი კაცი, რომელნიც ღამითა და  
დღისით ინიშნებიან“ ( ი ბ ნ რ უ ს თ ა , გვ. 148).

ალანთა ციხის შესახებ ვრცელი მასალა მოაქვს აგრეთვე იაკუთს  
თავში ალანებზე. ზოგი ცნობა, მოტანილი ზაქარია ალ-ყაზვინისთან

151

იაკუთთანაც მეორდება. მაგრამ იაკუთთან არის ისეთი ცნობებიც,  
რომელნიც ზაქარია ალ-ყაზვინისთან არ მოიპოვება. მაგ., იაკუთი გვა-  
წვდის ისტორიულ ცნობას მასზე, რომ ალანთა ციხე დაიპყრო არაბ-  
მა მხედართმთავარმა ცნობილმა მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა და ცი-  
ხის დასაცავად შიგ არაბები ჩაუსახლებია, ხოლო საკვებს კი მათ თბი-  
ლისიდან აწვდიდნენ ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 351; თ ა რ გ მ ნ . , გვ. 18).

113. ეს სახელი იაკუთთანაც იხსენიება და არაბი ავტორი დას-  
ძენს, რომ სინდბად იბნ ბუმთასფ იბნ ლაჰურასფი, იაკუთის დამწეო-  
ლობით, იყო ძველი სპარსელი მეფე, რომელსაც ალანთა ციხე აუშე-  
ნებია, შიგ თავისი ხალხი ჩაუსახლებია და ისინი ალანებს არ უშვებ-  
ონენ კაბკის მთასთანო, ანუ კავკასიონთანო ( ი ა კ უ თ ი , იქვე).

114. ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ქალაქებზე, მარაღაზეც  
არაბი ავტორები იძლევიან საყურადღებო ცნობებს. კერძოდ, ალ-ის-  
ტახრი აღნიშნავს რომ მარაღა არდაბილის ოდენაა მოცულობით.  
ძველ დროში მარაღაში ყოფილა დაბანაკებული ჯარი და იქვე მდე-  
ბარეობდა ამირის სასახლე. მარაღა ძლიერ ნაყოფიერი ნიადაგით,  
მრავალი ბაღებითა და სახნავ-სათესი მიწებით ყოფილა შემორ-  
ტყმული. მასვე ჰქონია კედელი, რომელიც იბნ აბი ას-საჯს დაუნგრევია  
ალ - ის ტ ა ხ რ ი , გვ. 181).

ასევე აღწერს მარაღას ალ-ისტახრის ნაშრომის რედაქტორი იბნ  
ჰაუკალი. ალ-ისტახრის მიერ თქმულთან დამატებით იბნ ჰაუკალი  
იხსენიებს საზამთროს, რომელიც თავისი კარგი გემოთი ხორასნის  
საზამთროს მოგვაგონებსო. იბნ ჰაუკალის ცნობითაც მარაღას კედე-  
ლი იბნ აბი ას-საჯს დაუნგრევია მსგავსად იმისა, როგორც იქნა დანგ-  
რეული არდაბილის კედელი ას-სალარის მიერო, აღნიშნავს არაბი  
მწერალი, მარაღადან ხუთი ფარსახის დაშორებით მდებარეობს ქა-  
ბუზანის ტბა, ცნობილი თავისი მლაშე წყლით, სადაც არ მოიპოვება  
არც თევზი და არც ცხოველებიო ( ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი , გვ. 238–239,  
248).

საყურადღებოა აგრეთვე ალ-მუკადდასის მოკლე ცნობა. მარაღა

რჩეულია, მიუთითებს არაბი გეოგრაფი. მას აქვს ციხე-სიმაგრე (ჰის-ნი). მასში მდებარეობს კალა. მას აქვს აგრეთვე რაბადი, სავაჭრო-სახე-ლოსნო გარეუბანი, მისი ციხე-სიმაგრე ალიზისაა (ალ-მუკადდა-სი, გვ. 377).

საკმაოდ ენაწყლიანია მარაღაზე იბნ ალ-ფაკიკ ალ-ჰამადანი. იგი აღნიშნავს, რომ მარაღას ემახდნენ აფრაჰარუხს. იგი წარმოადგენდა

152

ადგილს, სადაც მარვან იბნ მუჰამადისა და მისი თანამებრძოლების ცხენები ნაკვლში გორაობდნენ. მარაღას ემახდნენ „სოფელ მარაღას“. შემდეგ ხალხმა სიტყვა „სოფელი“ ჩამოაცილა და ამბობდნენ მხოლოდ „მარაღას“. მის მცხოვრებლებს მარაღა გადაუციათ მარვანისათვის დასაცავად. შემდეგ იგი ომაელთა სხვა ადგილ-მამულებთან ერთ-თად მარვანისათვის ჩამოურთმევიათ და ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (170/786–193/809 წწ). ერთ-ერთი ქალიშვილისათვის გადაუციათ. როცა ალ-ვაჯნა ალ-ახდისა და მის მავლას სადაკა იბნ ალის იქაურობა აუკლიათ, არმინიისა და ახერბაიჯანის გამგებლად ჰარუნ არ-რაშიდის დროს ხუზაიმა იბნ ხაზიმი დაუნიშნავთ. მას მარაღას კედელი განუახლებია, ქალაქი გაუმაგრებია და შიგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი: დაუბანაკებია, ხურამიტების აჯანყების დროს ბაბაქის ხელმძღვანელობით ხალხს მარაღასათვის თავი შეუფარებია და გამაგრებულა. (იბნ ალ-ფაკიკ ალ-ჰამადანი, გვ. 284–285).

ზუსტად იგივე ცნობები მოყავს მარაღაზე იაკუთს. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ, როგორც წესი, იაკუთს ტექსტის ბოლოს მოაქვს იმ ცნობილ პირთა ვრცელი ნუსხა, რომელნიც მარაღადან იყვნენ წარმოშობით. ამიტომ ამჯერად იაკუთის ნაშმრომზე მხოლოდ მითითებით დაკვამყოფილდებით (იაკუთი, IV, გვ. 476–477; თარგმნ., გვ. 82–83).

მარაღა მდებარეობს ზღვის დონიდანს 1400 მ. „ისლამის ენციკლოპედიაში“ ვლ. მინორსკის მიერ მოტანილი ცნობის თანახმად (EI, III, გვ. 284) მარაღას მცხოვრებთა რიცხვი XIX ს. დასაწყისში შეადგენხდა 6000 კომლს, 1880 წ. კი – 13256 ადამიანს. კიდევ ერთი მონაცემის მიხედვით 1904 წ. მარაღაში 15–20 ათასი მცხოვრები ყოფილა.

115. ზაქარია ალ-ყახვინის ცნობას ზანჯიკანის მთის შესახებ ვერაფერს დავუმატებთ. აღვნიშნავთ კი, რომ მისი ცნობა ამ მთაზე არსებული წყაროს წყლის თვისებების თაობაზე ერთგვარად გადაჭარბებულად მიგვაჩნია. სულ სხვაა, თუ ეს წყალი როგორც სასმელი და სამეურნეო წყალი საუკეთესო იყო თავისი მონაცემებით.

116. ყადი სადრ ად-დინის შესახებ მოტანილ ცნობას, სამწუნაროდ, ამჯერად ვერაფერს დავუმატებთ.

117. რამდენად შეესაბამება ეს ცნობა სინამდვილეს, ძნელი სათქმელია. ყახვინზე არაბ ავტორებს საკმაოდ ბევრი ცნობა მოეპოვე-



ბათ. საკმარისია აღინიშნოს, მაგ., იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, რომელსაც ამ ქალაქზე ზანჯანთან და აბჰართან ერთად ცალკე თავები აქვს მიძღვნილი როგორც თავის ნამრომის მოკლე რედაქციაში (იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 279–284), ასევე მაშჰადის ხელნაწერის კრებულში. მაგრამ არც ერთ მათგანში ყადი სადრ ად-დინი მოხსენიებული არ ჰყავს იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის. საერთოდ ყაზვინის მშენებლობას არაბი ავტორები უკავშირებენ სასანელ შაჰინშმაჰს შაბურ ზუ ალ-აქთაფს.

როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. შენიშვნ. 52, I), თვით ზაქარია ალ ყაზვინის თავის ერთ-ერთ ნამრომში „სურ ალ-ბილად ვა ახბარ ალ-‘იზად“ („ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალლაჰის მონათა შესახებ“) ცალკე თავიც აქვს დათმობილი, რომელსაც ჩვენ სპეციალური ნამრომი მივუძღვე-  
ნით. სათაურით «Топография города Казвина XII в. по данным Закарийя ал-Казвина» (კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, თბილისი, 1972, გვ. 22–25), და არც ამ თავში თვით ზაქარია ალ-ყაზვინისაც არ ჰყავს მოხსენიებული ყადი სადრ ად-დინი, როგორც ყაზვინის კედლის მშენებელი.

118. მუსლიმი წმინდანები შესაძლებლად თვლიან შექმნან ცალკეული გაერთიანებები. მათში ირიცხება წევრთა გარკვეული რაოდენობა და ისინი მუდამყამს არსებობენ (დაწვრილებით იხ. იბნ ხალლიქანი, III, გვ. 98; Prof. C. Flügel, Scha‘rânî und sein Werk die muhammadanische Glaubenslehre, ZDMG, XX, 1866, გვ. 38, შენიშვნ. 50).

ჩანს, შეიხი ნურ ად-დინ მუჰამმად იბნ ხალიდ ალ-ჯაილი წმინდანთა ამ ერთ-ერთი გაერთიანების წევრად, ანუ წმინდანად არის მიჩნეული, თუ ზაქარია ალ-ყაზვინის დავუჯერებთ.

119. ლაჰარაკია ცნობილ მულანის ველზე, რომელიც მდებარეობს მდინარე არაქსის ქვემო დინების სამხრეთით. მას იხსენიებენ აგრეთვე სხვა არაბი ავტორებიც – ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი, ალ-მუკადდასი, ატ-ტაბარი, ალ-ბალაზური და სხვ., ოღონდ სხვაგვარი დამწერლობით – მუკან.

ზაქარია ალ-ყაზვინის მსგავსად ალ-მუკადდასიც იხსენიებს მულანის ველზე მდებარე დიდ ციხეს (კალას) სახელად ჰსრ-სა და გარეული ფრინველების მსგავს დიდ ოქროს (ალ-მუკადდასი, გვ. 380–381).

120. იხ. შენიშვნ. 78, 1.

154

121. იხ. შენიშვნ. 79, 1.

122. როგორც ვხედავთ, XIII საუკუნეშიც, ზაქარია ალ-ყაზვინის დროს, ბაქო, თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქი, არ ყოფილა მაინცდამაინც დიდი, ამიერკავკასიის ქალაქებს შორის წამყვანი ქალაქი. კიდევ უფრო ძუნწი ცნობები ბაქოს შესახებ მოეპოვებათ ადრეული შუა საუკუნეების არაბ ავტორებს. ალ-ისტახრი, მაგ., მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ ბაქოში ნავთი მოიპო-

ვეზაო ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 190), ხოლო ალ-მუკადდასი მიუთითებს, რომ ბაქო ტბაზე მდებარეობს (მხედველობაში აქვს, რა თქმა უნდა, კასპიის ზღვა, რომელსაც მხოლოდ თავის სიდიდის გამო. დღეს ზღვას უწოდებენ) და იგი ამ მხარის ერთ-ერთი ნავსადგურიაო ( ა ლ - მ უ კ ა დ - დ ა ს ი , გვ. 376).

იაკუთის ცნობა თითქმის იმეორებს ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ის ცეცხლი, რომელიც იაკუთის თქმით მიწიდან ამოდის, ვილაცას უნდა ჩაეგდო შიგ და არ ქრება მიწაში ნავთის არსებობის გამო ( ი ა კ უ თ ი , I, გვ. 477; თ ა რ - გ მ ნ ., გვ. 26).

123. ზერეჰგერან” ალ-ისტახრის მოხსენიებული აქვს ბაბ ალ-აზვბთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ ბაბ ალ-აზვბი ზღვის (კასპიის ზღვის) ნავსადგურიაო. მიუთითებს აგრეთვე, რომ აქ იკრიბებიან ხაზარები, სარირები, ქურჯები (ანუ ქართველები) და სხვ. და მათ მშორის აღნიშნულია ზერეჰგერანის ხალხიც ( ა ლ - ი ს ტ ა ხ რ ი , გვ. 186).

იხ. აგრეთვე В. В. Б а р т о л ь д , Еще раз о самаркандских осыриях, Соч., т. IV, М., 1966, გვ. 120–122.

124. როგორც ვხედავთ, იმ ადგილს, სადაც ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ბეჟანი ორმოში მოუთავსებიათ, მახუორი ჰქვია (ბეჟანთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე შენიშვნ. 80, I).

125. შირვანის დამწერლობა არაბულ წყაროებში სხვადასხვაგვარად გვხვდება, თუმცა ამ დამწერლობებს შორის დიდი სხვაობა არ არის – შირვანი, შირვანი, შარვანი, როგორც ეს უკანასკნელი ზაქარია ალ-ყაზვინისთანაც არის მოცემული. გვხვდება აგრეთვე „მაბერანის“ ფორმით.

155

შირვანი მდებარეობდა თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, მდინარე მტკვრის აღმოსავლეთით. ადრეულ ხანაში შირვანი წარმოადგენდა ძველი კავკასიის ალბანეთის ნაწილს.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოს შირვანთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა, რომელიც ცვალებად ხასიათს ატარებდა.

126. სახელწოდება „შირვანის“ მცდარ ეტიმოლოგიაზე უკვე ის მიუთითებს, რომ ზოგ წყაროში შირვანი გვხვდება არა მხოლოდ „შირვანის“ ან „შარვანის“ ფორმით, არამედ იგი გვხვდება აგრეთვე „მაბერანის“ ფორმითაც.

127. შირვანის ისტორიაში ცნობილია ორი ახსათანი. მათი ზეობის

წლები ზუსტად დადგენილი არ არის. ცნობილია ის მიახლოებითი წლები, როცა ამ ორ შარვანშა ახსათანს უნდა ემეფათ.

პირველი მათგანი ახსათან I მეფობდა დაახლოებით 544/1149–1150 წლიდან 583/1187–1188 წლამდე იმ 600/1203–1204 წლამდე. ეს ახსათანი იყო ძე შარვანშა მინუჩიჰ II-ისა (დაახლ. 514/1120–1121 წლიდან – დაახლ. 544/1149–1150 წლამდე), რომელსაც მეუღლედ ჰყავდა დავით აღმაშენებლის (1089–1125 წწ.), ქალიშვილი თამარი. ალბათ 510/1116 წ. მომხდარი ამ შეუღლების შედეგად დაიბადა ახსათან I (В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X–XI веков, გვ. 179–180).

ახსათან I ცნობილია აგრეთვე ქართული წყაროებიდანაც აღსართანის ფორმით (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 17, 44, 54).

ახსათან II შირვანის ტახტზე შესაძლებელია მჯდარიყო 641/1243–1244 წლიდან ან 653/1255–1256 წლიდან 654/1256 წლამდე ან 665–1266–1267 წლამდე (В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრ., გვ. 179).

როგორც არ უნდა იყოს ახსათან II-ის მეფობის ზუსტი თარიღები, ერთი უეჭველია, რომ ზაქარია ალ-ყაზვინის ამჯერად მხედველობაში უნდა ჰყავდეს თავისი, შესაძლებელია, უმცროსი თანამედროვე შირვანის მფლობელი ახსათან II. |

156

128. ამ თევზის ამბავს მუსასა და ალ-ხიდრთან დაკავშირებით თითქმის იმავე შინაარსით იბნ ხურდაზბიჰიც გადმოგვცემს (იბნ ხურდაზბიჰი, გვ. 124). სხვა ფორმით ეს ამბავი იაკუთსაც აქვს მოტანილი (იაკუთი, I, გვ. 454).

129. იაკუთის განმარტებით (იაკუთი, II, გვ. 173), სოფელი ჯირანი ისფაჰანიდან დაშორებული იყო ორი ფარსახით (იაკუთი, I, გვ. 173).

130. ზაქარია ალ-ყაზვინი ბაჯარვანს სოფლად იხსენიებს. იაკუთთან იგი ქალაქია, ბაზ ალ-აბვაბის მხარეში, შარვანის ახლოს (იაკუთი, I, გვ. 454). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბაჯარვანი მდებარეობდა მულანში (აზერბაიჯანი), მდინარე არაქსის სამხრეთით, არდაბილსა და ბარდავს შორის (ს. M. Dunlop, EI, NE, I, გვ. 864).

131. იფრიკიას არაბები უწოდებდნენ მალრიბის (ალჟირი, ტუნისი, მაროკო) აღმოსავლეთ ნაწილს. სპეციალისტთა აზრით სახელწოდება „იფრიკია“ ლათინური წარმოშობის უნდა იყოს (იფრიკიასთან დაკავშირებით იხ. ალ-ისტახრი, გვ. 36; ალ-მუკადდასი, გვ. 216; იაკუთი, I, გვ. 324–330; ზაქარია ალ-ყაზვინი, II, გვ. 100).

132. ზაქარია ალ-ყაზვინის მხედველობაში ჰყავს ცნობილი სპარსულენოვანი პოეტი აფდალ ად-დინ იბრაჰიმ ალ-ხაკანი, რომელიც დაიბადა განჯაში (თანამედრვე კიროვაბადი) 500/1106–1107 წ. და გარდაცვლილი უნდა იყოს თავრიზში 595/1200 წ.

133. ამ გეოგრაფიულ პუნქტთან დაკავშირებით ცნობას, რომელიც ზაქარია ალ-ყაზვინის მიხედვით ლაქზანის ქვეყანაში ძალიან მაღალი მთის ძირას მდებარეობდა, ვერაფერს დავუმატებთ.

134. ლაქზანი – ლაქზის ქვეყანასთან დაკავშირებით აკად. ვ. ბარტოლდი წერს: «Арабские авторы как будто обозначали названием «лакз» особый народ, местоположение которого, впрочем, не указывается точнее. По словам Балазури (208), страна лакзов находилась на равнине между Самуром и городом Шаберан, т. е. южнее нынеш-

157

него Дагестана; напротив, согласно Мас'уди (Мурудж, II, 5), многочисленный народ лакзов жил в самых высоких горах этой местности; среди них были «неверные», неподвластные правителю Ширвана; об их семейной жизни и привычках были распространены «удивительные рассказы». Сопоставление с Ширваном показывает, что Мас'уди представлял себе места обитания лакзов в горном районе на верхнем Самуре. Русские, видимо, также первоначально называли лезгинами только народности южного Дагестана в противоположность горным народам северных районов (таули – от тюрк. тау 'гора') (В. В. Бартольд, Соч., III, 1965, გვ. 410–411).

135. შესაძლებელია, ამ სახელწოდებას „ზახურს“ რაიმე საერთო ჰქონდეს მიუვალ მთიულეთთან, რომელიც ატარებდა ზერეპგერანის სახელს (იხ. В. В. Бартольд, Соч., III, გვ. 410). აკი აღნიშნავს კიდევ ზაქარია ალ-ყაზვინი, რომ ქალაქ ზახურში, ლაქზანის ქვეყნის დედაქალაქში, ძალიან ცივა და ა. შ. ცხადია, იმის გამო, რომ ეს ქალაქი, ზერეპგერანის მსგავსად, მთიანეთში მდებარეობდა და არ არის გამორიცხული, რომ ეს მთიანი ქვეყანა ზერეპგერანი იყო, ლაგზანის (თანამედროვე დაღესტნის) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე სოფელი (აული) ზახური დაღესტანში მდებარეობს.

136. ი, მარკვარტის მითითებით, გადასასვლელი სადგურებს შორის შეადგენდა 4–5 ფარსახს (J. Marquart, Streifzüge, გვ. 239). მასადამე, მანძილი ჯანზადან ზახურამდე ყოფილა, ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობის თანახმად, 24–30 ფარსახი, ანუ 144–180 კმ.

137. ვერც ამ პირზე რაიმე მასალის მოპოვება შევძელით.

138. მდინარე სამური მიედინება აზერბაიჯანისა და დაღესტნის საზღვარზე.

139. ადრეულ ხანაში ხატიბი წარმოადგენდა შ5 'ირთან ერთად არაბი ტომის ერთ-ერთ წამყვან პირს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ შ5'ირი თავის აზრებს ტომის წინაშე ლექსად წარმოთქვამდა, მაშინ როცა ხატიბი ტომს მიმართავდა პროზით. წარმართობის ხანა-

ოდენობრივ ზრდასთან ერთად ხატიბმა მეტი ავტორიტეტი მოიპოვა. ზოგჯერ ხატიბის თანამდებობა გვარში მემკვიდრეობით გადადიოდა. ხატიბები არ ქმნიდნენ კასტას, ისინი იყვნენ მჭერმეტყველებით დაჯილდოებული ადამიანები. ხატიბები ჩანან არა მხოლოდ ვაფდის სათავეში, არამედ პოეტთა მსგავსად ისინი იყვნენ ხოლმე აგრეთვე საომარ ოპერაციათა ხელმძღვანელების რიგებში და ა. შ.

ისლამის ადრეულ ხანაში ხატიბმა შეინარჩუნა მრავალი მისთვის დამახასიათებელი თვისება. მაგრამ დროთა მსვლელობაში ხატიბის ფუნქციები შეიკვეცა და იგი ისლამის წმინდა რელიგიურ მსახურად იქცა. განსაკუთრებით აბასელთა ხანიდან მოყოლებული მინბარიდან მლოცველებს ხუტბით, როგორც წესი, ხატიბი მიმართავს. ხატიბი წარმოადგენს აგრეთვე პარასკევის დღის ლოცვის ხელმძღვანელს მეჩეთში და ყოველ მისგითი ამიერიდან რელიგიურ საქმეს დანიშნული ხატიბები განაგებენ.

140. მუსლიმური კანონმდებლობის თანახმად თეორიულად ყადის მოვალეობას შეადგენდა ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის განხილვა. სინამდვილეში ადრეული ხანიდანვე განირჩეოდა ორი სფერო მუსლიმური კანონმდებლობისა. ესენია სასულიერო და საერო კანონმდებლობანი. არაბი ხალიფები ნიშნავდნენ სპეციალურ მოსამართლეებს, რომლებსაც ყადი ერქვათ მაგრამ მათ არასოდეს არ მოუპოვებიათ დამოუკიდებელი მდგომარეობა ისლამის სამყაროში. ყადის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული მოვალეობანი – ქორწინებათა განხილვა-გაუქმება, მემკვიდრეობის საკითხის განხილვა და ა. შ. აღმოსავლეთის დიდ ქალაქებში ყადი იყო ერთ-ერთი გავლენიანი და მნიშვნელოვანი პირი. აღმოსავლეთ სახალიფოს ისეთ ქალაქებში, სადაც რამდენიმე ყადი იყო წარმოდგენილი ერთდროულად, მთავარ ყადის ემახდნენ „კადი ალ-კუდათ“, ხოლო დასავლეთის ქალაქებში „კადი ალ-ჯამა“ა. მოგვიანო ხანაში ასეთი ყადი გაჩნდა აგრეთვე არმიაში, სადაც მას „კადი ალ-ასქარს“ ემახდნენ.

141. იხ. შენიშვნ. 28, II.

142. ფაკიჰი არაბულში, მსგავსად 'ალიმისა და ფაჰიმისა, ჩვეულებრივ ნიშნავს მცოდნეს. შემდგომ კი მან კონკრეტული შინაარსი მიიღო და აღნიშნავს მუსლიმური სამართლის, კერძოდ, შარიათის მცოდნეს.

143. აბუ აზდ ალლაჰ მუჰამმად იბნ იდრის ამ-შაფიი არის შაფიიტთა სამართლებრივი სკოლის ფუძემდებელი. ეკუთვნოდა ყურაშიტთა ტომს. დაიბადა 150/767 წ. დაზნაში. გარდაიცვალა 204/820 წ. ფუსტატში.

აბუ იბრაჰიმ ისმაილ იბნ იაჰია ალ-მუზანი, იმამ აშ-შაფიის ერთ-ერთი მოწაფე და მიმდევარი. დაიბადა 175/791–792 წ. და ცხოვრობდა ეგვიპტეში. გარდაიცვალა 264/877 წ.

ტექსტში მოხსენიებული ალ-მუზანის ნაშრომი „მუხთასარ“ („მოკლე, შემოკლებული“) წარმოადგენს მისი მასწავლებლის მუჰამმად აშ-შაფიის ნაწარმოებთა მოკლე მიმოხილვას. მიუხედავად ამისა, ამ თხზულებით ალ-მუზანიმ დამოუკიდებელი მოაზროვნის სახელი მოიპოვა.

ენიკი – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

თარგმნ. – დჰკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964.

აჰმად იბნ აბი ტაჰირ ტაიფური, თარიხ ბაღდად – Sechster Band des Kitâb Bagdâd von Ahmad ibn abî Tâhir Tailfûr. Hrsg. und übers. von. H. Keller. T. I: arabischer Text; T. II: deutsche Ubersetzung, Leipzig, 1908.

ალ-ბალაზური – Liber expugnationis regionum, auctore Imâmo Ahmed ibn Yahja ibn Djâbir al-Belâdsori, queme codice Leidensi et codice Musei Britannici, Ed. M. J. de Goeje, Lugduni-Batavorum, 1866.

ალ-იაკუბი – იბ. იბნ რუსთა.

ალ-იაკუბი, თარიხ – Ibn Wâdih qui dicitur al-Ya'qûbî, Historiae. Ed. M. Th. Houtsma, pars I, historiam anteislamica continens, pars 2, historiam islamicam continens, Lugduni-Batavorum, 1883.

იაკუთი – Jâgût b. Abdallâh al-Hamawî ar-Rûmî, Mu'djam al-buldan, Yacut's geographisches Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin, St. Peterburg und Paris..., von, Ferdinand Wüstefeld, I–VI, Leipzig, 1866–1870.

იბნ ალ-ასირი – Ibn al-Athiri Chronicon quod perfectissimum inscribitur, ed. C. J. Tornberg, Vol. I–XIV, Upsaliae et Lugduni-Batavorum, 1851–1876.

იბნ რუსთა – Kitâb al-a'lâk an-nafisa auctore Abû Alî Ahmed ibn Omar ibn Rosteh et Kitâb al-Boldân auctore Ahmed ibn Abî Yakûb ibn Wâdih al-Kâtib al-Yakûbî, ed M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, VII, Lugduni-Batavorum, 1892.

11. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

161

იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი – Compendium libri Kitâb al-Boldân auctore Ibn al-Fakîh al-Hamadhânî quod edidit indicibus et glossario instruxit M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, V, Lugduni-Batavorum, 1885.

იბნ ხალლიქანი – Ibn Khallikan's Biographical Dictionary, translated from the Arabic by Mac Guckin de Slane, I–IV, Paris, 1842–1871.

იბნ ხურდაზბეგი – Kitâb al-Masâlik wa'l-Mamâlik (Liber viarum et regnorum) auctore Abu'l-Kasim Obaidallah Ibn Abdallah Ibn Khordâdhbeh et Excerpta et Kilâb al-Kharâdj auclor-Kodâma ibn Djafar quae cum versione gallica edidit, indicibus et glossario instruxit M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, VI, Lugduni-Batavorum, 1889.

ობნ ჰაუკალო – Via et Regna. Descriptio ditionis moslemicae auctore Abu'l-Kesim Ibn Heuvkal. Ed. M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, II, Lugduni-Batavorum, 1873.

ალ-ისტახრო – Viae regnorum. Descriptio ditionis moslemicae auctore Abu Ishák al-Fárisi al-Istekhri, ed. M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, II, Lugduni-Batavorum, 1870.

ალ-მასუდი, თანბოჰ – Kitáb at-tertîh wa'l-ischráf auctore al-Masúdí..., ed. M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, VIII, Lugduni-Batavorum, 1894.

ალ-მასუდი, მურუჯუზ-ზაჰაბ – Macoudi, Les Prairies d'Or. Text et traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille, t. I-IX, Paris, 1861-1877.

ალ-მუკადდასი – Descriptio imperii moslemici auctore Schamsó'd-dîn Abû Abdollâh al-Bannâ al-Basschârî al-Mokaddasî, Ed. M. J. de Goeje, Bibliotheca Geographorum Arabicorum, III, Lugduni-Batavorum, 1877.

ატ-ტაბარო – Annales quos scripsit Abu Djafer Mohemmed ibn Djarir at-Tabari. Ed. M. J. de Goeje, series I-III, Lugduni-Batavorum, 1879-1901.

ჰუდუდ ალ-ალამო – The Regions of the World. A Persian Geography 372 A. H. – 982 A. D. Translated and explained by V. Minorsky with the Preface by V. V. Barthold, translated from the Russian, London, 1937 (CMS, N. S. XI).

162

БСЭ – Большая Советская Энциклопедия.

В И – Вопросы истории.

ИРАН – Известия Российской Академии наук.

КСИНА – Краткие сообщения Института народов Азии Академии наук СССР.

ЭВ – Эпиграфика Востока.

AKM – Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes.

AR. BSH – Academiae Roumaine. Bulletin de 1a Section Historique.

BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies.

BOS – Bonner Orientalische Studien.

EI – Enzyklopaedie des Islâm.

EI, NE – Encyclopaedia of Islam, New Edition.

GAL – C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur; I-II, Weimar-Berlin, 1898-1900.

GAL, S – C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur, Supplementband, I-III, Leyden, 1936-1942.

GJ. – Geographical journal.

H.A.R. Gibb and J. H. Kramers – H. A. R. Gibb and J. H. Kramers, Shorter Encyclopaedia of Islam, Leyden-London, 1960.



J A – Journal Asiatique.

J E S H O – Journal of the Economic and Social History of the Orient.

J. Marquart, Ērānšahr – J. Marquart, Ērānšahr nach der Geographie des Ps. Moses Xrenaci, Berlin, 1901 (AKGMG, N. F., Bd. III, № 2).

J. Marquart, Streifzüge – J. Marquart, Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge. Ethnologische und historisch-topographische Studien zur Geschichte des 9. und 10. Jahrhunderts (ca. 840–940), Leipzig, 1903.

G. I e S t r a n g e – The lands of the Eastern Caliphate. Mesopotamia, Persia, and Central Asia from the Moslem Conquest to the Time of Timur, by G. I e S t r a n g e, Cambridge, 1930.

Z D M G – Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft,

G. W e i l – C. W e i l, Geschichte der Chalifen. Nach handschriftlichen größtenteils noch unbenützten Quellen bearbeitet, Bd. I-III, Mannheim, 1846 1851.

## საძიებლები

### ა. სააუთარ სახელთა

- აბდ ალ-მალიქი – 146  
აბდ არ-რაშიდ იბნ სალიჰ იბნ ნური  
ალ-ბაქუვი – 10  
აბდ არ-რაჰმანი – 145  
აბდ არ-რაჰმან იბნ მუჰამად იბნ ალ-  
აშასი – 146  
აბუ ალ-აბბას ატ-ტუსი – 37, 115  
აბუ ალ-ალა ალ-მაარრი – 101  
აბუ აჰმადი, იხ. თაჯ ად-დინ ალ-ურ-  
მავი  
აბუ ბაქრი – 88  
აბუ ზაქარია ათ-თიბრიზი – 31, 32, 101  
აბუ თამამი – 79  
აბუ ალ-კასიმ ალ-ჯაიჰანი – 23  
აბუ ალ-კასიმ იბნ იუსუფ აბუ ას-საჯი –  
92, 93  
აბუ მანსურ ალ-ბაღდადი – 118  
აბუ მუზაფფარ ასფარაინი – 116  
აბუ ტაჰირ ალ-მაკდისი – 118  
აბუ ალ-ფიდა – 14, 144, 145  
აბუ მუჰამად ან-ნიზამი – 42, 138, 139,  
141  
აბუ ან-ნადრ მუჰამად იბნ ას-საიბ იბნ  
ბიშრი – 145, 146  
აბუ ალ-ფათჰ სულაიმ იბნ აიუბ არ-რა-  
ზი – 101  
აბუ ალ-ფარაჯ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-  
კასირი ალ-არდაბილი – 23, 28, 75  
აბუ ალ-ფარაჯ ალ-ჯავზი – 116.  
აბუ ალ-ჰაიჯა ალ-იამამი – 151  
აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი – 19, 20, 21,  
22, 28, 30, 46, 47, 48, 58, 59, 65,  
66  
აბუ ჰანიფა ად-დინავარი – 118  
აბუ ჰანიფა ან-ნუმან იბნ საბითი –  
147, 148
- ადარნასე – 92, 93  
ალექსანდრე მაკედონელი – 61, 62, 65,  
66, 67, 124  
ალი – 67, 68, 145  
ალი-ზადე, ა. ა. – 136  
ალი რიზა – 57, 72  
ალიხანოვ-ავარსკი, მ. – 114  
ალფ-არსლანი – 101, 141  
ამარი, მ. – 15  
ამაშუკელი, ე. – 131  
ამიდ ად-დინ აბუ ალ-ფათ ალ-მუზაფ-  
ფარი – 140  
ამინ რაზი – 55  
ალ-ამინი – 117, 131  
ანსბახერი, ი. – 15  
აპოლონიოს კაპადოკიელი – 71  
აპოლონიოს პამფილიელი – 71  
არდაბილ იბნ არმინი იბნ ღანტ იბნ იუ-  
ნანი – 97  
არენდონკი, კ. – 76  
არისტოტელე – 51  
არსლანი – 140  
არტამონოვი, მ. ი. – 56  
აფრასიაბი – 27, 48, 90 |  
აფშინი ჰაიდარ იბნ ქავუსი – 117  
აშოტი – 92, 93  
ახსათანი – 49  
ახსათან I – 156  
ახსათან II – 156  
ახსათან მინუჩიჰრი – 138
- ახუნდოვი, ა. – 86  
აჰმად იბნ აბი ტაჰირ ტაიფური – 119,  
161  
აჰმად იბნ ფადლანი – 52, 54, 55, 56,  
63, 64, 72, 104

164

- ბაბაქ ალ-ხურრამი – 39, 115, 116, 117,  
118, 153  
ალ-ბალაზური – 53, 68, 107, 119, 133,  
154, 157, 161  
ბაილაკან იბნ არმან იბნ ღანტა იბნ  
იუნანი – 122  
ბალინასი – 22, 35, 43, 71
- ღავიდოვიჩი, ე. ა. – 137  
ღავით აღმაშენებელი – 130, 136, 147  
დაისამ იბნ იბრაჰიმი – 24, 29, 82, 83,  
94  
დანლოპი, დ. მ. – 52, 56, 64, 66, 114,  
122, 157  
დარიოს III – 149

ბანუ უმაია – 40  
ბარბიე დე მენარი, შ. – 162  
ბარტოლდი, ვ. ვ. – 15, 51, 54, 55, 64,  
73, 86, 107, 114, 122, 127, 136, 155,  
157, 158, 162  
ბასიტა – 33  
ბეილისი, ვ. მ. – 123, 124  
ბელენიცი, ა. მ. – 121  
ბეკკერი, კ. ჰ. – 74  
ბელიაევი, ვ. ი. – 60  
ბერაძე, გ. გ. – 127  
ბერტელსი, ე. – 139  
ბიბერსტეინ-კაზიმირსკი, ა. დ. – 145  
ბიკოვი, ა. ა. – 82, 83  
ბიუნერი, ვ. ფ. – 106  
ბიჯან იბნ ქურზადი – 27, 48, 90, 91,  
155  
ბლაშერი, რ. – 15  
ბოდენჰაიმერი, ფ. – 15  
ბოილი, ი. ა. – 53, 136  
ბროინლიხი, ე. – 72  
ბროკკელმანი, კ. 15, 72, 146, 147,  
163  
ბროუნი, ე. გ. – 15  
ბულგაკოვი, პ. გ. – 104, 105  
ბუნიატოვი, ზ. მ. – 10, 115, 116, 117,  
118  
ბულა თურქი უფროსი – 40, 86, 87,  
131, 132, 133  
ბულა თურქი ამ-შარაბი უმცროსი – 132  
ალ-ბუჰთური – 23, 79, 80  
  
გაბაშვილი, ვ. ნ. – 73, 102, 127, 141  
გაგიკი – 92, 93  
გვახარია, ა. ა. – 91, 139, 140  
გიბზი, ჰ. ა. რ. – 67, 68, 74, 163  
გრეკოვი, ბ. დ. – 64  
გრიგორიევი, ვ. ვ. – 70, 104  
დე გუე, მ. ი. – 70, 72, 161, 162

დარიოსი, ძე დარიოსისა – 77  
დეფრემერი, შ. – 11, 145,  
დია ად-დინ იბნ-ალ-ასირი – 8  
დიმიტრი I – 136  
დიორი, ა – 86  
დოზი, რ. – 145  
დორნი, ბ. – 11, 122  
  
ვაზირ იბნ ჰუბაირა – 21, 66  
ვალკერი, ი. – 74  
ვან ვლოტენი – 116  
ვარდაპეტ ვარდანი – 118, 144  
ალ-ვასიკი – 14, 20, 61, 62, 70, 110,  
119, 132  
ვახტანგ გორგასალი – 131  
ალ-ვაჯნა ალ-აზდი – 153  
ვეილი, გ. – 63, 66, 110, 119, 163  
ვეირი, ტ. ჰ. – 63  
ეელჰაუზენი, ი. – 68  
ვენსინკი, ა. ი. – 67, 74  
ვეცია ვაგლიერი, ლ. – 68  
ვილბერი, დ. ნ. – 149  
ვიუსტენფელდი, ფ. – 9, 10, 161

ზაალი – 91  
ზამზაური, ე. – 83  
ზარადუმთი – 33, 99  
ზაქარია ალ-ყაზვინი, იბნ მუჰამმად იბნ  
მაჰმუდ – 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14,  
16, 51, 52, 53, 55, 56, 57, 58, 59,  
60, 61, 62, 65, 66, 67, 71, 74, 75,  
77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85,  
86, 87, 88, 89, 90, 91, 93, 94, 95,  
96, 98, 99, 100, 101, 103, 104, 106,  
108, 109, 110, 113, 114, 120, 121,  
122, 123, 125, 126, 128, 130, 131,  
132, 133, 134, 135, 137, 138, 139,  
141, 142, 143, 145, 146, 148, 149,  
150, 151, 152, 153, 154, 155, 156,  
157, 158

165

ზახოდერი, ბ. ნ. – 56, 127  
ზექი ვალიდი თოლღან, ა. – 54, 72, 73  
ზუ ალ-კარნაინი – 20, 65  
  
თამარი (დავით აღმაშენებლის ასული)  
– 156  
თამარ მეფე – 14, 84, 145  
თამთა – 144  
ათ-თანუხი – 83  
თაჯ ად-დინ ალ-ურმავი – 35; 110  
თეოფილე – 117

149, 150, 151, 152, 153, 154, 162  
162  
იბნ რუსთა – 59, 67, 76, 82, 84, 85,  
124, 125, 126, 151, 161  
იბნ ალ-ქალბი – 43, 142, 143, 145, 146  
იბი ხალდუნი – 83  
იბნ ხალლიქანი – 9, 80, 146, 147, 154,  
162  
იბნ ხურდაზბიჰი – 62, 67, 76, 79, 81,  
82, 84, 85, 86, 103, 111, 112, 113,  
114, 122, 124, 126, 135, 151, 157,

თოდლა, მ. ა. – 139, 140  
თოდრულ-ბეგი – 42, 140, 141, 142  
თოდრულ იბნ არსლანი – 42, 139, 141, 142

იაკობი, გ. – 11  
ალ-იაკუბი – 63, 68, 82, 85, 111, 112, 119, 132, 133, 135, 161.

იაკუბოვსკი, ა. ი. – 73, 121  
იაკუტი – 7, 9, 13, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 66, 67, 71, 75, 77, 78, 80, 81, 82, 84, 85, 86, 87, 88, 89, 91, 94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 105, 106, 107, 108, 109, 111, 112, 113, 114, 115, 116, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 128, 129, 130, 133, 135, 136, 142, 143, 146, 149, 151, 152, 153, 155, 157, 161

იაჯუჯი და მაჯუჯი (გოგი და მაგოგი) – 13, 21, 61, 66, 67

იბნ აბბასი – 21, 67, 68

იბნ აბი ას-საჯი – 152

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი – 133, 136, 147

იბნ ალ-არაბი – 8

იან ალ-ასირი – 8, 9, 63, 68, 83, 110, 116, 119, 132, 136, 161

იბნ ალ-ვაზირ, ალ-კუმმი – 35, 110-

იბნ ალ-იბრი – 118

იბნ მისქავაიპი – 83

იბნ სადი – 97

იბნ ალ-ფაკიკ ალ-ჰამადანი – 22, 35, 44, 52, 53, 56, 62, 67, 71, 72, 73, 75, 76, 82, 86, 91, 95, 99, 103, 104, 111, 112, 114, 122, 123; 124, 142,

162

იბნ ალ-ჯავზი – 43, 44, 147, 148

იბნ ჰაუკალი – 52, 53, 55, 56, 57, 59, 66, 75, 76, 78, 81; 82, 83, 84, 85, 86, 88, 91, 92, 93, 96, 97, 98, 99, 100, 103, 108, 114, 120, 121, 122, 123, 125, 126, 128, 129, 135, 136, 146, 149, 150, 151, 152, 154, 162

იბრაჰიმოვი, ზ. – 115

იზუ ად-დინ მასუდ I – 138

იზუ ად-დინ მუჰამად იბნ იაჰია – 66

იმად ად-დინი – 136.

იოანესი – 118

ისმაილ იბნ შუაბი – 131, 133

ალ-ისტახრი – 51, 53, 55, 56, 57, 66, 75, 76, 81, 82, 84, 85, 86, 88, 91, 95, 96, 97, 98, 99, 100, 103, 108, 110, 114, 120, 122, 123, 125, 126, 128, 129, 135, 136, 142, 143, 146, 149, 150, 151, 152, 154, 155, 157, 162

ისჰაკ იბნ ისმაილი – 40, 61, 63, 86, 131, 132, 133

იუსუფ იბნ მუჰამად ალ-ჯანზი – 50

კავადი – 97, 122

კავად I (ხოსრო ანუშირვანის მამა) – 121

კალი – 44, 149

კანარი, მ. – 83.

კაპანაძე დ. – 134

კარრა დე ვო, ბ. – 15

კელლერი, ჰ. – 161

კირაკოზ განმაკეცი – 14, 144, 145

კლაპროთი, ი. – 114.

კლოდ კენი – 54, 60, 63, 73, 123, 127

166

კოვალევსკი, ა. პ. – 52, 54, 55, 56, 61, 64

კოკოვცოვი, პ. – 15

კონსტანტინე – 92

კრამერსი, ი. პ. – 67, 68, 74, 92, 95, 163

კრაუსი, პ. – 80.

კრაჩკოვსკი, ე. ი. – 14, 54, 59, 66, 70, 73, 81, 104, 147

კუბაზ მეფე – 39, 43

ლამბტონი, ა. კ. – 128

ლევი-პროვენსალი ე. – 59, 65

ლეო – 116

ლე სტრენჯი, გ. – 51, 53, 54, 56, 57,

მასუდ იბნ ნამდარი – 123

მაქს ვან ბერხემი – 79

ალ-მაჰდი – 117

მაჰდი (მესია) – 115.

მელგუნოვი, გ. – 54

მეცი, ა. – 148

მეჰრაბი – 91

მინორსკი, ვ. თ. – 15, 52, 56, 57, 69, 70, 75, 76, 83, 84, 91, 95, 97, 99, 100, 102, 104, 108, 114, 115, 122, 123, 124, 127, 130, 133, 136, 149, 153, 156, 162

მინუჩიჰრ II – 156

მირზა ა. კაზემ ბეგი – 114

მიქაილი – 140

66, 76, 79, 85, 87, 95, 97, 99, 100,  
103, 106, 107, 108, 109, 110, 114,  
119, 120, 122, 123, 126, 132, 136,  
143, 146, 149, 151, 163  
ლოლიდი, ჰ. ი. – 79  
ლოკვარტი, ლ. – 56  
ლუსტი, ჰ. – 147  
  
მაზდაკი – 116  
მაკდისი, გ. – 66  
მალექ იბნ ანასი – 147  
ალ-მალექ ალ-მუაზზამი – 43, 44, 148  
ალ-მალექ ალ-ქამილ ალ-ავჰადი – 42,  
143, 144, 145  
მალექ-შაჰი – 101  
ალ-მამუნ – 117, 118  
მანანდიანი, ი. – 116  
მანიჟე – 90  
ალ-მანსური – 119, 148  
მარგოლიუსი, დ. ს. – 80, 116  
მარზბანი – 82  
მარიდა – 118  
მარვან II – 131  
მარვან იბნ მუჰამმადი – 153  
მარკვარტი, ი. – 57, 76, 83, 85, 122,  
158, 163  
მასლამა იბნ აბდ ალ-მალექი – 152  
მასსე, ა. – 73, 148  
ალ-მასუდი – 52, 64, 67, 68, 71, 75,  
76, 81, 82, 84, 85, 99, 103, 116, 118,  
119, 131, 133, 158, 162  
მასუდი (სულტანი) – 140, 141

მისარ იბნ-მუჰალჰილი, აბუ დულაფ  
ალ-ხაზრაჯი ალ-იანზუბი – 14, 32, 33,  
36, 72, 89, 104, 105  
მიულლერი, ა. – 116  
მოსე კაგანკატვაცი – 118  
მუავია – 68  
ალ-მუზანი – 50, 160  
მუზაფფარ იბნ ტაჰირ მაკდისი – 116  
ალ-მუთადიდი – 119  
ალ-მუთავაქქილი – 40, 63, 87, 119,  
131, 132, 133  
ალ-მუთაზზი – 119  
ალ-მუთამიდი – 119  
ალ-მუთანაზზი – 79  
ალ-მუთასიმი – 39, 87, 117, 118, 119,  
131, 132  
მური, ვ. – 63, 116, 119  
ალ-მუკადდასი – 53, 57, 62, 67, 72,  
76, 79, 81, 82, 85, 91, 95, 97, 98,  
102, 103, 108, 114, 120, 121, 122,  
123, 125, 126, 129, 142, 149, 150,  
151, 152, 154, 155, 157, 162  
ალ-მუკთადირი – 54  
ალ-მუნთასირი – 119, 132  
მურგოტენი, მ. ს. – 53  
მუსა – 22, 36, 49, 108, 157  
მუსა იბნ ზულა – 133  
მუსა იბნ იმრანი – 22, 36, 74  
მუსა იბნ მიშა (მანასსე) იბნ იუსუფ იბნ  
იაკუბი – 74  
მუსაიბ იბნ აზ-ზუბაირი – 146  
ალ-მუსთაინი – 119, 133

167

ალ-მუსთანსირი – 35, 110  
ალ-მუსთანჯიდი – 66  
ალ-მუსთასიმი – 110  
მუსთაუფი – 85, 100  
ალ-მუქთაფი – 66  
მუჯირ ალ-ბაილაკანი – 40, 124  
მუჰამმადი – 74,  
მუჰამმადი (ილდიღიზელი) – 138  
მუჰამმად დია ად-დინ არ-რაისი – 105,  
106  
მუჰამმად იბნ ზაქარია არ-რაზი – 23,  
29, 80  
მუჰამმად ნარზახი – 9  
ალ-მუჰთადი – 119  
მხარგრძელი, ზაქარია – 84, 144  
მხარგრძელი, ივანე – 14, 42, 43, 143,  
144, 145

რორ-ზაუერი, ა. – 104  
რუზადე – 91  
რუსთაველი – 134, 140  
რესთამ ძლიერი – 27, 48, 90  
რუსკა, ი. – 15, 103  
  
სააკი (საჰაკი)-იხ. ისკარ იბნ ისმაილი  
სადაკა იბნ ალი – 153  
სადიკ ისფაჰანი – 116  
სადრ ად-დინი – 46, 153, 154  
ას-საიბი – 145  
ას-სალარი – 152  
სალლამ ათ-თარჯუმანრი – 13, 20, 61,  
62, 65, 66, 70, 71  
სამანი – 116  
სარრე, ფ. – 79  
სარტონი, გ. – 15  
საჰლ იბნ სუნზატი – 117

ნაბუქოდონოსორი – 125  
ან-ნადიმი – 72, 118  
ნასრი – 107  
ნასრ II იბნ აჰმადი – 104  
ნაფისი, ს. – 116  
ნაჯიბ ჰამადანი – 55  
ნელდეკე, თ. – 68, 69  
ნიზამ ალ-მულქი – 31, 32, 50, 101,  
102, 116  
ნოე – 77  
ნურ ად-დინ მუჰამმად იბნ ხალიდ ალ-  
ჯაილი – 46, 154

პავე დე კურტიელი – 162  
პახომოვი, ე. – 83,  
პიგულევსკაია, ნ. ვ. – 121  
პინესი, ს. – 80  
პელლო, შ. – 80  
პეროზი იბ. ფაირუზ მეფე  
პეტრუშევსკი, ი. პ. – 121  
პლანო კარპინი – 134  
პლესსნერი, მ. – 71

რაბინო, ჰ. ლ. – 54  
რაიტი, ე. – 115  
რაიტი, ვ. – 15  
რამსეი, ვ. მ. – 77  
რამიდ ად-დინი – 76  
რენო, მ. – 15

## 168

ფასმერი რ. – 83  
ფუთურიძე ვ. ს. – 133  
ქუშთასგ იბნ ლაჰრასგ იბნ ქაიხურუ  
– 33, 106  
ქეიხოსროვი – 91  
ყაუხჩიშვილი, ს. გ. – 156  
შაბურ ზუ ალ-აქთაფი – 154  
შამს ად-დინ ალ-ხუვაი – 43, 44, 146,  
148, 149  
შარდენი – 126  
აშ-შარიფ მუჰამმად იბნ ზი ალ-ფაკარ  
ალ-ალავი ალ-მარანდი – 25, 26, 29,  
84, 90  
აშ-შაფი, აბუ აბდ ალლაჰ მუჰამმად  
იბნ იდრისი – 50, 160

შახტი, ი. – 148  
შაჰიარმენ სულტანი – 144  
შაჰ ქეიხოსროვი იბ. ქეიხოსროვი  
შენგელია, ნ. ნ. – 61, 141

სედელნიკოვი, ა. – 15  
სეიბოლი, ს. ფ. – 66  
სელჩუკი – 140  
სიბტ იბნ ალ-ჯავზი – 133, 136, 147  
სინდბაზ იბნ ქიმშთასგ იბნ ლაჰრასიფი  
– 45, 152  
სიხარულიძე, ე. – 161  
დე სლენი, უ. – 162  
სოცინი, ა – 79  
სტეფანოს ორბელიანი – 118  
სტროევა, ლ. ვ. – 121  
სუმბატი – 92, 93

ატ-ტაბარი – 9, 68, 74, 75, 118, 119,  
129, 131, 132, 133, 154, 162  
ტემნერი, ფრ. – 16  
ტომაშევი, ვ. – 70  
ტორნბერგი, კ. ი. – 161  
ტურაევა, კ. – 15  
უბაიდი – 145  
უსმანი – 67, 129  
ფაირუზ მეფე (იგივე პეროზ მეფე) –  
30, 97  
ფირდოუსი – 90, 91, 155  
ფრაი, რ. ნ. – 97, 107  
ფრენი, ხ. – 11  
ფლიუბელი, გ. – 116, 154

ხოსრო ანუშბრვანი – 7, 21, 28, 37,  
38, 39, 40, 48, 68, 69, 71, 75, 114,  
115, 121, 130, 131  
ხუზაიმა იბნ ხაზიმი – 153  
ხურრამა – 116  
ჯავახიშვილი, ივანე – 11, 14, 84, 87,  
92, 129, 136, 143, 145  
ჯავიდან იბნ საჰლ იბნ სუჰრაკი – 117  
ალ-ჯაიჰანი, აბუ აბდ ალლაჰ მუჰამმად  
იბნ აჰმად იბნ ნასრი – 29, 80, 81,  
96,  
ჯალალ ად-დინი – 130  
ჯიქია, ს. ს. – 86  
ალ-ჯაჰიზი – 12  
ჯუვანი – 76  
ალ-ჯურჯანი, ფახრ ად-დინ ასადი – 42,  
138, 139, 140

ჰაბიბ იბნ მასლამა – 129  
ჰალილ ინალსიქი – 109  
ჰამილტონი, ჯ. – 60

შპრენგერი, ა. – 70  
 შპულერი, ბ. – 85,  
 შტაინშნაიდერი, მ. – 72  
 შტრეკი, მ. – 15, 95  
 შუაბი – 131

ჩალრი-ბეგი – 140, 141

ცეიპეკი, ირჟი – 116  
 ცეტტეროშტენი, კ. ვ. – 63, 66, 110, 119  
 ცქიტშივილი, ო. ვ. – 69, 72, 76, 105, 124, 129, 133, 136, 147, 148

წერეთელი, გ. ვ. – 76, 107, 109, 136  
 ალ-ხაკანი აფდალ ად-დინ იბრაჰიმი – 49, 157  
 ხალიდოვი, ა. ბ. – 104, 105  
 ალ-ხალილი – 24, 29  
 ალ-ხატიბ ალ-ბადდადი – 9  
 ალ-ხიდრი – 49, 157

ჰარტმანი, რ. – 53  
 ჰარუნ ალ-ვაზივი – 82  
 ჰარუნ არ-რაშიდი – 118, 153  
 ჰასან იბრაჰიმ ჰასანი – 116  
 ჰასან ალ-მარადი, ფაკიჰი – 26, 90

ჰაქიმი სინდი იბნ შაჰიჰი – 30, 98  
 ჰაუტსმა, მ. თ. – 141, 161  
 ჰეფენინგი, ვ. – 148  
 ჰელლერი, ბერნარდი – 74  
 ჰერცფელდი, ე. – 79  
 ჰითთი, ფილიპ ვ. – 63, 110, 116, 119,  
 ჰინცი, ვ. – 57, 59, 88, 98, 102, 105, 106, 134, 137  
 ჰონიგმანხ, ე. – 15  
 ჰოროვიტცი, ი. – 74  
 ჰორსტი, ჰ. – 128  
 ჰრბეკი, ი. – 64  
 ჰუარი, კლ. – 53, 56, 57, 83, 85, 146, 149  
 ჰულაგუ – 8

169

## ბ. გეობრაფიულ სახელთა

აბასქუნის ზღვა – 51  
 აფხაზთა ქვეყანა – 25, 34, 40 86, 87.  
 აბჰარი – 58, 103, 154  
 ადენის ყურე – 13  
 ავღანეთი – 106  
 აზარბაიჯანი – 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 34, 35, 37, 39, 43, 45, 46, 56, 57, 81, 83, 85, 89, 90, 94, 95, 96, 97, 99, 100, 103, 107, 113, 115, 116, 120, 122, 135, 153, 157, 158  
 აზარბაიჯანის მდინარე – 23  
 აზარბაიჯანის წყარო – 26, 94  
 აზერბაიჯანის სსრ – 81, 134, 155, 156  
 ალბურცის მთები – 56  
 ალეპო – 59  
 ალექსანდრია – 58  
 ალ-ლანი – 19, 23, 25, 34, 45, 75, 87  
 ალ-ლანთა ციხე – 45, 151, 152  
 ალეუირი – 157  
 აშიდაბაზი – 44  
 ამიერკავკასია – 92, 108, 127, 128, 135, 152, 155  
 ალ-ანდარაბი – 120  
 არიზეთი – 58

ასოარაბადი – 53  
 აფლულუნია – 36, 113  
 აფრაჰარუზი – 152  
 აფრიკა – 13  
 აქფუდა დარიავი – 51  
 აღმოსავლეთ ევროპა – 58, 76  
 ახარი – 115

ბაბ ალ-აბვაზი – 23, 36, 39, 47, 48, 70, 75, 79, 87, 111, 112, 113, 114, 128, 129, 155, 157  
 ბაბ ალ-აქრადი – 39, 121  
 ბაბ ალ-ბარდაა – 25, 41, 137  
 ბაბ ალ-ლანი – 111  
 ბაბ, ალ-მაკბარა – 41, 136  
 ბაბ ფაირუზ კუბაზი – 11, 112  
 ბადდი – 39, 115  
 ბადლისი (ბითლისი) – 108, 142  
 ბაზან ფაირუზი – 97  
 ბაილაკანი – 34, 39, 88, 100, 107, 111, 112, 122, 123, 135  
 ალ-ბაკი – 132  
 ბალანჯარი – 21, 70, 71  
 ბალხი – 143  
 ბარდაა (ბარდავი) – 25, 34, 39, 87,

არაბული ერაყი – 56  
 არალის ზღვა – 51  
 არარატის მთა – იხ, ალ-ჰარისი და ალ-ჰუვაირისი  
 არაქსი – იხ. არ-რასსი  
 არდაბილი – 22, 28, 29, 30, 46, 66, 74, 92, 96, 97, 98, 99, 152, 157  
 არზანი – 108, 109, 142  
 არზანჯანი (არზანქანი) – 34, 108, 109  
 არზან არ-რუმი (ერზერუმი) – 26, 34, 47, 90, 108, 109, 149  
 არზანსუ – 109  
 არზრუმი – იხ. არზან არ-რუმი  
 არკანია – 51  
 არმინია – 22, 25, 26, 28, 34, 35, 36, 37, 42, 44, 49, 61, 75, 80, 86, 87, 107, 111, 112, 113, 132, 153  
 არჭემი – 144  
 არაჯანი – 150, 151  
 არჯიში – 111, 1112, 142

107, 111, 112, 120, 121, 122, 124, 128, 135, 157  
 ბარდიჯანი – 88, 122, 135  
 ბარზანდი – 100, 122, 135, 146  
 ბარქარი – 108, 142  
 ბასრა – 58, 68  
 ბაქოს ზღვა – 51  
 ბაქუვია – 47, 155  
 ბაღდადი – 8, 31, 58, 65, 66, 72, 73, 80, 102, 110, 118, 119, 120, 124, 141  
 ბაღრაგანდი – 111, 112  
 ბაჯარვანი – 49, 157  
 ბაჯუნაისი – 111, 112  
 ბაჰრ ალ-კუსტანტინია – 66  
 ბაჰრ ალ-მალრიბ – 66  
 ბაჰრ ალ-მალრიბი – 66  
 ბაჰარ არ-რუმ – 57, 66  
 ბაჰრ არ-რუმი – 66  
 ბაჰრ ალ-ღარბი – 66  
 ბენგალის ყურე – 13

170

ბიზანტია – 71, 77, 117, 118, 133, 134  
 ბაჯანის ჭა – 27, 48  
 ბოსფორის სრუტე – 113  
 ბუსფურაჯანი – 80, 111, 112  
 ბუხარა – 58, 137  
 განჯა – იხ. ჯანზა  
 განჯა-ჩაი – 134  
 გელათი – 136  
 გველების კუნძული – 19  
 გრანადა – 58  
 დავინი (დვინი) – 27, 91, 92, 93, 97, 108, 111, 112, 134  
 დაილამი – 19, 57  
 დაირ-ბაში – 115  
 დამასკო – 8, 43, 44, 58, 59, 66, 144, 146, 148  
 დარაბი – 149  
 დარაბჯირდი – 44, 149, 150, 151  
 დარზანდი (დერზენდი, დარზანდი) – 27, 39, 47, 48, 49, 66, 79, 107, 113, 127, 128  
 დარურანი – 41, 137  
 დასავლეთ ამიერკავკასია – 86  
 დაღესტანი – 158  
 დახზარაკანი – 100, 146  
 დენდანეკანი – 141  
 დიდი არარატის მთა – იხ. ალ-ჰარისი და ალ-ჰუვაირისი

ზაინდა ან ზარინ-რუდი – 124  
 აზ-ზანზი – 37, 114  
 ზანჯანი – 32, 103, 154  
 ზანჯიკანი – 45, 153.  
 ზარა აქფუდა – 51  
 ზარავანდის წყარო – 26, 36, 89, 113  
 ზაქვირი – 24, 29, 84, 94  
 ზახური – 50, 158  
 ზერეჰგერანი – 47, 48, 155, 158  
 აზ-ზიბი – 114  
 ზილუბარი (ზილზარ-ჩაი) – 84  
 თახთ-ი სულეიმანი – 135  
 თბილისი – 8, 25, 34, 40, 61, 63, 69, 87, 111, 112, 123, 128, 129, 130, 131, 132, 147, 152  
 თეირანი – 82, 140  
 თეოდოსიოპოლი – 109  
 თიბრიზი (თავრიზი) – 31, 32, 46, 84, 100, 101, 102, 122, 146, 157  
 თურქეთი – 71, 81, 86, 109  
 იაკტანი – 120  
 იერუსალიმი – 125, 144  
 ითილი – 54, 55, 63, 71, 107, 108  
 ინდოეთი – 13, 43, 121, 143  
 ინდოეთის ოკეანე – 13  
 ალ-ირაკი (ერაყი) – 35, 52, 53, 62, 78, 120, 121, 124, 125, 126, 147  
 ირაკ აჯამი – 56



დური – 66  
 დუჯაილი – 66  
  
 ეგვიპტე – 118, 125, 144, 160  
 ევფრატი – 67, 78, 108  
 ელისავეტპოლი – 134  
 ერევანი – 91  
  
 ვადი ალ-ქურდი – 36, 113  
 ვანის ტბა – 142, 143  
 ვარიმანი – 113  
 ვარსანი – 88, 100, 115, 122, 135, 146  
 ვასიტი – 8, 73  
 ვასპურაკანი – 92, 93  
 ვაშლა – 46  
 ვაშლას წყარო – 26, 90  
 ვოლგა – 54, 58, 63, 107  
  
 ირანი – 23, 27, 81, 98, 99, 103, 106,  
 126, 141, 149  
 ისნი – 69, 131  
 ისფაჰანი – 40, 58, 59, 78, 120, 124  
 125, 126, 140, 157  
 ისფიდრუზი – 25, 84, 85  
 იასსი ჯიმანი – 26, 34, 47, 90  
 იუნაბიზი – 95  
 იფრიკია – 49, 157  
  
 კაბალა – 88, 107, 111, 112, 135  
 ალ-კაბკი – 75  
 კაბკის მთა – 23, 75, 87, 112, 152  
 ალ-კაბხი – 75  
 ალ-კაბჯი – 75  
 კავკასია – 7, 10, 11,  
 კავკასიის ალბანეთი – 107, 156

171

კავკასიონი – 19, 75, 76, 79, 152  
 კაინი – 95  
 კაირო – 58  
 კალა-თბილისი – 129, 131  
 კალიკალა – 44, 80, 108, 109, 111, 112,  
 142, 149, 151  
 კასპიის ზღვა – 11, 51, 52, 53, 56, 58,  
 66, 79, 85, 86, 113, 155, 156  
 კიამთაბაზი – 145  
 კიზილ-გიადუკი – 86  
 კიხილ უზენი – 85  
 კირდკასი – 41, 134, 135, 136  
 კიროვებადი – 134, 157  
 კირსიჩაი – 115  
 კუმმი – 52  
 კუტურის წყარო – 26, 90  
 კუჰისტანი – 28, 95  
  
 ლაქზანი – 50, 157, 158  
 ალ-ლაქზი – 111, 112, 157  
 ლასუბი – 120  
  
 მავრანნაჰრი – 140  
 ალ-მავსილი (მოსული) – 23, 37, 58  
 65, 78  
 მაზანდარანი – 52, 85  
 მაიანიჯი – 100, 122, 146  
 მაიაფარიკინი – 108, 142  
 მანაზქირდი – 108, 142  
 მანგიშლაკი – 59  
 ალ-მარალა – 26, 27, 32, 40, 44, 45,  
 46, 90, 91, 99, 103, 134, 149, 152,  
 153  
  
 მტკვარი – იხ. ალ-ქურდი  
 ალ-მუთავაქილია – 87  
 მუნქ ნიმ დანიქი – 41, 137  
 მურა – 41, 137  
 მუქსი – 23, 79, 80  
 მულანი – 46, 100, 146, 154, 157  
 მცირე არარატის მწვერვალი იხ. ალ-ჰა-  
 რისი და ალ-ჰუვაირისი  
  
 ნაშავა – 108, 111, 112, 142  
 ნაკჯუვანი – 25, 34, 108  
 ნაფტანი – 120  
 ნინევია – 78  
 ნიშაბური – 58, 140  
  
 ორდუბადი – 115  
  
 რადქანი – 101  
 არ-რანი – 25, 28, 34, 37, 39, 41, 57,  
 82, 88, 107, 111, 115, 122, 128, 135  
 არ-რასსი (არაქსი) – 22, 24, 25, 28, 29,  
 34, 35, 74, 81, 83, 84, 91, 94, 107,  
 108, 109, 115, 116, 122, 154, 157  
 რეზაიე – 99, 100  
 რეზაიეს ტბა – 99, 100, 102, 103  
 რეი – 52, 57, 58, 59, 78, 80, 120  
 124  
 რუვინ დიზი – 40, 44, 134, 149  
 არ-რუმი – 23, 35, 77, 112, 113  
 რუსეთი – 58, 76  
  
 საბალანის მთა – 22, 28, 33, 74, 94

მარანდი – 24, 29, 84, 100, 146  
მარზრუჩაი – 115  
მაროკო – 157  
მასჯიდ ზი ალ-კარნაინი – 111  
მალრიბი – 157  
მაშჰადი – 54, 72  
მახლობელი აღმოსავლეთი – 88, 101,  
118, 126, 127, 137, 142  
მაჰ – 56  
მედინა – 46, 57, 132  
მერვი – 95, 141  
მეჟა – 58, 67  
მინგეჩაური – 86  
მონღოლეთი – 70

საბირაბადი – 81  
საბჰოთა კავშირი – 81, 96  
საგრამი – 115  
ას-სავადი – 111  
სალამასი – 32, 36, 89, 100, 102, 103,  
113, 146  
სალი – 115  
სამანდარი — 55  
სამარა – 61, 62, 118, 119, 132  
სამარყანდი – 120  
სამური – 50, 157, 158  
სამცხე – 92  
სამხრეთ მესოპოტამია – 56  
სანჯაქი – 12.

## 172

სარახსი – 95, 140, 141  
სარდინია – 58  
საქართველო – 7, 10, 11, 86, 87, 92,  
93, 108, 112, 128, 130, 131, 135,  
136, 140, 144, 145, 156  
სიაქუჰის კუნძული – 20, 59  
სინჯარი – 78  
სისაჯანი – 107, 111  
სირაჯი – 108, 142  
სირაჯ ტაირი – 111, 112  
სირია – 43, 59, 120, 121  
სიცილია – 58, 84  
სიჯისტანი – 33, 95, 106  
სპარსეთი – 58, 84  
სპარსეთის აზერბაიჯაწი – 84, 87, 88,  
99  
სპარსეთის ერაყი – 8, 56, 81  
სპარსეთის ყურე – 57  
სოკოტრა – 12, 13  
სომხეთი – 81, 82, 86, 91, 92, 93, 110,  
111, 112, 113  
სომხეთის სსრ – 81  
სოლდებილი – 8, 69, 111, 112, 129,  
131, 133  
სულეების კუნძული – 20  
სურაჯარ-თაჰს – 115

ტაბარისტანი – 52, 53, 57, 85, 129,  
151  
ტაბარისტანის ზღვა – 19, 51  
ატ-ტაბასაინი – 95  
ტაიფი – 68  
ტარმი – 57  
ტერტერი – 120  
ტიბერიუსის ტბა – 67  
ტიგროსი – 67, 78, 118, 119  
ტუნისი – 157

ფასა – 150  
ალ-ფურათის წყარო – 26, 34, 90  
ფუსტატი – 160  
ქაბუზანი – 99  
ქაბუზანის ტბა – 99, 152  
ქანქალას წყარო – 26, 43, 90, 146  
ქართლი – 92  
ქარნა – 120  
ქილანი (იხ. ჯილანი)  
ქურრა – 120  
ქულსარა (ქურსარა) – 121  
ალ-ქურქი – 39, 121  
ალ-ქურრი (მტკვარი) – 25, 34, 39, 40,  
69, 81, 85, 86, 88, 107, 108, 120,  
121, 129, 132, 134, 156

ლაზხა – 160

ყაზახ-თაჰა – 115  
ყაზვინი – 8, 24, 29, 46, 57, 81, 103,  
153, 154  
ყარადაღი – 115  
ყარასუ – 109, 115  
ყიხილ არსლანი – 138

შაბერანი – 135, 155, 157  
შაბური – 48, 155  
შამახია – 88, 122, 135  
ამ-შამის ზღვა – 21, 66  
შამქური – 25, 34, 87, 88, 107, 135  
შარვანი – 34, 47, 48, 49, 111, 112,  
155, 156, 157, 158  
შაქი – 88, 122, 135  
შაჰრისტანი – 140  
შაჰრუზი – 25, 84

ატ-ტუსი – 72, 101, 102

უნგრეთი – 58.

ურმია – 31, 32, 34, 99

ურმიის ტბა – 31, 89, 99, 109, 110

უმუნუ – 100, 146

უჯანი – 100, 146

ფარავი – 140

ფარსი – 56, 121, 125, 149

ჩინეთი – 13

ჩრდილო კავკასია – 76

ცენტრალური აზია – 60, 70, 121

ცხერების კუნძული – 20

წითელი ზღვა – 57

ხაზარანი – 34, 107, 108

საზართა ზღვა – 19, 25, 34, 36, 49,

51, 52, 57, 58, 59

ხასართა ქვეყანა – 19, 54, 65, 66

ხვარაზმის ზღვა – 51

ხვარაზმის ტბა – 51

ხილატის ტბა – 43

ხიჯილარ-ჩაი – 115

ხლატი (ხილატი) – 14, 23, 26, 34, 42,

43, 47, 90, 108, 111, 112, 142, 143

144, 145

ხმელთაშუა ზღვა – 57, 66

ხორასანი – 43, 52, 78, 95, 99, 120,

124, 125, 140, 152

ხორასნის ზღვა – 51

ხორასნის-მორევი – 51

ხორასნის უდაბნო – 56

ხორეზმი – 58, 137

ხუვაი (ხოი) – 26, 43, 46, 90, 100,

146, 149

ხუზისტანი – 56, 121, 125

ხუნანი – 88, 135

შიზი – 32, 33, 103, 105

შიმშატი – 111, 112

შინასი – 50

შირაზი – 98, 149, 150

შირვანის ზღვა – 51

შირქირანის წყარო – 26, 90

შუა აზია – 64, 69, 137

შუა აღმოსავლეთი – 137, 142.

ამ-შურათის ტბა – 99

173

ხუნაჯი – 100, 146

ხური – 95

ხურრამი – 116

ალ-ჯაბალი – იხ. არ-ჯიბალი

ჯაბრავანი – 100, 146

ჯავახეთი – 92

ალ-ჯაზირა – 78

ჯანზადაკის ჭა – 27, 91, 93, 134

ჯანზაზაკი – 40, 93, 134

ჯანზა (განჯა) – 25, 34, 41, 42, 50,

88, 107, 134, 135, 136, 138, 157,

158

ალ-ჯიბალი – 19, 56, 57, 77, 95, 124,

125

ჯილანი (გილანი) – 25, 57, 85

ჯილის ზღვა – 51

ჯირანი – 49, 157

ჯურზანი – 25, 86, 87, 108, 111, 112

ალ-ჯურჯანი – 53

ჯურჯანის ზღვა – 19, 51

ალ-ჰადისა – 78

ჰამადანი – 23, 37, 72, 77, 78, 125

ჰარაქი – 41, 137

ალ-ჰარისი და ალ-ჰუვაირისი – 22, 35,

36, 71, 113

ჰარქანდი – 12, 13

ჰილლა – 8

ჰულან მულანი – 85

174

**Отар Варламович Цкитишвили**

**СВЕДЕНИЯ ЗАКАРԻԶԱԿԱՅԻՆԻ Օ ԳՐՈՒՅԻ Ի ԿԱՎԿԱԶԵ**

(на грузинском языке)

الجبلى واهلها اهل الخير والصلاح والضيافة للفقراء والاحسان الى الغرباء  
وصنعتهم عمل الاسلحة كالندوع والجواشن وغيرها من انواع الاسلحة  
405 ظاخر مدينة كبيرة اهله على ست مراحل من جنزة وهي قصبه بلاد لكزان  
البرد بها شديد جدا حدثنى الفقيه يوسف بن محمد الجفزي ان ماءها من نهر يسمى  
ثدور يكون جامدا فى الشتاء والصيف يكسرون الجمد ويسقون الماء من تحته  
فاذا اسقوا وجعلوه فى حرة تركوها فى فطاء من جلد الغنم لئلا يجمد فى الحال  
وقوتهم من حب يقال له السلت يشبه الشعير فى صورته وطبعه طبع الحنطة ولا تجادة  
عندهم ولا معاملة بل كل واحد يزرع من هذا الحب قدر كفايته ويتقوت به وبند  
فتيحات له ورسلاها ويلبس من سوفها ولا رئيس بل عندهم خطيب يصلى بهم وقاض  
يفصل الخصومات بينهم على مذهب الامام الشافعى واهل المدينة كلهم شفعوية بها  
مدرسة بناها الوذير نظام الملك الحسن بن على بن اسحاق وفيها مدرس وفقهاء  
وشرط لكل فقيه فيها كل شهر دأس غنم وقعد من السلت وذكر انهم نقلوا مختصر  
الجزنى الى لغة اللكزية وكذلك كتاب الامام الشافعى ويشتغلون بهما

فسميت باسمه واسقطت شرطها تخفيفا وهي ناحية مستقلة بنفسها يقال لملكها  
اخستان ذهب بعضهم الى ان قصة موسى والمضرم كانت بها وان الصخرة التي  
نسى يوشع عم الحوت عندها بشروان والبحر بحر الخبز والقرية التي لقيها فيها غلاما  
فقتله قرية جيران والقرية التي استطعما اهلها فابوا ان يضيفوهما فوجدا فيها  
جدادا يريد ان يفتنص فاقامه باجروان وهذه كلها من فواحي ازمينية قرب الدبدند  
ومن الناس من يقول انها كانت بادس الفريقية وبها اوض

404 مقدار شوط فرس يخرج منها بالتهاد دخان وبالليل ناد اذا عرنت في هذه  
الادس خشبة احترقت والناس يحفرون فيها حفرا ويتركون قدورهم فيها باللحم  
والاباذير يستوى فضجها حدثني بهذا بعض فقهاء شروان وبها نبات عجيب يسمى  
